1168
2003

კვირის პალიტრ

N44(177) 30/X.-5/XI.2003.
ფასი 60 თ.

სიყვარულისთვის თავგანწირვა – ცრემლნარევი ამბები...

ანი მალლაკელიძე: „შეიძლება, შეუსვდავ კაცს მივთხოვდე“

მოგზაურის დღიურები – რაზომ არ საქმიანობენ ნიუ-იორკში სომხები

მარჩიელი – როდის გაიხარებს სოსო პავლიაშვილი

ლენუკა ყიფშიძე მანქანების გამტაცებელი ყოფილა

N22(56) 30/X-12/XI.2003

ოჯახის მეუღლეები

საბავშვო ჟურნალი

0.70 თ.

შემოდგომის დეპრესია

ბრონქიტი

მთავარი თემა ნყლულოვანი დაავადება

რა არის ჰალუცინაცია

სიახლე ჟურნალის მკითხველისთვის

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

№44 (177)
30 ოქტომბერი – 5 ნოემბერი 2003
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„მოგონებანი გარდასულ დღეთა“ ანუ ხსოვნა იყოს!.. 3
აინწონა-დაინწონა
რა განსხვავებაა მემარცხენე და მემარჯვენე პოლიტიკურ პარტიებს შორის 4
ერთი კითხვა 5
სასიძო
„ვერ გავიგეთ, რომელი ჩვენგანი გიყვარდა...“ 6
საპატარძლო
ანი მაღლაკელიძე: „მამაკაცს არ უნდა აწუხებდეს არასრულფასოვნების კომპლექსი“ 7
მარჩიელი
„მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მას ტაშს დაუკრავენ“ 9
ბახუსი
როდის უსკდება მამუკა ონანშვილს სიყვარულის გუდა... 11
ნამდვილი ამბავი
კიდევ ერთხელ ექვსი შინაბერასა და ერთი მამაკაცის შესახებ... 12
კრიმინალი
„სროლის ხასიათზე ვარო – მითხრა და ისროლა... სახის არეში საშინელი ტკივილი ვიგრძენი“ 14
ძებნილები
ყველაზე „სტაქიანი“ მოუხელთებლები მსოფლიოში 17
მამაკაცური ოინები
გაგა ალექსიძის სასიყვარულო ვოიაჟები მატარებელში 18
თემა
სიყვარულისთვის თავგანწირვა 21
ეკრანი
„24 ნოემბერს EMMY-ს დაჯილდოების ცერემონიაგე მივემგზავრები...“ 25
გზავნილები
„სამოთხეში თუ არა, საგიქეთში მაინც ვიქნებით ერთად“... 26
ოჯახი
...იმ რომანტიკული შეხვედრის დღიდან 45 წელი გავიდა 29
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 30
ქალი საჭესთან
ლენუკა ყიფშიძე სტაქიანი მძღოლი და მანქანების გამტაცებელი ყოფილა 32

სიყვარულისთვის თავგანწირვა



სიყვარულისთვის ჩადენილი გმირობა დღეს მხოლოდ სახეცვლილი წარმოგვიდგება და ხშირად, ერთჯერადი აქტის სახით კი არა – ყოველდღიურობაში „ჩაკარგული“, საყვარელი ადამიანისთვის გაწეული თავგანწირვის ფორმით ვლინდება? თავად განსაჯეთ...

21

„მამაკაცს არ უნდა აწუხებდეს არასრულფასოვნების კომპლექსი“

თქვენს რუბრიკას კარგად ვიცნობ და ვფიქრობ, რომ მასში გამოჩენა რაღაც პასუხისმგებლობის წინაშე დამაყენებს. მზად უნდა ვიყო იმისთვის, რომ გამოხმაურებები წავიკითხო და არც ისაა გამორიცხული, ვინმემ დამაინტერესოს და ვინ იცის, რა მოხდება შემდეგ...

7

„სროლის ხასიათზე ვარო – მითხრა და ისროლა... სახის არეში საშინელი ტკივილი ვიგრძენი“



...ძმებს განზრახ მკვლელობასა და მკვლელობის მცდელობაში ადანაშაულებენ... თუმცა ადვოკატები ერთ დეტალზე განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას... „საქმეში არსებული ოქმების მიხედვით, ძებნილ პირებს შს სამინისტროში ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლებას ოფიციალურად უფორმებდნენ“...

14

ამერიკა მართლაც პარადოქსების ქვეყანაა...

– კაკოჯან, „ტი ტოლკა ნე აბიჟაისია“, მაგრამ ფული და კაპიტალი სომხების და ებრაელების ხელშია! ფული კიდევ, ხომ იცი, ყველაფერს აკეთებს!

რატომღაც ძალიან გავღიზიანდი. ქართველები, ამ ვიღაც აშოტას აზრით, აღარაფერს წარმოვადგენდით...

49

ტაძარი
როგორ ვიგრუნოთ მიცვალებულთათვის? 34
სასარგებლო აზრები
აფორიზმების ენციკლოპედია 35
ფალავანი
„ვიდჯერ მსოფლიო ჩემპიონი რომ გახდე, აფთარი უნდა იყო ანუ ჩემი „საბირქაო“ ადგილი რიგა იყო...“ 36
საფეხბურთო მინდვრებზე
კატარი – „გადამდგარ საფეხბურთო გენერალთა“ თავშესაფარი 38
ბომონდი 40
რომანი
რუსუდან ბერიძე. დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი (გაგრძელება) 42
ვარსკვლავი
ლეონარდო დი კაპრიო: „როგორც იქნა, საცოლე ვიპოვე!“ 46
ავტო 48
მოგზაურის დღიურები
ამერიკა მართლაც პარადოქსების ქვეყანაა... 49
შოუბიზნესი
თამუნა ამონაშვილი: „ქალი მაშინ არის ცოდო, როცა მასზე არ ჭორაობენ“ 52
საკითხავი ქალებისათვის 54
იუმორი 56
ჯანმრთელობა
- ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა 57
- როგორ მოვუაროთ ფრჩხილებს 58
- ახალი რისკი: ტატუირების მანქანები 59
- დეფიბრილატორები სტადიონზე 59

ჰოროსკოპი
კვირის (3-9 ნოემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი 60
სკანვორდი 61
სპორტული მოზაიკა 62
ტესტი
შეგიძლიათ თუ არა მამაკაცის მოხიბვლა? 63
კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

ლენუკა ქიფშიძე სტაჭიანი მძღოლი და მანქანების გამტაცებელი ქოფილა

ანი ყვირილით გაეკიდა მათ – დამიბრუნეთ, ჩემი ნივთებიო – მაგრამ რას დაეწეოდა ან ვინღა დაუბრუნდებდა? მე მანქანაში ჩავჯექი და გავეკიდე, იმედი მქონდა, დავეწეოდი, მაგრამ უცებ გაუჩინარდნენ...

32

ლეონარდო დი კაპრიო: „როგორც იქნა, საცოლე ვიპოვე!“

ჰოლივუდელი ლამაზმანების კერპმა გადაწყვიტა, გახდეს დიდი და დაოჯახდეს. ბოლო თვეებში მან ბევრი რამ მოასწრო: ორჯერ მაგრად ეჩხუბა საცოლეს – ხანმოკლე რომანი გააბა, „გაიხსენა“ უწინდელი სიყვარული და...



46

თამუნა ამონაშვილი: „ქალი მაშინ არის ცოდო, როცა მასზე არ ჭორაობენ“

სამი წელი ვცხოვრობდი მოსკოვში და ამ ხნის მანძილზე უამრავჯერ ჩამოვედი თბილისში. მივხვდი, რომ არც იქ ვიყავი და არც აქ. თუ დიდი თანხა არა გაქვს, მოსკოვში ძნელია საქმის წამოწყება. თუმცა, მე მეგობრების დახმარებით ბევრი რამ გავაკეთე. ვარსკვლავი რომ გახდე, ნახევარ მილიონამდეა საჭირო.

52

დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

დეამ ზღურბლს ფრთხილად გადააბიჯა და საწოლზე წამომჯდარ გიგოლას შიშით შეხედა. წვერმოშვებულ და დაღვრემილ კაცს გულხელი დაეკრიფა და გარინდულიყო. ხმაურზე ნელ-ნელა მოიხედა, დეას მუცელს ისე დააშტერდა, თითქოს თვალებით გაბურღვას უპირებსო და მერე ისევ პირი იბრუნა.

42

„მიგინებანი გარდასულ დღეთა“ ანუ ხსოვნა იყოს!...



სამოდე დღე დარჩა იმ ნანატრ, ისტორიულ 2 ნოემბრამდე, როცა საქართველოს მოსახლეობამ ახალი, ბედნიერი ცხოვრების კარი უნდა შეაღოს, სადაც მგელი და კრავი ერთად მოძოვს ბალახს; ნახირს დათვი დაუდგება მწყემსად; სადაც ჯიბიდან არავინ ამოგაცლის სულივით ტკბილ უკანასკნელ ორლარიანს; სადაც აღარ იჩხუბებენ დეპუტატები, არ გაირღვევა ბიუჯეტი, არ გაიზრდება გადასახადი... ღმერთო ჩემო, რა მოსაწყენია!.. მოკლედ, ახალ ცხოვრებაში ისე ვიგრძნობთ თავს, როგორც თევზები წყალში (პირში წყალჩაგუბებულები)...

ამ სანუკვარი კარის გაღებას ყველა პარტია გვთავაზობს და — არა, ჩემია ნამდვილი, არა — ჩემიო, — საკუთარ გასაღებს გვჩრის ხელში, მაგრამ მათგან მხოლოდ ერთი აღებს კლიტეს და ხალხმაც ის ერთი უნდა აარჩიოს (სუფთა „ლარის მახეა“, რა!..)

მე კი, სანამ თქვენ გასაღების რჩევაში ხართ, თვალს გადავავლებ ახლო წარსულს და იმ საამაყო მოვლენებსა და მათ გმირებს შეგახსენებთ, რომლებმაც საკუთარი მუშტით, წიხლით, საფერფლითა თუ დროშის ტარით გამოჭედეს ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორია.

ჯერ ერთი, სწორედ ზეციურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ უკვე დამოუკიდებლობამოპოვებულ საქართველოს „ახალი სახე“ ჩაუდგა სათავეში და აგერ უკვე 12 წელია, მამის მოვალეობას გვისრულებს (დედასთან მიმართებაში). თუნდაც, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა გავიხსენოთ, რომლის პირველ მილს „მამაჩვენმა“ სიმბოლურად, ნიჩბით მიწა მიაყარა და ამით გვაგრძნობინა, რომ კიდევ ბევრ სასიკეთო წამოწყებას „მიაყრიდა მიწას“...

სწორედ ბოლო წლებში არ მიგვიღეს ევროსაბჭოში?!. იმ ჩვენმა შავქოჩორა მზეჭაბუკმა თავმდაბლობის გამო თქვა — მე ვარ ქართველი, ე.ი. მე ვარ მათხოვარიო, — თორემ, ევროპაში მისაღებად მათი სამათხოვრო რა გვჭირს, როცა დმანისში აღმოაჩინეს პირველი ევროპელების — ზეზვასა და მზიას ჩონჩხები, ევროპელობის დამადასტურებელ ნიშნად, ჩანგალი რომ ეჭირათ მარცხენა ხელში...

განა საქართველოს დიდსულოვნების წყალობით არაა, სულ ერთი თვის წინ, აფხაზებმა დამოუკიდებლობის 10 წლისთავი რომ იზეიმეს? ისე, უმადურად კი მოიქცნენ, როცა დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ორდენები მარტო თავისთვის დაირიგეს და ჩვენი ხელისუფლების ამაგი დაივიწყეს... მაგრამ არა უშავს, ოსები დაგვიფასებენ ორმაგად...

გნებავთ, ჩვენი დედაქალაქი ავიღოთ, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა ევროპის ქვეყნების დედაქალაქებს შორის — დანაგვიანებაში; ქალაქსაც, როგორც იქნა, დაეკარგა ძველი, თბილისური იერი — აივნიანი სახლები, სამარცხვინო ხედები და მათ ნაცვლად, სასახლეები წამოჭიმეს ჩვენმა ჩინოვნიკებმა. მართალია, ხალხი კი ჩივის — ჩვენი პენსიებით აშენებენო, — მაგრამ აბა, როგორ უნდა? — ის ხომ სიამოვნებს, მისი ქოხმახის გვერდით, ამოდენა არქიტექტურული შედევრი რომ დგას და უფასოდ შეუძლია შორიდან ყურება და ნერწყვის ყლაპვა!..

უდიდეს წარმატებებს მივაღწიეთ სპორტში: ჯერ მარტო ის რად ღირდა, საცოდავმა რუსებმა შუქი რომ გათიშეს სტადიონზე და გაპარვა მოინდომეს?!. „მამაჩვენმა“ ხელმეორედ მოიწვია და რომ არ შეშინებოდათ, ცარიელ სტადიონზე ჩაატარა თამაში, მაგრამ მაინც მოვუგეთ გამანადგურებელი ანგარიშით — 12:0 (თორმეტჯერ გაიმეორეს ის მომენტი ეკრანზე).

მერე იყო და, ჩვენმა გაპოლიტიკოსებულმა ჩემპიონმა გვასახელა რინგზე: იმდენი ურტყა ახალი საქართველოსთვის გაუგებრობაში მოყოლილ რუს გერმანელს, რომ სანამ მსჯავი ათამდე უთვლიდა, საცოდავმა ძლივს წამოილუღლუღა: — თქვენ თუ არჩევნებისთვის რეკლამა გინდათ, მე რატომ მკლავთო? — და კინაღამ სული დალია...

განსაკუთრებული მიღწევები გვაქვს მძლეოსნობაში, კერძოდ — ბირთვის კვრაში: ვიღას უკვირს ჯოტია ცაავას რეკორდი — 7 კგ 22 მეტრზე, როცა ბოლნისელი გლეხები ისეთი ძალით ისვრიან ქვებს, რომ თბილისში არტყამენ ოპოზიციონერებს?! დროშის ტარებით ფარიკაობაში ლეიბორისტებმა და „ნაციონალებმა“ გვასახელეს... მარათონულ სირბილში კი, იუსტიციის სამინისტროს მთავარი ჯილდო — „თავისუფლება“ — რუსთავის კოლონიის 129 პატიმარს მიენიჭა...

ტრიუმფალური ნაბიჯები გადადგით ხელოვნებაში: ქართულ ესტრადაზე საგრძნობლად იმატა მომღერლების რაოდენობამ და იკლო სიმღერების რაოდენობამ. ესტრადა პოლიტიკის დონემდეც კი ავწიეთ და დღეს, ნებისმიერი მომღერალი რომელიმე მაღალრეიტინგული პარტიის სიის ათეულში უფრო იოლად მოხვდება, ვიდრე „პროფათეულში“.

აი, ასეთი წინსვლა განვიცადეთ ამ ბოლო დროს... მოვა 2 ნოემბერი, ახალი ცხოვრებაც დაიწყება და ეს ყველაფერი წარსულს ჩაჰბარდება, მაგრამ მადლიერი ხალხი არასოდეს დაგივიწყებთ „ამაგს“ და თქვენი ტკბილი დაპირებები, თქვენი ელვისებური მუშტი, ნავთშერეული „ბორჯომი“, კაზინოში წაგებული ბიუჯეტი და არჩევნებში დახარჯული პენსიები მუდამ იცოცხლებს ჩვენს გულებში...

რადგან ხსოვნაზე გაჩერება არ შეიძლება, ახალ არჩევნებს გაუმარჯოს! ვნახოთ, ბიულეტენზე რომელ ნომერს როგორ... მოეხაზება.

P.S. ქალების დიალოგი:

— ვის აძლევ არჩევნებში ხმას?

— არავის.

— რატომ?

— ყველა პარტია იმას გაიძახის — ღირსეულს და პატიოსანს მიეცითო, — და მასეთი ვერავინ ვნახე...

პროვოკატორი

რა განსხვავებაა მემარცხენე და მემარჯვენე პოლიტიკურ პარტიებს შორის?

ლელა ჭანკოტაძე

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, განსაკუთრებით საინტერესო გახდება თანაფარდობა მემარჯვენეებსა და მემარცხენეებს შორის. დაიწყება იმის გარკვევა, თუ რამდენმა მემარჯვენე ან მემარცხენე პარტიამ გადალახა 7%-იანი ბარიერი. მაგრამ იცის კი საზოგადოებამ, რა განსხვავებაა პოლიტიკაში მემარცხენე და მემარჯვენე მიმართულებებს შორის, რა შემთხვევაში ითვლება პარტია მემარჯვენედ ან მემარცხენედ?

ნატა ხაჩიძე, *ექიმი-პედიატრი:*

— მემარჯვენეები, „ახლები“ არიან, ყველა სხვა პარტია, მემარცხენეა. თუმცა, რა განსხვავებაა მემარჯვენეობა-მემარცხენეობას შორის, ნამდვილად არ ვიცი.

ლეილა ბარამიძე, *დიასახლისი:*

— არ ვიცი, რა განსხვავებაა, მაგრამ გავიგე, რომ „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი ცაცია ყოფილა. ახლა უკვე ვეღარ ვხვდები, რატომ არ ჰქვიათ „ახალი მემარცხენეები“?

მარინა ბერეშვილი, *გარემოვაჭრე:*

— მემარცხენეობა ძალიან ცუდია. არ გაგიგიათ — მარცხენა ფეხზე ხომ არა ხარ ამდგარიო? ეს ნიშნავს, რომ იმ დღეს, ცუდად ხარ, დათარსული ხარ, არ გიმართლებს. მემარჯვენეობა უკეთესია. ისიც ხომ გაგიგონიათ — მარჯვენა დაგელოცოსო?!. მგონია, რომ მემარჯვენეები, ისინი არიან, ვინც არჩევნებში გაიმარჯვებენ და ხელისუფლებაში მოვლენ. ალბათ პრეზიდენტიც მემარჯვენეა.

მიშა მჭედლიძე, *უმუშევარი:*

— რა მნიშვნელობა აქვს, მემარჯვენეა თუ მემარცხენე?! ყველას კარგად ეხერხება ჩვენი მოტყუება. გვითხრეს: ხუთი წელი იშიმშილეთო, — ვიშიმშილეთ. მერე გამოგვიცხადეს: ათი წელიო, — და ჩვენც, საცდელი თაგვებივით, ათი წლის მანძილზე გასუსულები ვიყავით; არც შუქი გვქონდა, არც გაზი, არც ხელფასი... მითხარით — ჩემთვის რა აზრი აქვს იმის გაგებას, თუ ვინაა მემარჯვენე ან მემარცხენე?! ჩემს პრობლემებს არც ერთი აგვარებს და არც მეორე.

ახლა კი, სიტყვა პოლიტოლოგებსა და იურისტს გადავცეთ.

ირაკლი შენგელაია, *პოლიტოლოგი:*

— მთავარი განსხვავება მემარჯვენეებსა და მემარცხენეებს შორის ის არის, თუ როგორ აფასებენ ისინი სახელმწიფოს როლს საზოგადოების ცხოვრებაში. მემარჯვენეების თეზისია: სადაც სახელმწიფო ერევა, იქ საქმე ყოველთვის მოუგვარებელია, ხოლო იქ, სადაც კერძო საკუთრება და პიროვნების ინიციატივა დომინირებს, ყველაფერი რიგიანად ვითარდება. სახელმწიფომ მხოლოდ საკანონმდებლო ბაზა უნდა შექმნას და დაიცვას კერძო საკუთრება და ადამიანის უფლებები. ადამიანის მაქსიმალური თავისუფლება და სახელმწიფოს მინიმალური ჩარევა მის ცხოვრებაში! — აი, მემარჯვენეების დევიზი. ახლა ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, თითქოს მემარჯვენეებსა და მემარცხენეებს შორის განსხვავება თითქმის აღარ არსებობს. ეს დემაგოგიაა. საქართველოში პოლიტიკური სპექტრი „დაულაგებელია“. ვისაც პარტიიდან პარტიაში გადასვლა-გადმოსვლა სჩვევია, სწორედ მას აძლევს ხელს ამის მტკიცება. ეი. დღევანდელი ქართული პარტიული სპექტრი არაფერს ეფუძნება, გარდა ხელისუფლებაში მოსვლის დაუოკებელი სურვილისა. არც ერთ პოლიტიკურ პარტიას გამოკვეთილი პროგრამა არა აქვს. ნებისმიერი მათგანის რეიტინგი დაფუძნებულია იმაზე, თუ ვინ უკეთესად გალანძღავს პრეზიდენტს და ხელისუფლებას...

გივი გოლოთაშვილი, *პოლიტოლოგი:*

— კლასიკურ პერიოდში, როცა წარმოიშვა ცნებები — „მემარჯვენე“ და „მემარცხენე“, ამგვარი დაყოფა კერძო საკუთრებისადმი დამოკიდებულებით იყო განპირობებული. მემარჯვენეები ყოველთვის, კერძო საკუთრების დამცველებად გამოდიოდნენ, მემარცხენეები კი — მოწინააღმდეგეებად. საქართველოში არავითარი განსხვავება მემარჯვენე და მემარცხენე პოლიტიკურ პარტიებს შორის არ შეინიშნება. ერთადერთი განსხვავება — ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებაშია: ხელისუფლების მოწინააღმდეგეები მემარცხენეები არიან, მომხრეები კი — მემარჯვენეები.

გიორგი კირკიტაძე, *იურიდიული ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი:*

— მემარჯვენეებისა და მემარცხენეების ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯვნა ხდება „აწყობილ“, დემოკრატიულ სახელმწიფოში. ჩვენში ამის გარჩევა ცოტა ძნელია. საერთოდ, მემარცხენეები ქადაგებენ ადამიანთა სოციალურ დაცულობას, თანასწორობას, მემარჯვენეები კი — გადასახადების შემცირებას და კერძო ბიზნესის განვითარებისთვის ხელშეწყობას. მაგალითად, ავსტრიასა და შვედეთში მემარცხენე ძალების მმართველობისას, მოქმედებდა ასეთი კანონი: ვისი შემოსავალიც მილიონს მიაღწევდა, ის ბიუჯეტში მოგების 75%-ს იხდიდა. აშშ-ის ექსპრეზიდენტი რეიგანი საპირისპიროდ მოიქცა: მან შეამცირა გადასახადები. ნიშანდობლივია გამოთქმა: მემარჯვენეები მუშაობენ, მემარცხენეები კი, სანიტრები არიანო... ■

„სახელისუფლებო ბლოკის სიმშვიდე მაეჭვებს...“

— ვინ მიგაჩნიათ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში „ახლების“ ძირითად კონკურენტად და პარლამენტში მოხვედრის შემთხვევაში, რომელი საკითხის გადაჭრა მიგაჩნიათ პრიორიტეტულად?

ლევან გაჩეჩილაძე, *„ახალი მემარჯვენეები“:*

— არჩევნებში ჩვენი ძირითადი „კონკურენტი“, გაყალბება და მოქალაქეთა ნიჰილიზმია. მართლაც, გაყალბების რეალური საშიშროების წინაშე ვდგავართ. ეს იქიდანაც ჩანს, რომ სახელისუფლებო ბლოკი, რომელსაც ძალიან ცოტა მხარდამჭერი ჰყავს, მეტისმეტად მშვიდად გამოიყურება. მე სწორედ მისი სიმშვიდე მაეჭვებს... ბუნებრივია, გაყალბებას მათგან უნდა ველოდოთ. კარგი იქნებოდა, ცესკო ბეიკერის გეგმის შესაბამისად რომ დაეკომპლექტებინათ, მაგრამ რადგან ასე არ მოხდა, ახლა ყველაფერი ამომრჩეველთა აქტიურობაზე იქნება დამოკიდებული. რაც შეეხება შეკითხვის მეორე ნაწილს,გიპასუხებთ:ყველა საკითხი პრიორიტეტულია, თუმცა მთავარი მაინც სოციალურად დაუცველი და გაჭირვებული ხალხის მხარდაჭერაა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერებისთვის ხელშეწყობა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ■

„ასეთი რამ არძინბასაც არ უთქვამს“

— *არჩევნების წინ, ყველა პარტიამ პოლიტიკური ბრძოლის საკუთარი სტილი აირჩია. „ნაციონალები“ ხისტი მოქმედებით გამოირჩევიან. პოლიტიკური ბრძოლის მშვიდი და ზომიერი ფორმა ნაკლებმომგებიანად მიგაჩნიათ?*

მაია ნადირაძე, *„ნაციონალური მოძრაობა“:*

— შეგნებულ პროვოკაციაზე არასოდეს მივდივართ. ვერ დამისახელებთ ვერც ერთ შემთხვევას, როდესაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კანონი დაარღვია. წინააღმდეგობას ყოველთვის, ხელისუფლების მხრიდან ვაწყდებით, იმიტომ, რომ მათ ქვეცნობიერი შიში აქვთ. გეთანხმებით, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ ცოტა ხისტია, მაგრამ ეს აუცილებლობამ გვიკარნახა. ხომ ხედავთ — მშვიდმა, ზომიერმა და შეფარულმა მეთოდებმა შედეგი ვერ მოიტანა. „კარის გადატრიალების“ რამდენიმე მცდელობაც კრახით დასრულდა, იმიტომ, რომ ეს ერთი ჯგუფის თამაში იყო და ხელისუფლების შეცვლას არც ისახავდა მიზნად.

„ნაციონალურ მოძრაობაში“ შემართული, რადიკალური ქმედებებისკენ მიდრეკილი ხალხია გაერთიანებული და დამთრგუნველი რეჟიმის შეცვლა მხოლოდ ასეთებს შეუძლიათ. ჩვენი მენტალიტეტისთვისაც შოკური მეთოდებით გარდაქმნა უფრო შესაფერისი იქნება... უნდა შევიგნოთ, რომ ადამიანები შიშისა და მონობისთვის კი არა, სამყაროს უკეთესობისკენ შესაცვლელად იბადებიან. აჭარის ლიდერები აცხადებენ, სააკაშვილს საქართველო დაშლისკენ მიჰყავსო. ასეთი რამ თავის დროზე არძინბასაც არ უთქვამს. ამ ბრალდებებში მე მავანთა შეფარულ სურვილებს უფრო ვხედავ. აჭარაში რაგინდ დაძაბუნებულიც არ უნდა იყოს მოსახლეობა, 20 კაცის კეთილდღეობის გამო ამ ქვეყნის დაშლის უფლებას მაინც არავის მისცემს. ამას ჩვენ არ დავუშვებთ, მსგავსი განცხადებების ავტორებს კი, ნორმალურ ქვეყანაში ანათემას გადასცემდნენ. „ნაციონალურ მოძრაობას“ არც ქვეყნის დაშლა უნდა და არც არჩევნების გადადება. ჩვენ „რეიტინგული“ პარტია ვართ და გამარჯვების იმედიც გვაქვს, არეულობა და დესტაბილიზაცია კი იმათ სჭირდებათ, ვისაც დაკარგული აქვთ ხალხის ნდობა. ■

„პარლამენტის თავმჯდომარეობა ტრამპლინია პრეზიდენტობისათვის“

— *არჩევნები ჯერ არ ჩატარებულა და უკვე იმაზე მსჯელობენ, თუ ვინ იქნება მომავალი პარლამენტის თავმჯდომარე. სავარაუდო კანდიდატურებსაც ასახელებენ — ბურჯანაძე, მამალაძე, ლორთქიფანიძე, მეძმარიაშვილი, ნათელაშვილი... თქვენ აზრით, ვისა აქვს ამ პოსტის დაკავების მეტი შანსი?*

გია ნოდია, *პოლიტოლოგი:*

— ჩემი აზრით, დასახელებულ კანდიდატებზე მეტი შანსი, ნეიტრალურ ფიგურას ექნება. ვფიქრობ, ნინო ბურჯანაძის კანდიდატურას მხარს მხოლოდ „ახლები“ დაუჭერენ. რაც შეეხება ლევან მამალაძეს, ის აგრესიული პოლიტიკოსია და პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობის დაკავების ნაკლები შანსი აქვს. მეეჭვება, ხელისუფლების მომხრეებმა პარლამენტში ხმების უამრავლესობა დააგროვონ და თავმჯდომარის პოსტზე თავიანთი კანდიდატურა გაიყვანონ. ისე კი, მამალაძეზე მეტი შანსი, მეძმარიაშვილს და ლორთქიფანიძეს აქვთ. რაც შეეხება შალვა ნათელაშვილს, იმ შემთხვევაში, თუ სახელისუფლებო ბლოკი უმცირესობაში აღმოჩნდება, ოპოზიციური ძალებიდან მისთვის ყველაზე მისაღები სწორედ ის იქნება. „ახლების“ ლიდერი — დავით გამყრელიძე არ არის ქარიზმატული ფიგურა და ამიტომ, კონკურენტებს მისი ნაკლებად უნდა ეშინოდეთ. გამორიცხული არაა, გამოჩნდეს სრულიად ახალი კანდიდატი, რომელიც თავმჯდომარის როლს უკეთესად მოერგება, ვიდრე ზემოთ დასახელებული, სავარაუდო კანდიდატები. პარლამენტის თავმჯდომარეობა ერთგვარი ტრამპლინია პრეზიდენტობისათვის, ამიტომ ამ თანამდებობისთვის პოლიტიკოსები თავგანწირვით იბრძოლებენ. ■

„რეფერენდუმთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები შეიქმნება“

— *არჩევნების დღეს, ამომრჩეველმა იმასაც უნდა მისცეს ხმა, შემცირდეს თუ არა პარლამენტის დეპუტატთა რაოდენობა. რა ფორმით ჩატარდება არჩევნების პარალელურად რეფერენდუმი? — ამის შესახებ მწირი ინფორმაციაა...*

ნანა კაკაბაძე, *რეფერენდუმის იდეის ავტორი:*

— რეფერენდუმთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები შეიქმნება. ცესკო ვალდებული იყო, არჩევნების თემასთან ერთად, მოსახლეობისთვის რეფერენდუმის შესახებაც მიეწოდებინა ინფორმაცია. ეს საკითხი ხელოვნურადაა ბლოკირებული. საარჩევნო უბნებზე ძირითადად, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ტრიალებენ, რომელთა ინტერესებში საერთოდ არ შედის პარლამენტართა რიცხვის შემცირება. მართალია, არც ერთი პოლიტიკური პარტია ამ იდეის წინააღმდეგ ღიად არ გამოდის, მაგრამ ფაქტია — ყველა ძალამ რეფერენდუმის საკითხი დაბლოკა და ეს ხდება იმიტომ, რომ პარლამენტში ადგილის დაკარგვა არავის უნდა. არჩევნებისკენ მოწოდების რეკლამა „სოროსის ფონდმაც“, „აი-ფი-ეს“-მაც და „კმარამაც“ დააფინანსა, მაგრამ სამწუხაროდ, არც მათ გახსენებიათ, რომ არჩევნებთან ერთად, რეფერენდუმიც ტარდება. ვფიქრობ, ამის გამო, უბნებზე მისულ ამომრჩევლებს რეფერენდუმის ბიულეტენებს არ მისცემენ და არც მათ ეცოდინებათ, რომ საარჩევნო ბიულეტენის გარდა, სხვა ბიულეტენიც უნდა მოითხოვონ. ■



ამჯერად იდუმალი სტუმრების ვიზიტს გადავურჩი (გახსოვთ ალბათ, წინა „სასიძოს“ „მთხოვნელები“ შინ რომ მეწვივნენ), მაგრამ კურიოზს მაინც ვერ ავცდი... ჯერ იმას შეგახსენებთ, რომ ჩემი ბოლო „სასიძო“, ახალგაზრდა მწერალი **ლაშა ბუღაძე** *გახლდათ. ჰოდა, ჟურნალის გამოსვლის მეორე დღეს, მობილურზე ერთ-ერთმა მისმა თაყვანისმცემელმა დამირეკა და დაჟინებით მოითხოვდა, მისთვის ლაშას ტელეფონის ნომერი გამემხილა. ხმით თუ ვიმსჯელებ, ასე, 35-40 წლის ქალბატონი იქნებოდა...*

"ვერ გავიგეთ, რომელი ჩვენგანი გიყვარდა..."

მარი ხაფარიძე

— გამარჯობათ, მარი, მე ლაშას თაყვანისმცემელი ვარ. ერთი თხოვნა მაქვს — ლაშას ტელეფონის ნომერს ხომ ვერ მომცემთ?

— **იცით, ქალბატონო, მე არა მაქვს უფლება, რესპონდენტის კოორდინატები გავამხილო.**

— ე.ი. არ მომცემთ?

— **ნამდვილად ვერაფრით დაგეხმარებით. შემიძლია მხოლოდ, თქვენ შესახებ ვუამბო მას...**

— იცით, რა გითხრათ? ზღაპრები პატარებს მოუყევით... ვერ მომცემთ კი არა — ისე კარგად მომცემთ, რომ მზე მაღლა იქნება... ახლავე მითხარით!

— **ვერ გეტყვით...**

— თქვენ იცით, ვის ესაუბრებით?! მე ნათელმხილველი ვარ!.. თუ არ მეტყვით, დაგწყევლით და ჯადოს გაგიკეთებთ...

— **ჰოდა, თუ ნათელმხილველი ხართ, შეგიძლიათ, ლაშა ბუღაძის ნომერი თავად ამოიცნოთ...**

შესაძლოა, მართლაც, ამ ქალბატონის წყევლამ მიწია, რადგან სამი დღით, მართლაც ლოგინს „მივეჯაჭვე“. მაგრამ მისი გულის გასახეთქად, ღვთის შეწევნით, გამოვჯანმრთელდი და კვლავ ჩემს „ხანუმურ საქმიანობას“ დავუბრუნდი... მოკლედ, ხუმრობა იქით იყოს და ახლა, გაგაცნობთ გამოხმაურებებს ლაშას ინტერვიუზე.

„ლაშა, ნუ ნერვიულობ, შენი „გაბარიტები“ ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს. მე შენ ძლიერ მომწონხარ. მინდა, დამირეკო... ანი“.

„ლაშა, იცი, რა? შენი ინტერვიუ წავიკითხე და ძალიან მომეწონა, მაგრამ ძალიან ხშირად ახსენებ შენს „გაბარიტებს“. სულაც არა ხარ მსუქანი. ძალიან მინდა გაგიცნო...“

„აბა, როგორა ხარ, ბატონო ლაშა? გულით რომ გინდოდეს, არ შეგხვდები, იმიტომ, რომ ძალიან „მაგრობა“ ხარ, მაგრამ ამასთან, მე უფრო „მაგრობა“ ვარ. აბა, ჰე! „დაცემა“ კაცო. შენი ფანი — ქე.“

„ლაშა, ძალიან კარგი ადამიანი ჩანხარ. მეც შენსავით გურმანი ვარ, მაგრამ „გაბარიტები“ არა მაქვს. მე გამოხმაურებას არ გთხოვ, უბრალოდ, მინდოდა მეთქვა, რომ ძალიან კარგი ტიპი ხარ. მარი“.

„ლაშა, ძალიან მომწონხარ. შენი გაცნობის დიდი სურვილი მაქვს. ვარ 18 წლის, მაღალი, შავგვრემანი... დანარჩენს და ყველაზე საუკეთესოს კი, მაშინ ნახავ, როცა ჩემით დაინტერესდები და შემხვდები. დიდი სიყვარულით, იანა...“

„რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები, მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი... მიუწვდომელი, როგორც ედემი...“ დიდი სურვილი მაქვს, გაგიცნო. დიდი სიყვარულით, ეკა“.

„ნუთუ, შენს გულში ვერ ვიპოვი პატარა ადგილს, თუკი ჩემს გულში შენ გიჭირავს მთელი სამყარო? ბათუმი, თამუნა...“

„ლაშა, ყველაფრის საწინდარი წმინდა მეგობრობაა და გაგება... მე შემიძლია, გულითა და სულით დაგეხმარო და შენს სულში მოთამაშე, აფორიაქებული ჭინკები დავაწყნარო...“

„ლაშა ბუღაძეს — ტვინის გადანერგვა რომ შეიძლებოდეს, ყველა ქართველ კაცს შენს ტვინს გადავუნერგავდი. სიამოვნებით ვიმეგობრებდი შენთან. ნინო“.

„მე განათხოვარი ვარ. ძალიან, ძალიან მიყვარს ლაშა ბუღაძე. ყოველთვის ვნატრობდი, რომ მისი ახლობელი ადამიანი გავმხდარიყავი, მაგრამ ვფიქრობდი, რომ ჩემი წარსული შემიშლიდა ხელს. მისი ინტერვიუდან ჩანს, რომ ლაშასთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონია, გასათხოვარი ვარ თუ განათხოვარი. ამიტომ გადავწყვიტე, გამოვეხმაურო... ლაშა, გელი... მზიკო“.

„ლაშა! მე, ნია, სოფო და ნინო გეხმაურებით. გვიყვარხარ და გვენატრები... გახსოვს ჩვენი 2 „სხადნიაკი“? გაიხსენე, ეს ხომ სულ რაღაც 3 წლის წინ იყო. აუ! რა მაგარ დროს ვატარებდით ხოლმე! ჩვენ — ოთხნი და შენ — ერთი... არა, მაინც ვერ გავიგეთ, რომელი ჩვენგანი გიყვარდა... შენ წახვიდოდი თუ არა, ერთმანეთს დავცხებდით ხოლმე, — არა, მე ვუყვარვარ და არა, მეო... ახლა მაინც გვითხარი. ჰო, შენ გეკითხებით: ლაშა, ვინ გიყვარდა?“

„საოცრად თბილი გამოხედვა და კარგი აურა გაქვს, შვილო. არ გაგიკვირდეს, საპატარძლო არ ვარ. ისე მიყვარხარ, რომ თავი ვერ შევიკავე, არ გამომეხატა ჩემი დედაშვილური გრძნობა... შენთვის უცნობი, მაგრამ შენი თაყვანისმცემელი, ლიზი დეიდა, 67 წლის“.

„ვის უნდა ლაშა ბუღაძე? მე მინდა! ძალიან მინდა! მიყვარს, მიყვარს, მიიყვაარს! კატო“.

„ლაშუკა! ძილის წინ, პირჯვარს რომ ვიწერ, ღმერთს ვთხოვ, ლაშას შემახვედრე-მეთქი... ნეტავ, ამისრულებს უფალი ამ თხოვნას? იმედი რომ არ მქონდეს, დღესვე მოვიკლავდი თავს! თეატრალურ ინსტიტუტში იმიტომ ჩავაბარე, რომ მსახიობი გავხდე და შენს პიესაში ერთ-ერთი როლი ვითამაშო... იქნებ, მაშინ შემნიშნო? ლაურა.“

აი, ასეთი საინტერესო გამოხმაურებები მიიღო ლაშამ... არჩევანი მისთვის მიგვინდვია, ჩვენ კი შედეგებს დაველოდოთ. ■

მარი ჯაფარიძე

„მამაკაცს ახ უნდა აწუხებდეს ახასიოლოგიასოვნების კომპლექსი“

ამჯერად კვლავ „საპატარძლოს“ წარმოგიდგენთ. არჩევანი ანი მაღლაკელიძეზე შევაჩერეთ. ის პროფესიით რეჟისორი გახლავთ, ამ ბოლო დროს კი, ძალები სამსახიობო ასპარეზზეც მოსინჯა და რამდენიმე ფილმში ითამაშა... ტელემაყურებელი უთუოდ იცნობს მას ცნობილ სარეკლამო კლიპში — „გადმოვრეკე“. როდესაც ანის დავურეკე და რუბრიკის შინაარსი გავუმხილე, მიპასუხა: რამდენიმე დღე დამაცადე, მოვიფიქრებ, მინდა თუ არა გათხოვება და დაგირეკავო... ისევ შევეხმიანე და, როგორც იქნა, მორცხვი ხმით დამთანხმდა ინტერვიუზე.

— ანი, რატომ ყოყმანობდი? ფიქრობ, რომ შენთვის ჯერ ადრეა გათხოვებაზე ფიქრი?

— არა, საქმე ის გახლავთ, რომ თქვენს რუბრიკას კარგად ვიცნობ და ვფიქრობ, რომ მასში გამოჩენა რაღაც პასუხისმგებლობის წინაშე დამაყენებს. მზად უნდა ვიყო იმისთვის, რომ გამოხმაურებები წავიკითხო და არც ისაა გამორიცხული, ვინმემ დამაინტერესოს და ვინ იცის, რა მოხდება შემდეგ...

— ზოდიაქოთი ვინ ხარ?

— წლების მიხედვით ვარ გველი, თვის მიხედვით — მორიელი... სხვათა შორის, ძალიან მიყვარს ჰოროსკოპების კითხვა. კარგად ვერთობი ხოლმე. მორიელები გამოირჩევიან უზარმაზარი შინაგანი ენერგიითა და მიზანსწრაფულობით. მეც სწორედ ასეთი ვარ. ბევრი ადამიანი ძალიან იოლად აღწევს მიზანს. მე კი დიდი შრომა, დიდი ძალისხმევა მჭირდება, რომ თუნდაც ერთი ნაბიჯით წავიწიო წინ...

— თუ ჰოროსკოპს დავუჯერებთ, მორიელები სუპერსექსუალური ადამიანები არიან...

— მერე როგორ გამოვიყურები?.. შინაგანადაც საკმაოდ ტემპერამენტიანი ადამიანი ვარ. არა ვარ ფლეგმა...

— პროფესიონალურ საქმიანობაზე რას მეტყვი?

— პროფესიით რეჟისორი გახლავართ. მერაბ კოკოჩაშვილის სტუდენტი ვიყავი... გადაღებული მაქვს მუსიკალური ფილმი „წინწყარო“, ანსამბლ „რუსთავის“ მონაწილეობით; ასევე, მუსიკალური კლიპები — ქეთა თოფურიას, დათო გომართელის, აჩი ფურცელაძის, „საუნდის“, „ფორტეს“ სიმღერებზე. ახლა კი საარჩევნო სარეკლამო კლიპებსაც ვიღებ. ამით, ჩემი ბიუჯეტი ცოტა შეივსო და კმაყოფილი ვარ...

— როდესაც ფინანსური მდგომარეობით კმაყოფილი ხარ, ეს ალბათ შენს გუნებაზეც დადებითად აისახება... საერთოდ, როგორი ხასიათი გაქვს?

— ხასიათი არასოდეს მეცვლება. თბილი, გულისხმიერი, მხიარული და ცოცხალი ადამიანი ვარ. მიყვარს მეგობრებთან ერთად ყოფნა. არა ვარ ბრაზიანი. წყენას გულში ვიკლავ ხოლმე და ამით საკუთარ თავს ვვნებ. არც ბუზღუნა ვარ და არც ბუტია. არ შემიძლია, თუნდაც ერთი საათით, ვინმეს გავებუტო.... ვერ ვიტან ერთფეროვნებასა და შეზღუდვას. ამის გამო უამრავი სამსახური მაქვს გამოცვლილი. მინდა, სულ ახალ-ახალი საქმე ვაკეთო — ეს ცოდნის გაღრმავებაშიც მეხმარება და ცხოვრებაც უფრო საინტერესოდ მეჩვენება...

— სამსახურების გამოცვლა შენს არასტაბილურ ხასიათზე ხომ არ მეტყველებს?.. გულის სწორსაც ასევე ხშირად ხომ არ იცვლი?..

— რას ამბობ?! არავითარ შემთხვევაში!.. ვინც ანი მაღლაკელიძეს იცნობს, ვერავინ იტყვის, რომ სტაბილური და ერთგული არა ვარ... უამრავი ბავშვობის დროინდელი მეგობარი მყავს. თუ ვინმე შემიყვარდა, მთელი გულით მიყვარს; მხოლოდ მისით ვსუნთქავ, ვცხოვრობ, ვარსებობ...

— საოჯახო საქმიანობა — რეცხვა, უთოობა, კერძების მომზადება თუ გეხერხება?

— ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, თუ ვიტყვი, რომ აბსოლუტურად ყველანაირი საოჯახო საქმე მეხერხება. ჩემთვის არ არის უცხო არც სახლის დალაგება, არც კერძების მომზადება. უზომო სიამოვნებას მანიჭებს ოჯახში ფუსფუსი. ძალიან მიყვარს მჭადი და საუცხოოდ ვაცხობ.

ვინც ანი მაღლაკელიძეს იცნობს, ვერავინ იტყვის, რომ სტაბილური და ერთგული არა ვარ...

ასევე კარგად გამომდის ხაჭაპურიც... ერთი სიტყვით, კარგი დიასახლისი ვარ...

— მოკლედ, გასათხოვრად მზად ყოფილხარ. ამჟამად შენი გული დაკავებული ხომ არ არის?

— ახლა ჩემი გული თავისუფალია და დიდი, ძლიერი, თავბრუდამხვევი სიყვარულის მოლოდინშია...

— როგორი მამაკაცი შეიძლება შეგიყვარდეს?

— არასოდეს ჩამომიყალიბებია გონებაში მამაკაცის ტიპი, რომელიც უნდა შემიყვარდეს. არ უარვყოფ, რომ პირველ რიგში, გარეგნობამ უნდა მიმიზიდოს, მაგრამ არ არის გამორიცხული, შეუხედავი მამაკაციც შემიყვარდეს, თუკი ის თბილი, მოსიყვარულე ბუნების ადამიანი იქნება. მამაკაცს რაღაც შარმი უნდა ჰქონდეს... აღვნიშნავ ერთ ფაქტს — არ მომწონს ღიპიანი და მსუქანი კაცები. ასეთ მამაკაცს ალბათ ვერასოდეს შევიყვარებ. დიდ ყურადღებას ვაქცევ მამაკაცის ჩაცმულობას. უნდა იგრძნობოდეს ნატიფი გემოვნება, სისუფთავე და მოწესრიგებულობა. ეს — რაც შეეხება ვიზუალურ მხარეს. შინაგანად კი, ერთგული, მიზანდასახული და უზომოდ ყურადღებიანი უნდა იყოს. მამაკაცს არ უნდა აწუხებდეს არასრულფასოვნების კომპლექსი... რაც მთავარია, ოჯახის შენახვა უნდა შეეძლოს...

— ქორწინებამდე სექსს როგორ უყურებ?

— ამ საკითხზე ბევრჯერ მიფიქრია და ვფიქრობ, რომ ეს აბსოლუტურად დასაშვებია, მაგრამ მე ტრადიციულ ქართულ ოჯახში გაზრდილი ვარ... თუმცა, წინასწარ არ ვიცი, როგორ მოვიქცევი... ყოველ შემთხვევაში, ქორწინებამდე სექსმა ექსპერიმენტის სახე არ უნდა მიიღოს... ადამიანს თუ გაუმართლებს და იპოვის იმ „ერთადერთს", რომელიც მისი ცხოვრების თანამგზავრი იქნება, ამ შემთხვევაში, ასეთი ნაბიჯი აბსოლუტურად მისაღებად მიმაჩნია. საერთოდ, ვერ ვხვდები, რატომ უნდა ჰყავდეს ქალს 5-6 მამაკაცი, როდესაც შესაძლებელია, იპოვო ერთი და იყო მასთან ბედნიერი?!

— როგორ იქცევი, როდესაც სიყვარულს გიხსნიან ხოლმე?

— ერთ შემთხვევას გავიხსენებ: დიდი ხნის წინ მოხდა — ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, როდესაც ჩემმა სკოლელმა ბიჭმა პაემანი დამინიშნა. მეგობარ გოგოსთან ერთად მივედი. მასაც მეგობარი ახლდა. არც აცია, არც აცხელა, პირდაპირ მითხრა — მიყვარხარო. ავდექი და ერთი გემრიელად ვცემე. ისე მივბეგვე, შენი მოწონებული... არ იფიქროთ, ახლაც ასე ვიქცევი, მაგრამ თუ ადამიანი არ მომწონს და ის გრძნობას გამიმხელს, ტაქტიანად ვაგრძნობინებ, რომ ის ჩემს ცხოვრებაში ზედმეტია.

— ხომ ვერ გაიხსენებ ადამიანს, რომელსაც თავის დროზე, ასე ვთქვათ, ხელი ჰკარი, დღეს კი ამას ნანობ?

— არა, ნამდვილად არ ვნანობ. ასეთ ადამიანს ვერ ვიხსენებ. თუმცა, სიყვარულისგან გულისტკენა ნამდვილად მიგრძნია. იცით, როდესაც საყვარელი ადამიანი უსამართლოდ მოგექცევა, დგება ხოლმე მომენტი, რომ ამას ვერ აპატიებ...

— რამ შეიძლება დაგაკარგვინოს საყვარელი ადამიანი?

— პირველ რიგში — ღალატმა, მაგრამ ეს ძალზე ფართო ცნებაა... სხვაა, როდესაც ფიზიკურად გღალატობს და სულ სხვაა, როდესაც შენს სიყვარულს, გრძნობას უღალატებს... შესაძლოა, ძალიან ბევრი ვაპატიო მას, ვინც მიყვარს, მაგრამ წვრილმანის გამო დავკარგო...

— მოდი, ჩამოთვალე შენი მზითვი...

— ჩემი მზითვი ჩემი ავტომობილია — თეთრი „ჟიგული-08", რომელიც, მინდა ამაყად ვთქვა, რომ ჩემი შეძენილია და უკვე იმდენად მონჯღრეულია, რომ ყველა დამცინის. მეუბნებიან, გამოცვალეო, მაგრამ ჯერ ერთი, ძალიან მიყვარს, მეორეც — ვერ ვცვლი: ფინანსები არ მაძლევს ამის საშუალებას...

— ოჯახში თუ გსაყვედურობენ ხოლმე, გასათხოვარი რომ ხარ? ხომ არ გაჩქარებენ ოჯახის შექმნას?

— არა, არასოდეს გამოუთქვამთ სურვილი, რომ მალე გავთხოვდე. ამჟამად, დედასა და ძმასთან ერთად ვცხოვრობ. რომელიმემ რომ მითხრას — გათხოვდი, რაღას უყურებო? — მეწყინება. რატომღაც მგონია, რომ ისინი ჩემთან განშორებას ვერ გადაიტანენ...

— შენ თუ შეეგუები ახალ ოჯახს? დედამთილს?

— კი, ნამდვილად კარგად შევეგუები. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, თუ ვიტყვი, რომ ვიმსახურებ თბილ, მოსიყვარულე ოჯახს და მგონია, რომ სწორედ ასეთი დედამთილი შემხვდება. ბავშვობიდან ვოცნებობდი ბევრი შვილის ყოლაზე. მიყვარს, როდესაც ოჯახში ბევრი ადამიანი ერთად ცხოვრობს. რა სჯობს, გრძელ, ლამაზად გაწყობილ სუფრასთან ბევრნი რომ სხედან, შენ კი მათთვის ფუსფუსებ და მათთან ერთად ვახშმობ...

— ეროტიკულ სიზმრებს თუ ნახულობ ხოლმე?

— კი, მინახავს ასეთი „ჟანრის" სიზმარი, მაგრამ იშვიათად. საერთოდ, ულამაზეს სიზმრებს ვხედავ. ხშირად მესიზმრებიან ცნობილი ადამიანები — მაგალითად, სტალინი. ჩვენს პრეზიდენტს ხომ, თითქმის ყოველღამე ვნახულობ სიზმარში. ეს რას ნიშნავს, არ ვიცი... როგორც იტყვიან ხოლმე, არა მაქვს დაცდილი არც კარგად, არც ცუდად.

— თუ შეხვდები ერთ-ერთ თაყვანისმცემელს, ვინც შენს ინტერვიუს გამოეხმაურება?

— ვნახოთ. ვფიქრობ, რომ შევხვდები და ძალიანაც მაინტერესებს, რა მოჰყვება ამას. თუმცა, დიდ იმედებს არ ვამყარებ, რადგან ქართველი მამაკაცის ბუნებას კარგად ვიცნობ: მათ მხოლოდ არასერიოზული აზრები უტრიალებთ გონებაში... ჩვენ, ქალები, ძალიან ცოტას მოვითხოვთ მათგან, მათ კი, ამ ცოტას მოცემაც არ ძალუძთ. დაუპყრობელი ქალი არ არსებობს — უბრალოდ, მამაკაცმა უნდა იცოდეს, როგორ მოახერხოს ეს...

აი, ასეთია ანი მაღლაკელიძე. თუ იცით, როგორ დაიპყროთ მშვენიერი გოგონას გული, დამირეკეთ: 8(77) 45.68.61. ყველაზე ორიგინალურ თაყვანისმცემელს კი, ანისთან შეხვედრა ელის...

■



ხშირად მესიზმრებიან ცნობილი ადამიანები — მაგალითად, სტალინი. ჩვენს პრეზიდენტს ხომ, თითქმის ყოველღამე ვნახულობ სიზმარში

იმ პოლიტიკოსთა ახლობლები, რომელთა მომავლის ჭვრეტა, ჩვენ მიერ შერჩეული სურათებით, „გზის“ ფურცლებზე ნატაშა სკოროხოდოვას უცდია, სულ უფრო ხშირად გამოთქვამენ უკმაყოფილებას. არადა, გამგები გაიგებს, რომ ამ რუბრიკით შორსმიმავალი დასკვნების გამოტანის პრეტენზია არ გამოგვიხატავს; მას უფრო მეტად, სალაღობო ფუნქცია აქვს და არავის ინტერესებს, მით უმეტეს — პოლიტიკურს არ ემსახურება. ამდენად, სრულიად გაუგებარია, თუ რატომ აღიქვა ზოგიერთმა პოლიტიკოსმა ნათელმხილველის პროგნოზები თავის ანტირეკლამად...

ლელა ჭანკოტაძე

„მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მას ტაშს დაუკრავენ“

ვიმედოვნებთ, რომ მსგავსი გაუგებრობა აღარ განმეორდება და მკითხველებს სავსებით ადეკვატური რეაქცია ექნებათ.

დღეს, ჩვენი და მარჩიელის ყურადღების არეში მოხვდნენ: ლევან მამალაძე, მერაბ სეფაშვილი, კახი კავსაძე, ვანო ზოდელავა და სოსო პავლიაშვილი.

„ლევან მამალაძე პარლამენტიდან საკუთარი სურვილით წავა“

— აქტიური, ენერგიული მამაკაცია. მიზნისთვის მთელი ძალით იბრძვის. უკან დახევა და პოზიციების დათმობა არ სჩვევია. თუ რაიმე დაისახა მიზნად, უარს აღარ იტყვის. პრინციპული და რისკიანია.

— მისი ხასიათის უარყოფით მხარეებზე რას გვეტყვით?

— ფეთქებადი ხასიათი აქვს. ეს მისი ნაკლია. სიფიცხე მისი ხასიათის განუყოფელი ნაწილია.

— როგორი თვალები აქვს?

— მის თვალებში ბევრი რამის ამოკითხვა არ შემიძლია: თითქოს გულთან ერთად, თვალებიც „დახურული“ აქვს... საქმის კაცია: რასაც ხელს მოჰკიდებს, ყველაფერი გამოუვა. იღბლიანიცაა. უმართლებს. ნდობის მოპოვება იოლად შეუძლია.

— როგორი მამაა?

— არაჩვეულებრივი. კარგი მეოჯახეა, მის თვალებში ჩანს, რომ ოჯახი ძალიან უყვარს. ბედნიერი კაციცაა — მოსიყვარულე და ერთგული ცოლი ჰყავს.

— მომავალში რა ელოდება?

— სიმდიდრე. ძალიან მდიდარი ადამიანი გახდება. უზრუნველი ცხოვრება ელის. ცუდს ვერაფერს ვხედავ. პოლიტიკიდან ბიზნესში გადაინაცვლებს. წარმატებული ბიზნესმენი გახდება.

— არჩევნებში გაუმართლებს?

— დიახ. გაიმარჯვებს. ეს უკვე გადაწყვეტილია. დეპუტატი გახდება. თუმცა, ცოტა მოგვიანებით, პარლამენტიდან საკუთარი სურვილით წავა. ამ გადაწყვეტილების მიღება ძალიან გაუჭირდება. ბევრი უსიამოვნებაც შეხვდება. საერთოდ, დაძაბული ცხოვრება აქვს. ბევრს ნერვიულობს, ხშირად გაღიზიანებულია და ზოგჯერ, უძილობაც აწუხებს.

— შეგიძლიათ, მისი ხასიათის დადებითი მხარეები ჩამოთვალოთ?

— ძაღლივით ერთგულია. არაჩვეულებრივი მეგობარია. თავის ახლობლებსა და მეგობრებს განსაცდელში არასდროს ტოვებს.

„მერაბ სეფაშვილს ინტრიგების ქარცეცხლი დაატყდება თავს“



— არაჩვეულებრივი ადამიანია. სუფთა თვალები აქვს. მის თვალებში სულ უმნიშვნელო ბოღმა და შურიც კი არ იკითხება. კაცთმოყვარეა. პატიოსანია და საოცრად დიდი სიყვარული შეუძლია. ისეთი მშვიდი თვალების პატრონია, როგორიც სასულიერო პირს უნდა ჰქონდეს.

— მისი ხასიათის უარყოფითი შტრიხები შეგიძლიათ დაასახელოთ?

— ძალიან ხათრიანია. რომ არა დიდი ნიჭი, რომლითაც განგებამ დააჯილდოვა, ალბათ ამ ცხოვრებაში თავის გატანა და დამკვიდრება გაუჭირდებოდა. თუ არ ვცდები, ცუდი სიმთვრალე უნდა ჰქონდეს.

— როგორია მისი პირადი, ინტიმური სამყარო?

— აფიშირებული ურთიერთობების მომხრე არ არის. თავშეკავებულია და ცდილობს, გრძნობებს არ აჰყვეს. მისი გული მთლიანად ოჯახს ეკუთვნის. არაჩვეულებრივი მამაა. ისეთს არაფერს გააკეთებს, რაც შვილებისთვის ცუდი მაგალითი იქნება.

— ცოლის ერთგული თუა?

— სხვა ქალი ცოლად ვერ წარმოუდგენია. სტაბილური ოჯახი აქვს, რომელ-

საც საფრთხე არასდროს დაემუქრება.

— **რაზე ნერვიულობს?**

— ყველაზე მეტად შვილებზე ფიქრობს. თუ მისი შვილები ავადმყოფობენ, ის სასწარკვეთილებაში ვარდება. თუმცა, ასეთ დროსაც კი მუშაობს.

— **იღბლიანია?**

— ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული. ჰყავს ცოლი, რომელიც მას ღირსებას მატებს და დიდი წვლილი შეიტანა იმაში, რომ მერაბმა ასეთ წარმატებებს მიაღწია. მერაბის პოპულარობა კიდევ უფრო გაიზრდება. ის ქართულ ესტრადაზე ყოველთვის №1 მომღერალი იქნება, მიუხედავად ბევრი ინტრიგისა, რომელშიც მას გახვევენ. მისი შურთ, მის შესახებ ბევრს ჭორაობენ, მაგრამ მერაბის კეთილშობილება მტრებზე ძლიერია. შრომისმოყვარეცაა, ნიჭიერიც და ძალიან რთული ცხოვრების გზა აქვს გამოვლილი. თითქოს მისი წარსული, პრობლემათა გრძელი ჯაჭვია. უფრო ნათელი და ბედნიერი მომავალი ექნება.

— **ცუდი ხომ არაფერი ელოდება?**

— არაფერი, გარდა იმისა, რომ ინტრიგების ქარცეცხლში გახვევენ. სტაბილური მომავალი აქვს. კარგი შვილები და ღირსეული ცოლი მის ცხოვრებას ბევრისთვის, მისაბაძს გახდის.

„კახი კავსაძის თვალები სიყვარულითაა სავსე“

— ბედნიერი სიბერე ელოდება. უშრეტ ენერგიას დიდხანს შეინარჩუნებს. არასდროს აღარ დარჩება ხელმოცარული, იმედგაცრუებული და უმუშევარი. იმ ადამიანთა რიგს განეკუთვნება, რომლებსაც კარიერაში უმნიშვნელო წინაღობები ხვდებათ. იღბლიანიცაა და ნიჭიერიც. აპლოდისმენტები და დიდი სცენაა მისი ხვედრი — წინ კიდევ ბევრი წარმატება ელის.



— **როგორი თვალები აქვს?**

— სევდიანი. მიუხედავად იმისა, რომ მისი თვალები ცეცხლოვანია, შიგ მაინც დიდი სევდა იკითხება. თითქოს ამ კაცის ცხოვრებას გამუდმებით გასდევს გაუნელებელი ტკივილი. ეს შინაგანი ბუნებიდან მოდის და არა გადატანილი მძიმე დღეებიდან. თუმცა, სატანჯველიც არ მოჰკლებია. ბევრ ცრემლს ვხედავ. ცრემლების ნაწილი სიმწრისაა, ნაწილი — სიხარულის.

— **რას მალავს?**

— ყოველთვის მალავს საკუთარ განცდებს. როცა უჭირს, ცდილობს, ადამიანებს საპირისპირო განწყობით მოევლინოს, ამიტომაც მძიმედ განიცდის უსიამოვნებებს...

— **ქალის სიყვარული თუ ჩანს მის თვალებში?**

— მისი თვალები სიყვარულითაა სავსე. ეს ბუნებრივიცაა, რადგან სიცოცხლით სავსე მამაკაცია. მისთვის სიყვარული აუცილებელია, სასიცოცხლო ენერგიას მატებს. უფრო კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით: არ მინდა, ვინმეს პრობლემები შევუქმნა.

— **შეგიძლიათ დაასახელოთ კახი კავსაძის ხასიათის ყველაზე უარყოფითი მხარე?**

— ტიპური ქართველი მამაკაცია. ყველა ნაკლი აქვს, რასაც ქალები ქართველ კაცში აღმოაჩენენ ხოლმე. უხეშიცაა და მოსიყვარულეც, სასტიკიც და სენტიმენტალურიც — გაჩნია, ვინ არის მისი სიყვარულის ობიექტი.

— **როგორი მამაა?**

— ყურადღებიანი, მზრუნველი, მოსიყვარულე. მის ვაჟს დიდი წარმატება ელოდება. მას დიდი მომავალი აქვს. ცხოვრების გზის გაკვლევაში მამა დაეხმარა, მაგრამ დამოუკიდებლადაც ბევრს მიაღწევს. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მას ტაშს დაუკრავენ. წლების მანძილზე, საქართველოს ფარგლებს გარეთ იცხოვრებს. ბოლოს, მაინც სამშობლოში დაბრუნდება. მასაც, მამის მსგავსად, პირად ცხოვრებაში პრობლემები არ მოაკლდება. სამაგიეროდ, საყვარელ საქმეში პოვებს შვებას.

„ვანო ზოდელავას არც პრეზიდენტობა უნდა და არც რომელიმე დიდი თანამდებობა“

— ისეთი სერიოზული თვალები აქვს, თითქოს ზურგზე მთელი ქვეყანა ეკიდოს ტვირთად. დინჯია და წონასწორობას ძნელად კარგავს. მასთან ურთიერთობა იოლია, რადგან ყველაზე რთული სიტუაციიდანაც პოულობს გამოსავალს. შეგიძლიათ ენდოთ, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ თავს და სურვილებს ყოველთვის თქვენსაზე წინ დაყენებს... რისკიანია. მისთვის რისკზე წასვლა ჩვეულებრივი ამბავია. იღბლიანიცაა. რასაც ხელს მოჰკიდებს, ყველაფერი გამოუვა.

— **რისი ეშინია?**

— იმის დაკარგვის, რაც უკვე აქვს, რასაც მიაღწია. ეს საკმაოდ მყარი შიშია. ზოგჯერ უსაფუძვლოდაც ნერვიულობს. თუმცა, ეს მხოლოდ წამიერი სისუსტეა.

— **რას მალავს?**

— საკუთარი ხასიათის ნებისმიერ მანკიერ მხარეს.

— **რაზე ოცნებობს?**

— სიმშვიდეზე. მას არც პრეზიდენტობა უნდა და არც რომელიმე დიდი თანამდებობა. მისთვის მთავარი, სტაბილური და უსაფრთხო მომავალია.

— **რა ელის?**

— მისი პოლიტიკური კარიერა დაღმასვლით წავა და ის ბიზნესმენთა შორის აღმოჩნდება. რამდენიმე წლის შემდეგ, ბედს ცდის, როგორც მაჟორიტარი დეპუტატი, მაგრამ იმედგაცრუება არ ასცდება. მომავალში მისი ადგილი ქართული პოლიტიკური სპექტრის მიღმა იქნება. ასე რომ, მისთვის პოლიტიკა წარსულში დარჩება.

„სოსო პავლიაშვილს აპლოდისმენტები ესიზმრება“

— გადაღლილია, დასვენება სჭირდება. ნერვები დაწყვეტაზე აქვს. ვუყურებ მის თვალებს და გაოცებული ვარ — იმდენ იმედგაცრუებას ვხედავ, რომ აღარ მაოცებს ის უსაშველო ნაღველი, რომელიც მთელ სახეზე აღბეჭდვია... იღბლიანი არ არის. ბევრჯერ, ხელმოცარული დარჩენილა. ხშირად, ბოლომდე ვერ მიჰყავს დაწყებული საქმე და ამის გამო ძალიან ნერვიულობს. საერთოდ, ნერვიულია, ფეთქებადი ხასიათი აქვს. ამიტომ ცდილობს, თავი აარიდოს პრობლემებს. უჭირს თუ ულხინს, საკუთარ პრობლემებს თვითონ აგვარებს, დამხმარე არ ჰყავს.

— **საქართველოში მალე თუ დაბრუნდება?**

— არა. ვერ ვიტყვი, რომ ჩამოვა და ქართველ მომღერლებს შორის ჩადგება. თავისი „ბუდე“ უკვე მოიწყო და მისი მიტოვება გაუჭირდება. შეიძლება, ძალიან გვიან დაბრუნდეს; ჯერჯერობით, ასეთ რამეს ვერ ვხედავ.

— **მომავალში რა ელოდება?**

— ბევრი საქმე. მუდამ გადატვირთული სამუშაო დღე. სულ რაღაცას აკეთებს, სადღაც ეჩქარება... ბიზნესს ააწყობს. გაუმართლებს. მისი ოცნებები ახდება. ბევრი სიხარული ექნება. თითქოს ხელახლა დაიბადება. მისი ცხოვრების ბოლო პერიოდი გაცილებით ბედნიერი აღმოჩნდება?

— **რაზე ოცნებობს?**

— ის დაბადებით მუსიკოსია. ხელოვანია, რომელიც ბავშვობიდან, აპლოდისმენტებსა და სავსე დარბაზებზე ოცნებობდა. თავს ყველაზე უკეთ სცენაზე გრძნობს. სიზმარშიც კი სცენას ნახულობს. მქუხარე ტაში მისთვის სასიცოცხლო ენერგიასავითაა. დაცემულიც რომ იყოს, ძალებს მოიკრებს და წამოდგება...

■

როდის უსაყდება მამუკა ონაშვილს სიყვარულის გუდა...

„მიყვარს სმა და მიყვარს ჭამა, თენდება თუ ღამდება“... — ეს სიტყვები სწორედ რომ ზედგამოჭრილია მომღერალზე, რომლის გარეგნობას ჭამა-სმის კვალი მართლაც, თვალსაჩინოდ დასტყობია... რამდენი ლიტრი ღვინის დალევა შეუძლია მამუკა ონაშვილს? — ამის თაობაზე ლეგენდები დადის. თუმცა, მამუკას შესაძლებლობები მისმა მეუღლემ — ირამაც არ იცის ზუსტად ან მეტის-მეტი თავმდაბლობის გამო არ ამჟღავნებს...

ნინო ჯავახიშვილი

— ირა, რა სასმელს ანიჭებს მამუკა უპირატესობას?

— ძალიან უყვარს ვისკი და შავი ღვინო. შინ ვახშმობისას, ხშირად მირთმევს ღვინოს. ერთი ბოკალი გვაქვს, ყოველთვის იმაში ვუსხამ ხოლმე და მამუკაც ნელ-ნელა წრუპავს. როდესაც ქეიფობს, ურჩევნია, ღვინო დალიოს, ოღონდ — არა ყანწით. ყანწის დანახვაზე მეც გული მისკდება — ეს იმას ნიშნავს, რომ დროს ვერ გაატარებ, ვერ გაერთობი, რადგან სულ მალე, სუფრასთან ყველა მთვრალი იქნება... რომ დაინახავენ ამ ჩემს ქმარს, ყველას უნდა, რომ სმაში შეეჯიბროს. ვერ ვხვდები, რატომ ჰგონიათ, რომ მამუკას მოერევიან და სმაში აჯობებენ?! მე არ მახსოვს ისეთი შემთხვევა, რომ ვინმეს მამუკა დაეთროს. აი, თვითონ კი ათრობს ყველას — როცა სხვებს თავები ბაჟეში აქვთ ჩაყოფილი, მამუკა კვლავ აგრძელებს სმას...

— მაინც რამდენ ლიტრ ღვინოს სვამს მამუკა?

— ვიმე, ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ძალიან ბევრს სვამს. მათ შორის, ვისაც ვიცნობ, მგონი, ყველაზე მეტს. წესით, ეს არც უნდა მიხაროდეს, მაგრამ ასეა და რა ვქნა?! ნეტავ, საერთოდ არ სვამდეს...

— ასე რატომ ამბობ? ცუდი სიმთვრალე ხომ არა აქვს?

— არა, პირიქით, ძალიან კარგი სიმთვრალე აქვს — ამ დროს, ძალიან თბილია, სულ გეფერება და როგორც იტყვიან, სიყვარულის გუდა უსკდება. იმდენად კარგი ხასიათი აქვს ნასვამს და ისე უყვართ მის ახლობლებსა და მეგობრებს მამუკას სიმთვრალე, რომ ღამის, ყოველდღე დაპატიჟონ საქეიფოდ.

— როგორი თამადაა?

— მამამისი კარგი თამადაა და ალბათ მამუკასაც გენებით გამოჰყვა ეს ნიჭი. სუფრის წევრების მთელი ყურადღება მამუკასკენ არის ხოლმე მიპყრობილი, ყველა სულგანაბული უსმენს მის სადღეგრძელოებს... მოკლედ, ქეიფის დროს, შესანიშნავ ატმოსფეროს ქმნის, ყველას მხიარულ განწყობაზე აყენებს და სუფრას „ფლობს“, რაც თამადებს ყველაზე მეტად უჭირთ ხოლმე.

— ეი. სიმთვრალეში შარიანობა არასდროს გამოუჩენია?

— თუ ვინმემ გააბრაზა და წონასწორობიდან გამოიყვანა, ბრაზიანია, მაგრამ თვითონ უმიზეზოდ არავის აუშარდება. ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ გამწარებულს, ყველაფერი დაულეწავს და ის ტიპები, ვინც უმიზეზოდ აუშარდნენ, გემრიელად „დაუჭმუჭნია“ კიდეც *(იცინის)*...

— ისე, მაინც, შინ რაიმე განსაკუთრებული ყურადღება ხომ არ სჭირდება ხოლმე მთვრალ მამუკას?

— დანახვისთანვე ვხვდები ხოლმე, რომ მთვრალია. თანაც, რითია მთვრალი, იმასაც ვატყობ: როცა ღვინო აქვს დალეული, უფრო კარგ ხასიათზეა ხოლმე, არაყს ან კონიაკს რომ სვამს, მაშინ სხვანაირ განწყობაზე დგება — უცებ იცის გაბრაზება და უცბადვე გადაუვლის ხოლმე სიბრაზე. თუ სასმელი ერთმანეთში აურია, მაშინ „პახმელიობა“ იცის. „პახმელიაზე“ გამოსასვლელად კი, მისთვის ყველაზე საუკეთესო საშუალება — ძილია. ზოგჯერ ასპირინ უპასასაც სვამს. ძალიან უყვარს ხაშიც და თუ ბიჭები დაპატიჟებენ — „პახმელიაზე“ გამოვიდეთო, — მათთან ერთად ხაშის საჭმელად მიდის.

— შენ თვითონ თუ გიყვარს სასმელი?

— სასმლის სუნსაც კი ვერ ვიტან. ღვინოს საერთოდ ვერ ვსვამ, არაყს თუ დავლევ, აუცილებლად რაიმე უნდა მივაყოლო, რომ გემო ვერ გავუგო. ოჯახში დამზადებული ლიქიორი უფრო მომწონს, ადვილი დასალევია. ახალი შემოსული იყო სასმელი მაკა ასათიანის სავაჭრო ნიშნით, მამუკამ მომიტანა და მითხრა — ლიმონათია, დალიეო. ძალიან ცხელოდა და ცივ-ცივი სასმელი მესიამოვნა, მაგრამ კინაღამ ცუდად გავხდი: ყველაფერი ჩამწვა და ეს არ მესიამოვნა...

— მამუკა ისეთი მთვრალი არასდროს ყოფილა, რომ ცუდად გამხდარა?

— მოწამვლით — მოწამლულა, მაგრამ ცუდად არასდროს გამხდარა. სასმელს კარგად იტანს.

— როდესაც სუფრასთან ერთად ხართ და მამუკა ბევრს სვამს, არ უშლი? არ ეუბნები ხოლმე — „იმყოფინე, გივილო, გენაცვალე“...

— *(იცინის)* ისეთ სცენებს, როგორიცაა ფილმში — „სიყვარული ყველას უნდა“, ადრე უფრო ვმართავდი ხოლმე, ვეხვეწებოდი — აღარ დალიო, იმყოფინე-მეთქი. მერე მივხვდი, რომ ასეთ დროს, უფრო მეტს სვამდა და ჩემს ხვეწნა-მუდარას აზრი არ ჰქონდა... ამიტომ ახლა, აღარაფერს ვეუბნები ხოლმე — სრული თავისუფლება მივანიჭე... ■

ინგა ჯაყელი

ყოველ ერთხელ ექვსი შინაბერასა და ერთი მამაყაცის შესახებ...

თქვენი არ ვიცი და მე პირადად, არასოდეს მოვხვედრილვარ სუფრასთან ისეთი თამადის გვერდით, რომელმაც ჭამაც დამავიწყა და იმდღევანდელი შეკრების მიზეზიც. კარგა ხანს, ვერც დიქტოფონის ჩართვა მოვახერხე და ამის გამო ძალიან მწყდება გული: ასე მგონია, ვერ აღვიდგენ ჩვენი ენაკვიმატი მასპინძლისა და თამადის ყველა სადღეგრძელოს, რომელიც მკითხველისთვის საინტერესო იქნებოდა...

თუმცა, სანამ სუფრამდე მივიდოდით, მანამდეც ბევრი სახალისო რამ მოხდა...

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ სამ ათეულ წელს გადაცილებულ, „ყველაფრით შემკულ“ ასულებს, რომლებსაც, ცოდვა გამხელილი ჯობს და ხელიც გვქონდა ჩაქნეული, რომ ჩვენი შესაფერისი მამაკაცი ქვეყანაზე დადიოდა და მთელ ენერგიას არჩეულ საქმესა და პროფესიონალურ სრულყოფაზე ვხარჯავდით, მეგობარი გაგვითხოვდა. ასმათი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, თავისი საქმის უბადლო სპეციალისტი გახლდათ. სანამ ოცდაათს მიაღწევდა, ისე მაღლა ჰქონდა აწეული თავიც და ცხვირიც, თითქოს დედამიწაზე მამაკაცის არსებობა შემჩნეულიც კი არ ჰქონდა... სოფელში ზაფხულშიც არ კადრულობდა დასასვენებლად წასვლას, რადგან მისი მტკიცებით, სოფლისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური სურნელი გულსაც ურევდა და გონებასაც... ჰოდა, სწორედ ამ „ქალაქელმა პეწენიკამ“ გაგვაოცა ნაჩქარევად გადადგმული ნაბიჯით: ყველას და ყველაფერს ზურგი აქცია და ორი კვირის გაცნობილ კაცს „გაეკიდა“ ლეჩხუმის მთის კალთებზე გამოკიდებულ სოფელში, იქიდან კი წერილი გამოგვიგზავნა: ისეთი ბედნიერი ვარ, ი-ისეთი, თავი სიზმარში მგონია, ღმერთმა თქვენც ჩემი მსგავსი ბედი შეგახვედროთო! – თან გვეხვეწებოდა – ამოდით, ქმარსაც გაგაცნობთ, კარგადაც გაქეიფებთ და იქნებ, კარგი ბიჭებიც დაგახვედროთო.

„გაგიჟებული“ მეგობრის უნახაობას რა მოგვათმენინებდა და სასწრაფოდ შევიკრიბეთ, ასმათის ახლობლებთან „გაცემბირებულის“ ზუსტი ადგილსამყოფელი დავადგინეთ და როცა გვითხრეს – ავტობუსი მაგ სოფლიდან 10-12 კმ-ის მოშორებით გაივლის და ეგ მანძილი კი ფეხით უნდა დაფაროთო, – ცოტა არ იყოს, შევშინდით: გადავწყვიტეთ, ტაქსი გვექირავა, მაგრამ ექვს „ფერხორციან“ ქალს რომელი ტაქსი დაგვიტევდა?! სამარშრუტო მიკროავტობუსემა კი, ისეთი ფასი „მოგვიხია“, – ამხელა თანხა რომ გვქონოდა, ვერტმფრენის დაქირავებაც არ გაგვიჭირდებოდა...

მაგრამ ბრძენს უთქვამს – გამოუვალი მდგომარეობა მხოლოდ მორგშიაო! – და ასე, 30-40 წლის „ვოლგა-21“-ს მივაკვლიეთ, რომლის ახალგაზრდა მძღოლმა ეშმაკურად გაგვიღიმა და – რაც მე ამ მანქანით კონტრაბანდა გადმომიზიდავს ცხინვალიდან, თქვენს დატევას რა უნდაო?! – თანაც, არც ფასზე გაგვიჯანჯღლდა: ლეჩხუმში მოხუცი ბებია მყავს, ბარემ იმასაც მოვინახულებ და ერთდროულად ორი კეთილი საქმე გამომივაო...

ზანგივით შავტუხა მძღოლს სახელიც უცნაური ერქვა – გამახარე. შვიდი დის შემდეგ დავბადებულვარ და სიხარულით გაგიჟებულ მამაჩემს შეურჩევია ეს სახელი; პროფესორად მიპირებდა გაზრდას, მაგრამ რვა კლასი ძლივს დამამთავრებინეს, წიგნის სუნზე გული მიმდიოდაო. – გაგვიმხილა მან და მომლოდინედ მოგვაცქერდა, თქვენ შესახებაც მითხარით რამე – რა იცით, სად და როდის შეგვახვედრებს ისევ განგებაო?!.

– ეკატერინე ფალავანდიშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი! – თუმცა საოცარი ღირსების გრძნობით აღნიშნა თავისი განათლების შესახებ, მაგრამ წყალში ჩაეყარა ეკას მონდომება: მეცნიერებასთან მწყრალად მყოფ გამახარეს არაფერი უთხრა მისმა რეგალიებმა...

– მე ჟურნალისტი ვარ, – ვთქვი მოკლედ და იმაში დარწმუნებულმა, რომ არც კითხვით იკლავდა თავს, სასხვათაშორისოდ ვახსენე ჩემი გაზეთი.

ინტერესით შემომხედა:

– „კვირის პალიტრაში“ თუ წერ, მართლა ჭკვიანი ყოფილხარ! – მითხრა.

– გინეკოლოგი მზია გელოვანი! – თავი დაუკრა მზიამ და სათვალე შეისწორა.

– შენ შემოგევლოს გამახარე! ღმერთის ტოლი ქალი ყოფილხარ – სიცოცხლეს ეხმარები დედამიწაზე მოსვლაში.

– მუსიკათმცოდნე ნანა ძიძიგური, – გაუღიმა ნანამ.

– მიყვარს მუსიკა! – აღნიშნა გამახარემ და გვერდით მჯდომ ფატის გადახედა მოლოდინით. ფატიმაც არ დააყოვნა და:

– მე უბრალო მასწავლებელი ვარ, ბავშვებს ისტორიას ვასწავლი სკოლაში.

– ბავშვებს თუ საქართველოს ისტორიას ასწავლი, სამშობლოს სიყვარულთან ერთად, უბრალო კი არა, დიდებული ქალბატონი ყოფილხარ!

– მე ბალერინა ვარ და ცეკვით გამაქვს თავი ამ მძიმე წუთისოფელში! – თავი ისე დაუკრა ელისომ, თითქოს აპლოდისმენტებს ელოდებოდა.

– აუ-უ, ბალეტი რომ არ მიყვარს?! – „წყალი გადაასხა“ გამახარემ ელისოს და მორიგი კითხვა შეგვაგება:

– ოჯახები? რამდენ შვილს ზრდით?

ამ მხრივ, თავის მოსაწონებელი ნამდვილად არაფერი გვქონდა და უხერხუ-

ლი დუმილი ჩამოწვა. გამახარე უცებ შეშფოთდა კიდეც – ცუდი ხომ არაფერი წამომცდაო!.. როცა ვუთხარით, რომ სუფევლანი გასათხოვრები ვიყავით, რატომღაც გაწითლდა და ესღა ჩაილაპარაკა: დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალიო!...

მერე კი თავის თავზე გვითხრა:

– ადრე დავქორწინდი, 14 წლის ბიჭი მყავს უკვე, რომელიც 3 წლის დამიობლდა და მარტო ვზრდი, დები მეხმარებიან. ჩემი ცოლი მშობიარობას გადაჰყვა, ახალშობილი გოგონაც დაიღუპა...

კარგა ხანს ვიარეთ მდუმარედ. მერე, ციცაბო კლდეს რომ შეუყვა ვიწრო სამანქანო გზა, შიშმაც დაგვამუნჯა.

ცოტა ხანში კი, ჩვენი „ლურჯა“ ჯიუტად გაეხიდა გზაში. ბევრი უტრიალა გამახარემ, მაგრამ „სული ვეღარ ჩაუდგა“ მანქანას და მოგვიბოდიშა:

– ამის ფეხის ადგმა ზღაპარია და სანამ არ დაღამებულა, რამდენიმე კილომეტრის ფეხით გავლა მოგვიწევს. ბებიაჩემთან ავასწროთ, თუ გინდათ მგლების ხროვის კბილებს გადავურჩეთო!..

მგლების ხსენებაზე, თითქოს ფრთები გამოგვესხა. ლამის წინ გავუსწარით დაწინაურებულ გამახარეს და მართლაც, დაღამებამდე მივადექით ბებია ანგელინას ჭიშკარს, რომელიც დაბნეული გვიცქერდა და შეპატიჟება ვერ მოეხერხებინა...

სითბო, სისადავე და სიმყუდროვე იყო ძველებურ ხის სახლში. გამახარემ ბუხარი ააგიზგიზა და ქათმებს თავები წააწყვიტა, თან შემოგვძახა – აბა, დატრიალდით, გოგოებო, ბებიაჩემს არც შეუძლია და არც უნდა იკადროთ მოხუცის მომზადებულის მირთმევაო...

როცა მოხუცი აზრზე მოვიდა და შეგვეკითხა – საიდან გამომეცხადეთ ამ ღამეშიო?! – გამახარემ ყველას დაგვასწრო პასუხი:

– რომ შემჭამე – ცოლი შეირთეო, – კონკურსი გამოვაცხადე და საუკეთესოები შევარჩიე: ვისაც შეარჩევ, იმას დავიტოვებ!..

... როგორც იქნა, შეიწვა ქათმები და გამოცხვა ხაჭაპური, სუფრაც გაიშალა. თამადად გამახარე დადგა და ისე დალოცა და ადღეგრძელა ჩვენი საქართველო, წინაპრები თუ მომავალი თაობა, რაღაცა კიდეც გვიხაროდა და ცრემლებადაც გვიბრწყინავდა თვალში...

როგორც დასაწყისში აღვნიშნე, გვიან გამახსენდა დიქტოფონის ჩართვა – მაშინ, როცა გამახარემ ნანა მოისვა გვერდში – მოდი ერთი, რა მუსიკა იციო! – და ისეთი „მრავალჟამიერი“ დააგუგუნეს, რომ ყველას ჟრუანტელმა დაგვიარა. მზიამ ღვინით სავსე ფიალა აიღო ხელში და – ღმერთო, ეს „მრავალჟამიერი“ არ მოშალო ჩვენს ქვეყანაშიო! – შეევედრა უზენაესს. გამახარემ სიტყვა ჩამოართვა:

– შენა ხარ ამ ქვეყნის „მრავალჟამიერის“ მწერალი, ჩემო მზია და შენი სადღეგრძელო განსაკუთრებით უნდა ვთქვა: რამდენი ბავშვიც შენს თბილ ხელებში ჩაგორდება, დედის წიაღიდან სასწაულად გადმოსული, იმდენი ბედნიერი დღე და თვე მინდა გისურვო. რაც მთავარია, საკუთარი შვილების დაბადებით აგენთოს საქართველოს ცაზე პატარა ვარსკვლავები.

– შვილის გაჩენას მამაკაცი უნდა, კაცები კი, დინოზავრებივით გადაშენდნენ! – ჩვეული გესლი გადმოანთხია ეკამ.

– არ გეწყინოს, ჩემო კანდიდატო, მაგრამ ასეთი ბოღმით კაცს ვერ იპოვი, – კისრისტეხით გაიქცევიან შენგან და იმიტომ... კაცს სითბო უყვარს, დაყვავება, თბილი გული და საწოლი. მეცნიერების კანდიდატი ხარ თუ პროფესორი, ჩემთვის კაპიკის ფასი აქვს. თუ ცხვირში ამომადინე შენი სწავლულობა – მით უმეტეს... ფატი მინდა ვადღეგრძელო, იმ თავისი პატარებით, რომლებსაც საქართველოს ისტორიას ასწავლის... ისტორიის მასწავლებელი მეც კარგი მყავდა, ძალიან მიყვარდა... ფატის კიდევ, იმითი სჯობდა, რომ ხუთ შვილს ზრდიდა. დამილოცნიხარ – ხუთზე მეტის დედობა დაენათლოს ბედისწერას...

– რაღა დროს ჩემი გათხოვებაა?! – დაიმორცხვა ფატიმ და გამახარეს რისხვაც დაიმსახურა:

– ქალი სამ ათეულს რომ მიაღწევს, სწორედ მაშინაა მზად ოჯახისთვის – აბა, 13 წლისანი რომ თხოვდებიან, იმათ რა მოეკითხებათ?!

ცოტა ხანს გაჩუმდა გამახარე, მერე ისევ ფეხზე წამოდგა და ფიალით ხელში ჭერს გაუშტერა თვალი:

– ღმერთო! ლამაზად აგვიხდინე ნაოცნებარი მე და ჩემს დღევანდელ სტუმრებს, უსიყვარულოდ ნუ მოგვკლავ! ანგელოზები არიან, თუ ამათ არ დაზარდეს შვილები, უკეთეს შთამომავლობას ვინ დაუტოვებს ამ ჩვენს ბებერ დედამიწას?!. ერთმანეთი გვაპოვნინე, ღმერთო!

...ცოტა ხანს გაოგნებულები ვისხედით. ისევ გამახარემ დაარღვია დუმილი: თუ რამე შემეშალა, მაპატიეთო!.. მერე კი, ისევ ფატის გაუბედა:

– რადგან „უბრალო ქალი“ ხარ, ბებიაჩემს გაჰყევი – კონკურსშიც გაიმარჯვებ: თუ საწოლებს რბილად გაგვიშლი, აქ დაგტოვებ!..

ფატის არ სწყენია და ანგელინა ბებიას მორჩილად გაჰყვა, სამაგიეროდ, ეკამ „იფეთქა“:

– რამდენს ბედავთ, ბატონო გამახარე?! თუ ასეა საქმე, დაგეტოვებინეთ ტყეში, ბარემ, მგლებს შევეჭამეთ!..

– მგლებს იმ ტყეში რა უნდა? – შეგაშინეთ, ისე ვერ ივლიდით! – აღიარა გამახარემ და ახლაღა შეამჩნია ჩემი ჩართული დიქტოფონი, გაეღიმა – ჩემს დაფრქვეულ მარგალიტებს აგროვებო?!. – ხელი ჩაიქნია და გავიდა.

– არ მოინდომოს, თორემ, ეს კაცი ექვსივეს შეგვაცდენს, გოგოებო! – თქვა ნანამ...

იმ ღამეს კი, რატომღაც არ დამეძინა და ეჭვიც არ მეპარება, რომ არც ჩემი ლამაზი „შინაბერები“ დააძინა გამახარეს მიერ გაღვიძებულმა სადარდებელმა... გამთენიისას ფატი შემომიწვა საწოლში; მამცივნებს და რაღაცის მეშინია...

...მეორე დღეს, მეგობრის მანქანით ავვიყვანა ასმათის სოფელში გამახარემ და ჩვენზე არანაკლებ გაიხარა ჩვენი მეგობრის ბედნიერებით, რომლის ბუთხუზა თანამეცხედრეს გაოცებულები შევყურებდით, რადგან არაფრით წააგავდა არც ალენ დელონს და არც გრეგორი პეკს, რომლებიც მამაკაცის ეტალონად მიაჩნდა ასმათს ყოველთვის...

იქაც თამამად აირჩიეს გამახარე და ისეთი სადღეგრძელოები გვითხრა, ეკამ აღიარა:

– 8 კლასის მეტი არ დაუმთავრებია და თუ ჩემს გამოტვინებულ პროფესორზე მეტი არ იცოდეს, დედას გეფიცებით!..

– ეს ბიჭი არც ისეთი შავია, გუშინ რომ ჩანდა! – შენიშნა მზიამ.

– სიმღერა ნამდვილად კარგი იცის, რა ხმაშეწყობილად ვიმღერებდით!.. – „წაიოცნება“ ნანამ.

– არც ცეკვა დაეწუნება!.. – დასძინა ელისომ და გამახარე საცეკვაოდ გაიწვია. მან არწივივით გაშალა მხრები და... ყველამ შევამჩნიეთ, როგორ გააპარა თვალი ფატისკენ...

ცეკვა რომ დაამთავრა, სასმისი აიღო და მრავალმნიშვნელოვნად თქვა: – ღმერთო, კეთილად ამიხდინე, რაც გავიფიქრეო!.. გაწითლებულმა ფატიმ თავი დახარა...

ლეჩხუმში ასმათთან იანვრის ბოლოს ვიყავით ჩასულები. მარტის დასაწყისში კი, ისევ დავადექით ნაცნობ გზას – ამჯერად ფატის სანახავად... გამახარეს უცოლო ბიძაშვილს მივყავდით უკვე ხუთი „შინაბერა“ და როგორც შეგვეძლო, თავს ვაწონებდით. ეკაც კი ჭკვიანად იქცეოდა და ერთხელაც არ უხსენებია თავისი ფილოლოგიის მეცნიერების კანდიდატობა...

„თუ მაინცდამაინც უნდა ინანოთ, თქვენც ადექით და აიღეთ, რა!“ – ერთმანეთში ამერია სიზმარ-ცხადი და ხან გივი ბერიკაშვილის, ხანაც გამახარეს სახით და ხმით მელანდებოდა ერთადერთი და სასურველად ქცეული საოცნებო კაცის დამოძღვრა...

„სროლის ხასიათზე ვარო – ვითხრა და ისროლა... სახის არეში საშინელი ჭკივილი ვიგრძენი“

მძიმე დანაშაულებში ბრალდებული ძმები თავს დამნაშავედ არ ცნობენ

თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში ორ განსასჯელს, ძმებს — თამაზ და ვასილ კოშელოვებს ასამართლებენ. მათ მძიმე დანაშაულებში — განზრახ მკვლელობასა და მკვლელობის მცდელობაში ედებათ ბრალი. ბრალდების თანახმად, ვასილმა ჯერ საეკლესიო ნივთებით მოვაჭრე დააყაჩაღა, შემდეგ კი უფროს ძმასთან ერთად, თანაუბნელებს გაუსწორდა: ერთი, ცეცხლსასროლი იარაღით მძიმედ დაჭრეს, ხოლო მეორე — სიცოცხლეს გამოასალმეს. კოშელოვები თავს დამნაშავედ არ ცნობენ, მათი ადვოკატები კი აცხადებენ, რომ პროკურატურას ბრალის დასადასტურებლად მტკიცებულებები არ მოეპოვება. მათივე თქმით, საქმის ძიებისას არაერთი კანონდარღვევაა დაშვებული. პროკურორი ასე არ ფიქრობს, თუმცა ადვოკატები ერთ დეტალზე განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას. „საქმეში არსებული ოქმების მიხედვით, ძებნილ პირებს შს სამინისტროში ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლებას ოფიციალურად უფორმებდნენ“, — აცხადებენ ისინი.

გამოძიების მასალების თანახმად, პირველი დანაშაული ვასილ კოშელოვმა 2001 წლის 21 დეკემბერს ჩაიდინა. ამ დღეს მას თურმე ნათესავი – ნიკო ადუაშვილი დაუკავშირდა და ისანი-სამგორის ავტოსადგურის ტერიტორიაზე საეკლესიო ნივთებით მოვაჭრის – ბარნაბ კაპანაძის დაყაჩაღება შესთავაზა. ადუაშვილი კაპანაძეს იცნობდა, რადგან თავად იმავე ადგილას კანფეტებს ყიდდა და თითქმის ყოველდღე ხვდებოდა მას. ისიც იცოდა, რომ კაპანაძეს ფული ჰქონდა.

21 დეკემბრის საღამოს, დაახლოებით 8 საათისთვის ადუაშვილმა და კოშელოვმა ბარნაბ კაპანაძე ავტოსადგურის ტერიტორიაზე არსებულ სასადილოში დაპატიჟეს. როგორც გაირკვა, იქ ერთ-ერთი ვაჭრის – ვინმე აგაბაშინის დაბადების დღეს ზეიმობდნენ. 10 საათისთვის, უკვე გვარიანად მთვრალი მოქეიფეები სუფრიდან აიშალნენ და სახლებში წავიდნენ. რაც შეეხება ვასილსა და ნიკოს, მათ ბარნაბ კაპანაძეს ხელკავი გამოსდეს და ავტოსადგურისკენ წაიყვანეს. მოულოდნელად, კოშელოვმა ცეცხლსასროლი იარაღი (როგორც საქმის მასალებში წერია, გაურკვეველი მარკის პისტოლეტი) ამოიღო და კაპანაძის შესაშინებლად ორჯერ გაისროლა. შემდეგ ამ უკანასკნელს რაღაც ბლაგვი საგანი ჩაარტყეს თავში და გათიშეს. გახადეს ტყავის ქურთუკი, ჯიბიდან ამოაცალეს 600 ლარი და წაართვეს 1.500 ლარის ღირებულების სხვადასხვა საეკლესიო ნივთი. გონწასული კაპანაძე იქვე მიატოვეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. ნაყაჩაღარი ერთმანეთში გაინაწილეს. პროკურატურის ცნობით, კაპანაძეს მათ 2.320 ლარის ზარალი მიაყენეს.

ბარნაბ კაპანაძე, დაზარალებული:

„ნიკო ადუაშვილი ბაზრობაზე გავიცანი. მასთან კარგი ურთიერთობა მქონდა, მალე მოიპოვა ჩემი ნდობა. მან და კიდევ ერთმა – ზახარმა იცოდნენ, რომ ფული და გიშრის საეკლესიო ნაკეთობები მქონდა... სასადილოში ცოტა დავლიე, რადგან პირად საქმეზე ვიყავი წასასვლელი. სუფრასთან მსხდომმა პირებმა იცოდნენ, რომ იმ დღეს ფული თან მქონდა. იქ ჩემთვის უცნობი ბიჭი – სახელად ვასკა (ვასილ კოშელოვი) იყო და მივხვდი, რომ ისიც საქმის კურსში იყო. გარეთ გავედი და სამარშრუტო ტაქსის გაჩერებას ვაპირებდი, როცა ვასკა მომიახლოვდა და მთხოვა – ცოტა ფეხით გავიაროთო. ნიკაც (ნიკო ადუაშვილი) უკან მოგვყვებოდა. როცა ისეთ ადგილას გავედით, სადაც ხალხი არ მოძრაობდა, ნიკა უკან ჩამოგვრჩა. ფული – 600 ლარი და გასაყიდი ნივთები ქურთუკის ჯიბეში მედო. რამდენიმე წუთში ვასკამ შავი იარაღი მომადო და ფული და ტყავის ქურთუკის გახდა მომთხოვა. შევეწინააღმდეგე, გაქცევაც მოვახერხე, მაგრამ იმწამსვე გასროლის ხმა გავიგონე. ამ დროს შევჩერდი. ნიკა მომიახლოვდა, ფეხი გამომკრა და წამაქცია, მერე თავში რაღაც ჩამარტყა, ვასკა იარაღის ტარს მირტყამდა. ქურთუკი ძალით გამხადეს, ფული და ნივთებიც ამომაცალეს...

დაყაჩაღების დროს თანასუფრელები 10-12 მეტრის მოშორებით იდგნენ. ცემის შედეგად გონება დავკარგე. როცა აზრზე მოვედი, ავტოსადგურის გვერდზე მდებარე ნაგავსაყრელზე ვიყავი. მაშინვე ტაქსი გავაჩერე და ნაძალადევის რაიონში, ჩემს ნაცნობთან წავედი... მომხდარის გახსენება რომ შევძელი, თბილისის შს მთავარ სამმართველოს მივმართე“.

მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ნიკო ადუაშვილი მალე დააკავეს და გაასამართლეს კიდეც. ჩადენილი დანაშაულისთვის მას 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. რაც შეეხება კოშელოვს, სამართალდამცავები მას ამაოდ ეძებდნენ, მისი აყვანა ვერ შეძლეს. 2003 წლის 23 ნოემბერს, გიორგობა დღეს კი ვასილ კოშელოვის მიერ ჩადენილი მორიგი დანაშაულის შესახებ შეიტყვეს.

საღამოს 11 საათისთვის, ვასილი, მისი ძმა – თამაზი და მათი მეგობარი – იანუშ აბრამიანი შინისკენ მიდიოდნენ, როცა მათ თანაუბნელები – კახა საბაშვილი, მიხეილ შუშანაშვილი და ვიქტორ პეტრიაშვილი შემოხვდათ გზაში. საუბრისას ახალგაზრდები შელაპარაკდნენ, შემდეგ კი ჩხუბი დაიწყეს. რამდენიმე წამში ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის ხმაც გაისმა.

თამაზ კოშელოვი (წინასწარი

გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებიდან):

„...ერთმანეთი მოვიკითხეთ, პეტრიაშვილმა მითხრა – რაღაც შენი ლაპარაკის ტონი არ მომწონსო და კამათი დამიწყო. შუშანაშვილს მხარზე ხელი დავარტყი და ვურჩიე, დაწყნარებულიყვნენ. ამაზე უფრო გაბრაზდნენ, შუშანაშვილმა ბოთლი მომიქნია, მაგრამ მხოლოდ ხელში მომხვდა და როცა შევატყვე, რომ სიტუაცია დაიძაბა, გადავწყვიტე, იქაურობას გავცლოდი და წავედი კიდეც. იქ ყოფნის მომენტში სროლის ხმა არ გამიგია, თუმცა, ვიცი, რომ მაშინ ჩემს ძმას საფანტის პისტოლეტი ჰქონდა თან. მოწინააღმდეგეების ხელში ცეცხლსასროლი იარაღი ან დანა არ დამინახავს“...

ვასილ კოშელოვი (წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებიდან):

„...ადრე სამივესთან ნორმალური ურთიერთობა მქონდა. ერთმანეთი მოვიკითხეთ, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ ნასვამები იყვნენ. შარს ეძებდნენ... ჩემი ძმა იქაურობას გაშორდა. იანუშას დაუწყეს ჩხუბი, ვცდილობდი, გამეშველებინა ისინი და სწორედ მაშინ ერთ-ერთის (ზუსტად არ მახსოვს, რომლის) ხელში დანა დავინახე. მე ოფიციალურად გაფორმებული საფანტის პისტოლეტი მქონდა თან. იარაღი ამოვიღე და სიტუაციის განსამუხტავად ერთხელ ჰაერში გავისროლე. ვიღაცამ ჩემს პისტოლეტს წაავლო ხელი, წართმევა უნდოდა და სწორედ ამ მომენტში მოხდა მეორე გასროლაც. ტყვია ვის მოხვდა, არ დამინახავს. მე და იანუშა მაშინვე გავიქეცით იქიდან, სახლის ეზოში შევცვივდით და ჭიშკარი შიგნიდან გადავკეტეთ...“

პროკურატურის ცნობით, გასროლის შედეგად მიხეილ შუშანაშვილი დაიჭრა სახის არეში. საქმის წინასწარი გამოძიებისას, სამართალდამცავებმა ისიც და ვიქტორ პეტრიაშვილიც დაჰკითხეს. ამ უკანასკნელის ჩვენებაში დაფიქსირებულია, რომ საფანტის პისტოლეტიდან ვასილმა კი არა, მისმა ძმამ – თამაზმა გაისროლა:

ვიქტორ პეტრიაშვილი:

„...23 ნოემბერს, დაახლოებით 4 საათზე, კახა საბაშვილი და მიშა შუშანაშვილი მოვიდნენ ჩემთან სტუმრად. სუფრა გაიშალა და სმა დავიწყეთ. საღამოს 6 საათისთვის მე და კახა საბაშვილი მეზობლის ოჯახში გადავედით, იქ ნიშნობასთან დაკავშირებით წვეულება იყო გამართული. იქიდან რომ გამოვედით, უკვე 10 საათი იქნებოდა. გეგუთის ქუჩაზე მეზობლები – თამაზ და ვასილ კოშელოვები შეგვხვდნენ. კოშელოვებს ვიღაც უცნობი ბიჭი და გოგონები ახლდნენ. საუბრისას თამაზ კოშელოვი ანერვიულებული და გაბრაზებული ჩანდა, იძახდა – სროლის ხასიათზე ვარო. მას მისი ძმა – ვასილი აწყნარებდა. სწორედ ამ დროს ჩვენთან მიშა შუშანაშვილი მოვიდა. თამაზი კვლავ იმეორებდა, რომ სროლის ხასიათზე იყო, უცებ იარაღიდან გასროლის ხმა და მიშას შეძახილი – მომკლესო – გავიგონე. თამაზ კოშელოვს ხელში პისტოლეტი ეჭირა და თანმხლებ პირებთან ერთად თავისი სახლისკენ გარბოდა“.

როგორც გამოძიების მასალებით ირკვევა, მომხდარ ფაქტს ვიქტორ პეტრიაშვილის დედა – **დოდო პეტრიაშვილიც** შეესწრო, რომელმაც ასეთი ჩვენება მისცა:

„...მე მოშორებით ვიდექი და ბიჭების დაშლას ველოდებოდი, რადგან მინდოდა, ჩემი შვილი წამეყვანა სახლში. ამ დროს ქუჩაში მიშა შუშანაშვილი გამოვიდა სიმღერ-სიმღერით და ბიჭებს მიუახლოვდა. თამაზ კოშელოვმა უსაყვედურა – რა გამღერებსო? მიშამ უპასუხა – მემღერება და ვმღერიო... უცებ, თამაზმა იარაღიდან გაისროლა, იმწამსვე მიწაზე დაეცა მიშა შუშანაშვილი...“

მიხეილ შუშანაშვილი:

„...თამაზ კოშელოვს გიორგობის დღესასწაული მივულოცე, მან კი კამათი დამიწყო. სროლის ხასიათზე ვარო – თქვა და მარჯვენა ხელით რაღაც ამოიღო, გაისროლა. იმ წამში სახის არეში საშინელი ტკივილი ვიგრძენი და წავიქეცი. როცა შინ მივედი, სახიდან სისხლი მომდიოდა. მაშინვე საავადმყოფოში წამიყვანეს“.

თუმცა, ყველაფერი ამით არ დასრულებულა. მომხდარი ფაქტი, დაახლოებით 20 წუთში, ახალგაზრდებს შორის სისხლიან საქმის გარჩევასა და საშინელ დანაშაულში გადაიზარდა. შუშანაშვილის დაჭრის ამბავს, ამ უკანასკნელის მეგობრის – კახა საბაშვილის სიცოცხლე შეეწირა. პროკურატურის მტკიცებით, იგი ვასილ კოშელოვმა მოკლა.

მას შემდეგ, რაც ძმები კოშელოვები და იანუშ აბრამიანი თავიანთი საცხოვრებელი სახლის ეზოში შეცვივდნენ და ჭიშკარი გადაკეტეს, მომხდარით აღშფოთებულმა კახა საბაშვილმა და ვიქტორ პეტრიაშვილმა მათთან საქმის გარჩევა გადაწყვიტეს. მათ კოშელოვებს შინ მიაკითხეს. საქმის გარჩევა მაშინვე ჩხუბსა და სისხლის ღვრაში გადაიზარდა. ვასილ კოშელოვმა თავისი ძმის, „ვინჩესტერის“ ტიპის სანადირო თოფი გამოიტანა, იარაღი საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანა და კახა საბაშვილს პირდაპირ თავის არეში ესროლა ტყვია. საბაშვილი ადგილზევე გარდაიცვალა. ძმები კოშელოვები კი იქიდან მაშინვე გაიქცნენ.

ბრალდებულმა თამაზ კოშელოვმა თავის სახლში განვითარებული მოვლენები სულ სხვაგვარად აღწერა:

„...უცებ ხმაური მომესმა და დავინახე, რომ ეზოში 5 კაცი გადმოხტა. სიბნელის გამო, ვერც ერთი ვერ ვიცანი. მათ სახლის ფანჯრების მტვრევა დაიწყეს, მერე დედაჩემს მისცვივდნენ და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. მაშინვე ეზოში გავიქეცი და გავიგონე იარაღიდან გასროლის ხმა. ვინ ისროლა, არ დამინახავს. იქიდან ყაზბეგის ქუჩაზე, ჩემ მიერ დროებით ნაქირავებ ბინაში წავედი. დაახლოებით ნახევარ საათში ვასიკოც მოვიდა და თან სანადირო თოფი მოიტანა. იარაღი დაშლილ მდგომარეობაში იყო. მეორე დღეს შევიტყვე, რომ ჩემს ძმას კახა საბაშვილი მოუკლავს...“

ვასილ კოშელოვმა პროკურატურაში დაკითხვისას, მის მიერ იარაღიდან გასროლის ფაქტი დაადასტურა, მაგრამ ისიც დასძინა, რომ დანაშაული წინასწარი განზრახვით არ ჩაუდენია. მისი თქმით, კახა საბაშვილი თავად ცდილობდა დანით მის მოკვლას.

„...იგინებოდნენ, ფანჯრის მინებს ამსხვრევდნენ და ყველაფერს ანადგურებდნენ. როცა მივხვდი, რომ მათ დაწყნარებას სიტყვით ვერ შევძლებდი, ჩემი ძმის „ვინჩესტერი“ ავიღე და ერთხელ ჰაერში გავისროლე. ამ დროს საბაშვილი გამომეკიდა დანით. ვეუბნებოდი – არ მომიახლოვდე-მეთქი, მაგრამ ის მაინც მოიწევდა ჩემკენ, თან მოკვლით მემუქრებოდა. მინდოდა, მისთვის ფეხებში მესროლა, თოფი დავუმიზნე და გავისროლე, ის კი სწორედ იმ მომენტში ჩაიკუზა. ვერ დავინახე, ტყვია მოხვდა თუ არა. ამის შემდეგ, თოფიანად გავიქეცი ჩემი ძმის ნაქირავებ ბინაში“.

პროკურატურამ არც ერთი ძმის ჩვენება არ გაიზიარა. 25 წლის თამაზ კოშელოვს განზრახ მკვლელობის მცდელობაში, ხოლო მის ძმას – 22 წლის ვასილ კოშელოვს განზრახ მკვლელობაში, ყაჩაღურ თავდასხმასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებაში სდებენ ბრალს. სასამართლო სხდომაზე განსასჯელებმა თავი დამნაშავედ არ ცნეს.

გოგიტა გაბაიძე, ვასილ კოშელოვის ადვოკატი:

„საქმის გამოძიებისას პროკურატურას უამრავი დარღვევა აქვს დაშვებული. სასამართლოში მოწმე ვიქტორ პეტრიაშვილმა წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენება უარყო და აღნიშნა, რომ პროკურატურაში ის და დედამისი ერთად დაჰკითხეს. ჩვენება, მისი თქმით, სწორედ დედამისმა – დოდო პეტრიაშვილმა მისცა გამომძიებელს, მან კი მხოლოდ ხელი მოაწერა მას. ახლა ვიქტორ პეტრიაშვილი აცხადებს, რომ სროლის ხმა არ გაუგონია და არც ის იცის, ვინ ისროლა საერთოდ. სხვათა შორის, გამოძიების მასალებით თუ ვიმსჯელებთ, პროკურატურას არა ჰყავს დადგენილი რეალური პირი, რომელმაც კახა საბაშვილს ესროლა ტყვია. მართალია, აცხადებენ, რომ მკვლელობა ვასილ კოშელოვმა ჩაიდინა, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვებია. ამის დამადასტურებელი მტკიცებულება პროკურატურას არა აქვს, არ არსებობს ერთი მოწმეც კი, რომელიც იტყვის, რომ საბაშვილს ვასილ კოშელოვმა ესროლა. სიმართლის დასადგენად გამოძიებამ სათანადო ზომები არ მიიღო. მაგალითად, საქმის მასალებში არაერთგანაა აღნიშნული, რომ საბაშვილის მკვლელობის ეპიზოდში, შემთხვევის ადგილას დაკითხული პირების გარდა, კიდევ იყვნენ ადამიანები. მათ დაკითხვაზე გამოძიებამ არ იზრუნა“.

მოწმე ვიქტორ პეტრიაშვილის მიერ სასამართლოში ჩვენების შეცვლამ ის გამოიწვია, რომ ბრალდების მხარემ მოსამართლეს მორიგი შუამდგომლობით მიმართა. ამჯერად პროკურორი გამომძიებლების – დავით ხიზანიშვილისა და კახა ჩუბინიძის დაკითხვას მოითხოვს. მომდევნო სასამართლო სხდომა 6 ნოემბერს შედგება. ■

სამგზავრო ავტობუსს შვიდი ბოროტმოქმედი დაესხა თავს

23 ოქტომბერს, სამტრედიის რაიონის სოფელ ვაზისუბანში, ცენტრალურ ავტომაგისტრალზე ბათუმიდან საჩხერის მიმართულებით მიმავალი ავტობუსი დააყაჩაღეს. „იკარუსის“ მარკის ავტობუსს შვიდი ბოროტმოქმედი დაესხა თავს. დამნაშავეები გადაჭრილი თოფებითა და პისტოლეტებით იყვნენ შეიარაღებულები. ბოროტმოქმედებმა ავტობუსში მსხდომ მგზავრებს ფული და ძვირფასეულობა წაართვეს.

როგორც სამართალდამცავები აცხადებენ, სამტრედიის რაიონის პოლიციამ დამნაშავეთაგან რამდენიმე, იმავე დღეს დააკავა. დაკავებულები სამტრედიელები – პაატა ცინცაძე, ალექსანდრე ქართველიშვილი, იმედა ავალიანი და კობა ადეიშვილი აღმოჩნდნენ. ჩხრეკის დროს მათ ნაქურდალი ნივთები აღმოაჩნდათ.

დადგენილია დანარჩენი სამი ეჭვმიტანილის ვინაობაც. მათზე ძებნაა გამოცხადებული. რაც შეეხება ზემოთ ხსენებულ, დაკავებულ პირებს, ისინი ქუთაისში, შინაგან საქმეთა იმერეთის სამხარეო სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლატორში არიან მოთავსებულები.

დედის შეურაცხყოფა სისხლიანი ტრაგედიის მიზეზი გახდა

2003 წლის სექტემბერში, უზენაესმა სასამართლომ გურჯაანის რაიონის სოფელ მელაანში მცხოვრები გია პატიაშვილის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე მიიღო განსახილველად.

პატიაშვილს მეზობლის – ილია გოგლიაშვილის განზრახ მკვლელობა და ამ უკანასკნელის ქალიშვილის – ჯულიეტას მკვლელობის მცდელობა (დამამძიმებელ გარემოებებში) ედება ბრალად.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, 2003 წლის 9 მაისს, გია პატიაშვილს დედამისმა – ჟუჟუნა პატიაშვილმა უთხრა: ჩვენმა მეზობელმა – ილია გოგლიაშვილმა მკითხა – „პრეზერვატივები“ ხომ არა გაქვს სარეალიზაციოდო? გია პატიაშვილმა ჩათვალა, რომ ამ ნათქვამით ილია გოგლიაშვილმა შეურაცხყოფა მიაყენა, როგორც დედამისს, ასევე მთელ მის ოჯახს და გადაწყვიტა, მისთვის ანგარიში გაესწორებინა.

იმავე ღამით, განაწყენებული და ნასვამი გია პატიაშვილი სამზარეულო დანით შეიარაღდა და ფარულად შეიპარა გოგლიაშვილების ოჯახში. მძინარე ილია გოგლიაშვილს მან დანით მიაყენა რამდენიმე ჭრილობა გულმკერდის არეში. ხმაურმა ჯულიეტა გოგლიაშვილი გამოაღვიძა. იგი მაშინვე მივარდა მამას საშველად, შეეცადა, პატიაშვილისთვის დანა წაერთმია, მაგრამ ვერ შეძლო. ამ უკანასკნელმა იარაღი მასაც მოუქნია და სხეულის სხვადასხვა ადგილას დაჭრა კიდეც. დაჭრილი ჯულიეტა გოგლიაშვილი ყვიროდა და ცდილობდა, საშველად მეზობლები მოეხმო. ამით შეშინებული გია პატიაშვილი მაშინვე გაიქცა შემთხვევის ადგილიდან და მიიმალა.

მიყენებული დაზიანებებისგან ილია გოგლიაშვილი ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო მისი შვილი – ჯულიეტა გურჯაანის რაიონის საავადმყოფოში გადაიყვანეს. დროული სამედიცინო დახმარების შედეგად მას სიცოცხლე შეუნარჩუნეს.

ბრალდებული გია პატიაშვილი ამჟამად პატიმრობაში იმყოფება. მის საქმეს სასამართლო კოლეგია უახლოეს მომავალში განიხილავს.

ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი ძმები დააკავეს

28 ოქტომბერს, დილით, ზესტაფონის რაიონის პოლიციამ ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი, ორი ახალგაზრდა დააკავა. ისინი სოფელ მეორე სვირში მცხოვრები ძმები – 21 წლის სოსო და 19 წლის ბესარიონ ჯაჭვლიანები არიან. ბესარიონი ყაჩაღური თავდასხმისთვის წარსულშიც გახლდათ ნასამართლევი. ამჟამად, ძმები ზესტაფონის პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფებიან.

სამართალდამცავთა ცნობით, ისინი სოფელ მეორე სვირთან მოძრავი ავტომანქანის დაყაჩაღებაში არიან ეჭვმიტანილები. მიმდინარე წლის 27 ოქტომბერს, ქალაქ გორში მცხოვრები ნიკოლოზ მესხიძე თურმე საკუთარი მანქანით – „ფორდით“ დასავლეთისკენ მიემგზავრებოდა. სოფელ მეორე სვირთან მას ორი უცნობი პირი დახვდა, ავტომანქანა გააჩერებინა, შემდეგ კი, დანის მუქარით, პირადი ნივთები და ფული წაართვა.

ზესტაფონის პოლიციის თანამშრომელთა ცნობით, თავდამსხმელები სწორედ ძმები ჯაჭვლიანები იყვნენ.

■

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ „ᲡᲢᲐᲭᲘᲐᲜᲘ“ ᲛᲝᲣᲮᲔᲚᲗᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ

ᲘᲐᲡᲘᲠ ᲐᲠᲐᲤᲐᲢᲘ

მსოფლიო სასამართლო პრაქტიკაში არსებობს ცნება – დაუსწრებლად გასამართლება, რომელიც ჯერ კიდევ ძველ რომში იყო მიღებული. კანონის თანახმად, დასაშვები იყო, განსასჯელისა თუ მოპასუხის გარეშე პროცესის გამართვა. ამასთანავე, სასამართლოში გამოცხადებაზე უარის თქმა და ნებაყოფლობითი გადასახლება, საკუთარი ბრალეულობის აღიარებად იყო მიჩნეული.

დაუსწრებლად გასამართლების პრაქტიკას სხვადასხვაგვარად ახორციელებდნენ რომის იმპერიაში, ძველ ინგლისში, XVIII საუკუნის საფრანგეთსა თუ იტალიაში. ეს წესი დღესაც მიღებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. მაგალითად, საფრანგეთში ყველაზე ხშირად, ტერორისტებსა და ყოფილ ნაცისტებს ასამართლებენ; იტალიაში, 1980-იანი წლებიდან მოყოლებული, სისტემატურად იმართება საჯარო დაუსწრებელი პროცესები მაფიოზების წინააღმდეგ; ლათინურ ამერიკაში ამგვარად, ყოფილ დიქტატორებს ასამართლებენ; აზიისა და აფრიკის ქვეყნებში კი, დაუსწრებელი პროცესი პოლიტიკური ბრძოლის თავისებურ ფორმად აქციეს: ამ პროცესებზე განსასჯელებად გვევლინებიან ცნობილი პოლიტიკოსები, რომელთაც სახელმწიფო, საკუთარი ნებით, თავისი საზღვრებიდან საკმაოდ მოშორებით ამყოფებს...

ბუნებრივია, დაუსწრებელი პროცესი უმეტეს შემთხვევაში, იძულებითი აქტია, რადგან ნიშნავს იმას, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს სამართალდამცავები და მათი ინტერპოლელი კოლეგები ვერაფრით აგნებენ დამნაშავის კვალს და ის წლების მანძილზე, ძებნილად რჩება. სადღეისოდ, მსოფლიოში რამდენიმე, უფრო ზუსტად – 9 „სტაჟიანი“ მოუხელთებელი ტკეპნის მიწას. ამჯერად, ორ მათგანს გაგაცნობთ.

მოწოდებით ტერორისტი

რეკორდსმენად დაუსწრებელი სასამართლო პროცესების მიხედვით ითვლება პალესტინელი სპრი ბანუ, რომელიც სპრძოლო ფსევდონიმით – აბუ ნიდალით უფროა ცნობილი. მისი თავკაცობით მოქმედი ტერორისტული ორგანიზაცია 1970-იან წლებში ჩამოყალიბდა. ერთ დროს, ის პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის (პგო) შემადგენლობაში შედიოდა და მისი დავალებით ახორციელებდა ტერორისტულ აქტებს. მაგრამ გარკვეული ხნის შემდეგ, აბუ ნიდალმა თავი დააღწია პგო-ს კონტროლს, ისრაელთან სამშვიდობო მოლაპარაკებათა პროცესის დაწყების დღიდან კი, ომიც კი გამოუცხადა იასირ არაფატს. ამის საპასუხოდ, პალესტინელებმა აბუ ნიდალს დაუსწრებლად მოუსაჯეს სიკვდილი და ტერორისტმა ერაყს შეაფარა თავი. 2001 წელს, აბუ ნიდალს სასიკვდილო განაჩენი იორდანიაშიც გამოუტანეს; მაშინ ამ ქვეყანაში ჩატარდა ხმაურიანი პროცესი, რომელზეც პალესტინელ ტერორისტსა და მის თანამებრძოლებს რამდენიმე იორდანიელი დიპლომატის 1984-დან 1994 წლამდე პერიოდში ჩადენილ მკვლელობაში ადანაშაულებდნენ.

ბრძანებით მოქმედი ტერორისტი

1989 წლის 19 სექტემბერს, აფრიკული ქვეყნის – ნიგერის თავზე აფეთქდა ფრანგული სამგზავრო თვითმფრინავი, რომელიც პარიზიდან ბრაზავილში მიფრინავდა. ამის შედეგად, 170 მგზავრი და ეკიპაჟის წევრი დაიღუპა. როგორც გამოძიებამ დაადგინა, დანაშაული ჩადენეს არაბმა ტერორისტებმა, რომლებიც ლიბიის დავალებას ასრულებდნენ. ფრანგმა სამართალდამცავებმა ტერაქტის მომწყობ ლიბიელთა ვინაობაც დაადგინეს; მათ შორის, ლიბიის სპეცსამსახურის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და ლიბიის პრეზიდენტის, მუამარ კადაფის ნათესავი – აბდალა სენუსი იყო დასახელებული. დამნაშავეთა სია, ამ ქვეყნის დედაქალაქ ტრიპოლიში გაიგზავნა; მას თან ერთვოდა ბოროტმოქმედთა გასამართლების მოთხოვნა. მუამარ კადაფიმ საფრანგეთის ხელისუფლებას უარით უპასუხა, თუმცა განაცხადა, რომ მათი დაუსწრებლად გასამართლების საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა და იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ლიბიელთა ბრალეულობას დამტკიცებდა, მზად იყო, დასთანხმებოდა განაჩენს და ტერაქტის მსხვერპლთა ნათესავებისთვის ფინანსური კომპენსაციაც გაეღო. აბდალა სენუსისა და ძმათა მისთა სასამართლო პროცესი 1999 წლის მარტში დაიწყო და 3 წელი გაგრძელდა. ყველა ბრალდებული დამნაშავედ ცნეს და დაუსწრებლად, სამუდამო პატიმრობა მოუსაჯეს. კადაფი განაჩენს დეთანხმა და კომპენსაციაც გაიღო. მისი ტერორისტი ნათესავი კი, ლიბიაში დარჩა და თანამდებობაც შეინარჩუნა...

■

„ᲛᲣᲕ ᲤᲠᲘ“ - ხელს უწყობენ ტკივილის და ანთების შემცირებას და სახსრებში თავისუფალი მოძრაობის შენარჩუნებას.

„ᲛᲔᲜᲝᲞᲐᲣᲖ-ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ“ - კლიმაქტერული დარღვევების რაციონალური თერაპია სინთეტიკური ჰორმონების გარეშე.

„ᲣᲑᲘᲥᲘᲜᲝᲜᲘ (Co-Q10)“ - განკუთვნილია არტერიული ჰიპერტენზიის, გულის იშემიური დაავადებისა და ათეროსკლეროზით დაავადებულთათვის.

„ᲘᲛᲣᲜᲔᲨᲣᲐ“ - ნატურალური და ეფექტური ანტივირუსული და ანტიბაქტერიული საშუალება.

ᲕᲘᲢᲐᲛᲘᲜᲔᲑᲘ - ნატურალური ვიტამინებისა და მინერალების კომპლექსები.

„ᲨᲘᲤᲘ“ - წარმოების უმაღლესი ხარისხის გარანტია GMP-ის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ᲛᲘᲥᲕᲔᲜ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲗ ᲔᲗᲘᲡᲘ, ᲕᲘᲡᲐᲒ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲔᲛᲐᲡᲐᲠᲒᲚᲔᲑᲐᲡ - ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲯᲐᲜᲐᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲜᲓᲝᲑᲗ!

ᲯᲔᲝᲕᲘᲢᲘ
GEOVIT

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲨᲘᲤ“-ᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲘᲡᲢᲠᲘᲑᲘᲣᲢᲝᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲯᲔᲝᲕᲘᲢᲘ“
ᲛᲘᲡ: ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ. 41 (ᲕᲐᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲙᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ),
☎ 29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56. www.schiffvitamins.com

ზაზა ალექსიძის სასიყვარულო ვოიაჟები მატარებელში

ზაზა ალექსიძე ყოველდღე, სხვადასხვა ღონისძიებაზე წასვლა-გამოსვლითაა დაკავებული, კონცერტის შემდეგ კი — ბანკეტით. ასე რომ, ადვილი არ იყო მისი მოხელეთება, მაგრამ ჩვენი შეხვედრა მაინც შედგა. თავიდან, ამ თემაზე საუბარი ცოტა გაუჭირდა, მაგრამ მერე ეშხში შევიდა და წვრილად მიამბო თავს გადახდენილი ამბები. რა თქმა უნდა, ყველაფერი არა, მაგრამ რაც გამიმხილა, იმაში ნამდვილად გულახდილი იყო...

მაია კახიძე

ბულგარეთში „დავვაქაცდი“. დასასვენებლად ვიყავი წასული და იქ მოხდა ეს ამბავი...

— ზაზა, დავიწყოთ, არა?

— დავიწყოთ, მაგრამ ჯერ ერთი რამის თქმა მინდა: ჩვენს სხვადასხვა გამოცემაში, ე.წ. სამედიცინო გვერდებზე ძალზე ხშირად იბეჭდება ინფორმაცია მამაკაცის ჯანმრთელობის შესახებ — კერძოდ ის, რომ მამაკაცი 40 წლამდეა მამაკაცი, მერე კი, ვთქვათ, ძვლები უხდება მყიფე, პროსტატის კუნთი უმცირდება და უსუსტდება, აქვს პრობლემები ერექციასთან დაკავშირებით და ა.შ. ასეთი სტატიების კითხვა (მე კი ყველაფერს ზედმიწევნით გულმოდგინედ ვეცნობი ხოლმე) ძალაუნებურად გაკომპლექსებს ადამიანს. როგორი წასაკითხია — 40-50-მდე ეს დაგემართება, 50-60-მდე — ეს?!. მოკლედ, გონებაში ცუდად ილექება ასეთი ინფორმაცია და ჯობს, რაღაცით გააზავონ და უფრო ლამაზად მიაწოდონ მკითხველს ავტორებმა... მერწმუნეთ, 40 წლის შემდეგ, მამაკაცს „ახალი ლიბიდო“ ეხსნება.

— რა არის იმაში ცუდი, თუკი ჟურნალ-გაზეთების საშუალებით მკითხველს გააფრთხილებენ სპეციალისტები?

6 საათზე გამეღვიძა. ყველას სძინავს. აუ — მამაკაცურ ღირსებას როგორ შევირცხვენმეთქი?!

— კი, ბატონო, ოღონდ, გულებს ნუ გაგვიხეთქავენ. ასეთი თემების გაშუქებას დიდი სიფრთხილე სჭირდება.

— რამ შეგაშინა? ხომ არაფერი შეატყვე საკუთარ თავს?

— არა, კაცო, მშვენივრად ვგრძნობ თავს...

— ჰოდა, თუ მშვენივრად გრძნობ თავს, მაშინ დაიწყე თხრობა.

— ერთი გოგო ჩამივარდა გულში. გინდა თუ არა, ბათუმში წამიყვანეო, — აიჩემა. არადა, სულ 60 მანეთი მაქვს („ლენინის“ წითელი თუმნიანები). ვიფიქრე — იქით-აქეთ გზაზე მეყოფა, კაფეშიც შევიყვან-მეთქი, — და მთელ იმედებს მატარებელზე ვამყარებ, უფრო სწორად — კუპეზე... გავიქეცი ვაგზალზე და „ეს-ვე“-ს ორი ბილეთი ავიღე, რომ განვმარტოებულიყავით და მშვიდად გვემგზავრა. იმან, კალათით საჭმელი და ღვინო წამოიღო. ჯერ ერთმანეთი დავლოცეთ. განცდებში ვარ, მაგრამ для храбрости, ჩემი ჭკუით, სასმელს მივეძალე. არ ვიცი, განცდის თუ სასმლის ბრალი იყო, მაგრამ ფაქტია, რომ ძალიან ცუდად გავხდი. ისეთ დღეში ვარ, დედის რძე არ შემრჩა; ქალი კი არა — არაფერი არ მინდა. მხოლოდ ის შევძელი, რომ „კოიკაზე“ მივწოლილიყავი... გამთენიისას, თვალი გავახილე და ფანჯარაში გავიხედე — სადგური „ოჩხუმარი“ აწერია. სანამ აზრზე მოვედი და ცოტა გამოვფხიზლდი, დაიძრა კიდეც მატარებელი. იმ გოგოს მშვიდად სძინავს. ნელ-ნელა გავაცნობიერე, ხელი რომ არ დამიკარებია, თანაც, ბათუმამდე ნახევარი საათია დარჩენილი. უეცრად გაიღვიძა ჩემმა „ლომმა“ და რომ ვეცი მძინარეს... იცი, რამდენიმე ხნის შემდეგ, რუსული ფილმი გამოვიდა ეკრანებზე — „Вокзал для двоих“, სადაც ლუდმილა გურჩენკო და ნიკიტა მიხალკოვი ვაგონის კუპეში სახელდახელო სიყვარულს მიეცემიან. აი, ზუსტად ასე დამემართა. ისეთი სისწრაფით „ვიშრომე“, ახლაც მრცხვენია *(იცინის)*...

— ახლა, მძაფრსიუჟეტიანი ამბავი მომიყევი.

— მე-10 კლასში ვსწავლობდი და ჩელიაბინსკში გაგვაგზავნეს „თემურელთა“ შეკრებაზე (ხომ გახსოვთ, ასეთი პიონერული მოძრაობა?). თბილისელების ჯგუფში ერთადერთი ბიჭი ვიყავი, რვა გოგოსთან ერთად. ჩვენს გოგონებს ვმეურვეობდი, რასაკვირველია. მაგრამ მატარებელში ერთი რუსი გოგო შევამჩნიე, პერანგის ამარა იყო. სათვალეს ატარებდა — ცოტა „კასო“ თვალები ჰქონდა, — მაგრამ ძალიან უხდებოდა... ბოლოს, ამ გოგომ ბებიის ტელეფონის ნომერი მომცა — თურმე სწორედ ბებიასთან მიემგზავრებოდა. ჩავედი ჩელიაბინსკში და ბიჭოს — ქალების ცვენაა! მგონი, მეც დამიელმდა თვალები, აღარ ვიცი, რომელ ერთს შევხედო. მაგრამ საქმე ის არის, რომ მაინც ის გოგო მიდგას თვალწინ... დავურეკე. შევხვდით და 3-4 საათი ვისეირნეთ. შემეძლო, სასტუმროში მიმეყვანა, მაგრამ რატომღაც არ ვისურვე — რომანტიკულ განწყობაზე დავდექი იმ დღეს. შემდგომი დღეებიც ასე გაგრძელდა. დავბრუნდი თბილისში და

კარგა ხანს, მიმოწერაც გვქონდა მე და ანიას. ამასობაში, კიდეც გათხოვდა, კიდეც გაეყარა ქმარს, მერე ვიღაც მეგობარი ჰყავდა და მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად. ორი-სამი წლის შემდეგ, მოსკოვში ჩავედი უნივერსიტეტის მომღერალთა გუნდთან ერთად. ჩუკოტკელი გოგონა გავიცანი, რომელიც მოსკოვში სწავლობდა, ტარასოვკის სასწავლებელში. იმ საღამოს, კარგად ვიქეიფეთ და მეორე დღეს, პაემანი დავუნიშნე. გამოვეწყვე და ველოდები, მაგრამ არ მოვიდა. არადა, მე ხომ ვიცი, სად სწავლობს?! შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი და გადავწყვიტე, „ტარასოვკაში“ წავსულიყავი, მის თვალებში ჩამეხედა და გამეგო მიზეზი. საღამოს რვა საათზე მივადექი გოგონათა საერთო საცხოვრებელს. არადა, მხოლოდ სახელი ვიცი. კომენდანტთან მივედი და – გინდა თუ არა, რიტა უნდა ვიპოვო-მეთქი, – გამოვუცხადე. უზარმაზარი საერთო საცხოვრებელი იყო. დაქრიან გოგონები და მგონია, რომ ჰარამხანაში მოვხვდი. მე კი მხოლოდ რიტას ვეძებ. გამორიცხვის მეთოდი გამოვიყენე, რადგან ბევრი რიტა აღმოჩნდა. ზოგი მათგანი მეუბნება: რად გინდა ის რიტა – მე აგერ არა ვარო?!. გადავრიე: ზოგი, აბაზანიდან გამოსული, შილიფად ჩაცმული იყო, ზოგი – მოკლე ხალათით დარბოდა, მაგრამ ქართული სიჯიუტით, მხოლოდ იმას ვეძებდი... ვერ ვიპოვე... ღამის პირველი საათია, სადგურამდე ფეხით უნდა ვიარო ტყე-ტყე. ძლივს მივუსწარი მატარებელს... მეორე დღეს, რიტაზე გაბრაზებულმა, ანიას დავურეკე, რომელიც უკვე მოსკოვში ცხოვრობდა იმ თავის მეგობართან. რიტას ჯიბრზე, „ტარასოვკაში“ დავუნიშნე ანიას პაემანი. სადგურთან ქართულ რესტორანს მოვკარი თვალი და იქ „შევუბერეთ“, მაგრამ ამ გოგოს ისე თხლად ეცვა, რომ მის მაგივრად მე მციოდა. თურმე არა აქვს მეტი და რა ქნას?! მოვახურე ჩემი პიჯაკი. მოგვიანებით, სასტუმროში დავბრუნდით. შამპანური მაქვს და აქტიურ მოქმედებაზე გადავედი. არადა, გულწრფელად გეტყვი – ჯერ კიდევ „ვაჟიშვილი“ გახლავარ. ეს კიდევ, მეუბნება – იმდენად დაღლილი და გამოფიტული ვარ, ვერანაირ სიამოვნებას ვერ მოგანიჭებო... მე მაინც ვაგრძელებ ჩალიჩს. ბოლოს მეუბნება: კი, ბატონო – „ტრუპი“ თუ გინდა, აგერ ვარ, მაგრამ „ტრუპთან“ არ გირჩევ, კარგად დაფიქრდიო... მერე ამოიღო პრეზერვატივების შეკვრა და მაძლევს. იცი, რა დამემართა? რომ დამარტყა ტვინში... კავკასიელი კი ვარ, მაგრამ ღორი კი არა ვარ-მეთქი!.. აი, ასე, დილამდე ვილაპარაკეთ... მეორე დღეს, უკვე საქართველოში ვბრუნდებოდით, მაგრამ ფული მქონდა დარჩენილი; ამოვიღე და 25-მანეთიანი ვაჩუქე: ვხედავ, მატერიალურად გიჭირს და გასესხებ-მეთქი... იმან ჩვენი გაცილება მოინდომა. ტაქსით წავედით ვაგზალზე. ანიამ ბაზართან გააჩერებინა მანქანა: პატივისცემის ნიშნად, თეთრი ყვავილები უნდა გიყიდოო... ერთი სიტყვით, ასე დავშორდით. ბიჭებს ერთი სული აქვთ, გაიგონ, როგორ ჩაიარა ღამემ. მე კი ვუთხარი: სიამაყით შემიძლია განვაცხადო, რომ ჩემში ცხოველურ ინსტინქტს ვძლიე-მეთქი...

— **აბა, ძალიან დაუჩაგრიხარ რუს გოგონებს...**

– პურიტანულად გაზრდილი კაცი ვარ და ამის ბრალია...

— **რამდენადაც ვიცი, ხაშურში დაიბადე და გაიზარდე. პურიტანულად ხაშურში ზრდიან ბავშვებს?**

– დიახ, ხაშურში. იცი, წლების შემდეგ, ერთ დასკვნამდე მივედი: ჩემი აზრით, ქალს სწორედ ის ამბავი ამშვენებს, რომელსაც ის დაატარებს – ჰო, ყველას ეტყობა საკუთარი ამბავი. აი, ბარბრა სტრეიზანდი ხომ შეუხედავი ქალია, მაგრამ იმდენად სექსუალურია, რომ... მას სახეზე აწერია თავისი ამბავი...

— **ისე ჰყვები, თითქოს გუშინწინ იწექი ბარბრა სტრეიზანდთან...**

– არა, სამწუხაროდ, არ ვყოფილვართ ერთად, თუმცაღა, სიამოვნებით გავატარებდი მასთან ღამეს. არადა, თუ კარგად მიიხედ-მოიხედავ, შეიძლება, შენს ქუჩაზეც ცხოვრობდეს ბარბრაზე ცხრაჯერ უკეთესი ქალი, მაგრამ იმას „პრომოუშენს“ არავინ უკეთებს... ასე რომ, ისევ შენი ქვეყანა და ახლომახლო ქუჩები ჯობია... საერთოდ, რაც მეორედ დავქორწინდი, ათი წელია, პატიოსნად ვცხოვრობ.

— **ვითომ?**

– ნაღდად. კარგად გვაქვს აწყობილი ურთიერთობა და გარეთ დასახარჯი ძალა აღარ მრჩება *(იცინის)*...

— **კარგი, მაშინ ადრინდელი ამბები გააგრძელე.**

– ტელევიზიაში რომ ვმუშაობდი, თანამშრომელმა (გაგიმხელ ბარემ – ჩემმა ნაშამ) თბილისთან ახლოს მდებარე დასასვენებელ სახლში წაყვანა მთხოვა. მაშინ მანქანა მყავდა. საქმე ის არის, რომ იმანაც იცის, მე რომ მინდა და მეც ვიცი, იმას რომ უნდა... საღამო ხანს, მივუსხედით სუფრას, მაგრამ ვგრძნობ, რომ მის დაქალსაც „რაცხა“ უნდა. ბედნიერია – ცოცხალი ზაზა ალექსიძე ნახა და ცდილობს, ჩემი ყურადღება მიიპყროს. მაგრამ თავის ძმასთან ერთად არის და არ მინდა, რამე ვაკადრო... სუფრასთან კიდევ ორი, ასე, 22-23 წლის გოგო იჯდა. ჩემი ნაშა ხომ მყავს, მაგრამ იმ გოგონებსაც დავადგი თვალი... მოკლედ, სამივეზე „ვმუშაობ“. ვამჩნევ, აშკარად სწყინს იმას. მოგვიანებით, სუფრა აალაგეს. მამაკაცებს ცალკე უნდა დაგვეძინა, ქალებს – ცალკე. იმას კი ვურჩიე – შენს ძმას მიხედე, მე თავი დამანებე-მეთქი... წამოვწექი და ჩემი ნაშა თავის მოსაწესრიგებლად გავიდა. ნასვამი ვარ და ამასობაში, კი ჩამეძინა... დილის 6 საათზე გამეღვიძა. ყველას სძინავს. აუ – მამაკაცურ ღირსებას როგორ შევირცხვენ?! ეს რა დამემართა-მეთქი?! გავაღვიძე ჩემი ნაშა და შევუდექი „საქმეს“...

— **კი, მაგრამ ჩემთან ერთად სხვებიც იყვნენ ოთახშიო, — თქვი და მათი თანდასწრებით შეუდექი „საქმეს“?**

– იმათ ეძინათ და ვერაფერი გაიგეს... მერე ჩემი ნაშა მეუბნება: ჩადი, მანქანაში დამელოდე, ჩამოვალ და გავაგრძელოთო... გავგიჟდი – ვზივარ და არა და არ ჩანს. „პახმელიაზე“ ვიყავი და ისევ ჩამეძინა. დილის რვის ნახევარზე ჩამოვიდა.

— **მერე, გააგრძელეთ მანქანაში?**

– არა, თავი მისკდებოდა. თან, მანქანაში სექსი არ მომწონს.

— **იმ ქალს, ძალიან რომ მოეწონე, მერე თუ შეხვდი?**

– არა. მხოლოდ მისი მოწონება არ იყო საკმარისი...

— **მაშინ, შენი მოწონებული ქალის ამბავი გაიხსენე.**

– ტყვარჩელში ჩავედი, მეშახტეთა დღეზე ტელეგადაცემას ვამზადებდით. ეს ჩემი პირველი დიდი გადაცემა იყო და მინდოდა, რომ მაქსიმალურად მობილიზებული ვყოფილიყავი. შესანიშნავ პირობებში ვართ. გადაღებები დავამთავრეთ და იმ საღამოს გაწვიმდა. ერთი ქალის მზერას კი ვგრძნობ, მაგრამ მაინც უკარებას თამაშობს სხვების დასანახად, თუმცა პრინციპში, უარზე არ არის. წავედით სასეირნ-

ნატურალური და ეფექტური ვიტამინური კომპლექსები კომპანია „შიფ“-ისაგან

საუკეთესოა მათთვის, ვისაც მეტი სურს!

მის: ილია ჭავჭავაძის გამზ. 41 (ვაკის პარკის პირდაპირ), ვიტამინ-ცენტრი „ჯეოვიტი“
☎ 29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56

სიამაყით შემიძლია განვაცხადო, რომ ჩემში ცხოველურ ინსტინქტს ვძლიე-მეთქი...

ოდ. ნაწვიმარია, მაგრამ რაღაც ხომ უნდა მოვახერხო?! არც ვაციე, არც ვაცხელე – ბუჩქებში გადავინაცვლეთ...

— სექსი ტალახში, ვითომ, საინტერესოა?

– რაც მეცვა, მიწაზე დავაფინე და არა უშავს რა – როგორღაც მოვეწყვეთ... ბოლოს, რომ წამოვდექი, მუხლები სულ გამწვანებულ-გატალახიანებული მქონდა, დაფენილი ტანსაცმელიც – ტალახში ამოსვრილი, მაგრამ მაინც საინტერესო იყო. უფრო საინტერესო კი ის იყო, რომ მითხრა – აქამდე მეგონა, ქალიშვილი ვიყავიო... თურმე, რამდენჯერმე კი ჰქონდა მამაკაცთან ურთიერთობის მცდელობა, მაგრამ საქმე ბოლომდე არავის მიაყვანინა, შიშის გამო... მერე იცოცხლე, იძახდა – აწი, მე ვიციო *(იცინის)*!.. იქიდან დავბრუნდი სასტუმროში და ჯანზე მოსულმა, ნუგზარ ერგემლიძეს...

— ...რა? არ გადამრიო ახლა!..

– ნუგზარ ერგემლიძეს „სეკაში“ 27 მანეთი მოვუგე... ეს კი არა, ხოსტაში ვიყავი მეგობრებთან ერთად. ორი ნაშა გავჩითე – მოსკოველი გოგოები. საღამოს კარგად მოვულხინეთ. იმ ბარში, ძირითადად, ქართველები იკრიბებოდნენ. შემოვიდა ორი დაკუნთული ოსი. ცოტა ხანში, აუშარდნენ ქართველებს და დაიწყო მუშტი-კრივი. მე გამშველებლის როლში აღმოვჩნდი... თითქოს დაწყნარდნენ ის ოსები და მე და ჩემი ნაშებიც წამოვედით. კარგად ნასვამი ვარ. მოვდივარ და უცებ, ბუჩქებში იმ ოსებმა არ გაიშლიგინეს?! რატომ ამომიჩემეს, ვერ გავიგე... ახლა, შუა გზაზე „დაიკუნთნენ“. მარტო ვარ და „სერიოზულად“ მირტყამენ... ამასობაში, მილიციაც მოვიდა. მივიხედ-მოვიხედე და ის გოგოები აღარ ჩანან. მილიციაში წამიყვანეს, გაქცეული ოსების შესახებ ჩვენება ჩამომართვეს და გამთენიისას დავბრუნდი სასტუმროში. იმ გოგოებზე ვარ მაგრად განაწყენებული – როგორ მიმატოვეს-მეთქი?! ხომ ვიცოდი, სად ცხოვრობდნენ და თავზე წამოვადექი. თურმე უკვე მიემგზავრებიან. მეც გავაცილე ვაგზალზე, ვფიქრობ – სოჭამდე გავყვები, ასე მაინც არ გავუშვებ-მეთქი... მართლაც, გავყევი. სოჭამდე სულ ნახევარი საათის გზაა ხოსტიდან.

— გეყო ნახევარი საათი? გოგო ხომ ორი იყო...

– კი, დროში „ჩავეტიე“. სხვა რა გზა მქონდა?! სულ არაფერს, ისევ სისწრაფე ჯობდა *(იცინის)*... რუსებიც მარჯვეები არიან... სხვათა შორის, ყველა მახსოვს, ვისთანაც კი ურთიერთობა მქონია და სიაც კი მაქვს ჩამოწერილი, პირველიდან დღემდე.

— ზაზა, როგორც ჩანს, მატარებელს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შენს ცხოვრებაში, არა?

– არა, მაგრამ ასე იყო და ტრანსპორტის სახეობის შეცვლას რა აზრი აქვს?! ვინ მოვატყუო – შენ თუ საკუთარი თავი?!.

— მართალია, ანიასა და რიტასთან მაგრად იწვალე, მე მაინც ვერ გავიგე, პირველი ქალი რომელი იყო?

– ბულგარეთში „დავვაჟკაცდი“. დასასვენებლად ვიყავი წასული და იქ მოხდა ეს ამბავი. ბულგარელებს ერთი ასეთი ცეკვა აქვთ: წრედ დგებიან, უკრავს მუსიკა; შუაში დგება კაცი ან ქალი, ბაღდადის მსგავსი, დიდი ქსოვილი უკავია ხელში; დადის წრეში ეს მოცეკვავე და ვისაც შემოახვევს ქსოვილს, ის უნდა გაეცეკვოს, მერე ორივენი დაიჩოქებენ მუხლებზე და ერთმანეთს ტუჩებში კოცნიან – რა თქმა უნდა, ბაღდადგადაფარებულები. ფანტასტიკური გიდი გვყავდა, ულამაზესი გოგო იყო. ბაღდადის ქვეშ მასთან ერთად მოვხვდი. ვაა, რა საინტერესო წესი ჰქონიათ-მეთქი, – და დავეძგერე ტუჩებში, მაგრამ ტუჩებს არ ხსნის... რაღაცნაირი, რძისფერი ქალი იყო. თურმე იქვე, მაგიდასთან მისი ქმარი იმყოფება. ორივე სიცილით დაიხოცა ჩემს საქციელზე: მიხვდნენ, გამოუცდელი რომ ვიყავი... ეს პირველი „სერიოზული“ კოცნა იყო ჩემს ცხოვრებაში. მერე პიონერთა ბანაკში წაგვიყვანეს შეხვედრაზე. პიონერთა ხელმძღვანელი ძალიან მომეწონა, გულამოჭრილი კაბიდან, მადის აღმძვრელად მოუჩანდა მკერდი. თვალს არ ვაშორებ. შეამჩნია, რასაკვირველია, ჩემი ინტერესი და თავად გამოიჩინა ინიციატივა... მერე განვმარტოვდით. დამიჯერე – 17-18 წლის ბიჭი ვარ და არ ვიცი, ბავშვი საიდან ჩნდება...

— როგორ, ხაშურში არ გასწავლეს?

– არა, ამ სფეროში არანაირი განათლება არ მქონდა მიღებული. მაშინ, არც ლიტერატურა არსებობდა, რომ რაღაც მაინც მცოდნოდა. რა ვქნა – გულს ბაგაბუგი გააქვს, ვგრძნობ, სასწაული უნდა მოხდეს, მაგრამ куда что входит и что как – ბაიბურში არ ვარ... იმ პერიოდში ჩემი ძმა როსტოვში სწავლობდა. ჩავდიოდი ხოლმე მასთან, ოღონდ, ერთხელაც არ მოსვლია აზრად, სადმე წავეყვანე და გავენათლებინე. ძმა ხარ, წამიყვანე, რა, შე დალოცვილო *(იცინის)*!.. ერთი სიტყვით, ჩემს ოთახში განვმარტოვდით. ინტუიცია კი მკარნახობს რაღაცას, ეს პიონერთა ხელმძღვანელიც მეხმარება, მაგრამ მტკივა, კაცო!.. თან, არ ვიცი, რომ ფრიქციაა საჭირო – მოძრაობა. „ბრევნოსავით“ ვაწევარ ამ ქალს და მეტი არაფერი... მგონი, ასე გაშეშებული რომ ვიყავი, ფეხები მეტკინა და ოდნავ ჩავცურდი. ბიჭოს – მომეწონა ეს მოძრაობა, როგორც იქნა, მივხვდი, რაც უნდა გავაკეთო და რომ მივაჭირე „პედალს“, ეგრევე 180 კმ/სთ სიჩქარით განვავითარე მოძრაობა.

— მერე რაო, ბულგარელმა პიონერთა ხელმძღვანელმა რა გითხრა?

– იცინოდა, სიტუაციამ გაახალისა. ვუთხარი კიდეც: მორჩა, ქალს აღარასოდეს გავეკარები – ეს რა მტკივნეული და სატანჯველი რამ ყოფილა-მეთქი?! – გიჟი ხომ არა ხარ?! – ქალზე უარი არასოდეს თქვა; ნუ გეშინია – ყველაფერი კარგად იქნება, დაიმახსოვრე ჩემი სიტყვებიო, – მითხრა. ორი დღის შემდეგ მოვემგზავრებოდით თბილისში და ბოლო ღამეც პიონერთა ხელმძღვანელთან ერთად გავატარე. წესიერი ბიჭი ვარ და დავუჯერე. ხომ მითხრა – ქალზე არასოდეს თქვა უარიო?! იმის შემდეგ, 21 წელი გავიდა და დღემდე მიმოწერა გვაქვს...

■

ნდობის ტელეფონი
კონსულტაცია
ინტიმი (18 წლიდან)
☎822 009 005
„ბაგთი“, „ჯეოსელი“,
„ჭეგაკომი“ – 0,70 ლ.
თბილისი – 0,45 ლ.
რაიონები – 0,65 ლ.

საყვარელი ქალისთვის ჩადენილი გმირობა, საყვარელი მამაკაცისთვის გაღებული მსხვერპლი — ეს ცნებები, კონკრეტული ამბებითა და სახეებით გაჯერებული, ყველასათვის ნაცნობია ისტორიიდან, ხალხური ეპოსიდან, ლიტერატურიდან თუ კინოეკრანიდან და ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ ისეთი მოვლენები მხოლოდ წარსულში დარჩა და სრულიად უცხოა დღევანდელობისთვის. მაგრამ მოდით, დავფიქრდეთ — განა მართლა ასეა? იქნებ, სიყვარულისთვის ჩადენილი გმირობა დღეს მხოლოდ სახეცვლილი წარმოგვიდგება და ხშირად, ერთჯერადი აქტის სახით კი არა — ყოველდღიურობაში „ჩაკარგული“, საყვარელი ადამიანისთვის გაწეული თავგანწირვის ფორმით ვლინდება? თავად განსაჯეთ...

სიყვარულისთვის თავგანწირვა

ლელა ჭანკოტაძე

ხვიჩა კირკიტაძე:

— მე და ნანას ერთმანეთი ბავშვობიდან გვიყვარდა. სკოლაში პირველად რომ შევდგი ფეხი, იმ დღიდან შემიყვარდა მისი გრძელი თმა და ღია თაფლისფერი თვალები. ყოველთვის მიყვარდა: ხან როგორც თანაკლასელი, ხანაც — მეგობარი. ბოლოს, მასში ჩემი ოცნების ქალი აღმოვაჩინე. მეათე კლასს ვამთავრებდით, სიყვარულში რომ გამოვუტყდი. მეც მიყვარხარო, — მითხრა და მაშინვე, მთელმა კლასმა გაიგო ამის შესახებ. მერე, მე მოსკოვში წავედი სასწავლებლად, ნანა თბილისში დარჩა. სამი წლის განმავლობაში ერთმანეთს მხოლოდ ტელეფონით ვესაუბრებოდით. თანდათან, აუტანელი ხდებოდა განშორება. ბოლოს გადავწყვიტე, საბუთები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადმომეტანა, მაგრამ არაფერი გამომივიდა. სწორედ მაშინ გავიცანი ლუდა. ის საჭირო ცნობების შეგროვებაში მეხმარებოდა. ვგრძნობდი, რომ მოვწონდი და მეც სიმპათია მიჩნდებოდა მის მიმართ. ჩვენი ურთიერთობა იმით დასრულდა, რომ მან ნანა დამავიწყა. მერე შვილიც გამიჩინა და... მიმატოვა კიდეც. სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი, რვა თვის ბავშვით ხელში მარტო რომ დავრჩი. რა თქმა უნდა, თბილისში დავრეკე და დედაჩემს ვუთხარი: მიშველეთ, თორემ, თავს მოვიკლავ-მეთქი. მეორე დღეს, ნანამ დამირეკა: გავიგე შენი ამბავი, თუ გინდა ჩამოვალ და ბავშვს მივხედავო. უარი ვუთხარი — მისგან ასეთ მსხვერპლს ვერ მივიღებდი. თანაც, ლუდას დაბრუნების იმედი მქონდა... დედამ ჩამომაკითხა. ერთი თვე ჩემთან დარჩა. მერე კი, პატარა სანდროსთან ერთად, თბილისში დაბრუნდა.

— **ლუდა არ გამოჩნდა?**

— არა. რამდენიმე თვეში გავიგე, რომ გათხოვილა. ჩვენი გზები სამუდამოდ გაიყარა... სწავლის დასრულების შემდეგ, საქართველოში დავბრუნდი. სანდრო უკვე წლისა და სამი თვის იყო. მშობლები მთხოვდნენ — ცოლი შეირთეო. — და ცხადია, სასურველ კანდიდატურებს შორის, პირველ რიგში, ნანას ასახელებდნენ. გავჯიუტდი. მისი დაბრუნება აღარ მინდოდა. მასთან თავს დამნაშავედ ვგრძნობდი, თან, მაშინ ჯერ კიდევ ლუდა მიყვარდა, მიუხედავად იმისა, რომ მიმატოვა, მაინც ვერ ვივიწყებდი... მერე დედა დამელუპა — ავტოკატასტროფაში მოყვა. საშინელ დღეში ჩავვარდი. იძულებული გავხდი, ცოლი შემერთო, ნათესავებმა ერთი სოფლელი გოგო გამირიგეს. ცხოვრება არ ამეწყო: სამსახური ვერ ვიშოვე, მატერიალურად გამიჭირდა; მოულოდნელად, ბავშვიც ავად გამიხდა. საავადმყოფოში რომ დავაწვინე, არ ვიცოდი, მკურნალობისთვის საჭირო ფული საიდან უნდა მომეტანა... მეორე კვირა მიდიოდა. სანდრო ისევ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. მე კი ფულს ვერ ვშოულობდი, მკურნალობის ხარჯები რომ დამეფარა. ალბათ თავს მოვიკლავდი, მშველელად ნანა რომ არ მომვლენოდა: მოვიდა და ხუთასი ლარი დამიტოვა. უარი არ მითქვამს, რადგან ფული ძალიან მჭირდებოდა. ვგრძნობდი, რომ ღორულად ვიქცეოდი, მაგრამ მეტი გზა არ მქონდა... ნანამ თავისი ტელეფონის ნომერიც დამიტოვა, თან მითხრა: ფული ჩემთვის პრობლემა არ არის, კარგი სამსახური მაქვს, როცა დაგჭირდები, დამირეკეო. ავადმყოფობის შემდეგ, სანდრომ სიარული ვეღარ შეძლო. ექიმებმა მითხრეს: საზღვარგარეთ უნდა წაიყვანოთ, რთული ოპერაცია სჭირდებაო. აღელვებული, ნანასთან მივედი.

— **მასთან რატომ მიხვედი?**

— ვინმესთან დალაპარაკება მინდოდა. ნანაზე უკეთ ვერც ვერავინ მომისმენდა და არც არავინ მიიტანდა გულთან ახლოს ჩემს გაჭირვებას... შინ მარტო იყო. ყველაფერი დაწვრილებით გამომკითხა. ბოლოს კი მითხრა: გპირდები, შენს შვილს აუცილებლად გავაგზავნით გერმანიაშიო. პირობა შეასრულა. სამ თვეში ყველაფერი მოამზადა. სპონსორიც იშოვა და იმ საავადმყოფოში, სადაც მსგავსი ოპერაციები კეთდებოდა, სანდროს მონაცემებიც გაგზავნა... 2000 წლის 15 ოქტომბერს, ჩემი შვილი ნანასთან ერთად გერმანიაში გაფრინდა.

— **ნანა რატომ წაჰყვა?**

— ჩემი ცოლი ხუთი თვის ფეხმძიმე იყო, ამიტომ სანდროს ვერ გაჰყვებოდა, მე კი ორსულ ცოლს ვერ მივატოვებდი.

ნატურალური და ეფექტური ანტივირუსული და ანტიბაქტერიული საშუალება.

შეიცავს იმუნოგლობულინს IgG!

• კურნავს • ათავისუფლებს • იცავს

მის: ილია ჭავჭავაძის გამზ. 41 (ვაკის პარკის პირდაპირ), ვიტამინ-ცენტრი „ჯეოვიტი“
☎ 29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56

თანაც, დარწმუნებული ვიყავი, რომ ნანა ჩვენზე უკეთ მოუვლიდა ბავშვს... აი, ასე დაბრუნდა ნანა ჩემს ცხოვრებაში. ყოველ მეორე დღეს მირეკავდა და ბავშვის ამბავს მატყობინებდა. სანდროს ორი ოპერაცია დასჭირდა. გერმანიაში რვა თვე დაყო. ამასობაში, ჩემმა ცოლმა იმშობიარა. გოგონა შეგვეძინა. მე კი გავბოროტდი. ჩემს გულში ნანას სიყვარულმა ახალი ძალით იფეთქა. არ ვიცოდი, რა მექნა.

— ცოლი არ ეჭვიანობდა?

— რა თქმა უნდა!.. როცა ნანამ დარეკა და მითხრა — ხვალ მოვფრინავთო, — მთელი ღამე თეთრად გავათენე. ჩემს ცოლსაც არ სძინებია. მეკითხებოდა: რა უნდა ვქნა, როგორ უნდა მოვუარო ორ ბავშვს — ჩვილს და ნაოპერაციებსო? მისი კარგად მესმოდა. არ აღიარებდა, თორემ, სანდრო მისთვის ზედმეტი ტვირთი იყო... აეროპორტში სასწაულის მომსწრე გავხდი: ნანას ჩემი ბიჭი ხელში აყვანილი მოჰყავდა — არადა, სანდრო უკვე ექვსი წლის ხდებოდა და ნანა ძლივს ერეოდა. რომ მომიახლოვდა, ბავშვი ფეხზე დააყენა და ხელი მაგრად ჩასჭიდა. სანდრო ცდილობდა, ჩემკენ წამოსულიყო. ემოციებისგან ტირილი დავიწყე. ჩემი ბიჭი სიარულს შეძლებდა. განა ნანას მხრიდან, ის, რაც გააკეთა, გმირობა არ იყო?! მთხოვა: ნება დამრთე, ბიჭი ჩემთან წავიყვანო, მას განსაკუთრებული მოვლა სჭირდებაო. უსიტყვოდ დავთანხმდი... სანდრომ ნანასთან ათი თვე იცხოვრა. ყოველდღე მივდიოდი მის სანახავად. ზოგჯერ ცოლისგან მალულად, ზოგჯერ — მისი წინააღმდეგობის მიუხედავად... გავიდა დრო და შევამჩნიე, რომ ნანა ჩემთან შეხვედრას გაურბოდა, ცდილობდა, შინ არ დამხვედროდა. ერთ დღეს კი, ჩემთან მოვიდა. კარი რომ გავაღე, კინაღამ გული წამივიდა. ცხოვრებაში პირველად ამიკანკალდა ფეხები. შემოვიდა. სახლი თითქოს განათდა... ჩემმა ცოლმა მოულოდნელობისგან ფერი დაკარგა. ნანამ გვითხრა: დროა, სანდრო თქვენთან დაბრუნდეს, მას ძიძა მიხედავს; არაფერი მოაკლდება. მე კი, საკუთარ ცხოვრებაზე უნდა ვიზრუნოო. — რას აპირებო? — ჩაეძია ჩემი ცოლი. — გუშინ დავინიშნე, ქორწილისთვის ვემზადები და სანდროს მოსავლელად დრო აღარ მექნებაო... მივხვდი, რომ საბოლოოდ ვკარგავდი... მთელი დღე საკუთარ გულს ვასკდებოდი, საღამოს კი, შინ მივუვარდი. სახე და ხელები დავუკოცნე, ვემუდარებოდი: მიყვარხარ, ნება მომეცი, შენ გვერდით ვიცხოვრო-მეთქი. ფრთხილად მომიშორა: შენი სიყვარული ფულით დავიბრუნე, სანამ არ დაგჭირდი, ვერ მიხვდი, რომ ნამდვილად გიყვარდიო, — მითხრა. ბოლოს კი დაამატა: ყველაფერი ჩემი სიყვარულისთვის გავაკეთე; თუ ოდესმე დაგჭირდება, შენთვის სიცოცხლესაც გავიღებ; ახლაც, იმიტომ გტოვებ, რომ შენთვის ასე სჯობს, ისეთი ცოლი გყავს, ვინც უსახსრო, უიმედო და ხელჩაქნეული შეგიყვარა, ვინც მოგივლის, გაგაღმერთებს და ყველაფერს გაპატიებსო... ერთმანეთს რომ ვემშვიდობებოდით, ვტიროდი. ის კი მეუბნებოდა: ისეთი არაფერი ჩამიდენია, ამდენ ცრემლად რომ ღირდესო. მეტი რა უნდა გაეკეთებინა? — მან ხომ, სიყვარულის გამო, გმირობა ჩაიდინა... არ ვიცი, როგორ აეწყობა ჩემი ცხოვრება, ერთ რამეში კი, დარწმუნებული ვარ: ვერავინ შეძლებს ისე შემიყვაროს, როგორც ნანას ვუყვარდი. ერთი რამ ვერ გამიგია: რით დავიმსახურე ასეთი სიყვარული?!.

ნუცა მჭედლიშვილი:

— იმ ბიჭის შესახებ უნდა გიამბოთ რომელმაც ჩემ გამო, ჩვენი სიყვარულის გამო, სიცოცხლე გაწირა. კოკა რატიანს თბილისელთა უმეტესობა იცნობდა. ის ყველას უყვარდა, ყველას მეგობარი და გულშემატკივარი იყო... როცა გული გადამიშალა და მითხრა — მიყვარხარო, — თავი ყველაზე ბედნიერ ქალად ჩავთვალე. მაშინ 18 წლის ვიყავი... 1990 წელი იყო. 27 დეკემბერს, კოკას დაბადების დღე ჰქონდა. მთხოვა: ეს დღე ჩვენთვის დაუვიწყარი უნდა გახდესო. დილიდან ერთად ვიყავით. მის მეგობრებს ვსტუმრობდით — ხან ერთს, ხან — მეორეს. კოკა ბუნებით უცნაური ბიჭი იყო, ამიტომ ასეთი საქციელი მისგან არავის გაჰკვირვებია... ერთი სიტყვით, იმდენი ვიარეთ და იმდენ ადგილას ვიყავით, რომ მოსაღამოდა თუ არა, ვთხოვე: შინ წამიყვანე-მეთქი. თოვა დაიწყო. მე და კოკამ ფეხით გავლა გადავწყვიტეთ. ლესელიძის კუთხესთან ორმა ბიჭმა გზა გადაგვიღობა. საშინლად ბნელოდა, მაგრამ მაინც დავინახე მათი საშინლად დაკვესილი თვალები. იმწუთასვე კანკალმა ამიტანა. ერთ-ერთმა თქვა: ბევრი ბაქიბუქი საჭირო არ არის — გაიხადეთო. კოკა ამას არ იზამდა. ატყდა ჩხუბი. კოკა იძახდა: გოგოს ხელი არ შეახოთ, თორემ დაგხოცავთო! ისინი ორნი იყვნენ, თანაც — შეიარაღებულები; რომ მიხვდნენ, მუშტით ვერაფერს გახდებოდნენ, დანები გამოაჩინეს. კოკა მაშინვე ამეფარა. ამას რომ გახადოთ, მე უნდა მომკლათო, — თქვა. ალბათ ფიქრობდა, რომ ვერ გაიმეტებდნენ. ისინი ნამდვილი მკვლელები იყვნენ. მაშინ ისეთი დაძაბულობა იყო ქალაქში, დახმარებას არავისგან ველოდი, მაგრამ ერთმა კეთილმა ქალმა ფანჯარა მაინც გააღო და მთელი ხმით აკივლდა: უშველეთო! ცხადია, მეც ვკიოდი. თავდამსხმელები ამის გამო განრისხდნენ. კოკას დანა ისე გამოუსვეს მუცელში, რომ თვალიც არ დაუხამხამებიათ. მაინც არ დაეცა, უბრალოდ, დაიგმინა, ის ბიჭები გაიქცნენ, რადგან ვიღაც კაცის ხმა გაისმა: დაგხოცავთ, თქვენიო!.. მათ შესაშინებლად ალბათ ვიღაცამ ეზოდან დაიყვირა... რამდენიმე წამში, კოკაც დაეცა. ხალხიც მოგვეშველა. ვიღაცამ მანქანაც მოიყვანა. სანამ საავადმყოფოში მივიდოდით, კოკას გონება არ დაუკარგავს. ზურგით ჩემზე იყო მოყრდნობილი და ხელზე ხელს მისვამდა. ბოლოს მითხრა: დამპირდი, რომ არასდროს შეიყვარებ ისეთ კაცს, ვინც შენს დაცვას ვერ შეძლებსო... ამის შემდეგ, კიდევ ოცი წუთი იცოცხლა. ჩემთვის მისი საქციელი, რა თქმა უნდა, გმირობის ტოლფასია. შეიძლება, ვიღაც ასე არც ფიქრობდეს. მაგრამ მე მიმაჩნია, რომ კოკას მიერ ჩადენილი უკანასკნელი გმირობა ჩემთვისაც უკანასკნელი აღმოჩნდა: ალბათ ვერასდროს შევხვდები კაცს, რომელიც ქალის სიყვარულსა და ღირსებას საკუთარ სიცოცხლეზე მაღლა დააყენებს..

მადონა ურუტაძე:

— ჩემი რძლის შესახებ მინდა გიამბოთ. მას ლანა ჰქვია. თბილისელია. არაჩვეულებრივი ადამიანია. უფრო დიდი გული შეუძლებელია, ვინმეს ჰქონდეს... ყველაფერი ამ ათი წლის წინ დაიწყო.

ჩემმა ვაჟმა ცოლი შეირთო. ამ ამბით ყველანი ბედნიერები უნდა ვყოფილიყავით, რადგან იმ გოგონაზე დაქორწინდა, რომელიც ბავშვობიდან უყვარდა, მაგრამ ჩვენ სარძლოდ სხვა მოგვწონდა. ის სხვა გოგო ლანაა. ვიცოდით, რომ ლანას გია მთელი გულით უყვარდა... რაღას ვიზამდით? — ოჯახი შეიქმნა. ახალგაზრდებს ხელი შევუწყვეთ, რომ ერთმანეთი უფრო მეტად შეჰყვარებოდათ. ასე გავიდა სამი წელი. ერთ ავბედით დღეს კი, ჩვენს ოჯახში უბედურების ზარმა ჩამოჰკრა. გია სოფელში წავიდა. მისმა ბიძაშვილმა სახლი ააშენა და ახალ სახლში გადასვლის აღსანიშნავად წვეულებას მართავდა. რძალმა წასვლაზე უარი თქვა: მგზავრობა მღლის, დარჩენა მირჩევნიაო, — თქვა. გია დაგვპირდა — ხვალ ჩამოვალო. რას ვიფიქრებდით, თუ მისი გზა ხიფათიანი აღმოჩნდებოდა? მოგეხსენებათ, სოფლებში ორსართულიან სახლებს აშენებენ. შეზარხოშებულ სტუმრებს უთქვამთ: სახურავზე ავიდეთ და ოჯახი იქიდან დავლოცოთო. სხვებთან ერთად გიაც ასულა. უკვე მთვრალი იყო და სახურავიდან ჩამოვარდა. ბეტონის ფილაზე ზურგით დაეცა და ხერხემალი დაუზიანდა. უკვე რვა წელია, რაც კიდურებს ვეღარ ამოძრავებს, გაუნძრევლად წევს და სასწაულს ელოდება...

— მისი განკურნება შეუძლებელია?

— შარშან გერმანიაშიც კი გვყავდა, მაგრამ ჯერჯერობით, მედიცინა უძლურია. ალბათ წარმოიდგენთ, თუ რა მდგომარეობა იქნებოდა ჩვენს ოჯახში. მე და ჩემი ქმარი სასოწარკვეთილებაში ვიყავით, რძალმა მიგვატოვა. როცა გაირკვა, რომ გია ვეღარასდროს გაივლიდა, ბარგი ჩააწყო, ბავშვი წაიყვანა და წავიდა. ეს ყველაზე მძიმე და აუტანელი აღმოჩნდა გიასთვის. მთხოვდა: შეაჩერე, არ გაუშვაო. რა უნდა მექნა? როგორ უნდა მომეთხოვა რძლისთვის, მთელი ცხოვრება ავადმყოფ ქმარს მოუარე-მეთქი?! გია რომ ჰყვარებოდა, არ წავიდოდა, ხვეწნა-მუდარას აზრი არ ჰქონდა... ცოლის წასვლა გიას იქნებ, ვერც გადაეტანა, ლანა რომ არ გამოჩენილიყო. კარი რომ გავაღე და ლანა დავინახე, მოულოდნელობისგან გავშრი. სამზარეულოში შევიყვანე. ვუამბე გიას შესახებ. გავიგე, ცოლი რომ გაეყარა და ამიტომ მოვედიო, — მითხრა. ვთხოვე, რომ წასულიყო. მისი ნახვა გიას კიდევ უფრო დათრგუნავდა. — თქვენ ვერ გამიგეთ: მინდა, თქვენთან გადმოვიდე საცხოვრებლად და სიცოცხლის ბოლომდე გიას მოვუაროო, — მითხრა. მისი ნათქვამი სიგიჟეს ჰგავდა... დარჩენის ნება მივეცი. ქმარს ჩემი გადაწყვეტილება ასე ავუხსენი: პატარა გოგოა, ახლა ეფორიაშია, რამდენიმე დღეში აქედან უკანმოუხედავად გაიქცევა-მეთქი. ორი კვირა გავიდა. ლანა წასვლას არ აპირებდა. შევშფოთდი. მის მშობლებთან მივედი. ვუთხარი: თქვენი ქალიშვილი ჭკუაზე მოიყვანეთ-მეთქი. კინაღამ გადაირივნენ. ჩვენ ლანა საბერძნეთში წასული გვეგონაო: თურმე სამუშაოდ ყოფილა წასული, გიას ავადმყოფობის ამბავი რომ გაუგია, უფიქრია — ფული დასჭირდებათო, — და წამოსულა.

— მშობლებს არ უთხრა, ასეთი გადაწყვეტილება რომ მიიღო?

— არა. ლანას ყველა დაუპირისპირდა. ვერავინ შეძლო მისი მოდრეკა. დღემდე, ჩვენს სახლში ცხოვრობს და ეჭვი არ მეპარება, რომ ბოლომდე ასე იქნება.

— გიამ როგორ მიიღო მისი გადაწყვეტილება?

— გია ფიქრობს, რომ ლანას სიყვარული მის ცხოვრებაში უკანასკნელი კარგი და ნათელი რამაა. ამიტომ ლანასთვის არ უთხოვია: წადი, შენი მზრუნველობა არ მჭირდებაო. განა ლანას საქციელი გმირობა არ არის?! ვის შეუძლია, ეს უარყოს?! განა ბევრი ქალი შეძლებდა სიყვარულის გამო ამხელა მსხვერპლის გაღებას?! გმირობის გარდა არ ვიცი, რა დავარქვა ლანას საქციელს.

თეა ხმალაძე:

— 1986 წელი იყო. ძალიან ცხელოდა. სამედიცინო ინსტიტუტიდან შინ ვბრუნდებოდი. როგორც კი ეზოდან გამოვედი, ნაცნობი ბიჭი დავინახე. ვიფიქრე, თავს ავარიდებ-მეთქი, — მაგრამ, როგორც ჩანს, სწორედ მე მეძებდა თვალებით — დამიძახა და თვალის დახამხამებაში, ჩემ გვერდით გაჩნდა. — წამოდი, ჩემი მანქანით წაგიყვანო. — მითხრა და პასუხს არც დალოდებია, ისე გამაქანა თავისი მანქანისკენ. მას კობა ერქვა. მის მიმართ სიმპათია არ მქონდა, უფრო მეტიც — დავინახავდი თუ არა, უსიამოვნო გრძნობა მეუფლებოდა. ამიტომ გადავწყვიტე, მალე დავშორებოდი და ტრანსპორტით გამეგრძელებინა გზა. მალე ვთხოვე, მანქანა გაეჩერებინა. კობამ მითხრა: რადგან გეშინია, არ მოგიტაცო, სახლამდე ფეხით მიგაცილებო... ერთი სიტყვით, ვერაფრით მოვიშორე თავიდან. ის იყო, უნდა მეყვირა — რას გადამეკიდე, მომცილდი, ვერ გიტან-მეთქი! რომ ქუჩაში შეკრებილი ხალხი შევნიშნე. მივხვდი, რაღაც საშინელება ხდებოდა. მე და კობა იქით გავიქეცით და შემზარავი სურათი დაგვხვდა. მეექვსე სართულის აივანზე ცალი ფეხით ბავშვი იყო ჩამოკიდებული: თურმე სარეცხის თოკიდან თოჯინის ტანსაცმლის ჩამოხსნა მოუნდომებია: აივანზე სკამი დადგა, თოკს მისწვდა, მაგრამ თავი ვეღარ შეიმაგრა, გადმოვარდა და ფეხი თოკსა და რკინის გორგოლაჭს შორის გაეჭედა. 4 წლის გოგონა იყო, ლია ერქვა.

— მისი ოჯახის წევრებს არ შეეძლოთ, ამოეყვანათ?

— შინ არავინ იყო. დედა პურის საყიდლად მაღაზიაში წასულა, ოთხი და შვიდი წლის ბავშვები მარტონი დაუტოვებია. ლიას ძმას შეეძლო კარის გაღება, მაგრამ ის იდგა და კიოდა, შეშინებული ვერც იძვროდა... არ ვიცი, კობა რა დროს შევარდა სადარბაზოში. შეეცადა მეზობლის აივნიდან გადასულიყო იმ აივანზე, რომელზეც ბავშვი ეკიდა, მაგრამ აივნები ისე შორი-შორს იყო, რომ ეს ხერხი არ გამოდგებოდა. იმ დროს, ყველა მუშაობდა და მხოლოდ რამდენიმე მეზობელი იყო შინ. დრო არ ითმენდა — თავდაყირა დაკიდებული ბავშვი დიდხანს ვერ გაძლებდა, როგორ კი აფართხალდებოდა, მაშინვე ჩამოვარდებოდა. ვუყურებდი და ვერ ვიჯერებდი, რომ კობა თავგანწირვით იბრძოდა ბავშვის გადასარჩენად — მისგან ასეთი საქციელი მეუცხოვა... ბოლოს, მეხუთე სართულის აივნიდან ავიდა. ეს ისეთი საოცარი სანახაობა იყო, რომ ხალხი გაინაბა და თითოეული ადამიანის გულისცემა მესმოდა... კობამ და ერთმა კაცმა მეექვსე სართულის რგოლზე, რომელზეც სარეცხის თოკი იყო

„მენოპაუზ-ფორმულა“
დაგიბრუნებთ ცხოვრების ხალისს!

კლიმაქტერული დარღვევების რაციონალური თერაპია სინთეტიკური ჰორმონების გარეშე.

მის: ილია ჭავჭავაძის გამზ. 41
(ვაკის პარკის პირდაპირ),
ვიტამინ-ცენტრი „ჯეოვიტი“
☎ 29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56

დამაგრებული, თოკი გამოაბეს და კობა ზევით აცოცდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ან თოკი ვერ გაუძლებდა მის სიმძიმეს და გაწყდებოდა, ან რკინის რგოლი მოტყდებოდა. ამაზე, ცხადია, კობაც ფიქრობდა. მან როგორღაც მიაღწია ლიამდე, ბავშვს კისერში სტაცა ხელი და სწრაფი მოძრაობით მეხუთე სართულის აივანზე მდგარ მამაკაცს ჩაუგდო ხელებში. ეს ნამდვილი სასწაული იყო. ორივემ – კობამაც და იმ კაცმაც საოცრად იყოჩაღეს, მაგრამ ამ დროს, რკინის რგოლი ბეტონიდან ამოვარდა და კობა მთელი ძალით ქვემოთ წამოვიდა. ვარდნისას მან ყველა სართულის სარეცხის თოკები დაწყვიტა, რა თქმა უნდა, ვერც ერთს ვერ ჩაავლო ხელი და ასფალტზე დაეცა, მაგრამ გადარჩა. მეორე დღეს, საავადმყოფოში მივაკითხე. ჩადენილი გმირობის შემდეგ, ისეთი მომხიბვლელი და ვაჟკაცური მომეჩვენა, რომ თავს პირობა მივეცი, სხვა ბიჭს ცოლად არ გავყოლოდი. მერე არდადეგები დაიწყო და მთელი ჯგუფი კობასთან სტუმრად ამბროლაურში წავედით. მოგეხსენებათ, სტუდენტების ამბავი – მიპატიჟებაზე უარს არასდროს ამბობენ. კობას ძალიან გაუხარდა ჩვენი ნახვა. მთელი რაჭა ფეხით მოგვატარა. საოცრად კარგი მასპინძელი აღმოჩნდა. ერთ დღესაც, ჩემმა მეგობარმა გოგომ ხუმრობით უთხრა: თუ გინდა, თეა დაგიტოვოთ, ხეორში გადახტიო. ხეორი შხუილით მოდიოდა და ისეთი აქაფებული იყო, რომ ამქვეყნიურ დარდსა და წუხილს ნებისმიერს დაავიწყებდა. ახლაც შიშის ზარი მცემს, რომ მახსენდება, როგორ გადახტა წყალში კობა. თან მითხრა: ეს ყველაზე მცირედია, რითიც შეიძლება დაგისაკუთროო...

— **გადარჩა?**

– რა თქმა უნდა! მას ხომ თითქოს სიკვდილი არ ეკარებოდა. მეორე დღეს, თბილისში ვბრუნდებოდით. თანაჯგუფელებმა უთხრეს: თუ გინდა, პირობას შევასრულებთ და თეას დაგიტოვებთო. კობამ უარი თქვა, ჩემი მხრიდან უნამუსობა იქნება, პირობის შესრულება მოგთხოვოთ – მირჩევნია თეას დაველოდო, როდის მთხოვს, ცოლად შემირთეო... მისმა სიტყვებმა ძალიან გამაბრაზა და საკუთარი თავისთვის მიცემული პირობა დავივიწყე. ერთი სიტყვით, თბილისში დავბრუნდით. 5 აგვისტო იყო. ოცდაორი დღის შემდეგ, სხვა კაცს გავყევი ცოლად. რაფინირებულ ინტელიგენტში გავცვალე რაჭველი გოლიათი. თუმცა, ის კვალი, რაც მან ჩემს ცხოვრებას დაამჩნია, არასდროს წაიშლება. არ ვიცი, ჩემი ქმარი ჩემ გამო სიცოცხლეს გასწირავს თუ არა, ამაზე არასდროს მიფიქრია, ან რა საჭიროა გმირობა და თავგანწირვა მოსთხოვო ქმარს?! ჩვენს საუკუნეში ალბათ სტაბილური, მშვიდი, დელიკატური ურთიერთობები ბედნიერებისთვის სავსებით საკმარისია... ასე, არ არის?!

მანანა ბურდილაძე:

– დედისგან შვილის ქება ცოტა უხერხულია, მაგრამ ჩემი ვაჟის შესახებ მინდა გიამბოთ. ბესო ოცდარვა წლის იყო, სახლში რომ გამოაცხადა, ცოლის შერთვა მინდაო. მთელი ოჯახი სიხარულით ცას ვეწიეთ. ჩვენი ოცნება ახდა – ბესოს ვიღაც შეუყვარდა. მეორე დღესვე, ის გოგონა შინ მოიყვანა – მინდა, გაგაცნოთო. გაოცებისგან პირები დავაღეთ. ბესოს გვერდით პატარა, გამხდარი, დიდთვალება გოგო იდგა – ისეთი, როგორსაც ვერ წარმოვიდგენდით, მაგრამ საყვედური არ გვითქვამს. მე შევაპარე: შენზე თორმეტი წლით უმცროსია. იქნებ ჯობს, ზრდა დააცადო-მეთქი. – მიყვარსო, – მიპასუხა და ამით ყველა წინააღმდეგობა დასრულდა... ყოველდღე ვრწმუნდებოდი იმაში, რომ ჩემი შვილი მთელი არსებით შეყვარებული იყო, მაგრამ მალე, მისი ოცნებები დაიმსხვრა.

— **რატომ, რა მოხდა?**

– ერთ დღეს, გაფითრებული დაბრუნდა შინ. თქვა: ვაკის პარკში ვსეირნობდით და მოულოდნელად ირმა ცუდად გახდა, ძირს დაეცა და გონება დაკარგაო. ყველანი შევწუხდით. თუმცა, რას წარმოვიდგენდით თუ თექვსმეტი წლის გოგო ავად იქნებოდა?! მაგრამ მეორედაც იგივე რომ განმეორდა, ბესოს კატეგორიულად მოვთხოვე, ირმა ექიმისთვის ეჩვენებინა. სულ რაღაც ორ კვირაში დადგინდა, რომ საბრალო გოგოს ლეიკემია ჰქონდა. მახსოვს, ბესომ ყველა დაგვსვა და გვთხოვა: ემოციებისგან თავი შეიკავეთო. გვეგონა, იტყოდა – ირმა ფეხმძიმედ არისო. მან კი გამოგვიცხადა: ირმა განწირულია. ყოველ წუთს უნდა ველოდოთ, რომ დაიღუპებაო... ჩვენს სახლში საშინელი დღეები დადგა. ყველანი ვტიროდით, მაგრამ რას ვიზამდით? ბესო გახდა, ლანდს დაემსგავსა. ვხედებოდით, მის გულში რაც ხდებოდა. დღე და ღამე საავადმყოფოში იყო. ერთ თვეში ირმა გამოწერეს. სანამ დაავადება არ გაუმწვავდებოდა, შეეძლო ცხოვრებით დამტკბარიყო. წინადღეს, ბესომ გაგვაფრთხილა: ირმა აქ უნდა მოვიყვანო და წინააღმდეგობის გაწევა არ გაბედოთო. თავზარი დაგვეცა: ის ხომ აუცილებლად დაიღუპება-მეთქი?! – ვკითხე. მინდა, რომ ბედნიერი მოკვდესო, – მიპასუხა. მართლაც, საავადმყოფოდან ირმა პირდაპირ ჩვენთან მოიყვანა. დიდი ტორტი გამოვაცხვეთ და დერეფანი ყვავილებით მოვრთეთ. შევეცადეთ, არ გვეტირა, მაგრამ როგორც კი ფეხი შემოდგა, ყველანი ავქვითინდით. ირმამ იფიქრა, რომ ბედნიერებისგან ვტიროდით. მან არ იცოდა, რაც სჭირდა. ჩვენს ოჯახში თერთმეტი თვე იცხოვრა. ყოველი დღე მისთვის ბედნიერების მომტანი იყო. ბესო თავს ევლებოდა. ბოლოს, სიარულიც კი უჭირდა. იოლად იღლებოდა. ხელში აყვანილს ასეირნებდა. საწოლი ტერასაზე დაუდგა, ღამით მთვარე და ვარსკვლავები ერთად რომ ენახათ. გვეშინოდა, არ გაცივებულიყო. გვეუბნებოდა: თქვენმა შვილმა ისეთი ცეცხლი მომიკიდა, წარღვნაც ვერ ჩააქრობსო... მეთერთმეტე თვე იწურებოდა, ბესომ რომ უთხრა: საავადმყოფოში უნდა დაგაწვინო, ავად ხარ, ავადმყოფობა გაგირთულდა, უნდა იბრძოლო, რომ მალე დამიბრუნდეო. ყოველდღე ირმა საავადმყოფოდან წერილებს გვწერდა. ერთი წერილი ალბათ ფოსტის თანამშრომლებმა სადღაც მიაგდეს: მაშინ მივიღეთ, როცა ირმა ცხრა დღის გარდაცვლილი იყო. ბესოს მადლობას ეუბნებოდა, იმისთვის, რომ ბედნიერ ქალად აქცია... რაც უფრო მეტს ვფიქრობ ამ ამბავზე, უფრო მეტად მომწონს ჩემი შვილის საქციელი. ალბათ გმირობის ტოლფასია ის, რაც ბესომ გააკეთა: სასიკვდილოდ განწირული შეყვარებული ცოლად შეირთო და იმ ქვეყნად მიმავალს, ბედნიერება გაატანა... ■

ფრაზა გენიალური

ბედნიერება, კარგი ჯანმრთელობისა და ცუდი მეხსიერების შერწყმაა.

ერნესტ ჰემინგუეი

რეჟისორ სანდრო ვახტანგოვის ფილმების ნუსხა ძალზე შთამბეჭდავად გამოიყურება. ის სხვადასხვა ჟანრში მუშაობს და მის მიერ გადაღებული მხატვრული, დოკუმენტური თუ მუსიკალური ფილმების რაოდენობა უკვე ოცდაათს შეადგენს. რეჟისორის თავისებური, ზოგჯერ სიურრეალისტური ხედვის გამო, მისი ფილმები ვიღაცისთვის ამოუცნობი, გაუგებარი რჩება და შესაბამისად, ნაკლებად პოპულარული, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით მის კლიპზე — „ღორები", რომელიც ბატონმა სანდრომ „უცნობისთვის" გადაიღო. აღსანიშნავია, რომ ამ კლიპის რეჟისორი დღეს ამერიკის ტელეაკადემიის დირექტორთა საბჭოს წევრია, ხოლო მისი ერთ-ერთი სიურრეალისტური სურათი კი — EMMY-ს ფინალისტი.

გიორგი კუზმოვი, ელენა ივანკოვა და ჯორჯ ლეკლერი სანდრო ვახტანგოვთან ერთად

ემა ტუხიამვილი

` 24 noembers EMMY-s dajildoebis ceremoniaze mivemgzavrebi...~

— ბატონო სანდრო, არსებობს მოსაზრება, რომ თქვენ ფილმები არაა გათვალისწინებული ფართო მასისთვის. რატომ?

— ათასჯერ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ჩემი ფილმების ამგვარი შეფასება არასწორია. ზოგი ფიქრობს, რომ ისინი მხოლოდ ელიტური საზოგადოებისთვისაა გასაგები. თუმცა ყოფილა შემთხვევები, როდესაც ფილმის ჩვენების შემდეგ, მხვდებოდნენ ან მირეკავდნენ ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებსაც გაცილებით უკეთ ესმოდათ ჩემი ფილმების არსი.

— ყველაზე დიდი წარმატება მაინც რომელს ხვდა წილად?

— გადაღებული მაქვს ფილმები დათო ევგენიძეზე, გია ყანჩელზე... 2000 წელს გადავიღე სურათი, რომელსაც ეწოდება „პილიგრიმობა ევროპიდან იერუსალიმში" და ასახულია ქალბატონი ლიანა ისაკაძის პილიგრიმობა, რომელიც დაიწყო ბოდბეში, წმინდა ნინოს საფლავთან და დამთავრდა იერუსალიმში. ამ ფილმისთვის საქართველოს სახელმწიფო პრემია მომენიჭა.

— ალბათ ძალზე საინტერესო იქნებოდა თვით სამუშაო პროცესი.

— სამუშაო პროცესი საკმაოდ მძიმე იყო, ვინაიდან ქალბატონმა ლიანამ თოთხმეტ დღეში გამართა ცხრა საქველმოქმედო კონცერტი ექვს ქვეყანაში. პრაქტიკულად სულ გზაში ვიყავით და ავტობუსებში გვეძინა. ძალიან დაიღალა მთელი გადამღები ჯგუფი და სწორედ დაღლილობის გამო, იერუსალიმში გადასაღებ მოედანზე ოპერატორს დარჩა კინოობიექტივის ლინზა, რომელიც ხის კოლოფში იდო. უკვე ავტობუსში ვისხედით და ქალაქიდან გავდიოდით, როდესაც ოპერატორმა დანაკარგი აღმოაჩინა და მძღოლს ვთხოვეთ, რომ უკან დავებრუნებინეთ. ვბრუნდებით და რას ვხედავთ? — იმ ადგილას უამრავი პოლიციელია შეკრებილი, ჯავშანტრანსპორტიორიც მოუყვანიათ და ალყაც შემოურტყამთ. ვინაიდან იქ საომარი მდგომარეობაა, განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევიათ ამ უცნაური ხის კოლოფისთვის და უკვე გამნაღმველებს ელოდებოდნენ. დიდი მოწიწებით ავუხსენით, რომ კოლოფი ჩვენ გვეკუთნოდა და არანაირი ბომბი შიგ არ იდო...

— ტელეკინოწრეებში ლაპარაკობენ თქვენ და ქალბატონი მანანა შეევარდნაძის მეგობრობაზე და თითქოს მისი, როგორც ტელეფილმების სტუდიის დირექტორის ფავორიტი რეჟისორი ბრძანდებით...

— *(იცინის)* ვერ ვიტყვი, რომ ვინმეს ფავორიტი ვარ. კომპანია „ქართულ ტელეფილმში" ბევრი კარგი რეჟისორი მუშაობს. იყო წლები, როდესაც მე საერთოდ უმუშევარი ვიყავი. ადრე, მანანა მუსიკალური განყოფილების რედაქტორი იყო „ქართულ ტელეფილმში" და უბრალოდ, აქედან გამომდინარე, ერთად მუშაობა გვიწევდა — ეს იყო და ეს...

— გამოჩენილ რუს რეჟისორთან, ევგენი ვახტანგოვთან ხომ არ გაქვთ რაიმე ნათესაური კავშირი?

— ევგენი ვახტანგოვის სახელი მოსკოვის ერთ-ერთ დრამატულ თეატრს აქვს მინიჭებული. მასთან კავშირის დასადგენად სპეციალურ ლიტერატურას გავეცანი და გავარკვიე, რომ მისი შორეული ნათესავი ვარ. სხვათა შორის, ამ გვარის წარმომადგენელი, როგორც რუსეთში, ასევე საქართველოში თითქმის აღარავინ დარჩა.

— კიდევ თუ გყავთ რეჟისორები ვახტანგოვებს?

— წესით, მე ექიმი უნდა გამოვსულიყავი, რადგან ეს პროფესია ჩვენს ოჯახში თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ოჯახის ყველა წევრი, ბაბუიდან და ბებიიდან დაწყებული — ჩემი ძმითა და ბიძაშვილ-დეიდაშვილებით დამთავრებული, ექიმები არიან, მე კი რატომღაც სკოლაში სწავლისას, ფოტოხელოვნებით დავინტერესდი, შემდეგ კი, კინოსარეჟისორზე ჩავაბარე თეატრალურ ინსტიტუტში.

— EMMY-ს დირექტორთა საბჭოში როგორ მოხვდით?

— სამი წლის განმავლობაში სისტემატურად ვაგზავნიდი ფილმებს ამერიკის ტელეაკადემიაში და შარშან, ინტერნეტის საშუალებით შევიტყვე, რომ ჩემმა ფილმმა, რომელსაც ეწოდება — „ჩემი ცხოვრება ვიდეოარტში ანუ პოსტსაბჭოთა სიზმრები" (სხვათა შორის, ეს მხატვრული ფილმია), მთლად უმაღლესი ჯილდო — EMMY ვერ მიიღო, მაგრამ ფინალში გავიდა. მოგვიანებით, მივიღე წერილი ტელეაკადემიიდან, სადაც მთავაზობდნენ, ვყოფილიყავი „ემის" ნახევარფინალის ჟიურის წევრი. ნახევარფინალი იაპონიის ქალაქ ოსაკაში ტარდებოდა. მაშინ ძალზე ბევრი ადამიანი და ორგანიზაცია დამეხმარა და გავემგზავრე. იქ ყოფნისას გავიცანი ამერიკის ტელეაკადემიის ვიცეპრეზიდენტი ჯორჯ ლეკლერი, რომელმაც შემომთავაზა, დირექტორთა საბჭოს წევრი გავმხდარიყავი და ძალზე მეამყება, რომ ამერიკის ტელეაკადემიის პირველი ქართველი წევრი ვარ.

— იმედია, ამ წარმატებას არ დასჯერდებით და „ემისთვისაც" იბრძოლებთ...

— ძალზე სერიოზული კონკურენციაა. წარმოიდგინეთ, წელს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან 1200 მხოლოდ მხატვრული ფილმი იყო წარდგენილი... რა თქმა უნდა, იმედს არ ვკარგავ. ამასთანავე, ყოველ წელს, კინოაკადემიის ჟიურის შემადგენლობაში ვარ. 24 ნოემბერს კი, EMMY-ს დაჯილდოების საზეიმო ცერემონიაზე მივემგზავრები. ■

„მუვ ფრი"

იმოძრავეთ თავისუფლად!

თქვენი სახსრების ჯანმრთელობის საფუძველი.

მის: ილია ჭავჭავაძის გამზ. 41
(ვაკის პარკის პირდაპირ),
ვიტამინ-ცენტრი „ჯეოვიტი"
☎ 29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56



„საფრთხეში თუ არა, საგიჟეთში ვაინც ვიჟნეგით ეკთად“...

მარი ჯაფარიძე

პატივცემულო მკითხველო, როგორ გგონიათ, — დაახლოებით რამდენ „მესიჯს“ ვლებულობ თქვენგან კვირის განმავლობაში? ყველაზე მცირე, ათასს მაინც... წარმოიდგინეთ, რამდენი ადამიანი მიზიარებს თავის საწუხარსა თუ სიხარულს... ჩემი განწყობაც, იმისდა მიხედვით იცვლება ხოლმე, თუ როგორ „მესიჯს“ ვკითხულობ, მაგრამ სამწუხაროდ, უფრო სევდიანი გზავნილები ჭარბობს... თუმცა, ამ რუბრიკაზე მუშაობას უამრავი კურიოზიც ახლავს თან... ასე და ამგვარად, ვიგებ ხოლმე მეგობრის მეუღლის, თანამშრომლებისა თუ ახლობელი ადამიანების საიდუმლო სასიყვარულო ამბებს, მაგრამ თითოეულ მათგანს შეუძლია, მშვიდად იყოს — მათი საიდუმლო ჩემთან დარჩება და ვერავინ შეიტყობს. ახლა კი — რძალდედამთილიანი ანუ...

„ასე რომ გაგრძელდეს, გავგიჟდები...“

„სულ ორი თვეა, რაც გავთხოვდი... ჩემი მეუღლე უზომოდ მიყვარს. მისი ოჯახიც მოწადინებული იყო, რომ ჩვენ დავქორწინებულიყავით. დიდი ზარ-ზეიმით აღვნიშნეთ ჩვენი შეუღლება. ქორწილის მეორე დღეს, დილით, ცხრა საათზე ჩვენი ოთახის კარზე დააკაკუნეს. ჩემი დედამთილი შემოვიდა და მითხრა — ადექი, უკვე ცხრა საათია და სირცხვილია, ისევ რომ გძინავსო. იმ საღამოსვე „ინსტრუქტაჟი“ ჩამიტარა — დილით ადრე უნდა ადგე, ჯერ ქმარს მიხედო, მერე მამამთილს; ნინო ამეცადინე (უმცროსი მული, რომელიც მე-10 კლასის მოსწავლეა), შუადღისას მე და შენ სადილს ერთად გავაკეთებთ, ბინას დავალაგებთ და საღამოს, მამაკაცები რომ დაბრუნდებიან შინ, იმათ მივხედავთ, მერე კი შეგიძლია, ტელევიზორის საყურებლადაც მოიცალოო. ერთი სიტყვით, მეუღლის ხათრით, ახალ ოჯახში, შესვლის პირველივე დღიდან ჩავები ქალურ საქმეში და თავდაუზოგავად ვშრომობ. გაინტერესებთ, ამ დროს ჩემი დედამთილი რას აკეთებს? ფრჩხილებზე ლაქს ისვამს, თან ტელეფონით ლაპარაკობს, ტანსაცმელს იუთოებს, იპრანჭება და შინიდან გადის. გეფიცებით, მეუღლესთან ერთი საყვედურიც არ დამცდენია და თქვენ ხართ პირველი. ვისაც ამას ვეუბნები. რა ვქნა? როგორ მოვიქცე? ასე რომ გაგრძელდეს, გავგიჟდები...“

ვფიქრობ, სწორად იქცევი, მეუღლის პატივისცემით, საყვედურებისგან თავს რომ იკავებ... იქნებ, გცდიან?.. მოკლედ, ვფიქრობ, რომ ჭკვიანი გოგო ხარ და გამოსავალს აუცილებლად იპოვი. მე კი, ერთ ანეკდოტს „შემოგაშველებ“:

კეთილისმსურველებმა სადედამთილო გააფრთხილეს — რძალს რომ მოიყვან, თავიდანვე მკაცრად მოექეცი, საკუთარ ნებაზე არ მიუშვა, თორემ, მერე გვიან იქნებაო... მოიყვანეს რძალი... ქორწილის მეორე დღეს, დედამთილმა თმაზე მოზრდილი პეპელა დაიმაგრა და რძალს უთხრა: დაიმახსოვრე — თუ ეს პეპელა თავზე მარჯვნივ მიკეთია, ე.ი. კარგ ხასიათზე ვარ და შეგიძლია, სახლის დალაგება დაიწყო, თუ მარცხნივ — ე.ი. ცოტა უქეიფოდ ვარ და ჯობს, შენს ოთახში იჯდე, ხოლო თუ შუაში — მაშინ კი მიფრთხილდიო... რძალმა ახედ-დახედა და მიუგო: დილით, ჩემი ოთახის გამოსახვეტად რომ შემოხვალ, თუ ყავას ვსვამ, ე.ი. კარგ ხასიათზე ვარ და შეგიძლია, დაგავო, თუ ყავას ვსვამ და სიგარეტსაც ვეწევი, ე.ი. ცოტა უქეიფოდ ვარ და... ჯობს, კარგი გაიხურო, ხოლო თუ ყავას ვსვამ, სიგარეტს ვეწევი და ფეხი ფეხზეც მაქვს გადადებული, მაშინ ჩათვალე, რომ ეგ შენი პეპლები სულ ფეხებზე მკიდიაო...

ახლა კი, ამბავი იმისა, თუ როგორ მოაჩვენა ქუთაისელმა ნინომ „მესიჯპაკლონიკს“ თავი კარგ „მოინგლისურედ“...

„... დათო, OK?“

„გამარჯობა, მარი. მე ნინო ვარ, ქუთაისიდან. მე და დათომ ერთმანეთი „მესიჯებით“ გავიცანით. იგი ინგლისურად მწერდა. მეც ასევე ვპასუხობდი, ოღონდ — მეგობრის დახმარებით. მთელი ღამე მიწერ-მოწერა გვქონდა „გაჩაღებული“. მოკლედ, აშენდა „ლაი-ლაი“. დილით ჩამთვლიმა. დათომ კი სწორედ ამ დროს დარეკა... პასუხი კი ბებიაჩემმა გასცა... დათო მოხუცის ხმას დაუბნევია და ლუღლუღით უთქვამს — ბატონო... ბატონო-ო... ბებიაჩემმა კი უთხრა — არა, საყვარელო, ეს ტელეფონი ბატონის კი არა, ქალბატონის გახლავთო... ამ დროს, მეც გამეღვიძა, ვეცი მობილურს და მესმის მკაცრი ტონით ნათქვამი: ის ქალბატონი ვინ იყოო? — ავუხსენი, რაც მოხდა, შემდეგ კი მშვიდად მითხრა — კიდევ კარგი, შენ რომ იყავი, თორემ მეგონა, მთელი ღამე მოხუც ქალბატონს ვესაუბრებოდი „მესიჯებით“, თანაც ინგლისურადო! — ამ დროს გადავიდა ინგლისურზე. ვაი შენს ნინოს! მეგობარი უკვე წასული იყო. ვინღა დამეხმარებოდა? მე კიდევ, ინგლისურად მხოლოდ ორი სიტყვა ვიცი Hi და OK დათო ლაპარაკობს, ლაპარაკობს... მეც, მეტი რა გზა მაქვს — ვუსმენ... ერთი კი გავიფიქრე — გავუთიშავმეთქი. ხმის ტონზე ეტყობოდა, რომ მხოლოდ საუბრობდა და კითხვას არ სვამდა. საუბრის ბოლოს მკითხა — OK? მეც, ნაცნობი სიტყვის გაგონებაზე, სიხარულით წამოვიძახე — OK! OK! დათო, დღემდე არ ვიცი, რაზე დაგეთანხმე, მაგრამ ფაქტია, რომ ამ OK-მ დაგვაახლოვა. 2 თვის სატელეფონო ურთიერთობის შემდეგ კი, დღეს პირველად გაიგებ, რომ მე ინგლი-

სურის ბაიბურშიც არა ვარ. დათო, OK?“

ახლა კი მკითხველის მიერ ნაამბობი კურიოზი:

„დღესაც არ ვიცი, ჩემმა უფროსმა იცის თუ არა ეს ამბავი“

„ასაკს, სახელსა და გვარს არ გაგიმხელთ, მაგრამ გული არ მითმენს, რომ ჩემი ამბავი არ მოგიყვეთ. ვარ 35 წლის მამაკაცი. ვმუშაობ ერთ-ერთ ორგანიზაციაში, „მეორე კაცად“. მოკლედ, ერთი გოგონა მომწონდა და კარგა ხანს ვეჩალიჩებოდი... ბოლოს, როგორც იქნა, ჩემი ოროთახიანი კაბინეტის „სპალნაში“ მოვიმწყვდიე და... იმ დილით შეფმა მითხრა: ჩემი ნათესავი ქალბატონი, მოვა, მოუსმინე რა უნდა და დაეხმარეო... შუა „საქმეში“ ვარ, ამ დროს, მდივანმა დარეკა და მითხრა, რომ ის ქალბატონი მოსულა. გარეთ ხომ არ ვაცდევინებდი?! წელს ზემოთ ტანისამოსი მეცვა, ჰალსტუხიც მეკეთა, წელს ქვემოთ დედიშობილა ვიყავი; ასევე ჩავჯექი სავარძელში, გავსწორდი და ქალბატონიც შემოვიდა. საუბრისას უფროსმაც შემოაღო კარი, შემოიხედა, თავი დააქნია და გავიდა. მე კი ამ დროს, ინსტინქტურად წამოვხტი... შეფს არაფერი შეუნიშნავს. ქალბატონი გაფართოებული თვალებით მიყურებს. მე არაფერი შევიმჩნიე და საქმიანად ვკითხე – რაზე ვსაუბრობდით, ქალბატონო? თან ვფიქრობ – ახლა კივილს ატეხს ნამდვილად-მეთქი, – ის კი თვალმოუშორებლივ მიყურებს, ბოლოს, ლუღლუღით მეუბნება – უკა... ც... რავად, შშე... ggიძ... ლიათ, კიდევ ერთხელ წამმ... ოდგეთ? დღესაც არ ვიცი, ჩემმა უფროსმა იცის თუ არა ეს ამბავი, მაგრამ იმედი მაქვს, ეს ჩემს კარიერაზე უარყოფითად არ იმოქმედებს...“

ახლა კი, ტრადიციისამებრ, მოკლე მესიჯებს გავეცნოთ...

„გოგონა მიყვარდა, მოვიტაცე და... დამიჭირეს“

„ქობულეთელ ლაშა შუბალიძეს – ღამეა, ბნელა, მივდივარ ნელა, თუ გინდა, დამეწიო, წამოდი „ჯიპით“ MSS-253. ნეტავ, ვისგან?“

„ჩემო საყვარელო მამიკო, ბევრი ფული იშოვე, რომ „კაბრიოლეტი“ გვიყიდო... ძალიან გვიყვარხარ. ნათია და თათია კობახიძეები“.

„ძალიან მიყვარს ზუგდიდელი გოგონა, ბელა უბილავა. მას კი, მგონი, სხვა უყვარს, ტელეფონზეც არ მპასუხობს. უკვე დიდი ხანია, მინდა, გაიგოს, რომ მენატრება და მაინც ჩემი გახდება...“

„ვარ 27 წლის. ჩემი უბედურება ის არის, რომ ბედნიერება მინდოდა... გოგონა მიყვარდა, მოვიტაცე და... დამიჭირეს. ლელა! იცოდე, რომ გამოვალ და მაინც მოგიტაცებ. მიყვარხარ...“

„ძალიან მიყვარს ერთი ბიჭი. ის კი ყურადღებასაც არ მაქცევს, ყველანაირად მამცირებს. მე კი ვერაფრით ვივიწყებ. ამის ძალა არ შემწევს. აგნესა“.

„გამარჯობათ. მოგესალმებით რაიონიდან. მინდა გამოვეხმაურო ჩემს მეუღლეს. ის ავსტრიაშია, უკვე წელიწადი და სამი თვეა, მე და ჩემს პატარას მისთვის თვალიც არ მოგვიკრავს. ვიცი, „გზა“ იქაც ჩადის და თქვენი საშუალებით მინდა ვუთხრა: ძალიან მიყვარხარ და მენატრები. იმედი მაქვს, მალე დაგვიბრუნდები. ალბათ გაგიკვირდება, რომ წაიკითხავ, რადგან ასეთ სიტყვებს ტელეფონით საუბრისას ვერ გეუბნები, მაგრამ იცოდე, რომ ეს მე ვარ... შენი, საჩუქრებით განებივრებული გოგო“...

„გოჩა კაპანაძე, ძალიან ბევრი ვიფიქრე და მივხვდი, რომ დებილი ვარ... რადგან მიყვარხარ. „გზის“ საშუალებით იმიტომ გეუბნები, რომ ჩემი ტელეფონი არ მუშაობს. ხშირ-ხშირად ჩამოდი ხოლმე თბილისში, ხომ? ხომ მიხვდი, ვინც ვარ?“

„თიკა ადეიშვილს. თიკა, ძალიან მიყვარხარ და გთხოვ, არ გამაბრაზო. ერთხელ მაინც დამირეკე, რადგან მე შენი ახალი ნომერი არ ვიცი. იქნებ „გზამ“ გაგახსენოს, რომ ვარსებობ და მომიკითხო. მენატრები, გელოდები, არ მავიწყდები. აბა, შენ იცი, ველოდები შენს ზარს. ჩემი ნომერი ხომ გახსოვს?“

„გოჩა, ძალიან მიყვარხარ, მაგრამ უნდა დაგივიწყო. შენც დამივიწყე. რა ვქნათ, ასეა საჭირო... მენატრები სიგიჟემდე, მაგრამ ვითმენ. ვიცი, შენც ამ დღეში ხარ. რას ვიზამთ, ჩვენი სიყვარული არ გამოვა. მიყვარხარ, ალბათ მალე გავაფრენ, თუ უკვე არ ვაფრენ... მოდი, შენც გააფრინე, რა! სამოთხეში თუ არა, საგიჟეთში მაინც ვიქნებით ერთად. კუსია“.

„გურიის სილამაზის დედოფალო, ჩემო პატარა ანგელოზო, თათია, შენ ხომ მთელი გურია შემოგნატრის, მაგრამ შენ ჩემი ხარ, ეს ყველამ იცოდეს. შენი ასკუ“.

„თორნიკე, თუ მოგენატრები, სიზმრად ჩაიყოლე სურვილი და ჩემს სუნთქვას იგრძნობ. ცას ახედე და ჩემი სახე თეთრი ღრუბლებით დაიხატება. ოღონდ, მოგენატრები ოდესმე?“

„ნინიკო გოდუაძეს – გპირდები, რომ უბედნიერეს ქალად გაქცევ! ქალი გიშერია, ძოწი, ალმასია, იგი მაცდურია, მაგრამ ლამაზია. შენზე უზომოდ შეყვარებული...“

„თუ ვინმე შეძლებს, მცხუნვარე მზეზე, ყინულით შენი სახელის დაწერას, მას ჩემზე მეტად ჰყვარებიხარ. ჩემი სიცოცხლე ხარ, ავთო კობეშავიძე. შენი „კუსკა“.

„ქუთაისელ მაიმუნს. მიყვარხარ, ჩემო სიცოცხლევ და შეეშვი საწოლის ქვეშ ჩემს დამალვას. მასე დასამალი გოგო არ ვარ, ჩემო მაიმუნო. შენი „ფუმფულა“.

„ბათუმელ მერაბს. ჩემო ცისფერთვალებავ, შორია გზა ბათუმიდან თბილისამდე. სხვებს ნუ უჟუჟუნებ თვალებს, თორემ... ვეჭვიანობ... ნეტავ, როდის დაბრუნდები, როდის გნახავ, ვინ იცის? ახ, ნეტავი, ერთად იყოს, ბათუმი და თბილისი... მარიკელა“.

„გიორგი მჭედლიანს – ახლაც მახსოვს იმ ახალმოთიბული თივის სურნელი, პირველად რომ მაკოცე და გვირილების გვირგვინი... ასეთი ლამაზი დღე ჩემთვის არავის უჩუქებია. ჩემი მზე ხარ და ამიტომ ვარსკვლავის სხივს არ დავეძებ. შენი „მეტიჩარა“.

„სოსო! გპირდები, შეგიყვარებ, თანაც ძლიერად, ოღონდ... არჩევნების შემდეგ... ნატო“.

როგორც ხედავთ, არჩევნებზე მარტო ქვეყნის ბედ-იღბალი კი არა, კონკრეტული პიროვნებების პირადი ბედნიერებაც ყოფილა დამოკიდებული... არჩევნების თემასთან შეხებას ჩვენც ვაპირებდით, მით უმეტეს, რომ არაერთხელ დავრწმუნებულვართ „გზის“ მკითხველთა მოქალაქეობრივ აქტიურობაში. ჰოდა, მოდით, ვცადოთ, გავაკეთოთ წინასაარჩევნო პროგნოზი... როგორ გგონიათ – რომელი პარტიები მოიპოვებენ გამარჯვებას? გთავაზობთ, გამოიჩინოთ პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა და პროგნოზები გამოგვგზავნოთ ნომერზე: 8(77) 45.68.61 ამ „მესიჯებს“ არჩევნების შედეგების გამოცხადებამდე შევინახავთ და მერე ერთად გამოვავლენთ ყველაზე შორსმჭვრეტელ მკითხველებს.

გემშვიდობებით მომვალ ხუთშაბათამდე.

■

„ბრინ თი“ – სხეულის წონის მარტივი მართვა!

ნუ იტყვით უარს საყვარელ კერძებზე!

მის: ილია ჭავჭავაძის გამზ. 41
(ვაკის პარკის პირდაპირ),
ვიტამინ-ცენტრი „ჯეოვიტი“
☎ 29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56

რათა ცხოვრება სიხარულად გექცეთ ! ! !



პირველი ხარისხის სიმსუქნე იწვევს შურს, მეორე – ღიმილს, მესამე– დაცინვას, ხოლო მეოთხე – სინანულს. მსუქანი ადამიანები ყველგან არიან, მაგრამ ყველას როდი ესმის, რომ სრულ და მით უმეტეს მსუქან ხალხს საკმაოდ მძიმე ყოფა აქვთ, როგორც პირდაპირი, ასევე, გადატანითი მნიშვნელობით. ჭარბი წონა ხომ მრავალი დაავადების საწინდარია.

ვინაიდან ჭარბი წონის წარმოქმნის ძირითად მიზეზს წარმოადგენს არასწორი კვება, ამიტომ მასთან ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს წარმოადგენს კალორიების შემცირება.

ამავე დროს უნდა გახსოვდეთ, რომ გასახდომად არ არის საკმარისი მხოლოდ საკვებით მიღებული ენერგიის შემცირება, არამედ საჭიროა მისი ხარჯვის ზრდა – ანუ ფიზიკური დატვირთვა. ყველაზე მარტივი და ეფექტური ფორმა კი გახლავთ ჩვენი დროის სიახლე – გასახდომი ქამარი მიოსტიმულატორი **Abtronic Pro.**

Abtronic Pro საქართველოში სიახლეა, ევროპასა და ამერიკაში კი სრული ბუმია. ბუმია ქამარზე, რომელიც 21-ე საუკუნის ადამიანების ცხოვრების მეგზურად იქცა.

აბტრონიკის უამრავი ღირსებებიდან გაგაცნობთ სულ რამდენიმეს:

- იწვევს ღრმა კუნთურ შეკუმშვებს, ამაგრებს მოდუნებულ კუნთებს და აუმჯობესებს მათ ტონუსს;
- ამცირებს და შლის ცელულიტს;
- მართავს გახდომის პროცესს: პირველ რიგში მოქმედებს სხეულის იმ ნაწილებზე, რომლებიც უფრო მეტად საჭიროებენ გახდომას;
- აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას;
- აუმჯობესებს კანის სტრუქტურას;
- ეფექტურად ებრძვის ოსტეოქონდროზსა და სქოლიოზს.

ძვირად ღირებულ დარბაზებში სიარული მიუწვდომელია თქვენთვის? – მოირგეთ
არა გაქვთ დრო ვარჯიშისათვის? – მოირგეთ
გეზარებათ ვარჯიში? – მოირგეთ

Abtronic Pro!

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: ☎ (995 32) 33 30 63;
(995 32) 36 49 45 ან დაგვიკვეთეთ ინტერნეტმაღაზიაში: **www.shopge.com.** ჩვენი კურიერი მოგაწვდით შეკვეთას თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში. კურიერის მომსახურება უფასოა.

...იმ რომანტიკული შეხვედრის დღიდან 45 წელი გავიდა

სწორედ ამდენი ხანია, ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ ცნობილი ხელოვანნი — რეჟისორი ***გიგა ლორთქიფანიძე*** *და მსახიობი* ***ქეთევან კიკნაძე*** *და, როგორც მათი ქალიშვილი, მოზარდმაყურებელთა თეატრის მსახიობი ნინო ლორთქიფანიძე ამბობს, მათ ახლაც ისევე წრფელად უყვართ ერთმანეთი, როგორც ათეული წლების წინ, როცა ისინი სრულიად ახალგაზრდები იყვნენ...*

თამარ კაპანაძე

— დასაბამიდან დაეძებენ ერთმანეთს ნამდვილი წყვილები და არავინ უწყის სად, როდის, რა ვითარებაში შეხვდებიან. თქვენ როგორ აღმოაჩინეთ ერთმანეთი?

ქეთევან კიკნაძე:

— გიგა პირველად გამოსაშვებ საღამოზე შევამჩნიე, — *ღიმილით იწყებს ქალბატონი ქეთევანი,* — ოჯდა ცალი ხელით ჯოხზე დაყრდნობილი, სიმპათიური ახალგაზრდა მამაკაცი და თვალს არ მაცილებდა. მივხვდი, ძალიან მოვეწონე, ქალს რას გამოაპარებ, ჰოდა, მეც ვცეკვავდი და ვცეკვავდი. აბა, რა ვიცოდი, თურმე იგი უკვე ცნობილი რეჟისორი და ჩვენი ინსტიტუტის პედაგოგიც ყოფილა.

გიგა ლორთქიფანიძე:

— კარნავალამდე ცოტა ხნით ადრე, მე ქეთევანი ნანახი მყავდა მიშა თუმანიშვილის მიერ დადგმულ სპექტაკლში „მეექვსე სართულზე“, სადაც მის ედვიჟის — ხეიბარი გოგონას როლს მოჭარბებული მგრძნობელობით ასრულებდა. მისი გმირი ფიზიკური ნაკლის მიუხედავად, დიდი ოპტიმიზმით და სიცოცხლის სიყვარულით იყო აღსავსე. იმდენად მომეწონა, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობებიც დავპატიჟე იმ მშვენიერი სპექტაკლის და ნიჭიერი დამწყები მსახიობის სანახავად და გადავწყვიტე, ყველაფერს გავაკეთებ, რომ იგი ჩემი გახდეს-მეთქი.

ქეთევანი:

— მერე კინოში დამპატიჟა, „მზიური ველის სერენადა“ გადიოდა. მაშინ მივხვდი, რომ ერთგული მეგობარი ვიპოვე, რომელიც სულსა და გულს უშურველად მთავაზობდა და მის ნებას ადვილად დავყევი. ეგებ, უცნაურადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ ორ კვირაში დავქორწინდით. შინაგანი ხმა უტყუარია, გულმა გული შეიცნო და ერთგული მეუღლე, საკუთარი რეჟისორი და ნამდვილი პატრონი ერთდროულად შევიძინე.

გიგა:

— იმ დღიდან 45 წელიწადი გავიდა, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ ერთ ჭერქვეშ ცხოვრების უფერული წლები, — ჩვენ შორის ჩამოყალიბებულმა ერთიანობამ, არჩეული პროფესიის, საერთო საქმისა და შეხედულებების თანხვედრამ, სიყვარულს მეტი სიმტკიცე და ერთგულება შემატა. ჩვენ უსიტყვოდ გვესმის ერთმანეთის, და თუ დაიჯერებთ, სრულიად უცხო ადამიანებზეც კი, რომლებიც, ვთქვათ ეს-ესაა გავიცანით, ერთნაირი შეხედულებები გვიყალიბდება, რადგან უკვე, ერთნაირი თვალთახედვა გვაქვს. როცა ცოლ-ქმარი ერთ საქმეს ემსახურება, იდენტური აზრებიც ჩნდება. გარდა ამისა, გვყავს საერთო მეგობართა შესანიშნავი წრე, შვილები, შვილიშვილები, ახლობლები. ოჯახი ის პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი მიკროსამყაროა, სადაც ბობოქარი დღის ბოლოს, დაღლილობისა და დაძაბულობისაგან სრული განმუხტვა ხდება, სადაც ხორცი ესხმება ახალ იდეებს, იწერება ახალი სცენარები, ყალიბდება ახალი აზრები და მშვენიერია, როცა ამ დროს შენ ირგვლივ ისეთი ადამიანები არიან, რომელთაც შენი ესმით. მძლავრ იმპულსად მექცა და ახალი ენერგიით მავსებს ჩემს ოჯახში დიდი ხნის ნანატრი პირველი ბიჭის დაბადება. თუ სიძეებს არ ჩავთვლით, აქამდე სულ ქალების გარემოცვაში ვიყავი და, თუმცა 19 ოქტომბერს 76 წლისა გავხდი, რაკი სტიმული დაწყებული საქმის ნახევარია, იმედი მაქვს, ჩემი სეხნია, პატარა გიგა კვაჭანტირაძე თავისი არსებობითაც დამეხმარება, ვაკეთო ახალი ფილმები და სპექტაკლები. ამჟამად, სატელევიზიო არხის „იმედის“ ფინანსური მხარდაჭერით, ნოდარ დუმბაძის მეტად საინტერესო მოთხრობების მიხედვით ვიღებ ფილმს. დიდი სურვილი მაქვს, გავაკეთო მრავალსერიიანი ფილმი ყაზბეგის ნაწარმოებების მიხედვით, რომლის სცენარიც კარგა ხანია მზად მაქვს.

— ბატონო გიგა, თქვენ, საქმეებით ძალიან დაკავებული ადამიანი ხართ და მაინც ახერხებთ იყოთ კარგი მეუღლე, მამა და ბაბუა...

— ადამიანმა ყველაფერი უნდა მოასწროს და თუ ყველაფერში სულსა და გულს ჩაქსოვს, შეუძლებელი არაფერია. მით უფრო, როცა გვერდით ისეთი მეუღლე გყავს, რომელიც საქმეს გიადვილებს, და რაღაც მოვალეობებისაგან გათავისუფლებს, რომ შენს საქმიანობას მაქსიმალური ენერგია მოახმარო, თან თუ არც ზარმაცი ხარ, შეუძლებელი რაღა უნდა იყოს?

— მაინც რისგან გათავისუფლებთ ქალბატონი ქეთევანი?

— თუნდაც ის, რომ ბაზარში სულ

უბიქინონი (CoQ10)
ბუნებრივი ზღუდე
მომაკვდინებელი
ტრიადისგან

- **არტერიული ჰიპერტენზია**
- **გულის იშემიური დაავადება**
- **ათეროსკლეროზი**

აჩუქეთ ჯანმრთელობა თქვენს გულს!

მის: ილია ჭავჭავაძის გამზ. 41
(ვაკის პარკის პირდაპირ),
ვიტამინ-ცენტრი „ჯეოვიტი“
☎ 29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიბა ღვალი
უბის წიგნაკიდან:

1. დევიდ კოპერფილდი ოდესელი ებრაელია.
2. სირიუსი სიკაშკაშით 22-ჯერ აღემატება მზეს.
3. ვლადიმირ ვისოცკი პუშკინს პოეტთა პოეტს ეძახდა.
4. ანჯელინა ჯოლის კამბოჯელი ბავშვი ჰყავს ნაშვილები.
5. ჟან-პოლ ბელმონდოს დედა მხატვარი იყო, მამა – მოქანდაკე.
6. დიმა ობოლაძეს სპორტის ოსტატობის ხარისხი აქვს ფარიკაობაში.
7. ბოლო წლებში, საქართველოდან 1242 ბოშა გაიქცა.
8. გივი ბერიკაშვილის მაგივრად, „ღვინის ქურდებში“ მამია ხატელიშვილი მღერის.

9. ოპერა „აიდა“ ჯუზეპე ვერდიმ სუეცის არხის მშენებლობის დამთავრებას მიუძღვნა.
10. ანტარქტიდა და გრენლანდია დედამიწის მტკნარი წყლის მარაგის 90%-ს შეიცავს.
11. მანგუსტა იტალიაში, იუგოსლავიასა და მადაგასკარზე ხელოვნურად არის მომრავლებული.
12. სიკვდილის შემდეგ, რომულუსი ღვთაებად გამოაცხადეს. იგი ბავშვების მფარველად ითვლებოდა.
13. ზოგიერთი ისტორიკოსის თქმით, ათენში ქანდაკება უფრო მეტი იყო, ვიდრე ცოცხალი ადამიანი.
14. გეოგრაფიული არეალის მიხედვით, მაკაკები პრიმატების ყველაზე გავრცელებული სახეობაა. ამ მხრივ ისინი მხოლოდ ადამიანს ჩამოუვარდებიან.
15. „ღღეს ვარსკვლავი ბევრია, მომღერალი – ცოტა, ამიტომ ჩემს მომავალ პროექტს, „მღერიან მომღერლები“ უნდა დავარქვა,“ – განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში ჯემალ ბაღაშვილმა.
16. აკვასკემწა სოფელია გუდაურის რაიონში, ამბარტაფა – სოფელი გარდაბნის რაიონში, ამბარიხუწა – სოფელი სოხუმის რაიონში, ბულიშხინჯი – სოფელი გალის რაიონში.
17. სვანურ ენაში 4 დიალექტს გამოყოფენ: ბალსზემოური, ბალსქვემოური (ზემო სვანური), ლაშხური და ლენტეხური (ქვემო სვანური).
18. პირველი გეოგრაფიული გლობუსი ნიურნბერგელმა მ. ბეჰაიმმა 1492 წელს გააკეთა. XVII-XVIII საუკუნეებში, საზღვაო რუკების შემოღებამდე, ზღვაოსნობაში

თავად დადის და პროდუქტების მოტანა ჩემი საქმე არ არის, ცოტაა? თან ქეთინოს ცნობენ, ბეჩუნი მოდის, ბეჩუნიო, ეჩურჩულებიან ერთმანეთს, საუკეთესო ხილს, ქათამსა თუ კვერცხს ურჩევენ და შედარებით იაფადაც აძლევენ. ეს კი ოჯახური ბიუჯეტისათვის ცუდი არაა. ამ საქმეში მანქანაც ძალიან მეხმარება, – მართალია, ბევრი მას ფუფუნების საგნად მიიჩნევს და არის მასში სიმართლის ნაწილიც, მაგრამ ჩემთვის იგი უფრო აუცილებელი რამ არის. ჯერ ოჯახში რამდენი საქმეა, მერე სპექტაკლები, რეპეტიციები, გადაღებები. სად არის იმდენი დრო, ტრანსპორტს ველოდო? მანქანას ჩემი დროისა და ნერვების დაზოგვაც ევალება და ამ ფუნქციას ასრულებს კიდეც.

— **ბატონო გიგა, თქვენი პირველი შემოქმედებითი ნათლობა როდის შედგა?**

– ხუთი წლისა ვიყავი, როცა ბიძაჩემის, ლეო ესაკიას ფილმში „შაქირი“ კოლმეურნეობის თავმჯდომარის შვილის ეპიზოდური როლი შევასრულე. უბრალო სცენა იყო: კულაკის ცოლი კანფეტს მაწვდიდა, მე კი მასში მტერი უნდა დამენახა და უარი მეთქვა. რასაკვირველია, მე არ მესმოდა, რატომ უნდა მეთქვა უარი ამ სიამოვნებაზე და ყოველთვის ვართმევდი მოწვდილ კანფეტს. როცა არაფერმა გაჭრა, ბიძაჩემი იძულებული გახდა, კილოგრამი შოკოლადი ეყიდა და იმდენი მაჭამა, ვიდრე საკუთარი სურვილით არ განვაცხადე უარი კანფეტის გამორთმევაზე. ახლა მეღიმება იმ გულუბრყვილობაზე, მაგრამ ვერაზე გავიზარდე, რეპრესირებული ოჯახის შვილს, მწარე ბავშვობა და ახალგაზრდობა მქონდა და ბევრი რამე მაკლდა. ისე მაინც მოუსვენარი, ანცი და ონავარი ვყოფილვარ, ფეხიც იმიტომ დავკარგე ბავშვობაშივე.

— **როგორც ვიცი, არც ქალბატონ ქეთევანს ჰქონია დალხენილი ბავშვობა და სტუდენტობა.**

ქეთევანი:

– მე ბორჯომში გავიზარდე. დედაჩემს დაწყებითი განათლების პროფესორს ეძახდნენ, მამა განათლების განყოფილების გამგე იყო, შესანიშნავად უკრავდა ვიოლინოზე და, რადგან ბორჯომში ორკესტრი არ იყო, ამისათვის გორში დადიოდა. ისიც უმიზეზოდ გადაასახლეს და უკან დაბრუნებული, ჯანმრთელობაშერყეული, მალე გარდაიცვალა. სკოლის დამთავრების შემდეგ, ნათესავებთან ვიყავი შეხიზნული, დედაქალაქმა ჩემს საუკეთესო ოცნებებს შეასხა ხორცი: ბავშვობის დროინდელი, მოცეკვავის მწირი გამოცდილებითა და მსახიობად გახდომის დაუძლეველი წადილით შეპყრობილი, თავდაჯერებული და საკმაოდ თამამი, მუხლებამდე ნაწნავებიანი გოგო რომ პროზაში რაბინდრანათ თაგორის „ვაჭარს“ ვკითხულობდი, ჯერ გავაოცე მიმღები კომისია და მერე ქებაც დავიმსახურე. თქმა მერიდება, მაგრამ აკაკი ვასაძემ გულში ჩამიკრა, მიშა თუმანიშვილმა კი ჩათვალა, რომ ბუნებით ნაჩუქარი ნიჭი მქონდა და ამან ძალა შემატა. საკურსო და სადიპლომო სპექტაკლებზეც გამოვიჩინე თავი და მაშინ, როცა სიყვარულზე, შვილებზე, ოჯახზე ფიქრის დრო დამიდგა, გიგაც გამოჩნდა და თავისთან, მარჯანიშვილის თეატრში დამაწყებინა მუშაობა, თუმცა ამით ორივენი დავზარალდით: მიკერძოებაში რომ არ ჩაეთვალათ, მხოლოდ მის ოთხიოდე სპექტაკლში ვითამაშე. მიხეილ თუმანიშვილის, თემურ ჩხეიძის, ვასო ყუშიტაშვილის, ლილი იოსელიანის სპექტაკლებში ცუდად არ მითამაშია და ამდენად, ვერავინ იტყოდა, გიგას უნიჭო ცოლი ჰყავსო. მსახიობურ კარიერაში ჩემი დედამთილიც ძალიან მიწყობდა ხელს. ევგენი მიქელაძის ახლო ნათესავი, დახვეწილი არისტოკრატი ნინო მიქელაძე, არაჩვეულებრივი ქალბატონი გახლდათ. საოჯახო საქმეებშიც მეხმარებოდა, ბავშვებსაც იტოვებდა და როცა შინ გვიანობამდე ვერ ვბრუნდებოდი, ამას გიგას უმალავდა. რა დროსაც არ უნდა მოსულიყო, თურმე სულ იმას ეუბნებოდა, ეს წუთია, გავიდა, ალბათ კიბეზე შეგხვდებოდაო. ასე გაგრძელდა მანამ, ვიდრე ერთ დღეს გიგას მე თვითონ არ ვუამბე, როგორ დავიღალე

კარგი შვილები არიან და არ არსებობს დღე, არ შემოირბინონ, არ მოგვიკითხონ, არ გაგვათბონ

მთელი დღის განმავლობაში, მას კი მიღებული ინფორმაციით, შინიდან მხოლოდ ნახევარი საათის გასული ვეგონე. როცა მეუღლე ხარ და დედაც, სასურველია, შინ მეტი დრო დაყო. ამის გამო მქონია ისეთი შემთხვევებიც, როცა ჩემ ნაცვლად იძულებული გამხდარან, სცენაზე დუბლიორი გამოეყვანათ. მაგალითად, „ტარიელ გოლუაში" ორი გადაღება მაქვს გამოტოვებული – ცხენზე ჯდომ დუბლიორს, სახე რომ არ გამოსჩენოდა, თავზე ჩადრი დააფარეს და ისე გადაუღეს. რას ვიზამთ, ყველაფერი ერთად არ გამოდის, ზოგჯერ რაღაცების დათმობაც არის საჭირო. ბევრჯერ ბავშვებიც წამიყვანია გადასაღებ მოედანზე. ეს უფრო იმ პერიოდს ეხება, როცა გიგას ფილმებში ვიყავი დაკავებული.

— ბატონო გიგა, თუ გიეჭვიანიათ?

– მე ნაკლებად, რადგან ქეთინო ეჭვიანობის მიზეზს არ მაძლევდა. მას უფრო უხმაურო ყოფა იზიდავს და ურჩევნია, თავისი ენერგია როლზე დახარჯოს. ჩემი მგზნებარება, მეამბოხე სული კი ზოგჯერ აღიზიანებდა. ერთხელ, რატომღაც მართლა უმიზეზოდ, ჩემს წარსულს შეხედა ეჭვით და იმდენი ვიკამათეთ, გავბრაზდი. სამი დღის შემდეგ შინ ნოდარ დუმბაძესთან და ოთარ მამფორიასთან ერთად დავბრუნდი. მეგონა, გადავლილი ექნებოდა წყენა, მაგრამ მარტო მე კი არა, ისინიც არ დაინდო, სრულიად უცერემონიოდ მოგვიხურა კარი და შინ შებრუნდა. ასეთი გაცეცხლებული ქეთინოს დამნახავმა ნოდარმა ხუმრობა დაიწყო, ახლა ცირკშიც გამოდგება ქეთინო, დუროვს ლომების მოთვინიერებაში დაეხმარებაო.

ქეთევანი:

– ეჭვიანობა ცუდი ჩვევაა, ნერვებს უშლის ადამიანს, მაგრამ როცა გიყვარს, ზოგჯერ ეს თვისებაც იჩენს ხოლმე თავს. ცოლქმრული ღალატი ყველა პროფესიის ადამიანთა შორის შეიძლება მოხდეს და მსახიობი გამონაკლისი ვერ იქნება, მაგრამ ღმერთის ნებით, მშვიდობიანად გადაიარა ახალგაზრდულმა წლებმა და ჩვენ ნამდვილად მტკიცე და მყარი ოჯახი გვაქვს.

— თქვენი შემოქმედებითი წარმატებები მეუღლეს უკავშირდება....

– ეს უფრო კინოკარიერას ეხება. საყოველთაოდაა ცნობილი გიგას წარმატებების უმთავრესი „საიდუმლოება" – როლისათვის ზუსტად მისადაგებული მსახიობის შერჩევის შეუცდომელი უნარი. იგი მხოლოდ იმ მსახიობს ანდობს როლს, რომელიც თითქოს ამ სახის შესაქმნელადაა გაჩენილი. აქ ტიპაჟურ მსგავსებასთან ერთად, მსახიობის ნიჭიერებაც იგულისხმება და რეჟისორის მიერ ზუსტად განსაზღვრული ამოცანის დაძლევის ცოდნაცა და უნარიც. ასე რომ, ჩვენი ტანდემი შედგა და ამის უარყოფა, უბრალოდ, არ შეიძლება.

— შვილების შესახებ რას იტყვით?

– თეატრში გაიზარდნენ და მსახიობობა რომ გადაწყვიტეს, ამაში უჩვეულო არაფერია, მაგრამ რთული პროფესიაა და მინდოდა, მათთვის მაინც ამეცილებინა ის სირთულეები, რაც მსახიობობას ახლავს – ჩემი სურვილი მხოლოდ უმცროსმა გაითვალისწინა, მაიკო დასავლეთ ევროპის ენების სპეციალისტია, სხვათა შორის, ბიჭითაც მან გაგვახარა ამ ცოტა ხნის წინ. ნინო მოზარდმაყურებელთა თეატრშია და ბევრ ფილმშია გადაღებული. ნანა რუსთაველის თეატრის მსახიობია და რამდენიმე ფილმშიც მონაწილეობს. მსახიობია მისი მეუღლეც – მიშა გომიაშვილი, იგი მარჯანიშვილის თეატრში მოღვაწეობს. კარგი შვილები არიან და თუმცა ყველას თავისი ოჯახი აქვს, არ არსებობს დღე, არ შემოირბინონ, არ მოგვიკითხონ, არ გაგვათბონ, არ გვიამბონ, რა ხდება მათ ირგვლივ. შინ თუ გარეთ, ფაქტობრივად, ისევ ერთ, მთლიან, განუყოფელ ოჯახად ვცხოვრობთ, ისევ ვზრუნავთ ერთმანეთზე, ისევ ვაძლევთ რჩევებს, ყურს ვუგდებთ ერთმანეთის მოსაზრებებს, ეს კი, მგონი ცოტა არაა.

— ქალბატონო ქეთინო, ბატონი გიგას შესრულებული რუსული რომანსებითა და ბიძინა კვერნაძის „შემოდგომის ყვავილებით" ყველა აღფრთოვანებულია. ოჯახის დანარჩენი წევრებიც მღერიან?

– ჩვენს ოჯახში ყველა მღერის, მით უფრო მაშინ, თუ სუფრასთან ვსხედვართ და სტუმრები გვყავს. ისე, გიგა გამორჩეულად კარგად უკრავს და მღერის. მახსოვს, ერთ-ერთ საღამოზე, სადაც მედეა ძიძიგური თავისი მშვენიერი ხმით რუსულ რომანსს О, руки მღეროდა, მოულოდნელად გიგას მიუახლოვდა, მიკროფონი ტუჩებთან მიუტანა და ისიც უყოყმანოდ აჰყვა. ამის შემდეგ, სადაც არ უნდა ვიყოთ, გიგას ყოველთვის სთხოვენ, იმღეროს და ისიც არავის ტოვებს გაწბილებულს. გიგა ზოგჯერ ფიცხი, ადვილად ფეთქებადი ხასიათის ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ იგი ყოველთვის მართალია. თუმცა, პირდაპირი და მკცრია, მიმტევებელიცაა, „თეთრისა" და „შავის" კარგად გამრჩევი. და, რაც ყველაზე მთავარია, საქმის, ერის, ოჯახის, ახლობლების, ნაცნობების მოყვარული. შეუძლია, ყველაზე მკცარ მოწინააღმდეგესაც კი მეგობრულად ჩამოართვას ხელი. მას მტრობა და სიძულვილი არ შეუძლია. ის მხოლოდ სიყვარულისთვის არის გაჩენილი. ისევე როგორც ყველა შემოქმედი, ისიც რთული და თავისებურია, მაგრამ უამისოდ ვერც ის ფილმები და სპექტაკლები შეიქმნებოდა, ასე რომ შეიყვარა ხალხმა.

■

ინფორმაციულ-შეეცნებითი კოლაქი

ეიზა დვალის უბის წიგნაკიდან:

გლობუსებს იყენებდნენ.

19. ლენინის მავზოლეუმი მარმარილოთი, პორფირით, გრანიტით, ლაბრადორიტით და გაბრონორიტით არის აგებული. მავზოლეუმის საპატიო ყარაულს საბჭოთა ხალხი № 1 საგუშაგოს ეძახდაო, – წერია ენციკლოპედიაში.

20. ხელისგულზე მკითხაობას ქირომანტია ჰქვია, ბანქოზე მკითხაობას – კარტომანტია, ბეჭდებზე – დაქტილომანტია, ცხოველთა შიგნეულობაზე – ჰარუსპიკაცია.

21. „ოც წლამდე თქვენ გაქვთ სახე, რომელიც ღმერთმა გიბოძათ, ოცდაათის შემდეგ – ის, რომელსაც თქვენ თვითონ ქმნით, ორმოცდაათის შემდეგ კი ის, რომელიც დაიმსახურეთ", – ამბობდა კოკო შანელი.

22. ამერიკის შეერთებულ შტატებში ემიგრირებულმა მწერალმა ბახჩინიანმა ერთ-ერთი გაზეთის იუმორისტულ რუბრიკას „არქიპელაგ გუდ ლაკი" დაარქვა.

23. ერთხელ, კომპოზიტორ ვილიბალდ გლუკს ქუჩაში სეირნობისას, ხელჯოხი გაუვარდა და მაღაზიის ვიტრინის მინა ჩაამსხვრია. მან მეპატრონეს მინის ღირებულება ჰკითხა და როდესაც შეიტყო, რომ ის 1,5 ფრანკი ღირდა, მეპატრონეს 3-ფრანკიანი გაუწოდა. მეპატრონეს ხურდა არ აღმოაჩნდა. მაშინ, ხურდის საფასურად, გლუკმა მას მეორე მინის ჩამსხვრევა შესთავაზა.

24. 1841 წელს, ნიუ-იორკში ჩასულ ჩარლზ დიკენსს ჟურნალისტების მთელი არმია დაესხა თავს. მათ უნდოდათ, გაეგოთ, როგორი იყო მწერლის პირველი შთაბეჭდილება. „ნიუ-იორკი მინიატურული ჯოჯოხეთია", – უპასუხა დიკენსმა. შემდეგ, როდესაც იგი სამშობლოში ბრუნდებოდა, ჟურნალისტები დაინტერესდნენ, ხომ არ შეეცვალა მას წარმოდგენა. „კი, – უპასუხა მწერალმა, – ახლა უკვე სრული საფუძველი მაქვს განვაცხადო, რომ ჯოჯოხეთი მინიატურული ნიუ-იორკია".

25. პოლინეზიაში ახალშობილისათვის სახელის დარქმევის ასეთი წესი არსებობდა: ქურუმი იწყებდა სახელების გრძელი სიის კითხვას, ბავშვს კი ამ დროს, წყალს ასხურებდნენ. ეს პროცესი მანამდე გრძელდებოდა, სანამ ახალშობილი არ დააცემინებდა. ბავშვს იმ სახელს არქმევდნენ, რომელსაც დაცემინების მომენტში ქურუმი ამოიკითხავდა.

■

ზურაბ ყიფშიძის ქალიშვილი სააგენტო „ნატალის“ მოდელი — ლენუკა ყიფშიძე 13 წლიდან მართავს ავტომობილს — ეი. საჭესთან ჯდომის 8 წლის სტაჟი აქვს და ლენუკას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მის ანგარიშზე დღემდე, მხოლოდ ერთი მსუბუქი ავტოავარიაა. სამაგიეროდ, მანქანების გატაცებაშია დახელოვნებული... თუმცა, ამის შესახებ თავად გვიამბობს.



ნინო ჯავახიშვილი

ლენუკა ყიფშიძე სტაჟიანი მძღოლი და მანქანების გამტაცებელი ყოფილა

— ბავშვობიდან მქონდა იმის სურვილი, რომ მანქანის მართვა შემძლებოდა. ხშირად ვიტყუებოდი ოჯახში — რაღაცის ყიდვა მინდა, გავალ და მალე დავბრუნდები-მეთქი. გასაღებს მოვიპარავდი და მანქანით ვსეირნობდი ხოლმე... ისეთი მონდომებული ვიყავი, რომ მართვა თვითონ ვისწავლე. ახალბედა მძღოლი რომ ვიყავი, ყველას ვაკვირდებოდი, როგორ მართავდნენ მანქანას და ვიმახსოვრებდი... მეგობარმა მათხოვა მანქანა და მახსოვს, რაღაცას შევეჯახე. ეს იყო პირველი და უკანასკნელი მარცხი. ერთხელ კი, ჩემს მეგობარს ეზოდან მოვპარეთ მანქანა მე და ერთმა გოგომ. დაბადების დღეზე ვიყავით. ორნი ჩავედით ეზოში, ჩავსხედით მანქანაში და მთელი ღამე ვისეირნეთ. ვერავინ მიხვდა, სად დავიკარგეთ. ბოლოს, როცა შეუმჩნევიათ, რომ ეზოში მანქანა აღარ იდგა, მიმხვდარან — რაშიც იყო საქმე... ჩვენ კი, შუა გზაზე გაგვიფუჭდა მანქანა — ველარ ვქოქავდით... შინ გვიან მივედით. უკან დაბრუნებულებს, ყველა გვეჩხუბა — ამდენ ხანს სად იყავითო?! მანქანის პატრონი გოგო კი, ისე გაგვინაწყენდა, რომ მთელი კვირა ხმას აღარ გვცემდა..

— ხშირად არღვევ ხოლმე მოძრაობის წესებს? პოლიციელები ხშირად გაჩერებენ?

— საერთოდ, წესიერი მძღოლი ვარ, ყოველთვის ვემორჩილები ავტოინსპექტორების მოთხოვნებს. საჭესთან გოგონებს რომ ხედავენ, მაინცდამაინც არ ერჩიან, ფულსაც არ სთხოვენ. ერთხელ მეგობრის ბავშვი მეჯდა მანქანაში და პოლიციელებმა გამაჩერეს — საბუთები მომთხოვეს. არ მქონდა და თავი მოვისაწყლე — რა დროს საბუთებია? — ბავშვთან ერთად ვარ, მეჩქარება და გამიშვით-მეთქი. რა თქმა უნდა, გამიშვეს. ერთხელაც, დილის ტრასაზე გამაჩერეს, მეგობრებთან ერთად ვიყავი. მაშინ, მართლაც არ დამირღვევია მოძრაობის წესები და ნერვები მომეშალა, როცა არა და არ მომეშვნენ. ბოლოს, ჩემმა მეგობარმა უთხრა: იცით, ეს ზურა ყიფშიძის შვილიაო!.. თავიდან, ეჭვით შემომხედეს, მაგრამ მერე ერთმანეთს გადაულაპარაკეს — ისე, მგონი, მართლაც, ჰგავს ყიფშიძესო, — და გამომიშვეს. მოკლედ, მამაჩემის სახელმა გაჭრა...

— მერე, ხშირად სარგებლობ ხოლმე მამაშენის სახელით?

— ბევრჯერ, როცა მართვის მოწმობა არ მქონია, მამაჩემის სახელი გამომიყენებია. — თქვენ გენაცვალეთო! — მომფერებიან და უპრობლემოდ გამოვუშვივარ ავტოინსპექტორებს.

— ბატონი ზურა რას გეუბნება — როგორი მძღოლი ხარო?

— სხვათა შორის, მაქებს, მეუბნება — კარგად მართავ მანქანასო, — თუმცა, რაღაც შენიშვნებს მაინც მაძლევს ხოლმე.

— შორ მანძილზე თუ წასულხარ საკუთარი მანქანით?

— მცხეთაში წავსულვარ, მაგრამ უფრო შორ გზაზე ვერ ვბედავ. შორ მანძილზე ჯობს, კაცი დაჯდეს საჭესთან.

— რატომ? მიგაჩნია, რომ საჭესთან მამაკაცი უფრო მობილიზებულია?

— მე მგონი, მამაკაცებს უფრო სწრაფი რეაქცია აქვთ, ვიდრე ქალებს და უფრო მობილიზებულებიც არიან.

— გამოდის, რომ სახიფათო სიტუაციის დროს იბნევი ხოლმე?

— ერთ შემთხვევას გავიხსენებ. მე და

მსხვილი და ღიდი ნემსი	მიცვალებული, რომელიც საფლავიდან დგება და მძინარე ადამიანს სისხლს წოვს	მუხლებთან შევიწროებული სამხედრო ფორმის შარვალი	ჩანჩქერი კანადისა და აშშ-ის საზღვარზე	გამის ნოგი	პოპულარული სიმღერა	ქარიმხ
მასხალი	ვამპირი	გაღიზიანებული	ნიაგარა	ბოლო	ბეთჰოვენი	ბოლერი
ფონა „შიშველი ...“	მოკლას ... ხარი	3,14	ლატვიის დედაქალაქი	რეჟისორი ენგ ...	თმის გასაშრობი ელექტროხელსაწყო	ქელატინის შემცველი ნივთიერება ...-აგარი	მუსლიმანთა ღმერთი	მდინარე, რომელიც ერაყში მიედინება

შიშისგან ვკანკალებდით ორივე და კარგა ხანს, ხმის ამოუღებლად ვისხედით.

მამაჩემი შინ გვიან ღამით ვბრუნდებოდით. მამამ მთხოვა – დაღლილი ვარ და საჭესთან შენ დაჯექიო. უცებ შევამჩნიე, რომ გზაზე ბავშვი გადმორბოდა, ისიც მხედავდა და მეც ვხედავდი მას, მაგრამ კი არ გაჩერდა – დაბნეულმა, გზის გადაჭრა განაგრძო. მამაჩემმა დამიყვირა – ნელაო! ძალიან სწრაფი რეაგირება რომ არ მომეხდინა, ფაქტობრივად, ვკლავდი იმ ბავშვს... შიშისგან ვკანკალებდით ორივე და კარგა ხანს, ხმის ამოუღებლად ვისხედით. ისეთი შეშინებული ვიყავი, რომ საჭესთან დაჯდომა ვეღარ გავბედე.

— ამის შემდეგ შიში არ დაგჩემდა?

– ასეთი შემთხვევების შემდეგ, შიშის გამო ბევრი ვეღარ ჯდება საჭესთან. მაგრამ მე ვფიქრობ, პირიქით – ასეთ დროს, შიშის გრძნობას არ უნდა დაემორჩილო...

— ლენუკა, როგორი მანქანები მოგწონს?

– ამჟამად, „ფორდი“ მყავს. ჯიპს ვერ ვატარებ – დიდი და მძიმე მანქანაა, ქალისთვის – შეუფერებელი. უფრო, კომფორტული მანქანები მომწონს.

— მანქანას თვითონ რეცხავ ხოლმე? საერთოდ, თუ გიყვარს მანქანის მოვლა?

– როგორ არა? ძალიან მსიამოვნებს სუფთა, გაკრიალებულ მანქანაში ჯდომა. არ მიყვარს, სალონი მოუწესრიგებელი რომ არის და უამრავი ნივთი რომ გდია. არც სათამაშოებით სალონის მორთვა მომწონს – ერთადერთი, რაც მომწონს, ეს არის „სუნები“ – ნივთები, რომელიც სურნელს აყენებს.

— მუსიკის მოსმენა გიყვარს?

– ძალიან მაღალ ხმაზე – არა: მაინც გონებას გირევს, ყურადღებას გიფანტავს, ეს კი შეიძლება, ძალზე სავალალო შედეგით დასრულდეს...

— მანქანით სეირნობა თუ გიყვარს?

– როდესაც თავისუფალი დრო მაქვს, მეგობრებთან ერთად ვსეირნობ, ზოგჯერ – ბავშვთან ერთად. ჩემი შვილი გიჟდება მანქანაზე. როგორც კი დაინახავს ზურას მანქანაში, ჩაუხტება ხოლმე და აღარ გადმოდის. ზურა გიჟდება: რა გვეშველება? ამას ისე უყვარს მანქანა, რომ მგონი, ავტომობილელი გამოვაო!..

— ოდესმე თუ მოუპარავთ შენი მანქანიდან რაიმე?

– ერთხელ მამაჩემს ვთხოვე თავისი მანქანა – მეგობართან მივდივარ და მალე დავბრუნდები-მეთქი. უკვე გვიანი იყო. ის გოგო პეკინზე ცხოვრობს. ვიცოდი, რომ ეზოში მდგარი მანქანებიდან ხშირად იპარავდნენ რაღაც-რაღაცებს. მე და ანიმ (თან მეგობარი მახლდა) გადავწყვიტეთ, საბუთები და მაგნიტოფონი ამოგვეღო და თან წაგვეღო. ეს ყველაფერი ანის ეჭირა ხელში, მე მანქანას ვკეტავდი. შევამჩნიე, რომ შორიახლოს სამი ახალგაზრდა ბიჭი იდგა, ერთი მათგანი ტელეფონზე ლაპარაკობდა. ისიც დავინახე, რომ ჩვენკენ წამოვიდნენ, მაგრამ რას ვიფიქრებდი?! – უცებ, ანის მისცვივდნენ – ალბათ ეგონათ, რომ ხელში საფულე ან ჩანთა ეჭირა – და ნივთების წართმევა დაუპირეს. ანი საბუთებს ხელს არ უშვებდა. შემეშინდა, რამე არ ჩაარტყანმეთქი. ბოლოს, ხელიდან გამოჰგლიჯეს საბუთებიც და მაგნიტოფონიც და გაიქცნენ. ანი ყვირილით გაეკიდა მათ – დამიბრუნეთ, ჩემი ნივთებიო – მაგრამ რას დაეწეოდა ან ვინღა დაუბრუნდებდა? მე მანქანაში ჩავჯექი და გავეკიდე, იმედი მქონდა, დავეწეოდი, მაგრამ უცებ გაუჩინარდნენ... შინ დაბრუნებულმა, ეს ამბავი ჩემს ძმას – გიორგის გავუმხილე – ვერ გავბედე, მე თვითონ მეთქვა მამაჩემისთვის... საბედნიეროდ, მეორე დღესვე დავიბრუნეთ საბუთები. №161-ე სკოლასთან, მასწავლებელს უპოვია და ბებიაჩემისთვის დაურეკავს. საბუთები კი დავიბრუნეთ, მაგრამ მაგნიტოფონი – ვეღარ... ■

შინ დაბრუნებულმა, ეს ამბავი ჩემს ძმას – გიორგის გავუმხილე – ვერ გავბედე, მე თვითონ მეთქვა მამაჩემისთვის...



	აშშ-ის შტატი	ნივთების ან ფულის გათამაშება ბილეთებით	თვალის ფერადი გარსი	ეგვიპტელთა ღმერთი	ამერიკული წარმოების ყველგანმავალი მანქანა	ქართველი მსახიობი ... მანჯგალაძე	ცხენებშებმული ტრანსპორტი
ანა	მასპეჩინაური	ლიჩსპჩი	ქეთრინ	ოსირი	ფორდი		

ფულის წყვევი	გბცივებული და გასქელებული ხორცის ნახარში	ხერხემლის შემადგენელი ნაწილი	რისამე სახელური	გაზი	ღვინის გამყიდველი ძველად	ბურატინოს მუდამ მოწყენილი მეგობარი	ქალაქი აშშ-ის ჩრდილო ნაწილში

როგორ ვიზრუნოთ მიცვალებულთათვის?

განვაგრძობთ „გზის“ წინა ნომერში დაწყებულ საუბარს, სიკვდილსა და გარდაცვლილის ქრისტიანული წესით მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით. თემასთან დაკავშირებული საკითხები განმარტებულია სხვადასხვა რელიგიურ ლიტერატურაზე დაყრნობით.

შორენა მერკვილაძე

— რა შემთხვევაში არ უგებენ გარდაცვლილს წესს?

— გარდაცვლილზე წესის აგება არ შეიძლება, თუ ის მოუნათლავი, ღვთისმგმობი, სექტანტი, ჩამოყალიბებული ლოთი ან თვითმკვლელი იყო (თვითმკვლელს ქრისტიანულად წესი ეგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თვითმკვლელობა სულიერად დაავადებულის მიერაა ჩადენილი). ასევე არ უგებენ წესს აბორტის მიზეზით გარდაცვლილ ადამიანს, თუ მან ამ ცოდვის აღსარებით მონანიება ვერ მოასწრო. თუ რა შეიძლება გავაკეთოთ ისეთი მიცვალებულებისთვის, რომლისთვისაც წესის აგება დაუშვებელია, ამის თაობაზე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასულიერო პირისგან უნდა მივიღოთ რჩევა.

— გამართლებულია თუ არა მიცვალებულისთვის ტანისამოსისა და სხვა ნივთების ჩატანება?

— ეს არის არარელიგიური ჩვეულება, დაკარგული მადლი, რომელიც შეგვეძლო მის სახელზე მოწყალების სახით გაგვეცა.

— გამართლებულია თუ არა მიცვალებულისთვის ღამისთევა?

— დაკრძალვამდე მიცვალებულისთვის ღამისთევა იმ შემთხვევაშია გამართლებული, როდესაც მიცვალებულისთვის ვლოცულობთ, რადგან ღამე მშვიდია და ახლობლები მიცვალებულის სულისთვის უშფოთველად ლოცულობენ.

— შეიძლება თუ არა, გარდაცვლილის ოჯახის წევრებმა, მის დაკრძალვამდე შეასრულონ საოჯახო საქმეები, გააცილონ სამძიმარზე მისული ხალხი და ა.შ.?

— გარდაცვლილის ოჯახის წევრებმა შეიძლება შეასრულონ ნებისმიერი საოჯახო საქმე, ამას არანაირი რელიგიური მნიშვნელობა არა აქვს. არ ეკრძალებათ ასევე არც სამძიმარზე მისულთა გაცილება. გარდაცვლილის ახლობლები ადრე მეტ დროს ლოცვას უთმობდნენ და ასეთი საქმეებისთვის დრო აღარ რჩებოდათ. აქედან მომდინარეობს მეზობლების მიერ გარდაცვლილის ოჯახში სადილის გადატანის ჩვეულება.

— მისაღებია თუ არა, მიცვალებულის გამოსვენებისას, ჩვენში დამკვიდრებული სხვადასხვა რიტუალის აღსრულება?

— გამოსვენებისას ტახტის გარშემო სასახლის სამჯერ შემოტარება, ლიტანიობის დროს ტაძრის გარშემო სამჯერ შემოვლის მსგავსი რიტუალია. წაქცეული ტახტი, რომელზეც მიცვალებული ესვენა, მიგვანიშნებს უფლის საფლავიდან გადაგორებულ ლოდს. თუ ამ რწმენით ვიმოქმედებთ, მაშინ ეს რიტუალები შეიძლება შესრულდეს. სხვა დანარჩენი: ხის მოჭრა, მინის ჩამსხვრევა, მაისში დაბადებულის ფანჯრიდან გადასვენება და ა.შ. ცრურწმენაა და მართლმადიდებლური ეკლესიისთვის მიუღებელია.

— რას ნიშნავს „სულის ახსნა“?

— ზოგჯერ „სულის ახსნას“ დაკრძალვის დღეს ამთხვევენ, რაც სუფრასთან ხორცის მიტანით და „ხორცზე კბილის დადგმით“ გამოიხატება. „სულის ახსნას“ ასევე ამთხვევენ გარდაცვალებიდან მეცხრე დღეს, მაგრამ ამ დღეს მიცვალებულების ახლობლები იმისთვის კი არ უნდა შეიკრიბონ, რომ სუფრასთან დასხდნენ, არამედ იმ დღეს, როდესაც სული ჯოჯოხეთს ათვალიერებს, ახლობლები მიცვალებულს ლოცვით უნდა შეეწიონ. ეკლესიური სწავლებით, სული თავისუფალია და მას „ახსნა“ კი არა — ხსნა სჭირდება.

— რა მნიშვნელობა აქვს ქელეხს?

— ქელეხის სუფრა არის მიცვალებულის სახელზე გაკეთებული მოწყალება. ამიტომ ამ სუფრაზე უნდა ვითხოვოთ ღვთისგან მიცვალებულის სულის შენდობა. ქელეხის სუფრის დიდხანს გაგრძელება, დათრობა და შეუფერებელი საქციელი მიცვალებულს შეურაცხყოფს. არის ტრადიცია ღვინოში ჩაწობილი პურის მიღებისა, ზოგჯერ კი ღვინის პურზე ან საფლავზე დაღვრისა, რაც სიმბოლურად მიცვალებულისთვის ცოდვათა მიტევების სურვილის გამომხატველია.

— საჭიროა თუ არა გარდაცვლილის საწოლზე მისი ტანსაცმლის დაწყობა ორმოცამდე და ამ ხნის მანძილზე ოთახში ანთებული ნათურის დატოვება?

— ეკლესიური სწავლების თანახმად, გარდაცვალებიდან 40 დღის განმავლობაში, გარდაცვლილის სახელზე უნდა გვენთოს კანდელი და არა ანთებული ნათურა. ასევე არ არის საჭირო მის საწოლზე ტანსაცმლის დაწყობა და მაგიდაზე საკვების დალაგება. უმჯობესია, გარდაცვლილის ტანსაცმელი და ნივთები ორმოცამდე, მოწყალების სახით დავარიგოთ.

— შეიძლება თუ არა, გლოვის ნიშნად სახლის ფასადზე გავაკრათ შავი ქსოვილი?

— სახლის ფასადზე შავი ნაჭერი შეიძლება ორმოცი დღე გავაკრათ. ორმოცი დღის შემდეგ კი, უნდა ჩამოვხსნათ.

— ქრისტიანულია თუ არა გლოვა?

— მიცვალებულის უზომოდ გლოვა

და უიმედობაში ჩავარდნა, მიუღებელია. გარდაცვლილის ახლობლებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ სიკვდილის შემდეგ ადამიანი კი არ ისპობა, არამედ ერთი მდგომარეობიდან გადადის მეორე, უფრო აღმატებულ მდგომარეობაში. ამიტომ ჭირისუფალთა ყურადღება მიმართული უნდა იყოს მიცვალებულის სულისაკენ, რაც ლოცვით, მის სახელზე გაკეთებული მოწყალებით თუ სხვა საეკლესიო წესების აღსრულებით უნდა გამოიხატოს. ეს ყველაფერი მიცვალებულის სულს სასიკეთოდ წაადგება. გარდაცვლილის სახელზე მისმა ახლობლებმა 40 დღის მანძილზე უნდა ატარონ შავი სამოსი. თუკი ჭირისუფალი შავ სამოსს 40 დღის შემდეგაც ატარებს, შავი თავსაბურავით დადის და უნუგეშო მდგომარეობაშია, ის თავის თავსაც უმძიმეს მდგომარეობაში აგდებს და მიცვალებულის სულსაც ტკივილს აყენებს.

— როგორ უნდა გამოიყურებოდეს ქრისტიანის საფლავი და აუცილებელია თუ არა საფლავის ორმოცამდე მოწყობა?

— ქრისტიანული სწავლებით, საფლავი არის წმინდა ადგილი, სადაც ადამიანის გვამი განისვენებს საყოველთაო აღდგომამდე. ქრისტიანის საფლავი ასე უნდა გამოიყურებოდეს: შემოიღობოს, რათა პირუტყვმა არ დააბინძუროს; საფლავზე დაიდოს ქვა, რომელზეც გარდაცვლილი ადამიანის ვინაობა აღინიშნება; აუცილებლად უნდა დაიდგას ნაკურთხი ჯვარი; სასურველია, გამშვენებული იყოს ყვავილებით და მწვანე ნარგავებით. რაც შეეხება საფლავის ორმოცამდე მოწყობის აუცილებლობას, ეს მხოლოდ ცრურწმენაა და რელიგიურ საფუძველს მოკლებულია.

— როგორ ვილოცოთ მიცვალებულთათვის?

— მიცვალებული შეიძლება მოვიხსენიოთ დილის ლოცვებში, შესაბამის ადგილას (დილის ლოცვებში შეტანილია: „ლოცვა მიცვალებულთათვის“). ლოცვის ერთ-ერთი ფორმაა სანთლის დანთებაც, რისთვისაც ეკლესიაში მაცხოვრის ჯვარცმის წინ ანთებენ სანთელს მიცვალებულთათვის და ლოცულობენ. გარდაცვლილი ადამიანისთვის, შინ სანთელი შეიძლება დავანთოთ ხატებთან და მის სახელზე გაწყობილ სუფრასთან. აუცილებელია გარდაცვლილისთვის „ფსალმუნების“ კითხვა გარდაცვალებიდან ორმოცამდე. რაც უფრო მეტჯერ მოესწრება ამ ხნის მანძილზე „ფსალმუნების“ სრულად წაკითხვა, მით უკეთესია.

— მიცვალებულთა მოსახსენებელი დღეები და პანაშვიდები...

— ახალგარდაცვლილს შინ ან ეკლესიაში უნდა გადაუხადონ პანაშვიდები: გარდაცვალების დღეს, გარდაცვალებიდან მე-3, მე-9 და მე-40 დღეს. ამის შემდეგ, გარდაცვალებიდან ყოველ წლისთავზე. გარდა ამისა, ეკლესიის მიერ წლის განმავლობაში დაწესებულია დღეები, როდესაც ეკლესია მიცვალებულთათვის მიძღვნილ წირვას და პანაშვიდს აღასრულებს. მიცვალებულთა სულის მოსახსენიებელი დღეებია: ხორციელის შაბათი; დიდმარხვის მეორე, მესამე და მეოთხე შაბათი; თომას კვირის სამშაბათი; სულთმოფენობის წინა შაბათი; დიმიტრის შაბათი.

ამასთანავე, წირვის დროს აღესრულება ცოცხალთა და მიცვალებულთა მოხსენიება. ამიტომ, წირვის დაწყებამდე, ახლობლებმა თავიანთ მიცვალებულთათვის უნდა შეიძინონ სეფისკვერი და მოსახსენიებელთან ერთად შეაგზავნონ ეკლესიის სამკვეთლოში. მოსახსენიებელში ჭირისუფალი ჩამოწერს იმ მიცვალებულთა სახელებს, რომელთა მოხსენიებაც სურს. სასულიერო პირი, მოსახსენიებელში ჩამოთვლილ მიცვალებულთა სახელზე, სეფისკვერიდან იღებს წმინდა ნაწილებს, ათავსებს ფეშხუმზე და წირვის ბოლოს ჩაასვენებს ბარძიმში, სადაც ქრისტეს სისხლი და ხორცია მოთავსებული. ამ მოქმედებით ხდება მოხსენიებული ადამიანების განწმენდა და ცოდვების მიტევება.

— რა მნიშვნელობა აქვს მიცვალებულთა სახელზე მოწყალების გაცემას და საკურთხის მომზადებას?

— მოწყალების გაცემა მიცვალებულთა სულისთვის ზრუნვის ერთ-ერთი სახეა. მოწყალების სახით შეიძლება გაიცეს თანხა, ნივთი, საკვები და ა.შ. ამ კეთილი მოქმედებით მოხვეჭილი მადლი მიცვალებულის სულს მიეწერება და სასიკეთოდ შეეწევა. მოწყალების ერთ-ერთი სახეა მიცვალებულის სახელზე ტაბლის, ანუ საკურთხის მომზადება. საკურთხი მზადდება მიცვალებულის პანაშვიდებსა და მოხსენიების დღეებში. საკურთხის სუფრაზე აუცილებლად უნდა იყოს წანდილი, ღვინო და ზეთი. სხვა საკვები ადამიანს შეუძლია მოამზადოს სურვილისამებრ. ტაბლას ჭირისუფალი მიიტანს ეკლესიაში და მიცვალებულის სახელზე სასულიერო პირს აღასრულებინებს პანაშვიდს. ჭირისუფალმა ტაბლა უნდა შესწიროს ეკლესიას, რაც დიდი მადლია მიცვალებულის სულისთვის. ■

ადამიანზე-ადამიანზე

სტიროდეთ და ჰგოდებდეთ თქვენ, ხოლო სოფელსა უხაროდეს — იესომ უთხრა მოწაფეებს თავისი წამების (ვნების) წინა დღეებში.

იოანეს „სახარება“ 16, 20

მე მხოლოდ განვმარტავ, მაგრამ ახალს არაფერს ვქმნი. ვარ სიძველის ერთგული და მიყვარს წარსული... ოთხ ზღვას შორის ყველა ძმები ვართ.

კონფუციუსი

ვინც ყველას მეგობარია, ჩემი მეგობარი არაა.

მოლიერი

ნამდვილი პატიოსნება ესაა გადაწყვეტილება, რომ ყოველგვარ გარემოებაში გააკეთო ის, რაც ადამიანთა უმრავლესობას სარგებლობას მოუტანს.

ბენჯამინ ფრანკლინი

ძლიერი, მოკლედ გამოთქმული აზრები დიდად უწყობს ხელს ცხოვრების გაუმჯობესებას.

ციცერონი

წიგნები — აზრის ხომალდებია, ჟამთა ტალღებში რომ მოცურავენ და ზრუნვით გადასცემენ ძვირფას ტვირთს თაობიდან თაობას.

ფრენსის ბეკონი

სამარცხვინოა, სხვათა შეცდომებში რომ ვიქექებით და ჩვენსას ვერ ვხედავთ.

დემოკრიტე

ყოველი დიდი შემოქმედება სიკვდილთან ბრძოლა და ჭიდილია.

ალიო მაშაშვილი

მოკვდება და მაინც ცოცხლობს ღირსეული კაცი,
უღირსი კი სიკვდილამდეც არის ხმელი ქაცვი.

რაბინდრანათ თაგორი

გონივრული თითქმის ყოველთვის ემთხვევა ზნეობრივს.

ლევ ტოლსტოი

„ᲨᲕᲘᲓᲯᲔᲠ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲮᲓᲔ, ᲐᲤᲘᲪᲐᲠᲘ ᲕᲜᲓᲐ ᲘᲧᲝ!

ᲖᲐᲣᲠ ᲡᲐᲮᲕᲐᲫᲔ

ანუ ჩემი „საბირჟაო“ ადგილი რიგა იყო“...

ᲔᲚᲔᲜᲔ ᲡᲐᲚᲐᲠᲘᲫᲔ

სტუდენტობისას ანანურის ქუჩაზე ვცხოვრობდი, უნივერსიტეტთან ახლოს. ერთი აბეზარი თაყვანისმცემელი მყავდა, ვერაფრით მოვიშორე თავიდან. ჩემი მისამართიც იოლად გაუგია და ლამის ყოველდღე მხვდებოდა შინიდან გამოსულს. იმდენი მოახერხა, ჩემს დიასახლისსაც „დაუმეგობრდა“...

ერთ მშვენიერ დღეს, ლექციებიდან დაბრუნებულს, ის ჩემი არამკითხე კავალერი შინ დამხვდა (ფანჯრიდან დავინახე), დიასახლისს შინაურულად ემუსაიფებოდა.

უკან გამოვბრუნდი და დაუფიქრებლად დავაკაკუნე პირველ სართულზე, სადაც ერთი სამბისტი ცხოვრობდა, ჩემპიონი (არ ვიცნობდი).

კარი გრძელფეხება ბალტიისპირელმა გოგონამ გამიღო. ჩემპიონიც მალე გამოჩნდა.

პირდაპირ „საქმეზე“ გადავედი (თან ცრემლიც მივაყოლე):

— მე დეიდა ანასთან ვცხოვრობ, იქ ახლა ერთი ბიჭია, რომელსაც ვერაფრით ვიშორებ. ძალიან გთხოვთ, უთხარით, რომ არ მიყვარს და თავი დამანებოს.

— შენ არაფერზე ინერვიულო, პატარა გოგო... ნუ ტირი, აქ დარჩი, მე მალე მოვალ...

ცოტა ხანში, მთელი ეზო (ძველთბილისური, „იტალიურად“ მონათლული), გარეთ გამოეფინა. ის ბიჭი კისრისტეხით ჩამოგორდა მეორე სართულის კიბიდან... მერე აღარც მოუკითხავს...

უკვე აღარავისი მეშინოდა — სამბისტი მეზობელი მყავდა!..

მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ხშირად მიფიქრია — ნეტავი, ახლა სად არის-მეთქი ჩემი „პირადი მცველი“?..

რედაქციაში რომ მოვიდა, მეგობართან ერთად, მაშინვე ვიცანი...

ახლა კი დროა, მკითხველსაც წარვუდგინოთ **ᲖᲐᲣᲠ ᲡᲐᲮᲕᲐᲫᲔ**, *პოლიციის პოლკოვნიკი, თბილისის საკომენდანტო სამსახურის უფროსის მოადგილე:*

— ბატონო ზაურ, თქვენ ისეთი საქმიანი კაცი ჩანხართ, ტყუილად არ მოხვიდოდით...

— ტყუილად რად მოვიდოდი? გასახარელი ამბავი მოგიტანეთ საფრანგეთიდან. მე და ანზორ ზურაბაული *(მეგობარი წარმოგვიდგინა. — ავტ.)* ჩემპიონები გავხდით. მე — მეშვიდედ, ანზორი კიდევ — მეხუთედ! უბრალო კი არა — მსოფლიო ჩემპიონები...

— მოიცათ, მოიცათ! მოდით, ყველაფერი თანამიმდევრულად მოგვიყევით.

— კი, ბატონო. ამ ათიოდე დღის წინ, საფრანგეთის ერთ პატარა, უმშვენიერეს ქალაქ კეპ-მარტინში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი: საბრძოლო სამბოში — პოლიციელ სამბისტთა და ვეტერან სამბისტთა შორის. მე და ანზორი საქართველოდან ვეტერან სამბისტებს წარმოვადგენდით, უშანგ ყურაშვილთან ერთად (უშანგი მეორე ადგილს დასჯერდა, ტრავმირებული იყო). ისე, რომ იცოდეთ, ვეტერანთა შორის, 19 ქვეყნის 128 მოჭიდავე გამოდიოდა. 65 მარტო რუსი სამბისტი იყო, მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონების ტიტულებით...

— პოლიციელთა შორის არავინ გყავდათ?

— როგორ არა?! ჩემპიონატის მეოთხე, ახალგაზრდა მონაწილე სწორედ ქართულ პოლიციას წარმოადგენდა. გიორგი ჩხაიძე, ინტერპოლის უფროსის მოადგილე, პოლიციის კაპიტანი, ნახევარფინალში ქულებით დამარცხდა უკრაინელ იური პოლიპჩუკთან და მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა. არა უშავს — გიორგი ყოჩაღი ბიჭია, მთელი ცხოვრება წინა აქვს, ბევრჯერ გაგვახარებს...

— ვინ აფინანსებდა ჩემპიონატის მონაწილეებს?

— საერთაშორისო ორგანიზაციები, სხვადასხვა ფირმა, კერძო პირები. მე, მაგალითად, ბადრი პატარკაციშვილი დამეხმარა, ჩემი ძმა... ჰო, რა გაგიკვირდათ? — ჩემი ძმაა, მა რა არი — ასეთ დროს, გვერდში რომ ამოგიდგება კაცი?! როგორი საქმეა, საქართველოს დროშა რომ საფრანგეთში აღვმართეთ?!.

— ჯილდოდ რამდენი მიიღეთ?

— რა ჯილდო? — უფულო ჩემპიონები ვართ. რესპუბლიკამ უნდა მოგვცეს ფული. თვითონ არა აქვს და ჩვენ რას მოგვცემს?!

— რესპუბლიკამ? კონკრეტულად, მაინც ვის ევალება თქვენი დაჯილდოება?

— მთავარი ჯილდო ის არის, რომ ჩემპიონებიც გავხდით და ფრანგებს კიდევ ერთხელ გავახსენეთ პატარა საქართველო...

— ამ ჩემპიონატში ფინალამდე როგორ მიხვედით?

— ძალიან ადვილად. პირველი სამი მოწინააღმდეგე სუფთად გავაკარი რინგს. ჩემს წონაში არანაკლებ გამოიჩინა თავი ამერიკელმა რობერტ დაუჩევმა. მანაც სამი უძლიერესი მოწინააღმდეგე იოლად დაამარცხა. მოკლედ, ჩემამდე „გამოძვრა“... ნახევარფინალში შევხვდით ერთმანეთს. ისე, კერკეტი კაკალივით იყო, ძლივს მოვუგე ქულებით... მაგრამ ფინალში კი, მართლაც უძლიერესი სამბისტი მელოდა — რუსი გრიგორი სელეზნიოვი, მრავალგზის ჩემპიონი, პროფესორი, ერთი სიტყვით, მაგარი ბიჭი, რუსების უმთავრესი ფავორიტი... ჩემს თავს შევუძახე — ზაურ, იმ ამერიკელს ხომ აჯობე?! ახლა ამ რუსსაც თუ მოუგრეხ კისერს, გაისად კიდევ გაგიშვებენ ჩემპიონატზე, თუ არა და, მოგიწევს თბილისში ჯდომა-მეთქი... ჩემდა გასაოცრად, სულ არ გამჭირვებია სელეზნიოვის დამარცხება, სუფთად მოვუგე...

— რატომ აირჩიეთ სამბო და არა ვთქვათ, ძიუდო, ან თავისუფალი სტილით ჭიდაობა?

— სამბო ხომ იცით, რას ნიშნავს: самооборона без оружия — ე.ი. თავდაცვა უიარაღოდ. მე პოლიციელი ვარ და ამიტომ, ჩემთვის აუცილებელიც კი იყო, სამბოში მევარჯიშა. თანაც, ჩემი აზრით, სამბო სპორტის ულამაზესი და უძლიერესი სახეობაა, რომელსაც ყველაზე კარგად ჩვენ, პოლიციელები ვიყენებთ.

ᲪᲝᲢᲐ ᲠᲐᲛ ᲡᲐᲛᲑᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ

სამბო ყოფილ საბჭოთა კავშირში წარმოიქმნა, როგორც სპორტის დამოუ-

კიდებელი სახეობა. მისი „დაბადების“ თარიღი 1938 წელია. მასში სხვადასხვა ეროვნული ჭიდაობიდან აღებული საუკეთესო ილეთებია შერწყმული, ყველაზე მეტი კი, როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, – ქართული ჭიდაობიდან. სამბოს ნამდვილ აზარტულ სანახაობად და ვაჟკაცობის გამოვლენის საუკეთესო საშუალებად მიიჩნევენ. 1938 წელს სპორტის დამოუკიდებელ სახეობად გამოცხადდა. მომდევნო წელს კი, ამ სახეობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ჩატარდა. 1973 წელს, თეირანში გაიმართა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი სამბოში (ლევან თედიაშვილი ერთ-ერთი პირველი მსოფლიო ჩემპიონია). იქიდან მოყოლებული, სისტემატურად ტარდება ამ სახეობაში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები. განსაკუთრებულ წარმატებებს სამბოში ქართველი სპორტსმენები აღწევენ...

— ზაურ, სამბოს ილეთების გამოყენებით თუ „გიცემიათ“ ვინმე? თქვენ ხომ პოლიციელი ხართ...

– რა ვქნა, უნდა გამოვტყდე – სხვა გზა რომ არ მქონია, ბევრი მიცემია (ბევრსაც კიდევ მოუწევს...), კისერი და ხელებიც მიმიგრეხ-მომიგრეხია...

ერთხელ (დიდი ხნის ამბავია), რუსთაველზე მივდივარ ტროლეიბუსით. ვიღაც ქალმა იკივლა – მიშველეთო! – ორ ბიჭს ოქროს ძეწკვი ჩამოუგლეჯია და ჩანთაც წაურთმევია. ორივენი რამდენიმე წამში ასფალტზე მყავდა გაკრული...

— ასეთი ეპიზოდი ალბათ ბევრი გქონიათ.

– ვინ მოთვლის?.. შარშან, დიდ ჩხუბს შევესწარი გმირთა მოედანზე. შვიდნი იყვნენ. სულ წაღმა-უკუღმა აგინებდნენ ერთმანეთს. მივედი, ვაწყნარებდი ჩემი ჭკუით... ჰოდა, მომარტყეს კიდეც. მასე არ უნდა-მეთქი?! – და სუყველა მივაწყ-მოვაწყვე... ერთმა დანა დამიძრო და პირდაპირ მუცლისკენ გამომიქანა; სამბისტი რომ არ ვყოფილიყავი, ამ ზაფხულს, წლისთავს გადამიხდიდნენ – გამომფატრავდა ის ლაწირაკი...

— თქვენი შვილიც სამბისტია?

– ჩემი შვილი – ლერი სახვაძე უკვე პოლიციის მაიორია. სამბოშიც ვარჯიშობდა და კრივშიც. სპორტს არ გაჰყოლია, მაგრამ სათავისოდ, მაგარი ჩხუბი იცის!..

საქართველოს ნაკრები საფრანგეთის ჩემპიონატზე. მარცხნიდან: ანზორ ზურაბაული, გიორგი ჩხაიძე, უმანგ ყურაშვილი, ზაურ სახვაძე

— ახალგაზრდობაში ქალებს სამბოთი აწონებდით თავს?

– *(იცინის)* რა ვიცი, აბა... ბევრს მოვწონდი... განსაკუთრებით, რუს და ბალტიისპირელ გოგონებს. ერთხელ, მორიგ შეჯიბრზე ვიყავი ნოვოსიბირსკში. იქ ერთი ნატაშა გავიცანი, ვარსკვლავივით გოგო. თბილისში ჩამომაკითხა. მოვატარე მთელი ქალაქი, მცხეთა, საგურამო... გავაცილე ერთი კვირის შემდეგ. ღვარა და ღვარა ცრემლები... მეორე დღეს, ვხედავ – ისევ არ მომადგა?! უშენოდ არ შემიძლია, შინ არც მივსულვარ – პირდაპირ აეროპორტიდან უკან გამოვფრინდიო... რა მექნა, ხომ არ გავაგდებდი?! დავუყვავე – წადი, მშობლებს მოელაპარაკე, თანაც, მე ჯერ ცოლის მოყვანას არ ვაპირებ და ვიმეგობროთ, მერე კი ვნახოთ, რა იქნებამეთქი... წავიდა ისევ ტირილ-ტირილით. მთელი წელი მწერდა წერილებს...

— იქით თუ აკითხავდით ხოლმე ძველ „მეგობრებს“?

– როგორ არა? ჩემი „საბირჟაო“ ადგილი რიგა იყო. სასტუმრო „რიგაში“ ჩემი ნომერი მქონდა. იქიდან გავინავარდებდი ზღვისკენ და... ჭერეხივით ეყარა ეს თეთრი, თეთრი გოგოები... ჩავდიოდი ზღვაში დაკუნთული, ნავარჯიშევი, შავი, ჯანიანი მამაკაცი, ცურვაც მაგარი ვიცი და... რა უნდა მეტი ქალს?!. არადა, შეხედავდი იმათ აყლაყუდა ბიჭებს, ფაეტონის ღერძივით ჰქონდათ დაწვრილებული კისრები... ქალიც ბლომად იყო, ფულიც ბლომად მქონდა და ირეოდნენ ჩემზე ბალტიისპირელი ლამაზმანები... კარგი დრო იყო... ისე, ხანდახან ქალებისთვის ჩხუბიც მიწევდა ხოლმე...

— ახლაც გიწევთ ქალებისთვის თავის გამოდება?

– ახლა მაგეებისთვის ვეღარ ვიცლი.

— თქვენი უშუალო უფროსი თემურ მღებრიშვილია, არა?

– მე და თემური ძმები ვართ – ერთად გაზრდილი ბიჭები. ისიც სპორტსმენია, სამბოსა და კრივში სპორტის ოსტატია. წაღვერში კიდევ, ახლო მეზობლები ვართ, ჩვენი სახლები ერთმანეთს უყურებს...

— ერთად სად ქეიფობთ ხოლმე?

– სად მცალია საქეიფოდ?! წონაში ვიკლებ, შეჯიბრებებზე დავდივარ. შვიდჯერ მსოფლიო ჩემპიონი რომ გახდე, აფთარი უნდა იყო!.. „გადამდგარი“ ვარ ამ საქმეში... ამ ჩემს ძმაკაცს რომ უყურებ, ანზორ ზურაბაულს – ამანაც რუსი დაამარცხა ფინალში, ვიქტორ ლაზარევი. გდება რომ ჩაუტარა, ნიკაპზე დაარტყა წარბი, მაგრამ კი არ შეშინდა – ბეჭებზე დააგდო. მერე ჭრილობა დაუმუშავეს და მართლაც აფთარივით ეცა – სუფთა გდება გაუკეთა და შეწყდა კიდეც ორთაბრძოლა. აი, ასეთი მაგარი ბიჭები ვართ ჩვენ – ვეტერანი სამბისტები!..

■

„კვირის პალიტრის“ სასწავლო კომპიუტერული ცენტრი

გთავაზობთ კომპიუტერის შემსწავლელ ინდივიდუალურ კურსებს:

საოფისე, საგამომცემლო, გრაფიკული და ანიმაციური პროგრამები.
პროგრამირება და ვებ-დიზაინი.
შეისწავლება აგრეთვე პრინტერთან, სკანერთან და ქსელში მუშაობა, ინტერნეტი.
საგამომცემლო პროგრამების შესწავლისას მსურველები პრაქტიკას გაივლიან „კვირის პალიტრის“ გამოცემებში.
დამწყები და მოქმედი ჟურნალისტებისთვის ისწავლება აუცილებელი კომპიუტერული კურსი.



მსმენელთა მიღება ყოველდღე, კვირის გარდა
15⁰⁰-დან 18⁰⁰ სთ-მდე „კვირის პალიტრის“ ოფისში.
მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან).
დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ:
33-27-99; 38-68-77; 8(77) 44-24-74.

შესაძლებელია საუკეთესო მსმენელთა დასაქმება

კატარი

«გადამდგარ საფეხბურთო გენერალთა» თავშესაფარი

ალექსი რეხვიაშვილი

ფეხბურთის ქომაგთა ნაწილისთვის დღემდე, კატარი ან ტელეკომპანია „ალ-ჯაზირასთან“, ანდა უბრალოდ, იმ ტერიტორიასთან ასოცირდებოდა, რომლიდანაც ერაყის ომის დროს აშშ-ის ჯარები მანევრებს ახორციელებდნენ. ამჟამად კი, კატარის ხსენებისას უთუოდ ფეხბურთიც გაგვახსენდება, უფრო სწორად კი, ის მოთამაშეები, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში, ამ არაბულ ქვეყანაში ჩავიდნენ ფულის საშოვნელად.

მიმდინარე საფეხბურთო სეზონში კატარში ახალი „შეიხები“ გამოჩნდნენ. ვისაც ოდნავი კონტაქტი მაინც აქვს ფეხბურთთან, მისთვის მათი სახელები უთუოდ ნაცნობი იქნება: ეფენბერგი, ბასლერი, ბატისტუტა, იერო... დიახ, მიმქრალმა ვარსკვლავებმა ახლო აღმოსავლეთის მიაშურეს, რათა აქტიური სპორტული კარიერის მიწურულს, ბურთაობით უკანასკნელი მილიონები გამოიმუშაონ.

კატარში მზე საღამოს ექვს საათზე ჩადის. სწორედ ამ დროს იწყება შტეფან ეფენბერგის სამუშაო დღეც. იგი მხოლოდ ერთ საათს ატარებს სუფთა ჰაერზე უცნობ კატარელ ფეხბურთელებთან ერთად და მორჩა – სამუშაო დღე დასრულებულია. ამ 60 წუთის განმავლობაში, „ბავარიის“ ყოფილი ვარსკვლავი რამდენჯერმე ურტყამს კარში, რამდენჯერმე პასს მისცემს გაბრიელ ბატისტუტას, ერთი-ორი აჩქარება, ერთი-ორი მუცლის პრესის ვარჯიში... ეს არის და ეს. ამის შემდეგ შტეფანი თავის ლუქსისკლასის სასტუმროში ბრუნდება და 23-ე სართულზე მდებარე ძვირფას რესტორან La Mer-ში ვახშმობს: სანთლები, ქათქათა ფრაკებში გამოწყობილი ოფიციანტები, ზღვის ხედი. რაც მთავარია, მას დილით არსად მიეჩქარება. კატარში ჩასული უცხოელი ოსტატებისთვის ძილი პრიორიტეტულია.

ეფენბერგის სასტუმროდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით გერმანული ფეხბურთის კიდევ ერთი მიმქრალი ვარსკვლავი, მარიო ბასლერი დასახლებულა. იგი ახალ, ლამაზ სტადიონზე ვარჯიშობს. წვრთნას ხშირად რამდენიმე ათეული მაყურებელიც ადევნებს თვალს. ბასლერი 23-ნომრიანი მაისურით თამაშობს, ისევე როგორც მაიკლ ჯორდანი ან დევიდ ბექჰემი. გერმანელი ყველასგან გამოირჩევა. იმ დროს, როდესაც სხვები დარბიან, სუპერმარიო სიარულს ამჯობინებს, ისევე, როგორც ძველ, კეთილ დროს ბუნდესლიგაში.

მარიო ბასლერი უკანა მცველის ფუნქციებს ასრულებს. უკვე დიდი ხანია, რაც ბუნდესლიგაში ასე აღარ თამაშობენ. გერმანელი დაწვრილებით უხსნის თავის პარტნიორებს, თუ როგორ უნდა შექმნან მათ ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობა. ლიბეროს, გუნდში ყველა პატივს სცემს – მასაჟისტიც, მწვრთნელიც, მოთამაშეებიც. მიუხედავად ასაკისა, იგი მაინც მაღალი კლასის ოსტატად რჩება. ვარჯიშის შემდეგ მარიო უმალვე სახლში მიდის, სადაც მას საყვარელი ჩაცივებული „ჰაინეკენი“ ელოდება.

კატარის გენერალური ლიგა 1969 წელსაა დაარსებული. მასში 10 გუნდი შედის, რომელიც სეზონში (ოქტომბრიდან მაისამდე) 18 მატჩს ატარებს. 2002 წლამდე, ვიდრე არაბულ ქვეყანას 37 წლის რომარიო არ ეწვია, არავინ იცოდა, თუ რა საერთო ჰქონდა კატარს ფეხბურთთან. მოგვიანებით, ახლო აღმოსავლეთს იებოამ („ჰამბურგიდან“) და პაულო სერჟიომაც („ბავარიიდან“) მიაშურეს. ასე დაიწყო კატარში „საფეხბურთო ზღაპარი“.

წელს კატარში, 34 წლის ბასლერისა და 35 წლის ეფენბერგის გარდა, ჩავიდნენ იტალიაში ათვალწუნებული გაბრიელ ბატისტუტა (34), მადრიდის „რეალიდან“ დათხოვნილი ფერნანდო იერო (35), ფრანგი მსოფლიო ჩემპიონი ფრანკ ლებეფი (35), „გლაზგო რეინჯერსში“ შოთა არველაძის ყოფილი პარტნიორი კლაუდიო კანიჯა (36), „ბარსელონის“ ყოფილი მოთამაშეები დე ლა პენია (27) და ხოსე გვარდიოლა (33), აგრეთვე ბენარბია (34) „მანჩესტერ სითიდან“.

ისინი ნავთობით მდიდარ არაბულ ქვეყანაში დიდი ფეხბურთის სათამაშოდ ან ერთად დროის სატარებლად და გარდასულ დღეთა გასახსენებლად როდი ჩასულან. დოლარები – აი, რა იზიდავს მათ კატარში. საფეხბურთო კარიერის მიწურულს, იქ ყოველი მათგანი კიდევ ერთხელ გამოიმუშავებს რამდენიმე მილიონს, თანაც სულ რაღაც რვა თვეში, ყოველგვარი ფსიქოლოგიური ზეწოლის, დაძაბვისა და ქანცგამწყვეტ მატჩებში მონაწილეობის გარეშე. სხვა რაღა დარჩენიათ მათ თავიანთ ასაკში? 15-20-წლიანი აქტიური სპორტული კარიერის შემდეგ, წამყვან ევროპულ საფეხბურთო ქვეყნებში მოთამაშეს მხოლოდ მეორე ან მესამე დივიზიონის



მარიო ბასლერი

გაბრიელ ბატისტუტა



კლაუდიო კანიჯა


ფერნანდო იერო

გუნდებისკენ აქვს გზა ხსნილი, რაც ცხადია, დიდი ოსტატებისთვის არცთუ ისე სახარბიელო პერსპექტივაა. ზოგიერთი მათგანი მწვრთნელის პროფესიას ეუფლება, ზოგი აგენტის ლიცენზიით იწყებს გუნდში მუშაობას, ზოგიც ისეთ ქვეყანაზე ოცნებობს, სადაც კვლავ ითამაშებს ფეხბურთს, გამოიმუშავებს მილიონებს და ისევ პირველთა შორის იქნება. ვარჯიშის ან მატჩის შემდეგ კი, მშვიდად მიირთმევს ცივ ლუდს. აღმოჩნდა, რომ ჩვენს პლანეტაზე მხოლოდ ერთი ასეთი ადგილია – კატარი.

კატარი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ქვეყანაა და ნავთობის ექსპორტიორ სახელმწიფოთა შორის მესამე ადგილზე იმყოფება. არცთუ ისე დიდი ხნის წინ, იქ ფეხბურთზე ძალზე სერიოზულად ალაპარაკდნენ.

შეიხი ჰამად ბინ ჰაიფა ალ ტანი, რომელმაც ხელისუფლება 8 წლის წინ მამამისისგან ჩაიბარა, დემოკრატიის მომხრეა. 1999 წელს კატარში პირველად აირჩიეს საკონსტიტუციო საბჭო. არჩევნებში ქალებიც მონაწილეობდნენ. მიმდინარე წლის აპრილში მომზადდა კანონპროექტი, რომლის თანახმადაც, ქვეყანაში მონარქია დემოკრატიით შეიცვალა. ამ სიახლეს მოსახლეობის 77%-მა დაუჭირა მხარი. მალე ამირამ განათლების მინისტრად ქალი დანიშნა, რაც ორთოდოქსული მუსლიმანური ქვეყნებისათვის ნამდვილად უნიკალური შემთხვევაა.

შეიხს არც სპორტი დავიწყნია. უკვე ათი წელია, რაც კატარში მამაკაცთა საჩოგბურთო ტურნირები ტარდება (ქალ ჩოგბურთელთა ტრადიციული კოსტიუმი, რელიგიური დოგმებიდან გამომდინარე, კატარელთათვის ჯერაც მიუღებელია. 2004 წლის მარტში ქვეყანა მაგიდის ჩოგბურთის მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს, ხოლო 2005 წელს საერთაშორისო თამაშებს. საქვეყნოდ ცნობილი კენიელი მძლეოსნები ბოლო დროს კატარის სახელით ასპარეზობენ. პარიზში გამართულ წლევანდელ მსოფლიო პირველობაზე მათ ნავთობის ექსპორტიორ სახელმწიფოს პირველი ოქროს მედლები მოუპოვეს.

ცხადია, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები ფეხბურთსაც შეეხო. კატარელთა ახალი საფეხბურთო ტაქტიკა ქვეყანაში უცხოელი ვეტერანი ვარსკვლავების მიზიდვას ითვალისწინებს. სწორედ მათ უნდა გაუზიარონ თავიანთი ცოდნა ადგილობრივ მოთამაშეებს. მთელ ხარჯებს კატარის ოლიმპიური კომიტეტი ფარავს, რომელიც უცხოელ ვარსკვლავებს ქვეყნის სხვადასხვა კლუბში ანაწილებს. სხვათა შორის, ოლიმპიური კომიტეტის ოფისი რესპექტაბელური ცათამბჯენის 27-ე სართულზე მდებარეობს. საფეხბურთო ჩინოვნიკებს კი, ამ შენობაში ორი სართული უკავიათ. მათი მთავარი მიზანი, კატარში ფეხბურთის პოპულარიზაციაა. ჯერჯერობით კი, ამ მხრივ იქ გოლფი ლიდერობს.

ბოლო წლებში, კატარში ხუთი ახალი სტადიონი აშენდა, ხოლო ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ფრანგი ფილიპ ტრუსიე დაინიშნა, რომელიც 2002 წლის მუნდიალზე იაპონიის გუნდს ედგა სათავეში. საერთოდ, იაპონია ფეხბურთის კატარელი ბოსებისთვის სამაგალითო ქვეყნად ითვლება. 15 წლის წინ, იქაც ხომ ყველაფერი ისევე დაიწყო, როგორც დღეს კატარში: პიერ ლიტბარსკიმ, გარი ლინეკერმა, ტოტო სკილაჩიმ და სხვა ვეტერანმა ვარსკვლავებმა თავ-თავიანთი საფეხბურთო კარიერის მიწურულს ამომავალი მზის ქვეყანას მიაშურეს. ჯერ კიდევ ცხრა წლის წინ, კატარელებმა იაპონიის გუნდი ანგარიშით 4:0 დაამარცხეს. ამჟამად ისინი ამას ნამდვილად ვეღარ შეძლებენ. მუსლიმანური სახელმწიფოს უმთავრეს მიზანს კი, 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრა წარმოადგენს.

ჯერჯერობით, სამხრეთამერიკელი და ევროპელი „გადამდგარი საფეხბურთო გენერლები“ კატარში არსებულ პირობებს „ეგუებიან“. ყოველი მათგანის საცხოვრებელთან საცურაო აუზი და გოლფის მოედანია განთავსებული. სხვათა შორის, მარიო ბასლერი ამ ადგილებს უფრო კარგად იცნობს, ვიდრე თავის თანაგუნდელებს. ამიტომ საფეხბურთო თემების განხილვას, გოლფში საკუთარ მიღწევებზე საუბარს ამჯობინებს.

შტეფან ეფენბერგმა კი, მთელი რვა თვის გატარება სასტუმრო „რიტც-შარლტონში“ გადაწყვიტა. 151 კვმ საცხოვრებელი ფართი, ლუქსის კლასის ოთახები, ტელევიზორი, რომელიც ყველა გერმანულ არხს უჩვენებს, აუზი, ჯაკუზი, საუნა, ჩოგბურთის მოედანი, ცხრა რესტორანი, სიგარის მოსაწევად განკუთვნილი კლუბი, ყოველ სამშაბათს, გერმანული სამზარეულო... ამგვარი სიამოვნება ჩვეულებრივ ტურისტს, როგორც წესი, დღე-ღამეში 2.500 დოლარი უჯდება. ■

შტეფან ეფენბერგი

ხოსე ლუის გვარდიოლა

რომარიო

ჯიმ ქერი „ჰიპნოტიზიორი“ გახდა

ჯიმ ქერი ახლო მომავალში ახალ რომანტიკულ კომედიაში – „ჰიპნოტიზიორი“ მიიღებს მონაწილეობას. სცენარი დაწერილია სახელგანთქმულ ჰიპნოტიზიორზე, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს, სხვა ადამიანად გარდაიქმნება. მთავარი გმირი, დაკარგავს თუ არა ამ უნარს, გაიცნობს გოგონას, რომელიც შეუყვარდება. საქმე ის არის, რომ ჰიპნოტიზიორის ნიჭის დაკარგვის შესახებ იგი არავის ატყობინებს. მიღებული შეკვეთის თანახმად, მან კლიენტი უნდა შეაყვაროს საკუთარ რჩეულს...

სურათის პროდიუსერია ბობ კუპერი, რომელიც ამჟამად, ჯიმ ქერისთან ერთად სხვა კომედიურ ფილმზე („ვიცი, რომ იცი, რომ ვიცი“) მუშაობს.

„ჰიპნოტიზიორის“ სცენარი დაწერა საშა გერვასიმ, რომლის კალამსაც ეკუთვნის სტივენ სპილბერგის „ტერმინალი“. ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ ტომ ჰენქსი და კეტრინ ზეტა-ჯონსი. გერვასიმ დაწერა აგრეთვე სცენარი ფილმისა – „ამხანაგი როკვარსკვლავი“ – კინოკომპანია Dreamworks-ისა და ტომ ჰენქსისთვის. ■

ბრიუს უილისი მოითხოვ „კერკეტ კაკალს“-ს გადაიღებს

მიუხედავად იმისა, რომ ბრიუს უილისს მობეზრებული აქვს პოლიციელი ჯონ მაკ-ქეინის როლის თამაში, იგი „კერკეტი კაკლის“ გაგრძელების გადაღებას გეგმავს.

8 წლის შესვენების შემდეგ, შარშან, უილისმა კინოპროდიუსერებთან მოლაპარაკებები გამართა ამ როლის კვლავ თამაშის თაობაზე. თუმცა, წლეულს მარტში, 48 წლის უილისმა ამ იდეის განხორციელებაზე ეჭვი გამოთქვა და აღნიშნა, რომ ეს სურათი „მას გადაღლის“. მაგრამ ახლა უკვე, კომპანია 20th Century Fox-ის წარმომადგენლებმა დაითანხმეს მსახიობი. გარდა ამისა, ფილმის პროდიუსერობაც შესთავაზეს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც პროექტზე ახალი სცენარისტი მიიწვიეს, რომელმაც სიუჟეტი შეცვალა და როგორც საქმეში ჩახედული ადამიანები ამბობენ, უფრო მიმზიდველი გახადა იგი. ■

„გოძილას“ რეჟისორი ლეგენდარული ტუტანხამონის საიდუმლოს გაამჟღავნებს

„გოძილასა“ და „დამოუკიდებლობის დღის“ შემქმნელი როლანდ ემერიხი ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე იდუმალი პერსონაჟით დაინტერესებულა. რეჟისორმა გადაწყვიტა, გადაიღოს ეპიკური ფილმი „ტუტი“, რომელიც ეგვიპტის ლეგენდარულ ფარაონს – ტუტანხამონს მიეძღვნება.

ემერიხი, პროდიუსერ მარკ გორდონთან ერთად, მოგვითხრობს, თუ როგორ იბრძოდა ეგვიპტის ახალგაზრდა მმართველი ძალაუფლების განსამტკიცებლად და ცდილობდა, აეღორძინებინა ქვეყანა, რომელიც მამამისის სიკვდილის შემდეგ, ქაოსს მოეცვა. რა თქმა უნდა, ფილმში სათანადო ადგილი დაეთმობა სასიყვარულო ამბავს, რომლის დეტალებიც ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ფილმის სცენარის დაწერა ო'კიფსა და უილ სტეპლზს მიანდვეს. მისი წარმოება კინოკომპანია „კოლამბია ფიქჩერსმა“ ითავა.

ტუტანხამონის სახელი არქეოლოგებისათვის ნაპოლეონის დროიდანაა ცნობილი. პირველ ეგვიპტოლოგებს წარმოდგენა არ ჰქონდათ, თუ რა ადგილი ეკავა ამ იდუმალ ფარაონს ძველი ეგვიპტის ისტორიაში. მეცნიერები დღემდე, მხოლოდ ერთ რამეში არიან დარწმუნებულნი: ამ სახელის მქონე ფარაონი ნამდვილად მართავდა ეგვიპტეს მისი ისტორიის მნიშვნელოვან დროს. ფარაონი გაურკვეველი მიზეზით, 19 წლის ასაკში გარდაიცვალა. ტუტანხამონის თითქმის გაუძარცვავი, უმდიდრესი აკლდამა 1922 წელს, ინგლისელმა არქეოლოგმა ჰოვარდ კარტერმა აღმოაჩინა. ■

ჯენიფერ ლოპესმა იმიჯი შეიცვალა

ჭორების ამერიკული ვებ-საიტი The Scoop იტყობინება, რომ ჯენიფერ ლოპესს ტუჩებისა და ცხვირის ფორმა შეცვლილი აქვს. როცა 1998-ისა და 2003 წლების ფოტოები შეადარეს, სკანდალური ჟურნალისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ გამოჩენილი ჰოლივუდელის როგორც ზედა, ისე ქვედა ტუჩი დავიწროებულია, ხოლო ცხვირი გათხელებული. ჯენიფერმა ეს ყველაფერი მაშინ მოიმოქმედა, როცა მისი კოლეგები საპირისპიროდ იქცევიან – ტუჩებს იდიდებენ. კომენტატორების აზრით, თუკი ლოპესმა მართლა გაიკეთა ქირურგიული ოპერაცია, იგი თითქმის შეუმჩნეველია. რაც მთავარია – მომღერალი გაცილებით უკეთ გამოიყურება. ■

ანა კურნიკოვა დიდი ჩოგბურთიდან მიდის

ჩოგბურთელმა ანა კურნიკოვამ განაცხადა, რომ სპორტიდან წასვლას აპირებს. მას სურვილი აქვს მეტი დრო დაუთმოს სამსახიობო კარიერას. „ძალზე მიზიდავს მსახიობობა, – აღიარებს კურნიკოვა, – დიდი სიამოვნებით შევასრულებდი როლს „მეგობრებში“ ან „სექსი დიდ ქალაქში“, მაგრამ სამწუხაროდ ჩოგბურთის გამო ამის დრო არასოდეს მქონია“. მიუხედავად ერთ დროს რეიტინგში მერვე ადგილზე ყოფნისა და 1997 წელს უიმბლდონის ნახევარფინალში გასვლისა, ანა კურნიკოვამ მაინც ვერ შეძლო რომელიმე სერიოზული ტურნირის მოგება. გარდა ამისა, სპორტსმენს ტრავმებიც ტანჯავს. „ექიმები ამბობენ, რომ ზოგიერთი ტრავმა უკვე ქრონიკულში გადაიზარდა, რომელიც დროდადრო თავს შეახსენებს ხოლმე. თუკი სრულყოფილად ვერ ვითამაშებ, მაშინ რა აზრი აქვს თამაშის გაგრძელებას?! არავითარი სურვილი არ მაქვს, ტურნირებში მონაწილეობაზე ბოლო მომენტში განვაცხადო უარი“, – დასძენს კურნიკოვა. ვნახოთ, რა იქნება. როგორც ჩანს, საბოლოო გადაწყვეტილებას საჩოგბურთო კარიერასთან დაკავშირებით ანა კურნიკოვა იანვრამდე არ მიიღებს. ■

ელტონ ჯონს საოცრად ესიმპათიურმა ჯასთინ ტიმბერლეიკი

პოპულარულ ბრიტანელ მომღერალს ელტონ ჯონს, რომელიც როგორც ცნობილია, ჰომოსექსუალური ორიენტაციისაა, ძალზე მოეწონა ამერიკელი შემსრულებელი ტიმბერლეიკი, მაგრამ არა სექსუალური თვალსაზრისით. ელტონმა იგი ვიდეოკლიპში – „ეს მატარებელი აქ არ ჩერდება“ იხილა და სურს ტიმბერლეიკმა ახალგაზრდა ელტონ ჯონი განასახიეროს. საქმე ის გახლავთ, რომ ელტონ ჯონი ავტობიოგრაფიული ფილმის შექმნას აპირებს, სცენარის წერასაც კი შეუდგა თავის ძველ თანაავტორთან ბერნი ტოპინთან ერთად. მისაბაძ მაგალითად მან ისეთი მუსიკალურ-ბიოგრაფიული სურათები ამოირჩია, როგორებიცაა „ჯოლსონის ისტორია“ (1946) და „შემიყვარე ან დამტოვე“ (1955). ეს უკანასკნელი მოგვითხრობს მომღერალ რუთ ეტინგზე. რაც შეეხება ტიმბერლეიკს, ელტონ ჯონმა ასეთი რამ განაცხადა მასზე: „ის ჭეშმარიტად ნიჭიერი ახალგაზრდაა. როცა ვიდეოკლიპში ვიხილე, სულ მბურძგლავდა. ის მართლაც ძალზე მშობლიურია ჩემთვის“. ■

ჰეიდი კლამმა მიუსტჰალტერი გაათუჭა

ახლახან სუპერმოდელის, ჰეიდი კლამის ერთ-ერთ გადაცემაში მონაწილეობა უიღბლოდ დასრულდა. სააგენტო Victoria`s Secret-ის მოდელის ტოქშოუში ქალის საცვლების ცნობილი მწარმოებელი კომპანიის მორიგი საიუველირო ნამუშევარი – 9 მილიონ დოლარად შეფასებული ბიუსტჰალტერის დემონსტრირება უნდა მოეხდინა, მაგრამ საბრალო ჰეიდი იმდენად უნიათო აღმოჩნდა, რომ ბიუსტჰალტერის გაფუჭებაც მოახერხა. გადაცემის მსვლელობის დროს მოდელს გული უსკდებოდა, რომ ბიუსტჰალტერი არ ჩამოვარდნოდა. ამის შემხედვარე წამყვანიც ანერვიულდა – მან პიჯაკი გაიხადა და ჰეიდის მოახურა. კულუარებში მყოფი Victoria`s Secret-ის წარმომადგენლები სასტიკად განაწყენდნენ იმაზე, რომ ბიუსტჰალტერის „შესაკეთებლად“ წაღება მოუწევდათ. ■

მარმრა სტრეიზანდმა გეებთან და ლესბოსელებთან დაამყარა კავშირი

ამერიკულმა ორგანიზაციამ სახელწოდებით „ადამიანის უფლებათა დაცვის კომპანია“, რომელიც გეებს, ლესბოსელებს, ბისექსუალებსა და სქესშეცვლილ ადამიანებს უდგას მხარში, გადაწყვიტა, თავისი ჰუმანიტარული პრიზი ცნობილ მომღერალსა და მსახიობს ბარბრა სტრეიზანდს მიაკუთვნოს.

მსახიობი 1992 წლიდან მოყოლებული ამ და სხვა ჰომოსექსუალურ საზოგადოებრივ ჯგუფებს რეგულარულად ეხმარება ფინანსურად. თუკი ვინმეს უცნაურად მოეჩვენება მისი საქციელი (ის რეალურ ცხოვრებაში ლესბოსურ ცხოვრებას არ ეწევა), შეგახსენებთ, რომ მისი ღვიძლი შვილი ჯეისონ გულდი, რომელიც მას მსახიობ ელიოტ გულდისგან ჰყავს, სწორედაც რომ გეების რიცხვს განეკუთვნება. თავდაპირველად სტრეიზანდი ძლიერ განცდებში იყო თავისი შვილის დარღვეული სექსუალური ორიენტაციის გამო, მაგრამ შემდეგ შეურიგდა ბედს და ყველა სხვა ჰომოსექსუალის დახმარებასაც მიჰყო ხელი. ■

დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

დასაწყისი იხ. „გზა“ №13-43

მომავალ ჟურნალისტს დეა ავალიანს ბედი სასტიკად არ წყალობს. მამა ოჯახიდან წავა, ძმა, მკვლელობის ბრალდებით, ციხეში მოხვდება, ამდენი უბედურების მომსწრე დედამისი კი ლოგინად ჩავარდება და მალე კიდეც გარდაიცვლება.

ბედის ანაბარად დარჩენილ დეას კანონიერი ქურდი გიგოლა დაეპატრონება და საყვარლად დაისვამს. ამის შემდეგ, ნებსით თუ უნებლიეთ, დეა გიგოლას ყველა ბნელი საქმის მოწმედ და ერთგვარ მონაწილედაც კი იქცევა.

ნარკობიზნესში ჩაბმულ გიგოლას თბილისში აღარ დაედგომება და საცხოვრებლად მოსკოვში გადავა. თუმცა, მანამდე, იქ დეას გახიზნავს და თავის ძველ საყვარელ ელასთან ჩაასახლებს.

ამის შემდეგ გიგოლა დეას პირად ცხოვრებასაც თავიდან ბოლომდე აკონტროლებს. ამის მიუხედავად, დეას ორ მამაკაცთან — ბიზნესმენ გურამ ოდიშელიძესთან და ელას ვაუ დიმასთან ხანმოკლე ინტიმური ურთიერთობა მაინც ექნება.

დეას მოსკოვურ ცხოვრებაში გიგოლას თანამზრახველი, ცნობილი ბიზნესმენი ბადრი პატარიძეც საკმაო როლს თამაშობს. ბადრის თვალი სერიოზულად უჭირავს დეაზე და ამიტომ, თავის ახალგახსნილ ტელევიზიაში ტოქშოუს წაყვანას შესთავაზებს. გიგოლა ბადრის ვერაგულ ჩანაფიქრს ადვილად ხვდება, მაგრამ დეას მუშაობის ნებას მაინც დართავს.

პირველი გადაცემის ჩაწერის შემდეგ დეას გიგოლა რესტორანში წაიყვანს და იქ მას უმოწყალოდ დაცხრილავენ. ის სიკვდილს გადაურჩება, მაგრამ მოგვიანებით, მკვლელები მის პალატაშიც შეაღწევენ და სასუნთქ აპარატს გამოურთავენ. გიგოლა კომაში ჩავარდება. ყველა, მათ შორის ელა და დეაც ხვდებიან, რომ გიგოლას უბედურებაში ბადრი პატარიძის ხელი ურევია, მაგრამ მის წინააღმდეგ არანაირი რეალური სამხილი არ გააჩნიათ.

ამასობაში, თავად პატარიძე თავის სატელევიზიო ბიზნესს ნაბიჯ-ნაბიჯ ფეხზე აყენებს და დეასაც, როგორც ჟურნალისტს, გზას უკაფავს. დეა ხვდება, რომ ადრე თუ გვიან, ბადრი ამ ყველაფრის საზღაურსაც მოსთხოვს, ამიტომ როცა პატარიძე საკითხს პირდაპირ სვამს: ჩემი როდის უნდა გახდეო? — თავადაც პირში მიახლის: ფეხმძიმედ ვარ და სანამ ბავშვს არ გავაჩენ, არაფრის იმედი არ უნდა გქონდესო... დეას ფეხმძიმობით შეშფოთებული ბადრი მას მაშინვე ბავშვის მოშორებაზე დაუწყებს ლაპარაკს, მაგრამ პასუხად სასტიკ უარს მიიღებს. მერე დაემუქრება: კომაში ჩავარდნილ ადამიანს ყველაფერი ესმის და გიგოლას ახლავე „ჩავაწვეთებ“, რომ შეიძლება, ბავშვი მისი სულაც არ იყოსო. მაგრამ ბადრის მუქარას დეაც მუქარით პასუხობს. ამასობაში კი, გიგოლას მდგომარეობა ნელ-ნელა უმჯობესდება...

რუსუდან ბერიძე

დეას ექიმის ნათქვამი არავისთვის გაუმხელია, თუმცა, ცოტა ხანში, გიგოლას მდგომარეობა უკვე იმდენად გაუმჯობესდა, რომ ეს მარტო მისმა მკურნალმა ექიმმა კი არა, დანარჩენებმაც აშკარად შენიშნეს. ცხადია, მათ შორის იყო დეაც, რომელსაც გიგოლას მომჯობინება, სიხარულთან ერთად, შიშსაც ჰგვრიდა.

ერთხელაც, მორიგი შოუს შემდეგ, შინ საკმაოდ გვიან დაბრუნებულ დეას კარი სიხარულით სახეგაცისკროვნებულმა ელამ გაუღო:

— სადა ხარ ამდენ ხანს? გინდა, მარტოს სიხარულისგან გული გამისკდეს?!. — სხაპასხუპით მიაყარა მან დეას.

— ასეთი მაინც, რა მოხდა? — მშვიდად ჰკითხა დეამ.

— როგორ?.. — გაოცდა ელა. — ბადრის არაფერი უთქვამს?

— არა, — გული, რატომღაც, შიშით შეუხტა დეას. — ნუ დამღალე, მითხარი, რა მოხდა?

— რა და გიგოლა კომიდან გამოვიდა, ბავშვო, გა-მო-ვი-და! — ტაში შემოჰკრა ელამ.

— რას მეუბნები?!. — ტანში უსიამოდ გაცრა დეას. — ვინ გითხრა? გიგოლას ექიმმა?

— ექიმის თქმა რაღად მინდოდა?! — ამაყად გასწორდა წელში დოინჯშემოყრილი ელა. — ყველანი იქ ვიყავით... სხვათა შორის, პირველი, მე მიცნო...

— მერე? — ხმა თითქმის ჩაუწყდა დეას. — დაწვრილებით მომიყევი ყველაფერი...

— სამწუხაროდ, მოსაყოლი მეტი არაფერი მაქვს... ექიმმა გვითხრა, არ გადაღალოთო და ყველანი გარეთ გამოგვიშვა... წამო სამზარეულოში, გაზქურაზე ვახშამი მიდგას და არ დამეწვას. — სამზარეულოსკენ გაუძღვა ელა დეას.

დეა სამზარეულოში დამნაშავესავით შეიძურწა და სკამის კიდეზე ჩამოჯდა.

— წესიერად დაჯექი, ბავშვო! — მაშინვე შენიშვნა მისცა ელამ. — ამ სიკეთის ჟამს, ახლა შენ არ მოიწიო რამე!

დეა სკამზე შესწორდა და გაზქურისკენ შებრუნებული ელას ზურგს უაზროდ მიაშტერდა. ამასობაში, ელამ გაზქურა გამორთო, სადილი მომცრო თეფშზე გადმოიღო და დეას წინ დაუდგა. შემდეგ თეფშს ჩანგალი და პურიც მოაყოლა და დეას პირდაპირ მკვირცხლად ჩამოჯდა:

— ჭამე, რამ დაგაბნია?

— მერე შენ?.. — სასწრაფოდ გამოფხიზლდა ფიქრებში წასული დეა.

— რა მე?

— შენთვის რატომ არ გადმოიღე?

— მე ემოციებით ისე ვარ გადატვირთული, რომ ახლა ნამდვილად არაფრის ჭამა არ შემიძლია.

— მაშინ არც მე შევჭამ, — თეფში გვერდზე გაბუტული ბავშვივით გასწია დეამ.

— Что за детский сад! — მაგიდაზე მუშტი ვითომ ბრაზიანად დააბრახუნა ელამ და დეას თეფში ისევ წინ დაუდგა. — ახლავე გადასანსლე ყველაფერი! დაგავიწყდა, ექიმმა რომ გითხრა, კარგად უნდა იკვებოო?!. თუ ჩემს დიმას ნაკლოვანი ბავშვი უნდა გაუჩინო?!

— ეს ბავშვი დიმასი სულაც არ არის! — წამის წინ აღებული ჩანგალი ისევ გვერდზე გადადო დეამ.

— რა თქვი?!. — გულზე ხელი იტაცა ელამ. — რას ჰქვია, დიმასი არ არის?!. აბა, ვისია?

— ვისია და ჩემი!.. მარტო ჩემია!.. — დაბნეულად დაუმატა დეამ, რაზეც ელამ მაშინვე შვებით ამოისუნთქა:

— კარგი, რა, კინაღამ გული არ გამიხეთქე?! ასეთ სიგიჟეებს დიმას ჯიბრზე იგონებ, ხომ?..

— მე არავის ვეჯიბრები... — ხმა გაებზარა დეას.

— ვიცი, ვიცი, რომ ჩემი ბიჭი ძალიან ცუდად მოგექცა...

— თქვენ... შენ რაღა იცი, როგორ მომექცა? — გააწყვეტინა დეამ.

— რაც ჩემს შვილს ეხება, ყველაფერი ვიცი!.. ეს ამბავიც მეორე დღესვე ვიცოდი, მაგრამ არაფერი გითხარი, გული აღარ გატკინე. ჩემი შვილი კი, ერთი გემრიელად შევჯორე... არა, მაინც რამ ათქმევინა, მუცელი მოიშალეო?!

— რა ვიცი, აბა... — მხრები უმწეოდ აიჩეჩა დეამ. — ალბათ შეეშინდა...

— რისი?

— პასუხისმგებლობის... მოვალეობის...

— მოუკვდეს დედა!.. — წამოიკვნესა ელამ. — ხომ იცი, ჯერ თვითონაც ბავშვია და უცბად ამხელა ტვირთი...

— მე არავის ვეკიდები... — გაცხარდა დეა.

— კარგი, კარგი, მე ეგ არ მიგულისხმია, — დამშვიდება დაუწყო ელამ. — მოდი, რა, ახლა ამაზე კამათს ნულარ გავაგრძელებთ, დღევანდელ სიხარულს ნუ ჩამაშხამებ... ამ დღეებში, კიდევ დავურეკავ დიმას და ყველაფერს მოვაგვარებ. აი, ნახავ, თუ აქეთ არ შეგეხვეწება...

— ძალიან გთხოვ, არაფერი უთხრა, — სავსე თეფში, ბოლოს და ბოლოს, გვერდზე გასწია დეამ და ფეხზე წამოდგა. — წეღანაც გითხარი, რომ ეს ბავშვი, პირველ რიგში, ჩემია და მევე მივხედავ... დიმას კი... შევეშვათ, რა...

— რას ჰქვია, შევეშვათ?! — იტკიცა ელამ. — მართლა ნუ გამაფრენინე!.. ბავშვს მამა არ უნდა?

— უნდა, მაგრამ... დიმას ჩვენთვის აღარ სცალია... უკვე ამერიკელი ცოლი ჰყავს და, მგონი, ბავშვსაც ელოდება.

— რა თქვი?!. — ხელი უცნაურად აიქნია ელამ. — რა ცოლი?.. რის შვილი?.. საიდან მოიტანე?..

— საიდან და პირდაპირ ამერიკიდან... დღეს დილით, დიმამ სტუდიაში დამირეკა და თვითონ გამომიტყდა ყველაფერში... თან შემეხვეწა — იქნებ, დედაჩემს შენ უთხრა, მე მაგის ისტერიკების მოსმენის თავი ნამდვილად არა მაქვსო...

ელა კარგა ხანს, უხმოდ იჯდა და დეას ზურგს უკან, კედელზე, ერთ წერტილს მიშტერებოდა. შემდეგ ერთი ამოიოხრა და ლოყაზე ცრემლიც ჩამოუგორდა:

— გამოდის, რომ გიგოლამ აქაც ანგარიშში მაჯობა?..

— რა ანგარიშში? — ჩაეკითხა დეა, მაგრამ ელამ ისევ თავისთვის განაგრძო:

— მე სულელი კიდევ, დილიდან სიხარულით ჭკუაზე აღარა ვარ, კომიდან გამოვიდა-მეთქი! რატომ სამუდამოდ მაგ მდგომარეობაში არ დარჩა?!. ანდა საერთოდაც არ ჩაძაღლდა!.. — უცბად მაგიდას მუშტი გამეტებით დაჰკრა გამწარებულმა ელამ.

— ელა, დაფიქრდი, რას ამბობ! — ხმას აუწია დეამაც. — გიგოლა რა შუაშია?

— შუაში კი არა, თავშია! — ყვირილზე გადავიდა ელა. — შვილი ქვეყნიდან ძალით გამიქცია. გეგონება, ვინც ამერიკაში არ იცავს დიპლომს, კაცი არ არის! მე სულელი კი, ბნელ ჩანაფიქრს ვერ მივუხვდი. მეგონა, მართლა დიმაზე ფიქრობდა და აქაურობას იმიტომ გაარიდა-მეთქი.

— ისე, ნამდვილად გაარიდა... — ისევ დააპირა გიგოლას გამართლება დეამ.

— კი, გაარიდა, ოღონდ, აქაურობას კი არა — შენ!.. შენ ჩამოგაცილა!.. მაგ ყაჩაღის მთავარი მიზანი თქვენი დაცილება იყო!

— სწორადაც მოიქცა...

— ვერ გავიგე?.. — ხელი ისევ უცნაურად აიქნია ელამ. — ეგ რა თქვი?..

— განსაკუთრებული არაფერი... — მშვიდად განაგრძო დეამ. — გიგოლა მე და დიმას მშვიდად ცხოვრებას მაინც არ დაგვანებებდა... მერე, ალბათ, ჩვენც მოგვბეზრდებოდა ეს ყველაფერი და, ადრე თუ გვიან, მაინც გავიყრებოდით...

— არ ვიცი, არ ვიცი... — ისევ მაგიდას მიუჯდა და თავი ხელებში ჩარგო ელამ. — ერთი კი ფაქტია: გიგოლამ მარტო რძალი კი არა, შვილიც დამაკარგვინა. თუ, რაც მითხარი, მართალია, დიმას ამერიკიდან რაღა ჩამოიყვანს?!.

— თვითონ თუ არ ჩამოვა, იქით წაგიყვანს...

— წამიყვანს არა, კიდევ ის... — ხელი ჩაიქნია ელამ.

— აბა, რას ამბობ?! — მაინც არ დაეთანხმა დეა. — დიმას შენ ისე უყვარხარ, ამერიკაში კი არა, მთვარეზეც რომ იცხოვროს, უყურადღებოდ მაინც არ დაგტოვებს. იცი, როგორ შემეხვეწა — იქნებ, დედაჩემი როგორმე დაამშვიდოო...

— ჰმ... დაამშვიდოო, ხომ?.. — მაგიდას მუშტი ისევ მთელი ძალით დაჰკრა ელამ. — ეგ ლაწირაკი ეგა!.. როგორც კი ჩემგან შორს დაიგულა თავი, მაშინვე აფრები აუშვა, ხომ?!. რაც მე მაგის ბოზების მოგერიებაში დრო და ენერგია დავხარჯე, სულ წყალში არ ჩამიყარა?!. მაცალოს მაგ ლაწირაკმა, თუ ყურით არ ჩამოვათრიო...

დეა ელას ფუჭ მუქარას ყურს აღარ უგდებდა. მისი მთავარი საფიქრალ-სადარდებელი ახლა გიგოლა იყო. იმის წარმოდგენაც კი გულს უხეთქავდა, თუ გიგოლა მისი მუცლის დანახვაზე რას მოიმოქმედებდა...

მეორე დილით, დეამ ჯერ ტელევიზიაში შეიარა, რეჟისორის ასისტენტს ცალყბად მიუგდო — აუცილებელ საქმეზე

მივდივარო, – და მაშინვე საავადმყოფოსკენ გასწია... გიგოლას პალატასთან მისულს, მისი მკურნალი ექიმი წამოეწია:

– Ах, это вы, милая, – მაშინვე ღიმილი დაეფინა მას სახეზე.

– Здравствуйте... – მიესალმა მას დეა.

– Здравствуйте, здравствуйте... – ღიმილს პირიდან ისევ არ იცილებდა ექიმი.

– Можно к больному? – მაშინვე საქმეზე გადავიდა დეა.

– Пока нет, милая... Он пока со своей „правой рукой" разговаривает... – ახლა უკვე მრავალმნიშვნელოვნად გაეღიმა ექიმს.

– А-а... Понятно... – უკან დაიხია დეამ. – Тогда я завтра приду...

– Лучше послезавтра, милая...

„პოსლეზავტრაც" მალე დადგა და ექიმი დეას, გიგოლას პალატაში შეუძღვა. დეამ ზღურბლს ფრთხილად გადააბიჯა და საწოლზე წამომჯდარ გიგოლას შიშით შეხედა. წვერმოშვებულ და დაღვრემილ კაცს გულხელი დაეკრიფა და გარინდულიყო. ხმაურზე ნელ-ნელა მოიხედა, დეას მუცელს ისე დააშტერდა, თითქოს თვალებით გაბურღვას უპირებსო და მერე ისევ პირი იბრუნა.

ექიმმა კი, შემცბარ დეას მაშინვე სკამი მოურბენინა და დაჯდომისას ხელი შეაშველა, ბოლოს, შინაურულად თვალიც ჩაუკრა და პალატიდან გავიდა...

დეას მოეჩვენა, რომ ექიმის გასვლის შემდეგ, დრო უსაშველოდ გაიწელა. გიგოლა კი, ისევ გახევებული იჯდა და ხმას არ იღებდა. დეამ ცოტა ხანს კიდევ მოიცადა და სკამიდან ნელ-ნელა წამოიწია.

– იჯექი მანდ! – კბილებში გამოცრა უცბად გიგოლამ და დეასკენ მიიხედა.

დეა ისევ სკამს მიეჯაჭვა:

– გიგი, შენ... მე... მოკლედ, მინდა, გითხრა, რომ ძალიან მიხარია შენი გამოჯანმრთელება...

– ძალიან?.. – სახე ბოროტმა ღიმილმა დაუმანჭა გიგოლას. – ეგ სიხარული განსაკუთრებით მუცელზე გეტყობა.

დამფრთხალმა დეამ მუცელზე ორივე ხელი იტაცა და თვალები დამნაშავესავით დახარა, მაგრამ შემდეგ, ძალა მაინც მოიკრიბა:

– მიხარია, რომ მუცელიც ასეთი მეტყველი მაქვს...

– შენსას მაინც არ იშლი, ხომ?.. – გააწყვეტინა გიგოლამ. – ხომ გითხარი, ბავშვი არ უნდა გაჩნდეს-მეთქი!

– შენ პირველ ბავშვზე მითხარი – ეს უკვე მეორეა...

– მეორე, ხომ?.. გეგონა, ჩავძაღლდი და ჩემ შემდეგ, რასაც გინდა, იმას იზამდი?..

– არა ხარ მართალი... მე შენი სიკვდილი ნამდვილად არ მნდომებია...

– აბა, რა გინდოდა?

– მინდოდა, შვილი მყოლოდა... მალე მეყოლება კიდეც... და რა ჩემი ბრალია, თუ ამასთან შენც გაქვს კავშირი... სხვათა შორის, ლოგინში ჩემი ნებით ნამდვილად არ ჩაგწოლივარ...

– რაღაც არ მახსოვს, რომ მაინცდამაინც დიდი წინააღმდეგობა გაგეწია...

– არც მე მახსოვს... – მშვიდად დაეთანხმა დეა.

– აბა, რაღას იმადლები?

– არაფერსაც არ ვიმადლები! – გაღიზიანდა დეა. – გითხარი, შვილი მინდოდა-მეთქი, ჰოდა, მყავს. უფრო სწორად, ორ თვეში მეყოლება...

– გამოდის, რომ უკვე ძალიან დავაგვიანე, ხომ? – ჩაიღმუვლა გიგოლამ.

– ეგრე გამოდის. თუმცა, ჩემი ფეხმძიმობის პირველსავე დღეს რომ მოსულიყავი გონს, ამ ბავშვს მაინც ვერ მომაცილებინებდი... – ხმაში ლითონი ჩაუდგა დეას.

უცბად გიგოლას ნერვიულობისგან სახეზე ყველა კუნთი ისე აუთამაშდა, რომ დეა დაფეთებული წამოხტა:

– ცუდად ხომ არა ხარ?.. ექიმს დავუძახო?..

– იჯექი მანდ! – ისევ შეუღრინა გიგოლამ. – ჯერ მე ლაპარაკი არ დამიმთავრებია.

დეა კვლავ სკამზე ჩამოჯდა.

– ახლა კარგად მისმინე და, რაც მთავარია, კარგად დაიმახსოვრე ყველაფერი... – დაიწყო გიგოლამ. – ყველას ეტყვი, რომ ეგ ბავშვი მთლიანად შენი ნაჩალიჩარია...

– მარტო ჩემი?!. – ღიმილი ვეღარ შეიკავა დეამ. – კი, მაგრამ ეგ როგორ?..

– როგორ და ჭრელად! რომ გეუბნები, იტყვი-მეთქი – იტყვი!

– ვერ ვიტყვი... ბადრი პატარიძემ უკვე იცის, რომ ეს ბავშვი შენია და რომ შენ თავიდანვე ყველაფერი იცოდი...

– ბადრი მამაძაღლს რატომღა აბარებდი ანგარიშებს? – დაინტერესდა გიგოლა. – გულის გადასაშლელად მეტი ვერავინ ნახე?

– ვერა, ვერ ვნახე, რადგან შენი წყალობით, ამ ბოლო ხანებში, უმეტეს დროს, სწორედ მაგ მამაძაღლის გვერდით ვატარებდი და ვატარებ.

– მერე? – ყურები დაცქვიტა გიგოლამ.

– მერე... ერთ დღესაც, პატივი დამდო და საყვარლობა შემომთავაზა, – თვალი თვალში გაუყარა დეამ.

– მერე? – სახეზე ისევ ყველა ნაკვთი აუთამაშდა გიგოლას.

– დავთანხმდი, – მშვიდად მიუგო დეამ.

– რა-ა?!.

– ოღონდ, ერთი პირობით: ვუთხარი – გიგოლასგან ფეხმძიმედ ვარ და სანამ ბავშვს არ გავაჩენ, ახლოსაც ვერ გაგიკარებ-მეთქი... ასე რომ, ხომ ხედავ, ეს ბავშვი ჯერ არ დაბადებულა და უკვე კარგი სამსახური გაგიწია; რომ დაიბადება, იქნებ, საერთოდაც აგაშენოს...

– მორჩი!.. – შეუღრინა გიგოლამ. – ბოლო-ბოლო, რით დამთავრდა ეგ ყველაფერი?

– ჯერჯერობით, არაფრით... თუმცა, ერთხელ მაინც სცადა რაღაც, მაგრამ პირდაპირ ძვირფას პიჯაკზე მივარწყიე და დროებით თავი დამანება.

– დროებით?

– დროებით, აბა, რა!.. ხომ გითხარი, პირობა მივეცი – როგორც კი ბავშვი გაჩნდება-მეთქი...

– თქვენი ბედი, რომ ცოტა დამაგვიანდა, თორემ, ეგ ბავშვი საერთოდ არ გაჩნდებოდა. სამაგიეროდ, თქვენ ვეღარსად წამიხვალთ... – ჩაიღმუვლა გიგოლამ. – ბავშვს კი, ვერც გვარს მივცემ და ვერც...

– ნუ შეწუხდები... ჩვენ შენგან საერთოდ არაფერს ვითხოვთ, – დაამშვიდა დეამ. – მით უმეტეს, რომ შეიძლება, ეს ბავშვი შენი საერთოდაც არ იყოს...

– რა თქვი? – თვალები არაბუნებრივად გაუფართოვდა გიგოლას.

– რაც გაიგონე?

– აბა, ვისია?

– ზუსტად არ ვიცი... – მხრები აიჩეჩა დეამ. – შეიძლება, შენი... შეიძლება...

– ფრთხილად, გოგონი, ეგრე ნუ ხუმრობ, თორემ... – კბილები გააღრჭიალა გიგოლამ.

– მაშინ ნურც შენ ხუმრობ, თანაც – ბოროტად... – ბოლომდე აღარ დაუთმო

დეამ და თან, ფეხზე წამოდგა. — ახლა კი წავალ. ექიმმა მითხრა, უარყოფით ემოციებს მოერიდეო...

— რა დამთხვევაა!.. — გაეღიმა გიგოლას. — ჩემმა ექიმმაც იგივე მითხრა...

გაღიმებული გიგოლას დანახვაზე, დეა მონუსხულივით შედგა და ისიც ცხადად იგრძნო, გულში სითბო როგორ ჩაეღვარა.

— სულ ვფიქრობ და მაინც ვერაფრით ამიხსნია... — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა დეამ.

— რა გამოცანებით ალაპარაკდი?! რა ვერ აგიხსნია? — დაინტერესდა გიგოლა.

— რა და... შენნაირ დაუნდობელ ადამიანს ასეთი ალალი ღიმილი როგორ უნდა შემორჩენოდა...

— ამის გაგება მართლა ძალიან გაინტერესებს? — აგდებულად ჰკითხა გიგოლამ.

— რომ გითხრა, ინტერესით ვკვდებიმეთქი, მართალი არ ვიქნები, მაგრამ ისე, მაინც დამავალებ, თუ ამ ამოცანას ამომახსნევინებ... — ენამწარობას არ იშლიდა დეა.

— დედაჩემს ჰქონდა ასეთი ღიმილი და იმისგან გამომყვა... ისე, შენი თქმისა არ იყოს, მართლა ალალი ქალი იყო საცოდავი...

— დედაშენს? — ისე გაიკვირვა დეამ, თითქოს რაღაც, აქამდე გაუგონარი გაიგონაო.

— ჰო, რა იყო?

— ისეთი არაფერი... უბრალოდ, ლამის უკვე დავიჯერე, რომ შენისთანებს მშობლები და განსაკუთრებით, დედები საერთოდ არ ჰყავთ და უცბად, დედაშენის ღიმილზე არ ალაპარაკდი?!. მართლა — რა ერქვა?

— ელენე.

— რა-ა? — თვალები გაუფართოვდა დეას.

— ელენე-მეთქი, — მშვიდად გაუმეორა გიგოლამ.

— არ მითხრა ახლა — მამაჩემს კიდევ, სულხანი ერქვაო...

— არა, მამაჩემს შალვა ერქვა, მე იმის მკვდარი და ცოცხალი...

— გაგიჟდი?! — გააწყვეტინა დეამ. — საკუთარ მამას აგინებ?

— მარტო გინება რომ მეკმარებინა, ორივესთვის კარგი იქნებოდა.

— აბა?.. — შეკრთა დეა. — სხვა რაღა დამართე?

— გრძელი ამბავია.

— შენც მოკლედ მომიყევი...

— ეი, გოგონი!.. არ გეჩვენება, რომ როლში შეიჭერი და უკვე ზედმეტ კითხვებს მისვამ?! — გაღიზიანდა გიგოლა.

— კარგი, — დაეთანხმა დეა. — მამას შევეშვათ; და-ძმა თუ გყავს?

— მყავდა... ორი ძმა და ერთი და.

— ახლა სად არიან?

— ალბათ იქ... — გიგოლამ ჭერს მრავალმნიშვნელოვანი გამომეტყველებით ახედა.

— გარდაიცვალნენ? — შეშფოთდა დეა.

— ჰო. თანაც, ერთმანეთის მიყოლებით. ჩემი ძმები ტყუპები იყვნენ. სამ წლამდე იცოცხლეს. დამ — ცოტა მეტი... მერე მე გავჩნდი და დედაჩემის მთავარი უბედურებაც ამის შემდეგ დაიწყო.

— მთელი ამ ხნის მანძილზე, მამაშენი სად იყო?

— ხომ გითხარი — მამა არ მიხსენომეთქი! მე მამა არასოდეს მყოლია!.. — ჩაიღმუვლა გიგოლამ.

— აბა, შენ საიდან გაჩნდი?! პირდაპირ ციდან ჩამოფრინდი? — ირონიულად ჰკითხა დეამ.

— ჰო, სულიწმიდის ჩასახული ვარ... — ბოროტად გაეღიმა გიგოლას.

— ნუ მკრეხელობ! — გააწყვეტინა დეამ.

— შენ კიდევ, ნუ სულელობ! ერთი, შენს შვილს არ ჰყავს მამა და მეორე, მე არ მყავდა... მამაჩემი თავიდანვე, ახვარი იყო... უბნის ყოჩი, ჩხუბისთავი და ჩამპალი ნარკომანი...

— მერე, დედაშენი ეგეთ საშინელებას რატომ გაჰყვა ცოლად? — ალალად შეწუხდა დეა.

— ძალით ჩაიგდო ხელში...

— როგორც შენ — მე, ხომ?..

— არა, უარესად: ერთ ღამეს, შინ მიუხტა და ლოგინად ჩავარდნილი დედის თვალწინ გააუპატიურა...

— მერე?..

— მერე დედაჩემს ბავშვი აჰყვა და საბოლოოდ თავის მოჭრას, ისევ მამაჩემის ცოლობა არჩია... თუმცა, ვერ გამიგია, ამ ყველაფერს რატომ გიყვები?.. — უმისამართოდ იკითხა გიგოლამ და დადუმდა.

დეას პასუხად არაფერი უთქვამს, თუმცა, ისევ სკამზე ჩამოჯდა და გიგოლას აშკარა თანაგრძნობით შეხედა. გიგოლამ კი, ერთი ღრმად ჩაისუნთქა და ისევ განაგრძო:

— დედაჩემს მესამე შვილი რომ დაეღუპა, სწორედ იმ დროს, მამაჩემი მორიგი ახვრობისთვის ჩასვეს ციხეში. დედაჩემი ფეხმძიმედ დატოვა, მერე კი, რატომღაც აუხირდა — ბავშვი უნდა მოიცილოო. თხოვნით და მუქარით რომ ვერაფერს გახდა, ციხიდან ვიღაცის პირით შემოუთვალა: ვიცი, ეგ ბავშვი ჩემი არ არის, ნაბიჭვარია და რომ გამოვალ, ორივეს აგკუწავთო...

— რას მეუბნები?!. — შეწუხდა დეა.

— ოთხი წლის შემდეგ, ციხიდან გამოქცეულმა მამაჩემმა მე და დედაჩემს მოგვაკითხა და მეზობლები რომ არ წამოგვშველებოდნენ, ორივეს მართლა აგვკუწავდა. ისე, შენს მადლს კი მოისხამდა, ხომ იცი: რომ მოვეკალი, ერთმანეთს ხომ ვეღარ შევხვდებოდით?!.

— კარგი, დაამთავრე, გეხვეწები — აღარ მინდა ამ ყველაფრის მოსმენა!.. — ყურებზე ხელები მიიფარა დეამ...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ᲚᲔᲝᲜᲐᲠᲓᲝ ᲓᲘ ᲙᲐᲠᲘᲝ:

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲥᲜᲐ, ᲡᲐᲪᲝᲚᲔ ᲕᲘᲞᲝᲕᲔ!





23 წლის ჟიზელ ბიუნდჩენი (ზედა ფოტო) ბრაზილიელია, მაგრამ უკვე საყოველთაოდ ცნობილია. ალბათ ამიტომ, ფირმა „კლონეიდმა“ სწორედ მას შესთავაზა, გახდეს მომავალი, კლონირებული კაცობრიობის სახე...

ამ წყვილს (მარცხენა ფოტო) ბევრი რამ გადახდა თავს – ორი წლის მანძილზე ქალ-ვაჟი ხან იყრებოდა, ხან ერთდებოდა. მაგრამ ბოლო დროს, ლეოსა და ჟიზელს თითქმის გამუდმებით ერთად ხედავენ.

ჰოლივუდელი ლამაზმანების კერპმა გადაწყვიტა, გახდეს დიდი და დაოჯახდეს. ბოლო თვეებში მან ბევრი რამ მოასწრო: ორჯერ მაგრად ეჩხუბა საცოლეს — მოდელ ჟიზელ ბიუნდჩენს, ხანმოკლე რომანი გააბა ასევე მოდელთან — ახალგაზრდა სარა ფოქსთან, „გაიხსენა“ მსახიობ ელიზაბეტ ბერკლისთან უწინდელი სიყვარული, ბოლოს კი, ყველა ლამაზმანი დროებით დაივიწყა და მთელი არსებით შემოქმედებას მიეცა.

საბედნიეროდ, ლეოს ისეთი პროექტები შესთავაზეს, რომლის წყალობითაც მართლაც, ნებისმიერი გატაცების დავიწყებაა შესაძლებელი. როგორც ცნობილია, ისტორიულ საეკრანო ტილოში – „ალექსანდრე დიდი“, რომელიც გამოჩენილი მხედართმთავრის, ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრებას ასახავს, დი კაპრიოს მთავარი როლი შესთავაზეს. პარტნიორებიც საუცხოო ეყოლება: ალექსანდრეს დედას ნიკოლ კიდმანი განასახიერებს, მამას – მელ გიბსონი. ფილმზე მუშაობის დაწყების მაუწყებელ პრესკონფერენციაზე ლეონარდომ აღნიშნა:

– პირველი გადაღების დაწყებამდე ძალზე ვნერვიულობდი. ალბათ ეს კარიერაში ყველაზე დიდი გამოცდა იქნება ჩემთვის. სასიამოვნოა, რომ რეჟისორმა ბაზ ლურმანმა სწორედ ჩემზე შეაჩერა არჩევანი. ვფიქრობ, საოცარი სურათი გამოგვივა...

ამის პარალელურად, დი კაპრიო შეუდგა მუშაობას რეჟისორ მარტინ სკორსეზეს ფილმზე – „ავიატორი“, რომელშიც ის ამერიკელ მილიარდერსა და რეკორდსმენ მფრინავს ჰოვარდ ჰიუზს განასახიერებს. ამ ფილმში მისი პარტნიორები იქნებიან ალეკ ბოლდუინი

ლეოს არც ადრე აკლდა ლამაზმანების ყურადღება: კამერონ დიასთან ერთად

და ქეით ბლანშეტი. „თქვენ დარწმუნდებით, ამ ორი სურათის შემდეგ დიდი გავხდები!“ – წარმოთქვა მსახიობმა აღნიშნულ პრესკონფერენციაზე. ბუნებრივია, ჟურნალისტებმა პირადი ცხოვრების შესახებაც დაუსვეს კითხვები.

– ადრე დონჟუანივით ვიქცეოდი, მაგრამ ახლა, მსგავსი აღარაფერი მიზიდავს! ნებისმიერი ნორმალური ადამიანის მსგავსად, ვოცნებობ შვილზე, ცოლზე, რომელთან ერთადაც თავს კომფორტულად ვიგრძნობ.

– *ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მეგობარ გოგონებთან ურთიერთობები გაწყვიტეთ და არჩევანი გააკეთეთ?*

– რა თქმა უნდა. ჩემი არჩევანი კი, ყველასათვის ცნობილია – ეს გახლავთ ჟიზელი, რომელიც არა მარტო ლამაზი, არამედ ძალზე ჭკვიანი და განათლებული გოგონაა. მე უკვე გავაცანი იგი დედაჩემს. რაც მთავარია – მადლობა ღმერთს, მოვახერხეთ ყველა იმ პრობლემის გადაჭრა, რომელიც ჩვენ წინაშე იდგა...

როგორც ჩანს, ლეონარდო იმ კონფლიქტს გულისხმობდა, რომლის დროსაც ჟიზელ ბიუნდჩენმა მას ნიშნობის ბეჭედი დაუბრუნა, რამაც აიძულა, მცირე ხნით კვლავ ელიზაბეტ ბერკლის დაჰბრუნებოდა... როგორც ამბობენ, ლეოს საცოლე მართლაც ჭკვიანია, რადგან მან კარგად გაიცნობიერა: საქმრო იმის ღირსია, რომ აპატიო წუთიერი სისუსტეები – ღირსია იმ დიდების გამო, რომელიც მას უახლოეს მომავალში ელის... ■

www.shopge.com

გთავაზობთ იმას, რასაც სხვაგან ვერ შეიძენთ!

მზის ენერგიაზე მომუშავე მობილური ტელეფონების დამტენი

ნებისმიერი ჩვენგანი ხშირად ჩავარდნილა იმ უსიამოვნო სიტუაციაში, როდესაც მობილური ტელეფონის ელემენტი ჯდება მაშინ, როდესაც ყველაზე მეტად გვჭირდება დაკავშირება სასწრაფო საქმეზე! განსაკუთრებით პრობლემატურია ზამთრის პერიოდი, როდესაც პრობლემები ელექტროენერგიის მოწოდებაში სისტემატურად ხელს გვიშლის მობილური ტელეფონის დატენვაში და ფაქტიურად კომუნიკაციის გარეშე ვრჩებით. იმავე პრობლემებს ვაწყდებით მაშინაც, როდესაც მივდივართ სათევზაოდ, სანადიროდ, ლაშქრობებზე და ა.შ. ამ პრობლემების მოსაგვარებლად ჩვენ გთავაზობთ მზის ენერგიაზე მომუშავე მობილური ტელეფონების დამტენს. ეს პორტატული აპარატი საშუალებას გვაძლევს, მზის სხივების საშუალებით დავტენოთ მობილური ტელეფონი, ვამუშავოთ აუდიოკასეტებისა და კომპაქტდისკების ფლეერი. სხვადასხვა ტიპის 7 გადამყვანის საშუალებით იგი ტენის ყველა ტიპის მობილურ ტელეფონს; აქვს გასაშლელი ეკრანი და თავსდება ჯიბეში. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციებისა იგი ტენის ასევე პატარა ელემენტებსაც. ამჯერად თქვენ სარგებლობთ მობილური ტელეფონით იმისგან დამოუკიდებლად, გაქვთ თუ არა ელექტროენერგია.

მრავალი დანიშნულების მქონე ბრელოკი (მანათობელი დიოდი) განათებით

ნათელი ცისფერი შუქით! მუდამ ხელთ გქონდეთ ჯიბეში, ჩანთაში თუ ბალიშის ქვეშ და ერთი ღილაკის დაჭერით გაინათეთ გზა.

ფუნქციები: ჩართვა-გამორთვის ღილაკი; ცისფერი, ნათელი, ბუნებრივი ფერის შუქი; სუპერ ნათელი LED ნათურა; ანათებს 2 მ-ის მანძლიზე; ელემენტი იცვლება (დამოკიდებულია მოხმარების ხანგრძლივობაზე); LED ნათურა ანათებს 10,000 საათს; გასაღების საკიდი; მსუბუქი და კომპაქტურია სატარებლად;

საუკეთესოა:

- საჩუქრად;
- სიბნელეში კიბის გასანათებლად;
- ლაშქრობისას;
- ექსტრემალურ სიტუაციებში.

მობილური ტელეფონის რადიაციისაგან დამცავი საშუალება - SAFE GUARD

ყველა თანამედროვე ადამიანს ემუქრება მცირე დოზით რადიაციული გამოსხივების მავნე ზემოქმედების საშიშროება. ყველამ ვიცით, როგორ მოქმედებს რადიაქტიული გამოსხივების შედეგები ადამიანის გონებასა და ორგანიზმზე. მცირე დოზით რადიაციას შეუძლია დააჩქაროს მოვლენები, რომლებსაც კიბომდე ან გენეტიკურ დაზიანებამდე მივყავართ.

ყოველდღიურ მოხმარებაში ხშირად ვაწყდებით საჭირო, მაგრამ ჩვენი ჯანმრთელობისათვის მავნებელ ნივთებს, მაგალითად, მობილური ტელეფონი, რომელიც მცირე დოზით გამოყოფს ჩვენი ორგანიზმისათვის მავნებელ გამოსხივებას. შეიძლება თუ არა შევამციროთ გამოსხივების შედეგები? ინტერნეტმაღაზია WWW.SHOPGE.COM ზრუნავს თქვენს ჯანმრთელობაზე და გთავაზობთ მობილური ტელეფონის რადიაციისაგან დამცავ საშუალებას.

მობილური ტელეფონების დინამო დამტენი

თუ თქვენ დაგიჯდათ მობილური ტელეფონის ელემენტი ქუჩაში, გზაში ან ნებისმიერ ადგილას, მაშინ თქვენ გიხსნით მობილური ტელეფონების დინამო (ხელის) დამტენი. ეს პატარა საოცარი ხელსაწყო, რომელსაც ხელით ატრიალებთ 3 წუთის განმავლობაში, ტენის თქვენს ტელეფონს 10-წუთიანი სამუშაო რეჟიმისთვის. იგი შეუცვლელია ექსტრემალურ სიტუაციებში, წვიმიან დღეებში და საერთოდ ამ აპარატების საშუალებით თქვენ მუდამ კავშირზე იქნებით ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ დროს!

ინტერნეტმაღაზია www.shopge.com გთავაზობთ ასევე სხვა საინტერესო პროდუქციას. დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე: 33 30 63; 36 49 45 ან იხილეთ ინტერნეტმაღაზია - www.shopge.com. ჩვენი კურიერი მოგაწვდით შეკვეთას თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში. კურიერის მომსახურება უფასოა.

Audi-ს ჯოლოფი-საოცრება

კომპანია Audi მოდელის – A3 ყველაზე მძლავრი და ჩქაროსნული ვერსიის წარმოებაში ჩაშვებას აპირებს. მანქანა აღჭურვილია Quattro-ს სახელით ცნობილი, სრული ამძრავით, 3,2 ლ სამუშაო მოცულობის, 6-ცილინდრიანი ძრავათი, რომლის სიმძლავრეა 250 ცხ.ძ. და პრინციპულად ახალი გადაცემათა კოლოფით – DSG. ასეთი კოლოფით ახლა უკვე Audi TT Coupe-ც აღიჭურვება, ცოტა მოგვიანებით კი, TT Roadster-საც დაუყენებენ. კოლოფში ერთმანეთში შერწყმულია მექანიკისა და ავტომატიკის ელემენტები: გადაცემათა გადართვას სულ რაღაც 0,2 წმ სჭირდება – ეს გაცილებით ნაკლები დროა, ვიდრე აღნიშნულ ოპერაციას ნებისმიერი მექანიკური კოლოფი ანდომებს. გათვალისწინებულია გადართვის 2 რეჟიმი: D – ჩვეულებრივი, წყნარი სვლისთვის და S – სპორტული. მანქანის მაქსიმალური სიჩქარეა 250 კმ/სთ; 100 კმ/სთ სიჩქარეს ის 6,4 წმ-ში ავითარებს; ყოველ 100 კმ-ზე 9,9 ლ საწვავს ხარჯავს, თუმცა, სპორტულ რეჟიმში მოძრაობისას, ეს მაჩვენებელი 2-3 ლ-ით იზრდება.

Audi A3 კომპაქტური კლასის ავტომობილია. ის იმავე პლატფორმაზე აიგო, რომელიც Volkswagen Golf-ს უდევს საფუძვლად. მისი საბარგულის მოცულობა 281 ლ-ს აღწევს, უკანა სავარძლების დაკეცვის შედეგად კი, 1031 ლ-მდე იზრდება. მოდიფიკაცია – Audi A3 3.2 DSG უახლოეს დღეებში გავა გერმანულ ბაზარზე და 32.850 ევრო ეღირება. ■

Fiat-ს სათავეში ავსტრიელი ჩაუდგა

ბოლოს და ბოლოს, იტალიურმა კონცერნმა თავკაცის საკითხი გადაწყვიტა: „ფიატის“ მთელი ისტორიის მანძილზე პირველად, ფირმას არა იტალიელი, არამედ ავსტრიელი ხელმძღვანელი ეყოლება. ეს გახლავთ ჰერბერტ დემელი, რომელიც აქამდე, კომპანია Audi-ს მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე იყო. ახალი პოსტისთვის ბრძოლისას, დემელმა ამერიკული კორპორაცია Ford-ის ევროპული ფილიალის ყოფილ თავკაცს, მარტინ ლიჩს აჯობა.

49 წლის ჰერბერტ დემელი ექსტრაკლასის კრიზისული მენეჯერის რეპუტაციით სარგებლობს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ფიატისთვის“, რადგან იტალიური კონცერნი სწრაფი ტემპით თმობს პოზიციებს არა მარტო ევროპის, არამედ საკუთარი სამშობლოს ავტობაზარზე. ავსტრიის მკვიდრმა დემელმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა წარმატებულ ბრენდად „აუდის“ გადაქცევაში და გარკვეული ხნის მანძილზე, „ფოლკსვაგენის“ ლეგენდარული ხელმძღვანელის, ფერდინანდ პიხის მემკვიდრედაც მოიაზრებოდა. მას შემდეგ, რაც VW–ის აქციონერებმა თავიანთი არჩევანი ბერნდტ პიშეტსრიდერზე შეაჩერეს, დემელი ავსტრიაში დაბრუნდა და საავტომობილო ნაწილების მწარმოებელ ფირმას – Magna Steyr-ს ჩაუდგა სათავეში.

„ფიატში“ დემელის მისვლას ევროპელი ავტოდილერები ოპტიმიზმით აღიქვამენ. „ახალ ხელმძღვანელს ურთულესი ამოცანის გადაჭრა მოუწევს, – ნათქვამია „ფიატისა“ და „ლანჩიას“ ევროპელ დილერთა ასოციაციის განცხადებაში. – ესაა კონცერნის სტრუქტურის რეფორმირება და კლიენტთა კეთილგანწყობის დაბრუნება. არანაკლებ მნიშვნელოვანი და რთული გადასაწყვეტი, ბრენდებს შორის შიდაკონკურენციის დაძლევაც იქნება“.

„ფიატის“ წინაშე მდგარი სიძნელების მიუხედავად, ჰერბერტ დემელს კომპანიის კრიზისიდან გამოყვანის ყველა შანსი აქვს. რაც მთავარია, მას ფინანსების ნაკლებობა არ შეაფერხებს: 2006 წლამდე, ახალი მოდელების საინვესტიციოდ, კონცერნს 6 მლრდ ევრო აქვს გამოყოფილი. ■

Lamborghini ტრაქტორიდან იწყებოდა...

ამ დღეებში, თავის 40-წლიან იუბილეს აღნიშნავს ძვირად ღირებული და სუპერჩქაროსნული ავტომობილების მწარმოებელი, იტალიური ფირმა „ლამბორჯინი“. ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა გამოფენა, რომელიც გერმანიის ქალაქ ინგოლშტადტში მოეწყო და ეს არაა შემთხვევითი, რადგან 1998 წლიდან, იტალიური ფირმა გერმანულ კომპანიას – „აუდის“ ეკუთვნის, მისი შტაბბინა კი, სწორედ ამ ქალაქშია განთავსებული.

„ლამბორჯინის“ ისტორია პირდაპირაა დაკავშირებული ომისშემდგომი იტალიის ეკონომიკურ აღმავლობასთან. ფირმის ფუძემდებელმა – ფერუჩიო ლამბორჯინიმ თავისი საკონსტრუქტორო ძიებანი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სფეროში დაიწყო, რაც ძლიერ ესაჭიროებოდა მის სამშობლოს გასული საუკუნის 40-იან წლებში. მამის ფერმაში მან ტრაქტორის ასაწყობი სახელოსნო მოაწყო. მაშინ იტალიაში ამ მანქანებზე უფრო

მეტი მოთხოვნა შეინიშნებოდა, ვიდრე სპორტულ ავტომობილებზე. საუცხოო ხარისხის წყალობით, Lamborghini Trattori S.p.A-მ სწრაფად დაიპყრო ბაზარი. მაგრამ ფერუჩიო ლამბორჯინი იმ დროს, უკვე ავტომანქანებზე ოცნებობდა.

ტრაქტორებზე დაგროვილი კაპიტალით, 1963 წელს, მან ქალაქ ბოლონიის მახლობლად მდებარე დაბა სანტა-აგატაში მომცრო ქარხანა ააშენა. იმ ლეგენდის თანახმად, რომელსაც დიდი ხალისით ჰყვებიან ხოლმე იტალიაში, ფერუჩიომ გულმოდგინედ შეისწავლა სპორტული ავტოწარმოების ჯადოქრის – ენცო ფერარის პროდუქცია და დაასკვნა, რომ მის მანქანებს დახვეწა ესაჭიროებოდა. ლამბორჯინიმ „რაციონალიზატორული“ წინადადებები ჩამოაყალიბა და ქალაქ მოდენაში – ფირმა „ფერარის“ შტაბბინაში გაემგზავრა. ენცო განარისხა ახალბედა კონსტრუქტორის თავხედობამ და მან ფერუჩიო კინწისკვრით გამოაგდო საკუთარი ოფისიდან. პატივმოყვარეობით შეპყრობილმა ლამბორჯინიმ, თანამოაზრე ინჟინრებთან ერთად (მათ შორის იყვნენ: ჯანპაოლო ჯალარა, პაოლო სტანცანი, ჯოტო ბიძარინი და ბობ უოლესი), Lamborghini 350 GT შექმნა.

მას შემდეგ, წლების მანძილზე, ეს მარკა უცვლელად, უმაღლესი რეპუტაციით სარგებლობს. ფირმის მომხმარებლებს შორის იყვნენ ისეთი მდიდარი და სახელგანთქმული ადამიანები, როგორებიც არიან: ფრენკ სინატრა, პოლ მაკარტნი და სხვები. 2001 წელს, ავტობაზარზე გამოჩნდა მოდელი Murcielago, წლეულს კი – Gallardo, რომელიც ჟენევის ავტოსალონის ნამდვილ სენსაციად იქცა.

■

ამერიკა მართლაც პარადოქსების ქვეყანაა...

გაგრძელება. წინამორბედი წერილი იხ. „გზა“, №42.

რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალაქიდან ქალაქში, შტატიდან შტატში დავიწყე „მოგზაურობა“ სატვირთო ავტომანქანით, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეიძლება რაღაც ისეთს წააწყდე, რასაც ვერასოდეს წარმოიდგენდი. თუნდაც ის ფაქტი, რომ ანგლოსაქსების ქვეყანაში უმეტესად, რუსები, ჩეჩნები, ებრაელები და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები მხვდებოდნენ, თავისთავადაა პარადოქსი.

აკაკი გეგენავა

როგორ ვეჩხუბე და შევურიგდი სომეხ აშოტას

მართლაც, ვერაფრით ვიფიქრებდი, რომ მორიგი რეისისას სომეხ აშოტასთან ერთად შუაგულ ამერიკაში, ლარივით გაჭიმული, მრავალზოლიანი გზის პირას, კომფორტულ სასაუზმეში ლუდს დავლევდი და ამერიკულ ცხოვრებაზე დავიწყებდი საუბარს. თუმცა, ეს არც იყო საუბარი – ეს უფრო, ერთგვარი საკონსულტაციო დიალოგი იყო.

აშოტა დიდი მონდომებით, უშურველად მიზიარებდა საკუთარ მრავალწლიან გამოცდილებას: გულდაგულ მაცნობდა უამრავ ნიუანსს, რომელიც ჩემი პროფესიის კაცს გამოადგებოდა (ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ტრაილერის მძღოლობა იგულისხმება, თორემ, ჩემი „გეპეის“ დიპლომი აღარც მახსოვს, სად მქონდა შენახული).

ამ ლაპარაკში სამი საათი ისე გავიდა, ვერც გავიგეთ. ოფიციანტს შემოჰქონდა და შემოჰქონდა ქარვისფერი ლუდით სავსე კათხები. ვცდილობდი, ბევრი არ დამელია, მაგრამ არაფერი გამომდიოდა; თვითონაც ვერ ვხვდებოდი, როგორი საოცარი სისწრაფით იცლებოდა უზარმაზარი კათხები; მოკლედ, ვგრძნობდი, რომ ალკოჰოლი უკვე სასიამოვნოდ „მიღიტინებდა“...

– აშოტ, ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ახლა, ამდენი ლუდი რომ გაქვს დალეული, საჭესთან როგორ დაჯდები? – შუა ლაპარაკში შევაჩერე...

– ამერიკაში საჭესთან ჯდომისას, ცოტას თუ დალევ, არა უშავს, პრობლემა არ შეგექმნება – რა თქმა უნდა, თუ პროფესიონალი ხარ და არაფერს დაეჯახები... – მშვიდად მიპასუხა.

– შენ რა, არ იცი, ნიუ-იორკში ახალი კანონი რომ მიიღეს? თუ ინსპექტორმა გაგაჩერა და ნასვამი აღმოჩნდი, უფლება აქვს, ავტომანქანა ჩამოგართვას... – გამახსენდა, რომ სულ ახალი წაკითხული მქონდა ამ კანონის შესახებ.

– მაგრამ ნიუ-იორკი ხომ მთელი ამერიკა არ არის!.. – ისევ ოლიმპიური სიმშვიდით მიპასუხა აშოტამ და დასძინა: – ბოლოს და ბოლოს, თუ არ გინდა, რომ საჭესთან ნასვამი დაჯდე, ადექი და დაისვენე. მე შენ გეტყვი და, ტრაილერში დასაძინებელი ადგილი არა გაქვს. დაისვენე და ისე გააგრძელე გზა, ვინ გაჩქარებს?!.

– კომპანიის უფროსმა რომ გაიგოს? – ბავშვივით გავიოცე.

– როგორ გეტყობა, რომ პრაქტიკული აზროვნება არა გაქვს. უფრო სწორად – გიჭირს დადგენილი ნორმებისგან გადახვევა. არადა, ხომ შეგიძლია, რამე მოიგონო – ვთქვათ, ვითომ თავი აგტკივდა, ან გაცივდი, ან სულაც, ფეხი იღრძე და რა ვიცი – მიზეზს რა გამოლევს?!. უცბად არ გაიგოს შენი კომპანიის უფროსმა, აქ რას აკეთებ... – ეშმაკურად გამიღიმა აშოტამ.

– ალბათ მართალი ხარ, აშოტ, ამაზე

ნამდვილად არ მიფიქრია... — ვუპასუხე.

— არ გეწყინოს, მაგრამ სომხები მაინც უფრო მოხერხებული ხალხი ვართ, ვიდრე თქვენ, ქართველები. ამიტომაც, არსად არ ვიკარგებით!.. — ამაყად გადმომხედა აშოტამ.

— ებრაელებზეც? — ვიპოვე გამოსავალი.

— შენც მაგარი ხარ!.. რაღა ებრაელებს ეცი?! ეგ სულ სხვა სალაპარაკო თემაა... მაგათთან პაექრობა არც ისე ადვილია. თანაც, ხომ იცი — ერთმანეთს ვერიდებით. ამიტომაცაა, რომ ერთად არ ვცხოვრობთ! — ისევ ლაპარაკის ხასიათზე მოვიდა აშოტა.

— ერთი კარგად ამიხსენი, მართლა ვერ გავიგე, რისი თქმა გინდა. როგორ თუ ერთად არ ცხოვრობთ? — სმენად ვიქეცი, მეგონა, აშოტა რაღაცას მატყუებდა.

— ახლავე აგიხსნი, აკაკი: აი, თუნდაც, ნიუ-იორკი გაიხსენე, ბევრი სომეხი შეგხვედრია?.. — მეც გონებაში აღვიდგინე ყველა ნიუ-იორკელი ნაცნობი და გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მათ შორის, სომეხი ვერავინ გავიხსენე (რას გავიხსენებდი, რაც არ ყოფილა?!.).

— ტყუილად ნუ იჭყლეტ ტვინს — სომეხი არ შეგხვდებოდა, ანდა, თუ ნახავდი, ისიც გამვლელს ან რამდენიმე დღით ჩამოსულს და არა ნიუ-იორკში მცხოვრებს. ნიუ-იორკში და მთლიანად აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროზე ბიზნესი ებრაელებს მიჰყავთ, სომხებს იქ არაფერი ესაქმებათ. სამაგიეროდ, ლოს-ანჯელესი, კალიფორნიის შტატი და მთლიანად დასავლეთი სანაპირო ჩვენი — სომხებისაა. იქ უკვე ებრაელები აღარ გვეცილებიან!.. — გაბადრული და თვითკმაყოფილი სახით მითხრა აშოტამ.

— ეე, რაებს მიჰქარავ?! ანგლოსაქსებს რას უშვრები, ისინი სადღა არიან, აღარაფერს აკეთებენ?! სომხებს და ებრაელებს გიყურებენ ხელებში?!. — ირონიულად ვიკითხე და მივხვდი, როგორ ვემსგავსებოდით მე და აშოტა გიორგი დანელიას „მიმინოს“ გმირებს: ვალიკოსა და რუბიკას... თითქოს ფიქრს მიმიხვდაო, აშოტასაც გაეცინა და დაიწყო:

— კაკოჯან, „ტი ტოლკა ნე აბიჟაისია“, მაგრამ ფული და კაპიტალი სომხების და ებრაელების ხელშია! ფული კიდევ, ხომ იცი, ყველაფერს აკეთებს!

რატომღაც ძალიან გავღიზიანდი. ქართველები, ამ ვიღაც აშოტას აზრით, აღარაფერს წარმოვადგენდით. ავიფოფრე:

— იცი, რას გეტყვი, აშოტ?! მე ჩემი ქართველობა ყველაფერს მირჩევნია, სულ ფეხებზე მკიდია თქვენი ფული და სიმდიდრე!..

— ვაა, კაკოჯან, რა ვთქვი ახლა ისეთი, ასე რომ გეწყინა? არ იცი, რომ ამ ქვეყანაზე მარტო შენი კაცობით შორს ვერ წახვალ, რომ მთავარი მაინც ფულია, ფული?! აი, როცა ბევრი ფული გაქვს, მაშინ გაფასებენ და გცნობენ... რას იზამ, ასეა! შენ კი, სულ ტყუილად ბრაზობ!.. — აქეთ შემომიტია აშოტამ.

ავფორიაქდი. კიდევ რამდენიმე წუთი დავყავი სასაუზმეში, მერე უცბად წამოვხტი და გავვარდი დარბაზიდან. ათიოდე წუთის შემდეგ, აშოტაც გამოვიდა.

— შენ რა ფიცხი ყოფილხარ, კაკო! მე ისა ვთქვი, რასაც ვფიქრობდი, მეტი არაფერი. თანაც, შენს წყენინებას სულაც არ ვაპირებდი. რა გვაქვს ერთმანეთთან გასაყოფი?! მოდი, შევრიგდეთ! — ეს მითხრა და ხელი გამომიწოდა ჩამოსართმევად. აღარც მე გამომიდვია თავი. მერე აშოტამ თავისი სავიზიტო ბარათი გამომიწოდა — დამირეკე მაინცო, — და ჩაილაპარაკა: მგონი, მეც მაგრად გამოვთვერი, წავალ, ცოტას წავუძინებო. მერე მეც მირჩია, — წადი, შენც დაიძინე და საქმეს მერე მიხედეო!

აშოტა ფეხარეული წავიდა თავისი ტრაილერისკენ. მეც ბევრი აღარ მიფიქრია, ჩემი მანქანისკენ დავიძარი. კაბინის მოსასვენებელ კუთხეში მოვკალათდი და დასაძინებლად მოვემზადე...

ჩემი ტრაილერი

არ შემიძლია, ორიოდე სიტყვით მაინც არ „წარმოგიდგინოთ“ ის ავტომანქანა, რომელზეც თითქმის წელიწად-ნახევარი ვიმუშავე და რომლითაც თითქმის მთელი ამერიკა შემოვიარე (შტატებს ვგულისხმობ, რა თქმა უნდა). ალბათ მამაკაცების უმეტესობა დამეთანხმება იმაში, რომ მანქანამ ძალიან იცის მიჩვევა. ცხოვრებაში რამდენიმე საკუთარი მანქანა მყოლია და ყოველთვის, როცა რაღაც მიზეზის გამო მათთან „გამოთხოვება“ მიწევდა, უჩვეულო, სევდისმომგვრელი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს რომელიმე ახლობელს ვშორდებოდი დიდი ხნით...

სატვირთო ავტომობილი, რომელიც მე გადმომცეს, Volvo-ს ფირმისა იყო, მწვანე ფერის, სრულიად ახალი. კაბინა ისე იყო აღჭურვილი თანამედროვე ტექნიკის მიღწევებით, რომ ზოგჯერ, თვითმფრინავში მეგონა თავი. მანქანა კი არ მიდიოდა — მიფრინავდა; ზოგჯერ კაბინიდან გადმოსვლაც არ მინდოდა. არანაკლებ სასიამოვნო იყო მანქანაში მოსვენება. მძღოლის სავარძლის უკან პატარა ოთახი იყო მოწყობილი. დიახ, დიახ, ოთახი — ჩვენებური „ხრუშჩოვკის“ ერთოთახიანი ბინისხელა, რომელშიც განთავსებული იყო: ორი საწოლი, მაგიდა, მაცივარი, ტელევიზორი (ორმოცდაათამდე პროგრამას ვიჭერდი ხოლმე), პატარა გაზქურა, პირსაბანი, ცხელი და ცივი წყლით... მანქანაში ასევე იყო ტუალეტი. ხშირად მინახავს ტრაილერის მძღოლები, რომელთაც თან თავიანთი მეუღლეები ან მეგობარი ქალები დაჰყავდათ... ლამის ყველა ყოფითი პრობლემა მოხსნილი ჰქონდათ — მე თქვენ გეტყვით, შუქი არ ექნებოდათ თუ საჭმელს ვერ გაიცხელებდნენ?!.

აი, ასეთ კომფორტულ ოთახში ვიჯექი ახლა, ბევრი ლუდისგან შეჭიკჭიკებული და ის-ის იყო, გამოძინებულმა, თვალი გავახილე, რომ ტელეფონიც აწკრიალდა — კომპანიის უფროსი, ედმონდი მირეკავდა.

— კაკო, სადა ხარ? დეტროიტში უკვე გელოდებიან!.. — უკმაყოფილო ხმა ჰქონდა.

— ბატონო ედმონდ, ჩამეძინა და მაგვიანდება... — აბა, ხომ არ ვეტყოდი, ლუდით გამოვიბრუჟე-მეთქი.

— ჰო, კარგი. დეტროიტში რომ ჩახვალ, დამირეკე... — მითხრა და ტელეფონი გათიშა. სწრაფად წამოვხტი. თურმე, ნუ იტყვით და, მთელი 10 საათი მძინებია. ათიოდე წუთში მოვწესრიგდი, საჭეს მივუჯექი, მანქანა დავქოქე და პირდაპირ ცენტრალურ გზაზე გავედი...

დეტროიტში, ვახოსთან...

მთელი ღამე შეუსვენებლივ ვიარე. დილის 8 საათზე, უკვე დეტროიტში ვიყავი. ეს ქალაქი მიჩიგანის შტატის ადმინისტრაციული ცენტრია. დეტროიტი მიჩიგანის ტბის

სანაპიროზე მდებარეობს და ამერიკის შეერთებული შტატების საავტომობილო წარმოების ერთ-ერთ უდიდეს ცენტრად ითვლება. სწორედ იქ ააშენა შემდგომში სახელგანთქმულმა ჰენრი ფორდმა თავისი პირველი ქარხანა, სადაც მსოფლიოში პირველად, კონვეიერული სისტემით ავტომობილების გამოშვება დაიწყო. აქვეა განთავსებული „ჯენერალ მოტორსის“ უმსხვილესი საწარმოები. ყოველდღიურად დეტროიტში ასობით „ლინკოლნი“, „დოჯი“, „კრაისლერი“, „ბიუიკი“ და მრავალი სხვა, ძალზე პოპულარული მარკის ავტომობილები იწყობა. ყოველწლიურად იმართება მსოფლიოში უდიდესი ავტოსალონი. თანაც, დეტროიტში უდიდესი ნავსადგურიცაა და მრავალი ფაბრიკა-ქარხანა მუშაობს. ასე რომ, ცხოვრება დუღს და გადმოდუღს. თანაც, ეს ქალაქი იმითაცაა გამორჩეული, რომ მთლიანად მწვანეშია ჩაფლული, ქუჩებიც გაწკრიალებულია და არც ისეთი ხალხმრავლობაა, ორმილიონიან ქალაქს რომ შეეფერება...

...ამერიკის ქალაქებისა და დაბების უმეტესობა, ერთი სისტემითაა განაშენიანებული. მე მას ჭადრაკისებურს დავარქმევდი: იქაური ქუჩები და პროსპექტები ერთმანეთს ჯვარედინად კვეთს. ისინი დანომრილია, ამდენად, ბევრ ქუჩას სახელწოდების ნაცვლად, ნომერი აქვს. რაც შეეხება ქუჩის დასახელებებს — ამერიკის ქალაქებში უმეტესად, ყოფილი პრეზიდენტების სახელობის ქუჩები ჭარბობს. ასე რომ, ბევრგან შეგიძლიათ გაისეირნოთ ლინკოლნის, ვაშინგტონის, კენედის, ფრანკლინის ქუჩებზე. სხვათა შორის, ამერიკულ ქალაქებში საკმაოდ იოლია ორიენტირება და ყველაზე დაბნეული მძღოლიც კი გაიკვლევს გზას.

ამრიგად, დეტროიტში ჩასულმა, იოლად მივაგენი ავეჯის პატრონის სახლს. ისეთი გაბრწყინებული სახით შემხვდა, ვიფიქრე, ჩემი ძველი ნაცნობი ხომ არ არის-მეთქი?

— არ მეგონა, ასე მალე თუ ჩამოხვიდოდით. მე და ჩემს მეუღლეს ორი ღამეა, იატაკზე გვძინავს... — შემომჩივლა ახალგაზრდა მამაკაცმა.

— არა უშავს, იოგები სულ იატაკზე იძინებენ და როგორი ჯანმრთელები არიან?!. — ვცადე გახუმრება, მაგრამ არაფერი გამომივიდა. როგორც ჩანს, ჩვენს კლიენტს მართლა გვარიანად დაეჟეჟა გვერდები იატაკზე წოლისგან.

— ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ იმ თქვენს იოგებს!.. რამდენ ხანში გადმოტვირთავთ ჩემს ავეჯს? — მოუთმენლობა ვერ დაფარა მან.

— ახლავე დავურეკავ მუშებს და 3-4 საათში ავეჯი უკვე ბინაში გექნებათ... — დავამშვიდე და გადაზიდვის კომპანიას დავუკავშირდი. ნახევარ საათში, 4 მუშა მოვიდა და გადმოტვირთვა დაიწყო. კონტეინერი თითქმის სავსე იყო. ასე რომ, დასასვენებლად საკმაო დრო მქონდა. თუმცა, ვერაფრით მოვისვენე. ერთი სული მქონდა, ჩემს მეგობარს, ვახო შუბლაძეს როდის შევხვდებოდი... ბოლოს, ავდექი და დავურეკე. ისიც ნახევარ საათში მოვიდა.

— აჰა, დეტროიტშიც ჩამოაღწიე, ხომ? ვინა ხარ ახლა შენ — კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტი? რა გვანერვიულე, ბიჭო, რა გინდოდა იმ ოლბანის ციხეში?!. — მომაყარა ვახომ, მერე გადამეხვია და თავისი უშველებელი ტორები ისე მომიჭირა, ლამის წელში გავწყდი.

— ეე, ბიჭო, არ დამახრჩო! ოლბანის ციხეს გადავურჩი და ახლა, შენ გინდა, მომკლა?!. — ძლივს ამოვიღე ხმა, — როგორა ხარ, კაკო? რომ იცოდე, როგორ გამახარე!.. — ემოციებს ვერ ფარავდა ვახო. თანაც, ისე ხმამაღლა ლაპარაკობდა აღტაცებული, რომ მუშებმა ავეჯის გადატვირთვა შეწყვიტეს და შემოგვეხვივნენ — რა ხდებაო? თავიდან ეგონათ, რომ ვჩხუბობდით. ბოლოს დარწმუნდნენ, რომ მეგობრები ვიყავით და თავიანთ საქმეს დაუბრუნდნენ... ვახოს, სპორტული აღნაგობის ერთი ქართველი ახალგაზრდა კაცი — წყნეთელი გიორგი და უკრაინელი, ჩასკვნილი ბიჭი, ტარასა — მოჰყვნენ.

— იმ დღის შემდეგ, რაც დარეკე და მითხარი — დეტროიტში მოვდივარო, — მგონი, არც მძინებია: ერთი სული მქონდა, როდის ჩამოხვიდოდი... ისე, მაგარი ჩალიჩა ხარ — ამხელა მანქანა როგორ გაშანსე?!. — ვახო ისე უვლიდა მანქანას გარშემო, იფიქრებდი, ტრაილერს პირველად ხედავსო. მერე, დათვალიერებით გული რომ იჯერა, ჩემთვისაც მოიცალა:

— აბა, ჰე! წავედით, გველოდებიან, დაგვიძველდა პურმარილი... — ჩამჭიდა ხელი და თავისი მანქანისკენ წამიყვანა.

— დაიცა, ვახო! საით მექაჩები?! ტრაილერს ასე ხომ ვერ დავტოვებ! თან, ბოსთანაც უნდა დავრეკო...

— ბოსს უთხარი, ძმაკაცთან მივდივართქო და თავი დაგანებოს!.. — აროხროხდა ვახო.

ახლა ჩემს ძმაკაცს არც ჩემი ბოსი ენაღვლებოდა და არც ჩემი ტრაილერი. გაშლილ სუფრასთან უნდოდა, ძველებურად შევკრებილიყავით...

მოვლენები ჩემდა სასიკეთოდ წარიმართა: კომპანიის უფროსმა მითხრა — ხვალამდე თავისუფალი ხარო. ეს იმას ნიშნავდა, რომ დილით დეტროიტში დათქმულ მისამართზე უნდა მივსულიყავი და იქიდან ჩიკაგოში გავემგზავრებოდი. ასე რომ, თითქმის მთელი დღე ჩემს განკარგულებაში იყო...

როგორც იქნა, მუშებმა გადმოტვირთეს ავეჯი და მეც და ჩემი ტრაილერიც გავთავისუფლდით. პატრონმა მუშებს ანგარიში გაუსწორა და ბოლოს, რაღაც წიგნი გამომიწოდა.

— ეს რა არის? — ხელში იუმორისტული ამბების კრებული შემრჩა.

— გამომართვით, გამოგადგებათ: სხვა დროს გეცოდინებათ, როდის უნდა იხუმროთ... ყოველ შემთხვევაში, ჩემსავით გაწამებულ კაცს აღარ აიგდებთ მასხრად!.. — გამიღიმა ამერიკელმა და ძლივს გაიმართა წელში...

გულიანად გამეღიმა. კლიენტს დავემშვიდობე და ჩემი ტრაილერით ვახოს მანქანას გავყევი...

P.S. მოგზაურის დღიურების მომდევნო თავს „გზის“ №46-ში შემოგთავაზებთ.

თამუნა ამონაშვილი:

ქალი მაშინ არის ქალი, როცა მასზე არ ჭორაობენ

მომღერალი თამუნა ამონაშვილი, მოსკოვიდან ჩამოსვლის შემდეგ, ახალი სიმღერების ჩაწერასა და კლიპების გადაღებას შეუდგა. იგი უკვე მეორე ალბომზე მუშაობს, რომლის მომზადებაც სამი წლის წინ, დაიწყო და ჯერ არ დაუმთავრებია. სულ ახლახან თამუნამ დუეტი ჩაწერა მოდელ ლალი ტოტიკაშვილთან და ახალ სიმღერაზე კლიპიც გადაიღო...

ნათია ქივიძე

— დუეტის იდეა, ორივეს ერთდროულად დაგვებადა. განვახორციელეთ და მართლაც კარგი გამოვიდა. სიმღერას, „ეს ერთი ღამე" ჰქვია. მუსიკა ავთო ბადუაშვილს, ტექსტი ირინა სანიკიძეს, რეჟისურა კი, რეზი არჩვაძეს ეკუთვნის. კლიპი უშინაარსოა. მასში უბრალოდ, ასახულია თუ როგორ ერთობა ერთ ღამეს ორი ლამაზი გოგონა. რაც შეეხება ლალის, მართლაც მშვენიერი ხმა აქვს, ოღონდ, თუ მომღერლის კარიერის გაგრძელებას მოისურვებს, ვოკალის გაუმჯობესება მოუწევს.

— კიდევ თუ აპირებთ ვინმესთან დუეტის ჩაწერას?

— „ქუჩის ბიჭებთან" ჩავწერ დუეტს, თუმცა დიდი პრობლემის წინაშე ვდგავართ. ბექა ნიკოლაიშვილის სტუდიის კომპიუტერი, სადაც არა მარტო ჩემი, უამრავი მომღერლის სიმღერაა ჩაწერილი, გაფუჭდა და შესაკეთებლად მოსკოვში წაიღეს... უახლოეს მომავალში კიდევ ერთი კლიპის გადაღებას ვაპირებ, თუმცა ჯერ არ ვიცი, რომელ სიმღერაზე გადავიღებ. მოგეხსენებათ, რომ კლიპის გადაღება საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. უახლოეს მომავალში მოსკოვში წავალ, სადაც 22-23 იანვარს საქართველოს დღეებია და კონცერტებშიც მივიღებ მონაწილეობას.

— მოსკოვში პოპულარობის მოსაპოვებლად წახვედით. მგონი, თქვენ ამას უკვე მიაღწიეთ...

— იქ ძალიან მცირე დროში ბევრი კარგი რამ გავაკეთე და ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ ამის შესაძლებლობა მომეცა. მეგობრებიც დამიდგნენ მხარში. მოსკოვში ორი მიზეზის გამო წავედი: ეს იყო ჩემი პირადი ცხოვრება (არ დავაკონკრეტებ) და ჩემი შემოქმედება. ჩემი შინაგანი მონაცემებიდან გამომდინარე, სხვა ქვეყანაში დიდხანს ცხოვრება არ შემიძლია. სამი წელი ვცხოვრობდი მოსკოვში და ამ ხნის მანძილზე უამრავჯერ ჩამოვედი თბილისში. მივხვდი, რომ არც იქ ვიყავი და არც აქ. თუ დიდი თანხა არა გაქვს, მოსკოვში ძნელია საქმის წამოწყება. თუმცა, მე მეგობრების დახმარებით ბევრი რამ გავაკეთე. ვარსკვლავი რომ გახდე, ნახევარ მილიონამდეა საჭირო. ამაზე ოცნებაც კი არ შემეძლო, ამიტომ გადავწყვიტე, რომ ვიყო იქ, სადაც ჩემი საშობლოა, სადაც მყავს ჩემი მსმენელი და ა.შ. მერე, ისევ ცხოვრება მიჩვენებს, როგორ მოვიქცე. ვაპირებ, რუსული ალბომიც ჩავწერო. ჯერჯერობით, ამ საკითხზე მოლაპარაკება მიმდინარეობს.

— გავიგეთ, რომ საზღვარგარეთ წასვლასაც აპირებთ...

— გასტროლები მაქვს ამერიკაში, მაგრამ ამაზე წინასწარ ლაპარაკი არ მინდა.

— თქვენი აზრით, განვითარების რა ეტაპზეა ახლა ქართული შოუბიზნესი და ვინ მიგაჩნიათ თქვენს კონკურენტად?

— ჩემს კონკურენტად არავის მივიჩნევ. იმდენი რამე მაქვს გაკეთებული, რომ კონკურენტი ვერ მეყოლება. მე ჩემი სტილი მაქვს და ჩემი მსმენელი მყავს. პრეტენზიული ვარ ჩემი საქმის მიმართ. ჩემთან მომუშავე პერსონალი იღლება ჩემი პრეტენზიულობით, მაგრამ მერე მეუბნებიან, რომ მოსწონთ ჩემი პროფესიონალიზმი. რაც შეეხება ზოგადად ქართულ შოუბიზნესს, პირადად მე, არანაირი უფლება არა მაქვს, რომ ვინმე განვიკითხო. მაქვს ჩემი შეხედულება, მაგრამ ხმამაღლა არ განვაცხადებ, ჩემთვის დავიტოვებ.

— სიმღერის გარდა, რა გატაცება გაქვთ?

— კარგად ვქსოვ და ვკერავ. სახლში ან ხელსაქმით ვარ დაკავებული, ან წიგნს ვკითხულობ. ძალიან მიყვარს მეგობრებთან ერთად ყოფნა. თუმცა, როცა ძალიან გადაღლილი ვარ, მთელი დღე ვწევარ და ვისვენებ. ასე თუ არ მოვიქეცი, ვიბნევი. საერთოდ, დაბნეული, ისეთი გულმავიწყი ადამიანი ვარ, ხშირად კონცერტიც დამვიწყებია...

— რატომ არ ხართ გაერთიანებული „არტ-იმედში" ან რომელიმე მსგავს კომპანიაში?

— როდესაც „არტ-იმედი" ჩამოყალიბდა, ზუსტად იმ პერიოდში ვიყავი მოსკოვში. ისე, არავისთან გაერთიანებაზე არ მიფიქრია, რადგან დამოუკიდებლადაც საკმაოდ ნორმალურად ვგრძნობ თავს. რა ვიცი, თუ შემომთავაზებენ...

— ჭორებთან რა დამოკიდებულება გაქვთ?

— ფანტასტიკური. როცა ჩემზე ჭორაობენ, ვგრძნობ, რომ პოპულარული ვარ. ერთი პერიოდი ძალიან განვიცდიდი ჩემზე შეთხზულ ჭორებს, ამ ბოლო დროს კი მივხვდი, რომ თუ ჩემზე არ ჭორაობენ, ე.ი. არავის ვახსოვარ. ქალი მაშინ არის ცოდო, როცა მასზე არ ჭორაობენ. ჩემთვის მთავარია, იმ ადამიანებს, რომლებთანაც ვტრიალებ, ისეთი ვუყვარდე, როგორიც ვარ.

— პირად ცხოვრებაში ხომ არაფერია ახალი?

— არაფერია ახალი. ჯერ ისევ გასათხოვარი ვარ. თუ რაღაც შეიცვლება, თბილისი აუცილებლად გაიგებს.

— რას შეცვლიდით თქვენს პირად ცხოვრებაში?

— როცა რაიმეს გავაკეთებ, მერე შეიძლება ვინანო, მაგრამ ჩემს თავს ვარწმუნებ ხოლმე, რომ მომხდარზე აღარ უნდა ვინერვიულო. შენი მიზნისთვის ყოველთვის უნდა იბრძოლო, მაგრამ თუ არ გამოგივა, არ უნდა ინერვიულო, ე.ი. ღმერთმა საჭიროდ არ ჩათვალა, რომ ეს საქმე გამოგსვლოდა. ჩვენი ყველა ნაბიჯი ღმერთის მიერაა ნაკარნახევი. ღმერთმა თქვა: ხელი გაანძრიე და გიშველიო. მე ვამაყობ, რომ ფუტკარივით მშრომელი ვარ... ■

„ჩექმებიანი კატა“ თბილისში

ამ ბოლო დროს, მოდის ბიზნესი ისეთი მომგებიანი და პოპულარული გახდა, რომ თითქმის ყოველდღე, ახალ-ახალი დიზაინერების გამოჩენისა და მათი სალონების გახსნის ამბავს გვაუწყებენ. გასულ კვირას, კიდევ ერთი ფეხსაცმლის სალონის — „ჩექმებიანი კატის“ ანუ MAK-ის პრეზენტაცია გაიმართა. სალონის დამფუძნებლები დები მადონა და ქეთი ხარატიშვილები არიან, რომლებსაც პარტნიორობას ასევე დების — ქოთილაიძეების კომპანია — „თექა“ უწევს. ეს ორი ფირმა ერთობლივად შექმნის თექის ფეხსაცმელს, რომელიც წელს მოდაში იქნება. მადონამ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა — როცა პარტნიორად შენი ღვიძლი და გყავს, ბიზნესი უფრო მომგებიანია, რადგან გამორიცხულია, დებმა ერთმანეთი მოატყუონო... „თექის“ საქმიანობის შესახებ კომპანიის ხელმძღვანელს ცისანა ქოთილაიძეს და „ჩექმებიანი კატის“ დიზაინერს მადონა ხარატიშვილს ვესაუბრეთ.

ცისანა ქოთილაიძე:

— ადამიანმა რომ აზროვნება დაიწყო, ჯერ თექა ჩაიცვა და მერე ისწავლა ქსოვა. თექის დამუშავება ძალიან საინტერესო პროცესია. მისი ტექნოლოგია და მოდელირება ჯერ ჩემმა დებმა შეისწავლეს და ძალიან ლამაზი ნამუშევრები შექმნეს. სურვილი გამიჩნდა, ამ ყველაფრისთვის ორგანიზება გამეკეთებინა და ერთობლივ საქმიანობაში ჩემი ხუთივე და ჩავრთე. სიტყვა „თექის“ ხსენებისთანავე, უმრავლესობა აუცილებლად ნაბადს წარმოიდგენს ხოლმე. ამ დროს, თექისგან კაბისა და სხვა აქსესუარების შექმნაც შეიძლება. სხვათა შორის, თექის ავეჯიც ძალიან ლამაზია. რაც შეეხება „ჩექმებიან კატასთან“ თანამშრომლობას, ჩვენ საერთო ბაზარი გვექნება, ანუ როცა მომხმარებელს თექით გაფორმებული ფეხსაცმელი დასჭირდება, მადონასა და ქეთის ჩვენ დავეხმარებით.

მადონა ხარატიშვილი:

— თექის ფეხსაცმელი ფართო წარმოებაში სიახლეა. ის ძალიან პოპულარული, პრაქტიკული და მოდურია. ვთქვათ, მომხმარებელს სურს, რომ ფეხსაცმელზე ეხატოს მზე ან საყვარელი გოგონას პორტრეტი; თექისგან შეიძლება, ნებისმიერი ნახატი დამზადდეს, რომლითაც შემდეგ, ფეხსაცმელს გავაფორმებთ. ახლახან ჩვენთან მოვიდა ქალი, რომელმაც გვთხოვა, რომ მისი მეუღლისთვის შეგვეკერა ჩექმა, რომელზეც ჰალსტუხები ეხატება. რა თქმა უნდა, შევუსრულებთ ამ თხოვნას. თექას აუცილებლად ტყავზე ვაკერებთ, რომ მომხმარებელს წვიმასა და თოვლში ფეხი არ დაუსველდეს. თუმცა, სასურველი არ არის, რომ თექის ფეხსაცმლით ტალახში იარო. ისე, თექას ის პლუსიც აქვს, რომ ძალიან ადვილად იწმინდება... ■

აქცია, ალიპი, ფილმი და „საუნდის“ „ვიდეონაპრები“

ალბათ ყველას კარგად ახსოვს „საუნდის“ თაოსნობით რესპუბლიკის მოედანზე ჩატარებული აქცია — „გვიხმობს აფხაზეთი“, რომელიც აფხაზეთის დაკარგვის ათი წლისთავს მიეძღვნა. ახლა ამ თემაზე ჯგუფის წევრები და მათი ახალი კლიპის — „ჩვენი ვარსკვლავის“ — რეჟისორი თემურ დიდბერაშვილი დოკუმენტურ ფილმზე მუშაობენ, რომელსაც იგივე სახელწოდება — „გვიხმობს აფხაზეთი“ ერქმევა. ამჟამად, ფილმი მონტაჟის პროცესშია და სულ მალე, მას საქართველოს ტელევიზიის „პირველი არხის“ საშუალებით ვიხილავთ.

ჯგუფის სოლისტი თემო ხვიბლიანი მუზას არ უჩივის. ფარული შთაგონების წყაროს წყალობით, მან ბოლო ერთი თვის მანძილზე ათამდე სიმღერა შექმნა. სიმღერის — „სიყვარული მეგონა“ — ტექსტი ნანა ცინცაძეს ეკუთვნის, რომელზეც ჯგუფის წევრები უახლოეს მომავალში კლიპის გადაღებას გეგმავენ. ამასთანავე,„საუნდი“ კვლავ ახალ ალბომზე მუშაობს, რომლის პრეზენტაციაც უკვე ტრადიციისამებრ, 31 იანვარს — თემოს დაბადების დღეს შედგება. ჯგუფმა თავისი ძველი სიმღერა — „ისევ დამესიზმრები“, რომელზეც მან პირველი კლიპი გადაიღო, ახლებური ვარიანტით — ე.ი. რემიქსულად ჩაწერა. თემომ გადაწყვიტა, რეჟისურაშიც გამოეცადა საკუთარი ძალები, კომპიუტერის საშუალებით, „საუნდის“ ყველა კლიპიდან სხვადასხვა კადრი ამოჭრა და ერთი მთლიანი კლიპი „ააწყო“, რომელიც საკმაოდ საინტერესო და სახალისო გამოვიდა. ■

რამდენიმე რჩევა რეცხვის შესახებ

სასურველი არ არის ტრიკოტაჟის ნაწარმი ხშირად ვრეცხოთ, რადგან ის იწელება, ხუნდება, ვიწროვდება, მოკლედ, კარგავს თავის გარეგნულ იერსახეს. ეს რომ თავიდან ავიცილოთ, რამდენიმე წესი უნდა ვიცოდეთ: წყლის ტემპერატურის მკვეთრი ცვლილებისგან შეიძლება ქსოვილი შედგეს. რეცხეთ სწრაფად. არ დატოვოთ ქსოვილი წყალში არც ერთი ზედმეტი წუთითაც კი. ბეწვეული უკეთესი იქნება, ქიმწმენდაში მიაბაროთ, მაგრამ, თუ თავად გადაწყვიტეთ მისი გარეცხვა, გამოიყენეთ უნივერსალური ფხვნილი. წყლის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 40 გრადუსს. უფრო მაღალ ტემპერატურაზე რეცხვისას ან ტუტე ფხვნილების გამოყენებისას ბეწვი შეიძლება მოითელოს.

ბამბის ტრიკოტაჟის ნაწარმი უნდა გარეცხოთ 30-35-გრადუსიან წყალში. უმჯობესია, გავლების დროსაც თბილი წყალი გამოიყენოთ.

სინთეტიკისაგან დამზადებული ტრიკოტაჟი რეცხეთ თბილ წყალში, არა უმეტეს 40 გრადუსისა, გავლებით კი ძმრიან ცივ წყალში გაავლეთ. გავლების შემდეგ ტანსაცმელი ოდნავ გაწურეთ. გაახვიეთ ხაოიან პირსახოცში, რომელიც წყალს კარგად იწოვს, შემდეგ გაასწორეთ ხელით და დაკიდეთ გასაშრობად.

ბადრიჯნისა და სოკოს სალათა

ამ კერძის მომზადებისათვის დაგჭირდებათ: 1 კგ ბადრიჯანი, 3 ს/კ ზეითუნის ზეთი, 100 გ ქამა სოკო, 500 გ სალათის ფოთოლი, 1,5 ს/კ წვრილად დაჭრილი ქინძი, 1 ს/კ დანაყილი და შემწვარი თხილი.

გარდა ამისა, კერძის შესაკაზმად დაგჭირდებათ – 3 ს/კ ზეითუნის ზეთი, 2 ს/კ სოიას სოუსი, 1 ს/კ ძმარი, 0,5 ჩ/კ შაქარი და პილპილი.

კერძი მზადდება შემდეგნაირად: წვრილად დაჭერით ბადრიჯანი, თხელ ფენებს ზეითუნის ზეთი წაუსვით და 3-5 წუთის განმავლობაში ორივე მხრიდან შეწვით. შემდეგ ქამა სოკოც წვრილად დაჭერით და დარჩენილ ზეთში შეწვით მანამდე, სანამ იგი არ დარბილდება. შემწვარი სოკო გააცივეთ. სალათის ფოთოლი გარეცხეთ და ღრმა ჯამში მოთავსეთ. დააყარეთ ქინძი და დანაყილი თხილი. მომზადეთ შესაკმაზად ცხიმი. სალათის ფოთოლში ჩადეთ ბადრიჯანი და სოკო, შეკაზმეთ მომზადებული სოუსით და მიირთვით.

სალათა „თეიგული“

8-10 ცალი მოხარშული კარტოფილი, 4-5 სტაფილო, 3-4 მჟავე კიტრი (გათლილი) წვრილად დავჭრათ, მოვაყაროთ მარილი, კარგად ავურიოთ ერთმანეთში, მოვასხათ მაიონეზი, ისევ ავურიოთ და მოვათავსოთ სასალათეში. ზემოდან დავაწყოთ მოხარშული, წვრილად დაჭრილი ან დაკონსერვებული თევზი და მოვრთოთ მჟავე კიტრით, პომიდვრით, ოხრახუშით, ნიახურით, ისე, რომ ლამაზი თაიგული შეიქმნას.

რჩევები დიასახლისებს

● ტრიკოტაჟის ან მუქი ქსოვილისგან დამზადებულმა მაისურმა ფორმა და ფერი რომ არ დაკარგოს, გარეცხვის შემდეგ ცივ მარილიან წყალში (10 ლ წყალზე 250 გ მარილი) ჩაალბეთ.

● თუ ჩაიდანს ნადები გაუჩნდა, ჩაასხით ძმრიანი წყალი (2-3 ს/კ ერთ ლ წყალზე) და წამოადუღეთ.

● ნამცხვრის გამოცხობის შემდეგ თუნუქის ფურცელს მაშინვე ცივი წყალი დაასხით და მარილიანი ჩვრით გარეცხეთ.

● ხორცის საკეპი მანქანა მოხმარების შემდეგ სასწრაფოდ დაშალეთ, ნაწილები ცხელი წყლისა და საჭმელი სოდის ნაზავში ცოტა ხნით გააჩერეთ. შემდეგ ჩვეულებრივი ჭურჭლის ჟელეთი გარეცხეთ და გაამშრალეთ.

● ხის ჩანგლები და კოვზები ცხელ წყალში არამც და არამც არ გააჩეროთ. ის მოხმარებისთანავე გარეცხეთ და გაამშრალეთ.

„უცრემლო ხახვი“

უკოფეინო ყავა, უალკოჰოლო ლუდი, უნიკოტინო სიგარეტი, უხორცო კატლეტი – მეცნიერები ადამიანების ჯანმრთელობაზე ზრუნავენ და ცდილობენ, რომ გამოიგონონ რაღაც ისეთი, რაც მათ მავნე ჩვევებსა და გასტრონომიულ გატაცებებს უსაფრთხოს გახდის. ბრიტანელი მეცნიერები კი, ბოლო დროს შორს წავიდნენ. მათ „უცრემლო ხახვი“ გამოიგონეს. სელექციონერების მიერ გამოყვანილი ახალი ჯიშის ბოსტნეული გემოთი, სუნით და არომატით ჩვეულებრივი ხახვისგან არაფრით განსხვავდება, მას მხოლოდ შემცირებული აქვს ეთეროვანი ზეთების და მჟავების შემცველობა, რომელიც თვალებს აღიზიანებს. ისიც აღსანიშნავია, რომ თვალების მოფრთხილება ბრიტანელ დიასახლისებს საკმაოდ ძვირად უჯდებათ. ხახვის ორი თავი, რომელიც 500 გ-ს იწონის, 99 გირვანქა სტერლინგი ღირს.

საფო ეფოდელ ევროპელები ეკვა თურქულ



ყავას, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და არაბული სამყაროს გარდა, ყველგან რატომღაც თურქულს უწოდებენ. მაშინ, როდესაც თურქულ ეთნოსს ისტორიულად და გეოგრაფიულად, ყავასთან საერთო არაფერი ჰქონია.

ყავის, როგორც სასმლის აღმომჩენად, მდინარე ნილოსის სანახებში მცხოვრებ პირველ ქრისტიან კოპტ ბერებს მიიჩნევენ. მათ პირველად იგემეს ყავის სურნელი და გემო. შემდგომში ის მთელ მსოფლიოში გავრცელდა, დავა კი იმის შესახებ — ეგვიპტეა ყავის ხის სამშობლო თუ იემენი, დღემდე გრძელდება.

მოგვიანებით, ყავამ არაბეთიდან ოტომანთა იმპერიაშიც შეაღწია და სტამბოლშიც დააფრქვია თავისი სურნელი.

სტამბოლი კი, იმ ხანებში აღმოსავლეთსა და ევროპას შორის ხიდის როლს ასრულებდა.

1716-1718 წლებში ოტომანთა იმპერიის ლაშქარმა ალყა შემოარტყა ვენას, მაგრამ ვერა და ვერ დაიმორჩილა ავსტრიის იმპერიის საატახტო ქალაქი.

თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში ავსტრიელებთან ერთად მონაწილეობდა პოლონეთის სამეფოც. გადმოცემის თანახმად, პოლონეთის მეფის, იან სობესკის ჯარისკაცმა, ვინმე კულჩინსკიმ, თურქეთის მიტოვებულ ბანაკში რამდენიმე ტომარა ყავა მოიპოვა. ჩანს, მან უკვე იცოდა ყავის არსებობა, გემო, ფასი და მომზადების წესიც. სწორედ ეს ჯარისკაცი იყო პირველი, ვინც ევროპაში, კერძოდ, ვენაში პირველი ყავახანა გახსნა.

საინტერესოა ისიც, რომ ვენაში ამ ყავახანის გახსნის თარიღს, დღესაც აღნიშნავენ.

ამ დღიდან ასი წლის შემდეგ გამოვიდა წიგნი, თუ როგორ გამოეყენებინათ „თურქული ამბროზია“ (ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ღმერთების სასმელი, ნექტარსაც უწოდებენ) და მალე ევროპის თითქმის ყველა ქალაქში გაიხსნა და ამუშავდა „კაფე ჰაუზები“.

ყავა ევროპელ არისტოკრატთათვის მოდურ სასმელად სწორედ „თურქული ყავის“ სახელწოდებით იქცა...

დიდმა კომპოზიტორმა, იოჰან სებასტიან ბახმა ყავას კანტატაც კი მიუძღვნა და ყავა ევროპის დიდი მწერლების მენიუს აუცილებელ დანამატად იქცა. შილერი ამ სასმელს „ბედნიერი არაბეთის მოძღვნილ საოცრებას“ უწოდებდა, ბალზაკს კი ყავის გარეშე წერა არ შეეძლო.

ყავამ დაიპყრო მსოფლიო იმით, რომ იგი აზრსა და სინამდვილეს არ მიჯნავს, ათავისუფლებს ადამიანს დაღლილობისა და მთქნარებისაგან და რაც მთავარია, ღვინოსავით არ აზიანებს ადამიანის გონებასა და შეგრძნების მექანიზმს.

დღეისათვის სასმელებიდან ყავის კონკურენტად მხოლოდ ჩაი შეიძლება ჩაითვალოს.

ქართულ ისტორიულ წყაროებში ყავა მოხსენიებულია მე-18 ს-ის დასაწყისში, კერძოდ, „ქართლის ცხოვრებაში“ (IV ტ. გვ. 629 გამოც. 1973). ლაპარაკია იმ პერიოდზე, როცა ნადირშაჰის ძმა — აზერბაიჯანის სპასალარი გაემართა კახეთის დასარბევად... „სპასალარი გარდახდა ლელოვანსა ერთსა ველსა ზედა მშვენიერსა, რათა მოსწიოს ყალიონი და სვას ყავა“... „შემოეპარენ, ჰკრეს თოფი და მოკლეს სპასალარი მუნვე“.

ასე რომ, ქართველნი ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის დასაწყისში ყავას მოიხსენიებენ არა როგორც „თურქულს“, არამედ უბრალოდ „ყავას“.

საბა თავის სიტყვის კონაში წერს: „ყავა მარცვალი იემენეთისა სახვრეტელად“ (ლექსიკონი ქართული ტ. II. გვ. 261, 1983 წ). სახელი „თურქული ყავა“ ქართულ ლექსიკაში ევროპიდან შემოიჭრა და დამკვიდრდა.

ასე რომ, სიტყვა „თურქული ყავა“ პირობითია.

ეს მშვენიერი სასმელი თურქულად მოინათლა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ თურქეთიდან შეაღწია ევროპაში.

თავად თურქეთში ყავის ხე ბოტანიკურ ბაღების გარდა, არსად ხარობს.

სხვათა შორის, ახლო აღმოსავლეთში ყავას ანუ არაბულად „კაჰვა“-ს უშაქროდ და რძის გარეშე სვამენ, თანაც ყოველი ყლუპის შემდეგ წყალს აყოლებენ, რათა მისი არომატი მომდევნო ყლუპის შემდეგ ხელახლა შეიგრძნონ.

ნოდარ კოჭლაშვილი

ლოგოს ინსლრუნებენ ფორმას ლაბეზმანები?

მელანი გრიფიტი — ასაკი — 45 წელი, სიმაღლე — 177 სმ, წონა — 51 კგ.

კვება: მთელი ცხოვრება დიეტაზეა. ყოველდღე სვამს არანაკლებ 8 ჭიქა მინერალურ წყალს. ცდილობს ხორცზე მაქსიმალურად თქვას უარი.

სპორტი: მელანი გრიფიტს სპორტის სახეობები ნაკლებად იტაცებს და ამიტომ, როდესაც საკუთარი სხეულის ფორმები არ აკმაყოფილებს, მაშინვე პლასტიკურ ქირურგიას მიმართავს.

მისი დიეტის საიდუმლო: მიმართავს ორგანიზმის გაწმენდის ხანგრძლივ კურსს. ყოველთვიურად ორი დღის განმავლობაში მხოლოდ ბულიონებს მიირთმევს, ერთი დღე საერთოდ შიმშილობს, ხოლო სამი დღე მსუბუქ საჭმელებს გეახლებათ.

ლიზ ჰარლი — ასაკი — 36 წელი, სიმაღლე — 180 სმ, წონა — 53 კგ.



კვება: რეგულარულად მიირთმევს წვნიანებს. მისი დიეტა ძირითადად ბოსტნეულის ნახარშებისგან შედგება.

სპორტი: მხოლოდ სპორტული ცეკვებითაა გატაცებული.

მისი დიეტის საიდუმლო: ცდილობს, ჭამოს ისეთი პროდუქტები, რომელთა ერთად მიღება რეკომენდებულია. არასოდეს ჭამს ხორცს კარტოფილთან ერთად. უარს ამბობს შაქარსა და მარილზე.

ჯაჭოჩანილი ადამიანების მოსწრებული ჯაჭოსუოქვაქები

ალტერნატივა

ბერნარდ შოუს დაბადების 94 წლისთავთან დაკავშირებით, ახალგაზრდა ჟურნალისტმა ქალმა ჯანმრთელობის მდგომარეობა გამოჰკითხა.

— საყვარელო ბავშვო, — უთხრა მწერალმა, — ჩემს ასაკში ადამიანი ან კარგად გრძნობს თავს, ანდა უკვე დიდი ხნის მკვდარია.

მოწმეები

ავსტრიელი მწერალი, ვენის ლიტერატურული ბოჰემის წარმომადგენელი პეტერ ალტენბერგი ყოველთვის დღის სამ საათზე დგებოდა, რადგან ღამეებს მეგობრებთან ერთად კაფეში გაცხოველებულ დისკუსიებში ატარებდა. ერთ დღეს, როცა იგი სასამართლოში ცხრა საათისათვის მოწმედ გამოიძახეს, წინასწარ მოიბოდიშა მეგობრებთან, რომ მორიგ საღამოს მათთან ვერ მივიდოდა, რადგან იმ დროს სასამართლოში უნდა ყოფილიყო. მეგობრებმა დიდი გაჭირვებით დაუმტკიცეს, რომ სასამართლოს სხდომა საღამოს კი არა, დილის ცხრა საათზე უნდა შემდგარიყო. ამ „ბარბაროსული“ დროით უკმაყოფილო პეტერმა დაიბარა, დილით ადრე გაეღვიძებინათ.

როცა საღამოს კვლავ კაფეში მივიდა, ფრიად განცვიფრებულმა განაცხადა:

— ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ძილისათვის განკუთვნილ დროს ქუჩებში ასე ბევრი ხალხი თუ იქნებოდა. კაცმა რომ თქვას, სასამართლოს ამდენი მოწმე რისთვის სჭირდებოდა?

მენიუ

ჩეხი მწერალი და ჟურნალისტი ეგონ ერვინ კიში რესტორანში შევიდა, მენიუ კარგა ხანს ათვალიერა და ბოლოს, მიმტანს მიმართა:

— მომიტანეთ, გეთაყვა, ერთი ულუფა ორთოგრაფიული შეცდომა!

მიმტანმა უცნაურ სტუმარს გაკვირვებით შეხედა და მორიდებით მიუგო:

— სამწუხაროდ, არა გვაქვს!

— მაშ მენიუში რატომ შეგიტანიათ? — ჰკითხა კიშმა.

კრიტიკის კრიტიკა

ლიტერატურის კრიტიკოსის, ვილის ჭიშკარზე აბრა იყო გაკრული წარწერით: „ავი ძაღლი“ და ვიღაცამ ქვეშ ფანქრით მიაწერა: „თანაც უპრინციპო“.

ცხოვრებისეული პერსონაჟები

უნგრელ მწერალსა და დრამატურგს, ფრანც მოლნარს ჰკითხეს:

— როგორ შოულობთ ინფორმაციას თქვენი პერსონაჟებისათვის, მათთან უშუალო საუბრის გარეშე?

— ეს ძალიან იოლი საქმეა, — მიუგო მწერალმა, — საზოგადოებაში ვახსენებ თუ არა რომელიმე მათგანს — კაცს თუ ქალს, მაშინვე მათ შესახებ ყოველგვარი ამბის მოყოლას დაიწყებენ ხოლმე. ■

ანეკდოტები

***

ქვიშაში მოთამაშე ბავშვის წინ, მე-12 სართულის ფანჯრიდან გადმოვარდნილი მამაკაცი დაენარცხა. წამოდგა, შარვალი დაიფერთხა და ბავშვს ეკითხება:

— ბიჭუნა, თვლა იცი?

— ვიცი!

— ახლა, მე-12 სართულიდან ბიძიები დაიწყებენ ცვენას და დაითვალე!

საადარბაზოში შევარდა. ცოტა ხნის შემდეგ იმავე ფანჯრიდან ბავშვის წინ ტიპი დაენარცხა.

ბავშვი:

— ერთი!

ტიპი:

— მოიცა, ჯერ ნუ ითვლი, ეს ისევ მე ვარ...

***

ორნი ლუდის ბარში შევიდნენ:

— ორი ლუდი მოგვიტანეთ, ოღონდ სუფთა კათხაში.

ორ წუთში ოფიციანტს მოაქვს ლუდი:

— სუფთაში რომელმა შეუკვეთეთ?

***

— დიდი ხანია ლექსებს წერთ?

— პირველი, თხუთმეტი წლის წინ დავწერე.

— და ახლა რაზე მუშაობთ?

— მეორეზე.

***

— როგორც ჩანს, თქვენ მე ქუჩის ქალი გგონივართ!

— არავითარ შემთხვევაში! მე თქვენ მხოლოდ თავისუფალი სექსი შემოგთავაზეთ და არა ფული...

***

— უკვე წაიკითხეთ ჩემი ლექსები?

— კი, და ორი მათ შორის ისეთია, რომლის დაწერასაც ვერც ჰაინე და ვერც პუშკინი ვერ შეძლებდნენ.

— ფრიად სასიამოვნოა! რომელია განა?

— ერთი კინოზე და მეორე — რადიოზე.

***

— რა კარგად ვატარებდით დროს მე და ჩემი ცოლი ზღვაზე! დავრბოდით, ვბანაობდით, ერთმანეთს ქვიშაში ვმარხავდით... ეჰ, ციხიდან რომ გავალ, აუცილებლად ამოვთხრი.

***

ისააკ ნიუტონმა სახელი იმით გაითქვა, რომ თავზე ვაშლის დაცემის შემდეგ, კი არ შეიგინა, — დაფიქრდა!

ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

როგორ მუშაობს?

ულტრაბგერითი კვლევის შექმნისას მეცნიერებმა გამოიყენეს პრინციპი, რომელსაც დელფინი იყენებს წყალქვეშ ორიენტირებისას. მის მიერ გაშვებული ტალღები წყალში ვრცელდება, ირეკლება საგნებიდან, უბრუნდება პატრონს და აძლევს ზუსტ ინფორმაციას გარემოს შესახებ. ასევე მუშაობს ულტრაბგერის აპარატი. გადამწოდი, რომელსაც ექიმის ხელი პაციენტის კანზე ათავსებს, უშვებს ულტრაბგერით სიგნალებს და უკან ღებულობს არეკლილებს. კომპიუტერი ამუშავებს მონაცემებს და ეკრანზე ჩნდება სხეულის ნაწილების გამოსახულებები ისევე აშკარად, როგორც გაკვეთისას. უფრო მკვრივი ქსოვილები (ძვლები, ნაღვლის ბუშტის კენჭები) — თეთრი ფერისაა, სითხეები (სისხლი, შარდი) — შავი, ხოლო შუალედური მორუხო ელფერის გამოსახულებები შინაგანი ორგანოებისაა.

რა შეუძლია ულტრაბგერას?

ულტრაბგერითი გამოკვლევა იძლევა ინფორმაციას ღვიძლის, ელენთის, თირკმლების, კუჭქვეშა ჯირკვლის, ნაწლავების შესახებ. ტალღები მცირე მენჯის არესაც სწვდება, ამიტომ უროლოგიასა და გინეკოლოგიაში ულტრაბგერას გვერდს ვერ ავუვლით. იგი გამჭოლად „ხედავს“ ფარისებრ ჯირკვალს, თირკმელზედა ჯირკვლებს, აგრეთვე გულის საკნების ზომებსა და გულის კუნთის მდგომარეობას. ორსულობის მე-4-5 კვირიდან ულტრაბგერითი გამოკვლევის მეშვეობით ჩნდება შესაძლებლობა, დავინახოთ, როგორ ვითარდება საშვილოსნოში ნაყოფი (რენტგენოგრაფიისა და კომპიუტერული ტომოგრაფიის გაკეთება ამ დროს დაუშვებელია). პატარას დაბადების შემდეგ კი, ულტრაბგერითი კვლევის ერთ-ერთი სახე — ნეიროსონოგრაფია (რომლის დროსაც გადამწოდი ყიფლიბანდის არეში თავსდება) განსაზღვრავს, არის თუ არა მომატებული ქალის შიდაწნევა, წესრიგშია თუ არა თავის ტვინის სტრუქტურები.

რა არ შეუძლია ულტრაბგერას

როგორც კვლევის ნებისმიერი სხვა სახეობა, ეს მეთოდიც არ იძლევა 100%-იან ინფორმაციას. ამიტომ ყოველთვის ნიშნავენ

კვლევის ეს მეთოდი ექიმისა და პაციენტების ფრთაშესხმული ოცნებაა. ექიმები ყოველთვის ოცნებობდნენ, „ჩაეხედათ“ სხეულში ჩხვლეტისა და გაკვეთის გარეშე. პაციენტების კი სურდათ, რომ არ სტკენოდათ და არ შეშინებოდათ. სწორედ ასეთია ულტრაბგერითი გამოკვლევა.

კვლევის რამდენიმე სახეობას და ანალიზებს. მიღებული შედეგების შეკრებით მკურნალ ექიმს შეუძლია, დასვას ზუსტი დიაგნოზი.

არის თუ არა ულტრაბგერითი კვლევისას რადიაცია?

ულტრაბგერის ტალღებს არავითარი საერთო არ გააჩნია რენტგენის გამოსხივებასთან. ულტრაბგერითი კვლევის გამოყენების 30-წლიანი პრაქტიკის მანძილზე მსოფლიოში არ დაფიქსირებულა მისგან გამოწვეული გართულების არც ერთი შემთხვევა.

როგორ მოვემზადოთ გამოკვლევისთვის?

თუ მუცლის ღრუს ორგანოების გამოკვლევას აპირებთ, პროცედურის ჩატარებამდე ორი დღით ადრე, რაციონიდან გამორიცხეთ ისეთი პროდუქტები, რომელიც გაზების გაძლიერებულ წარმოქმნას იწვევს: შავი პური, ახალი ხილი, ბოსტნეული, პარკოსნები, კონსერვები, გაზიანი სასმელები და წვენები. კარგი იქნება რძისა და მცენარეული დიეტის დაცვა. შემწვარი პროდუქტები მოხარშულით შეცვალეთ. გაზების წარმოქმნის შესამცირებლად ულტრაბგერითი გამოკვლევის წინადღეს სვით გააქტიურებული ნახშირი, რომელიც უნდა დაფხვნათ და გახსნათ მცირე რაოდენობის წყალში. უფროსებმა უნდა მიიღონ 2-2 აბი 5-ჯერ დღეში, ბავშვებმა — 1-2 აბი 3-ჯერ დღეში.

წინადღეს ივახშმეთ არა უგვიანეს 20 საათისა, ხოლო გამოკვლევის დღეს არ ისაუზმოთ. დილიდან არ დალიოთ სითხე, როგორც არ უნდა გწყუროდეთ, არ დაღეჭოთ საღეჭი რეზინი, არ დალიოთ წამლები — ყოველივე ეს საკმარისია იმისათვის, რომ ნაწლავმა დაფაროს შინაგანი ორგანოების ნამდვილი სახე. ზოგიერთ შემთხვევაში წინადღეს ექიმი გამწმენდ ოყნასაც კი უნიშნავს პაციენტს.

მცირე მენჯის ორგანოთა გამოკვლევისას საჭიროა, რომ შარდის ბუშტი იყოს სავსე (პროცედურამდე 4 საათის განმავლობაში არ მოშარდოთ). ბავშვებისთვის 2-3,5 საათიც საკმარისია.

რა წავიღოთ თან?

გამოკვლევაზე წასვლისას თან უნდა წაიღოთ სხვა ანალიზების შედეგები (თუ გაქვთ, რენტგენოგრაფიისა და კომპიუტერული ტომოგრაფიის დასკვნები). ამ მონაცემთა გათვალისწინებით ექიმი უკეთ აღწერს იმას, რასაც მონიტორის ეკრანზე დაინახავს. საგულისხმო იქნება წინა ულტრაბგერითი გამოკვლევის შედეგებიც. ■

როგორ მოვუაროთ ფრჩხილებს

ბიოლოგიური თვალსაზრისით ფრჩხილები ატავიზმს (გადმონაშთს) წარმოადგენს. სიცოცხლისათვის აუცილებელ კომპონენტებსაც ნარჩენობის პრინციპით ღებულობს და ამიტომ ყველაზე იოლად ზარალდება. ცილოვან საკვებში შემავალი ამინომჟავები საშენ მასალას წარმოადგენს ფრჩხილისა და თმისათვის. მისი მიღება შეიძლება თევზის, ხაჭოს, მარცვლეულის, კაკლისა და თხილის შეტანით რაციონში. ამინომჟავების უკეთ ათვისებისათვის შეუცვლელია ვიტამინები B6, B12, B9 (ფოლიუმის მჟავა); აგრეთვე A, D და B5 (პანთოთენის მჟავა). D ვიტამინი მნიშვნელოვან როლს ასრულებს კალციუმის ცვლაში; იგი განსაკუთრებით ფასეულია ფრჩხილების ზრდისათვის. E ვიტამინი კანს ნაადრევი დაბერებისგან



იცავს. რკინა, თუთია და C ვიტამინი ფრჩხილებს ისევე სჭირდება, როგორც კანს. თეთრი ლაქები ფრჩხილებზე თუთიის ნაკლებობაზე მეტყველებს. ეს ელემენტი ჭარბადაა ბარდაში, სოიაში, ლობიოში, კრევეტებში. სელენი თმას და ფრჩხილებს უნარჩუნებს სიგლუვესა და ბრწყინვალეებას. H ვიტამინი (ბიოტინი) ფრჩხილის მტვრევისა და აშრევების საუკეთესო პროფილაქტიკაა. მაგნიუმი, ფოსფორი, კალციუმი, B1 და B2 ვიტამინები კი ნერვულ სისტემას ამაგრებს.

სად არის დარღვევა?



ზოგჯერ ჩვეულებრივი მოვლა საკმარისი არ არის ხოლმე და ფრჩხილები გვაძლევს სიგნალს ორგანიზმში რაღაც პრობლემის არსებობის შესახებ – ის სარკესავით ირეკლავს ყველა სისტემის მუშაობას. ქიროლოგები ამტკიცებენ, რომ ფრჩხილი შეიცავს ინფორმაციას მომავალი დაავადებების შესახებ საგანგაშო სიმპტომების გაჩენამდე დიდი ხნით ადრე.

ჩვეულებრივზე პატარა ზომის, მოცისფრო ელფერის ფრჩხილები, მკვეთრად გამოხატული ნუნების გარეშე, გულის თანდაყოლილი დაავადების შესახებ გვაფრთხილებს. ამობურცული, სქელი, უხეში ფრჩხილები გაუმჭვირვალე რქოვანა სტრუქტურით, ფილტვის დაავადების ან ტუბერკულოზის სერიოზულ სტადიაზე მეტყველებს. მოყვითალო-მოყავისფრო ფრჩხილი დერმატოზსა და ფსორიაზზე მეტყველებს. გარდა ამისა, ასეთი გამუქება შეიძლება გამოწვეული იყოს ანტიბიოტიკების ხანგრძლივი მიღებით ან სოკოვანი დაავადებით. იაფფასიანი ლაქის გამოყენებისას გარდაუვალია ფრჩხილის ფირფიტის ნაწილობრივი გათეთრება. მტვრევადი, ნაზი ფრჩხილები კი ნივთიერებათა ცვლის მოშლის ღამის პირველი ნიშანია. ფრჩხილის აშრევება ფარისებრი ჯირკვლის დაავადების ნიშანი ანდა დეკორაციული ლაქის ხანგრძლივი გამოყენების შედეგია, რადგან მის შემადგენლობაში შედის ფენოლი და ფომალდეჰიდი. ფრჩხილები, რომელზეც გასწვრივი ზოლები შეინიშნება, კუჭის წვენის დაბალ მჟავიანობაზე მეტყველებს. ასეთივე ფრჩხილი ადამიანის ძლიერი მოწამვლის, ინტოქსიკაციის შემდეგ ვითარდება ხოლმე. ამობურცული ფრჩხილები გულის ან ფილტვის უკმარისობაზე მეტყველებს; ბრტყელი, ჩარღმავებული კი – ცილის უკმარისობასა და ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დარღვევაზე.

არსებობს პრობლემის გადაწყვეტის გზა

თუ ჯანმრთელი ხართ და ფრჩხილებმა დაიწყო მტვრევა, აშრევება ან გაყვითლება, დაუყოვნებლივ უნდა მიიღოთ ზომები. ფრჩხილების დაზიანების მიზეზი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს: სარეცხ საშუალებებთან კონტაქტი ან ფრჩხილის ფირფიტის გამოშრობა. პირველი პრობლემა ადვილად გადაიჭრება რეზინის ხელთათმანების მეშვეობით, მეორე – ზეთოვანი აბაზანებით კვირაში 1-2-ჯერ მაინც. ხელებზე უნდა წაისვათ ზეითუნის ზეთი, ჩაიცვათ ბამბის ხელთათმანი და „ნიღაბი“ მთელი ღამის განმავლობაში დაიტოვოთ. საუკეთესო საშუალებაა აგრეთვე ზღვის მარილის აბაზანები. წყალში უნდა გახსნათ ერთი ჩ/კ ზღვის მარილი და 15-20 წუთით ჩააწყოთ ამ ხსნარში ხელები; ამ პროცედურისთვის უმჯობესია, გამოიყენოთ მარილი, რომელიც არ შეიცავს არომატულ დანამატებს. აბაზანები უნდა გაიკეთოთ ყოველდღიურად ერთი კვირის განმავლობაში, შემდეგ ერთი თვე შეისვენეთ. პროფილაქტიკისთვის საკმარისია მარილიანი წყლის აბაზანა კვირაში ერთხელ.

თუ ფრჩხილი გიშრევდებათ, ნუ მოიჭრით მაკრატლით, დაიმუშავეთ ფრჩხილის ქლიბით, სასურველია, ერთი მიმართულებით – გვერდიდან შუისაკენ. მტვრევადი, გამოფიტული ფრჩხილები ორგანიზმში კალციუმის ნაკლებობაზე მეტყველებს, ამიტომ მიირთვით საკმაო რაოდენობით ხაჭო, რძის პროდუქტები, თევზი და ბოსტნეული. შეგიძლიათ მიიღოთ სპეციალური ვიტამინური კომპლექსი, რომელიც შეიცავს კალციუმს და D ვიტამინს. მტვრევადობას შეამცირებს ფრჩხილებში მცენარეული ეთერზეთების შეზელვა. ლიმონის ზეთი ერთ-ერთი საუკეთესოა მათ შორის. ტკბილი ნუშის ზეთიც კარგად იცავს ფრჩხილის ფირფიტას და არბილებს გაუხეშებულ კანს. ■

ახალი რისკი: ტატუირების მანქანები

ტატუირებულთა დაკვირვებამ და გამოკითხვამ აჩვენა, რომ ტატუს ოსტატები სათანადოდ არ წმენდენ თავიანთ ინსტრუმენტს, რომლის მთავარ მექანიზმს ნემსი წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ნემსი იცვლება ყოველი ახალი კლიენტისათვის, მაგრამ ინსტრუმენტს საღებავის ნარჩენები ყოველთვის კარგად არ შორდება.

ბრიტანეთის მედიცინის ინსპექტორმა ჰელენ ტერკეიმ განაცხადა: „რადგანაც ბოდიარტი პიგმენტების კანქვეშ შეშხურებით სრულდება, ძალიან მნიშვნელოვანია ტატუმანქანის ყველა მუშა ნაწილის სრული სტერილიზაციის მოთხოვნა. პიგმენტი შეიძლება შეერიოს სისხლს და ორგანიზმის სხვა თხიერ ფრაქციებს, ეს კი კლიენტებს შორის სხვადასხვა ინფექციის (მათ შორის, შიდსისა და ჰეპატიტების) გადატანის შესაძლებლობას ქმნის.

დიდ ბრიტანეთში ცოტა ხნის წინ პირსინგისა და ტატუირების მკეთებელი სალონებისათვის ახალი მოთხოვნები შეადგინეს. ექიმებმა განგაში მას შემდეგ ატეხეს, რაც აღმოაჩინეს, რომ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფირმის პირსინგის მანქანის გაწმენდა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ამის შემდეგ ექსპერტებმა დაავალდებულეს მანქანების შემქმნელები, რომ თითო ეგზემპლარი შემოწმებაზე წარედგინათ, შემდგომ კი, მიეცათ მითითება, დაეხვეწათ მანქანების მექანიზმი იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს ყველა საჭირო დეტალის გაწმენდა და სტერილიზება.

შხამიანი პალიტრა

ექიმთა ყურადღება მხოლოდ ტატუს აპარატის ნემსმა როდი მიიპყრო. ევროპელ მედიკოსებს სერიოზული საფიქრალი გაუჩინა ტატუირებისას გამოყენებულმა ქიმიურმა ნივთიერებებმაც. კანქვეშ შეყვანილმა შეუმოწმებელმა ნაერთებმა საკმაოდ უსიამოვნო სიურპრიზები (კერძოდ, ტოქსიკური შოკიც კი) შეიძლება გამოიწვიოს. შემოწმებამ აჩვენა, რომ სალონებში გამოყენებული საღებავის უმრავლესობა წარმოადგენს სამრეწველო პიგმენტებს, რომელიც ავტომანქანების შესაღებად და მელნის ავტოკალმებისათვის გამოიყენებოდა. პრაქტიკულად არ არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ ეს საღებავები უსაფრთხოა ადამიანის კანისათვის. კომისიამ განაცხადა, რომ საღებავებში შემავალ ნივთიერებათა ზერელე ანალიზიც კი გვიჩვენებს, რომ ის ჯანმრთელობისათვის მავნეა.

მომაჯდინებელი პირსინგი

პირსინგი გასულ წელს ევროპაში ორი ადამიანის სიკვდილით დამთავრდა. ტუჩის გახვრეტის პროცედურის შედეგად გარდაცვლილი ერთ-ერთი მოზარდის დედამ დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის სამინისტროში იჩივლა. გაირკვა, რომ 17 წლის მომავალი მუსიკოსი დენიელ ჰინდლი პირსინგის დროს სათანადო წესების დაუცველობამ იმსხვერპლა – მას სეფსისი განუვითარდა. დენიელს თანდაყოლილი გულის მანკი ჰქონია, რომელიც პირსინგ-

ამბობენ, რომ მათ წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ ამ უბრალო პროცედურას ასეთი სერიოზული შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა. ერთადერთი, რაც მათ შვილს უთხრეს, ის იყო, რომ ტუჩში გაყრილი საყურე მას არ მოუხდებოდა.

ასე რომ, ევროპელი ახალგაზრდების გატაცება არც ისე უსაფრთხო ყოფილა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. ჩვენშიც არიან ამ უჩვეულო მოდის მიმდევრები. გვინდა მათ საყურადღებოდ განვაცხადოთ, რომ თუკი ევროპაში ვერ შეძლეს აღნიშნული პროცედურების დროს სამედიცინო ნორმების დაცვა, ჩვენს ქვეყანაში, მით უმეტეს, შეუძლებელი იქნება ამის გაკეთება, ამიტომ, გირჩევთ, სიფრთხილე გამოიჩინოთ და ნუ აჰყვებით ისეთ მოდას, რომელმაც შეიძლება ზიანი მოუტანოს თქვენს ჯანმრთელობას.

■

დეფიბრილატორები სტადიონზე

ახლოვდება ფეხბურთში ევროპის 2004 წლის ჩემპიონატი, რომელიც პორტუგალიაში ჩატარდება და მედიკოსები ორგანიზატორებს ურჩევენ, რომ იმ სტადიონებზე, სადაც ჩემპიონატის ფინალური ნაწილის გადამწყვეტი მატჩები უნდა ჩატარდეს, დაიდგას დეფიბრილატორები. ექიმთა შეშფოთება გამოიწვია შვეიცარიელ სპეციალისტთა გამოკვლევის შედეგებმა, რომლიდანაც ჩანს, რომ სამხრეთ კორეასა და იაპონიაში გასულ წელს ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატის დროს ინფარქტით სიკვდილიანობის რაოდენობა 60%-ზე მეტით გაიზარდა. ამ გამოკვლევის შედეგები ავსტრიულ ჟურნალ „გეზუნდეს ესტერაიხში“ გამოქვეყნდა.

იმის მიუხედავად, რომ მედიკოსებს არ შეუძლიათ დაამტკიცონ, რომ გულის უკმარისობით სიკვდილიანობის შემთხვევები, სწორედ გულშემატკივართა შორის გაიზარდა, მათი აზრით, ასეთი უარყოფითი დინამიკა ფეხბურთის ბატალიების ნაზავს უკავშირდება.

შვეიცარიელ მედიკოსთა ბოლო გამოკვლევებთან დაკავშირებით, პორტუგალიის კარდიოლოგთა ფედერაციის თავმჯდომარემ მანუელ კარეჟეტამ მოითხოვა, რომ ყველა პორტუგალიური სტადიონი, სადაც ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის მატჩები ჩატარდება, აღიჭურვოს სპეციალური რეანიმაციული მოწყობილობებით მათ დასახმარებლად, ვისაც მატჩის დროს გულის შეტევა დაემართება. კარეჟეტამ აღნიშნა ისიც, რომ გულშემატკივრებს შეუძლიათ თავადაც შეამცირონ ინფარქტების განვითარების ალბათობა, თუ უზომოდ არ მირთმევენ საკვებს და შეუზღუდავი რაოდენობით არ დალევენ ყავასა და ალკოჰოლურ სასმელებს. რაც შეეხება ფეხბურთის გულშემატკივრებს, რომლებიც ტელეეკრანებზე ადევნებენ თვალს ჩემპიონატებს, „ამ შემთხვევაში ჩვენ უღონონი ვართ“, – აღნიშნა კარეჟეტამ.

■

კვირის (3 — 9 ნოემბერი)

ასტროლოგიური პროგნოზი

ღრიანკალი — 24/X-22/XI

ქალი: ნუ მოსწყდებით რეალობას, მოვლენების სწორად აღქმა, სწორი გადაწყვეტილების მიღების გარანტია. ამ კვირაში ფინანსური გარიგებისგან თავი შეიკავეთ. ნუ ეტყვით მეგობარს უარს, თუკი ის ბუნებაში გასეირნებას შემოგთავაზებთ.

მამაკაცი: გირჩევთ, მომჭირნეობა გამოიჩინოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, უახლოეს მომავალში ფულის სესხება მოგიწევთ. კარგად დაფიქრდით, დარწმუნებული ხართ იმ ქალის საპასუხო გრძნობებში, ვისი გულისთვისაც მზად ხართ გაკოტრდეთ?

მუშაღლოსანი — 23/XI-21/XII

ქალი: წინ სასიამოვნო სიურპრიზი გელით. მოულოდნელი სიხარულით გამოწვეული განწყობილება მთელი კვირის განმავლობაში გაგყვებათ. ამ კვირაში ბიზნესთან დაკავშირებულ საკითხებს ბრწყინვალედ გაართმევთ თავს.

მამაკაცი: მიუხედავად ძალიან გადატვირთული კვირისა, პირადი ცხოვრებისთვისაც დაგრჩებათ დრო და ეს დრო ჭკვიანურად გამოიყენეთ. იყავით უფრო აქტიური და წარმატებაც არ დააყოვნებს!

თხის რქა — 22/XII-20/I

ქალი: ამ დღეებში ნუ დაგეგმავთ შორეულ მხარეში მოგზაურობას. ჯობს, ეს საქმე შემდეგი კვირისთვის გადადოთ. იყავით განსაკუთრებით ყურადღებიანი ახლობლების მიმართ.

მამაკაცი: სასიყვარულო ურთიერთობებში სრული ჰარმონია გელით. დაპატიჟეთ თქვენი რჩეული რესტორანში. რამდენიმე ჭიქა შამპანურის შემდეგ ჰკითხეთ, რომელ ვარსკვლავზე ისურვებდა მოგზაურობას და პირდაპირ იმ ვარსკვლავისკენ აიღეთ გეზი.

მერწყული — 21/I-19/II

ქალი: წარმატება ნუ გაგათამამებთ. კარგად დაფიქრდით, ნაადრევი ხომ არ არის ახალი გეგმების შესახებ ხმამაღლა განაცხადოთ? მოკლედ, გირჩევთ, ჯერ იმით დატკბეთ, რასაც უკვე მიაღწიეთ.

მამაკაცი: სიყვარულში გიმართლებთ, მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობს, მსუბუქი ფლირტით უფრო ხართ გატაცებული, ვიდრე სერიოზული ურთიერთობებით. კი მაგრამ, რამდენ ხანს შეიძლება ასე გააგრძელოთ?

თევზები — 20/II-20/III

ქალი: ენდეთ ინტუიციას. ის მართლაც კარგი მრჩეველია. ამ კვირაში ნებისმიერი გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღეთ. უსმინეთ მხოლოდ საკუთარი გულის და გონების კარნახს, მომავალში კი შეეცადეთ, მალე დაივიწყოთ ამ კვირაში დაშვებული შეცდომები.

მამაკაცი: სასტიკად გეკრძალებათ დარდიმანდობა. ამ კვირაში თქვენმა საქმისადმი მიდგომამ, აქტიურობამ და ორგანიზებულობამ შეიძლება თქვენი ცხოვრება მთლიანად შეცვალოს.

ვერძი — 21/III-20/IV

ქალი: თუ თქვენ მეცნიერი ხართ, წარმატება გელით. შეიძლება ამ კვირაში ახალი აღმოჩენის ავტორი გახდეთ. თუ მეცნიერი არ ხართ, მაშინ შეგიძლიათ თავს დასვენების უფლება მისცეთ.

მამაკაცი: ნუ დაელოდებით წარმატებას შინ, ტახტზე წამოკოტრიალებული. ადექით, მიდექ-მოდექით, ხელი გაანძრიეთ, გონებასაც ძალა დაატანეთ და შემდეგ კვირაში მიღწეული შედეგით დატკბით.

კუჭრო — 21/IV-21/V

ქალი: ნუ გაიფუჭებთ განწყობილებას მხოლოდ იმის გამო, რომ საყვარელმა მამაკაცმა ტყუილების თქმას მოუხშირა. თუ ხელოვანი ხართ, ჯობს, ეს კვირა საკუთარ შემოქმედებას დაუთმოთ.

მამაკაცი: სიყვარულში გაწბილებული დარჩებით, თუ ეჭვიანობის სენით ხართ შეპყრობილი. ამ კვირაში თქვენი ეჭვიანობა ზენიტს მიაღწევს, ამიტომ გაფრთხილდით: სერიოზული შეცდომის დაშვების რისკის ქვეშ იმყოფებით.

მარგალიტი — 22/V-21/VI

ქალი: ყურადღებით დააკვირდით გარშემომყოფთ. დაფიქრდით, თქვენ ირგვლივ პირფერები ხომ არ სჭარბობენ პირდაპირ ადამიანებს? მეტი პატივისცემით მოეპყარით მათ, ვისაც აქვს უნარი თამამად გამოხატოს საკუთარი აზრი.

მამაკაცი: სასიყვარულო ასპარეზზე ახალი თავგადასავალი გელით. ამ კვირაში ის მანდილოსანი, რომლის გულის მონადირებასაც წლების განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდით, ბედნიერად იგრძნობს თავს, თუკი შეეხმიანებით.

კირჩხიბი — 22/VI-22/VII

ქალი: ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. აკონტროლეთ ემოციები. დაუფიქრებელი გამონათქვამით ნუ გაანაწყენებთ მეგობრებს.

მამაკაცი: საქმიან ქაღალდებთან მეტი სიფრთხილე გმართებთ. თუ მდიდარი ხართ, შესაძლებელია თქვენი პერსონით კრიმინალური სამყარო დაინტერესდეს.

ლომი — 23/VII-23/VIII

ქალი: მაღაზიაში თუ შებრძანდებით, კარგად დაითვალეთ ხურდა და ყურადღებით დაათვალიერეთ ის ნივთები, რის შეძენასაც აპირებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება შინ ცალ-ცალი ფეხსაცმელი ან სახელმორღვეული პიჯაკი მიიტანოთ.

მამაკაცი: თავი შორს დაიჭირეთ ქალებისგან, რომელთაც ამჩნევთ, რომ თქვენი მოხიბვლა ანგარების მიზნით სურთ. ვთქვათ, თქვენი ფინანსური ან სამსახურებრივი მდგომარეობა უფრო ხიბლავთ, ვიდრე თქვენი პიროვნული თვისებები.

ქალწული — 24/VIII-23/IX

ქალი: მოუსმინეთ მეგობრების რჩევას. ნუ შეგიპყრობთ განდიდების მანია. საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობების შეფასებაში იყავით ობიექტური.

მამაკაცი: შეეცადეთ იუმორით შეხედოთ ყველაფერს, რაც კი გაღიზიანებთ. ნუ მიეცემით უიმედობას. გახსოვდეთ, რომ ყველა დაღმართს აღმართი მოსდევს.

სასწორი — 24/IX-23/X

ქალი: მოერიდეთ კონფლიქტებს. თქვენს წინააღმდეგ სერიოზული პროვოკაცია იგეგმება. შეინარჩუნეთ სიმშვიდე და დაელოდეთ მოვლენების შემდგომ განვითარებას.

მამაკაცი: ამ კვირაში თოვლის ბაბუის როლი მოგიხდებათ. ჰკითხეთ ოჯახის წევრებს, რაზე ოცნებობენ ისინი და შეძლებისდაგვარად აუსრულეთ კიდეც სურვილები.

მონა, დირე ძალლის ჯიში

ისრაელის წარმოების წყლის გამათბობელი

ინდიელი ქალის სამოსი

სახელმ-წიფო ბალტიი-სპირეთში

ოთარ იოსე-ლიანის ფილმი

ვიკენ ...

საღებავი ფერწერაში

„ოქროს ხოჭო“ (ამერიკელი მწერალი)

ფრან. კინ-ტრუქტორი

ზოდ-ლავას თანამდე-ბობა

ზევსის უფროსი და და მეუღლე

პოპუ-ლარული სიმღერა

... არტმანე

ქართუ-ლი ავიაყო-მპანია

ფრანგი მოძღვე-რალი

კურორ-ტი შავ ზღვაზე

სასახლე (ძველად)

გრძელი შალაშინი

წყლის ნიმფა

იტალიის ტელეკომპ.

ცხოველებ-ზე ნასაკვ-რეველი ადგილი

სუფრის თავკაცი

ეგვიპტის ფარაონი

მაუგლის მეგობარი

ლაშქრის ნაწილი

აუჩქარე-ბელი, დინჯი

ფიზიკური და ფსიქიკური მოქმედების დაქვეითება

დიდი საზოგა-დოებრივი სადი

შვიდთა-გან ერთ-ერთი საოცრება

დიდი უქორწო თუთიყუში

სანადირო თოფით სასროლი ტყვიები

ოძრაობა ბორტში

ფაფა ბავშვის ენაზე

ჯუჯა ხარი

ოთმის აცვენი ბალახი

ლუდის სასმისი

ამალთეამ ზევსი მისი რძით გამოკვება

ფეოდ-მასლების ვერშ ფერ-ნოტი

ეშაობის ოთეული

კლდე-კარის ერისთავის სახელი

ყვავილი

სას-ფერის თეფში

იაპო-ნური ციკი იარაღი

დედამამა-შვილი

შეადგინა რამაზ ალანიამ



დოპინგის მიმსმარეულები მკაცრად დაისჯებიან

ამერიკის მძლეოსნობის ფედერაციამ აკრძალული პრეპარატების მოხმარებაში მხილებული სპორტსმენების მკაცრად დასჯის გადაწყვეტილება მიიღო, რომლის თანახმადაც ათლეტს, დოპინგტესტის გავლის შემდეგ, პირველივე დადებითი შედეგის შემთხვევაში, მუდმივი დისკვალიფიკაცია მიეცემა. გარდა ამისა, იგი 100 ათასი დოლარითაც დაჯარიმდება. ანალოგიური ზომები გატარდება მათი მწვრთნელების მიმართაც. აშშ-ის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტის, კრეიგ მასბეკის თქმით, სწორედ ამგვარ მკაცრ ქმედებას ითვალისწინებს ორგანიზაციის ახალი გეგმა, სახელწოდებით „აბსოლუტური შეუწყნარებლობა", რომელიც როგორც მოსალოდნელია, 2004 წლიდან შევა ძალაში. ადრე „სამართლიანი თამაშების" წესების დამრღვევნი ორწლიანი დისკვალიფიკაციით ისჯებოდნენ. ახალი კანონის შემოღება აშშ-ის მძლეოსნობის ფედერაციამ მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც დოპინგსკანდალის ახალი ტალღა აგორდა სპორტის ამ სახეობის წარმომადგენელთა გარშემო. სულ ცოტა ხნის წინ, აკრძალული ახალი პრეპარატის, ტეტრაჰიდროგესტრინონის გამოყენებაში ბრიტანელი სპრინტერი, 100 მეტრ დისტანციაზე სირბილში ევროპის ჩემპიონი, დუეინ ჩამბერსი ამხილეს. აგრეთვე, ცნობილი გახდა, რომ იმავე სტიმულატორის კვალი, ანალიზის შედეგად ოთხი ამერიკელი სპორტსმენის შარდშიც აღმოაჩინეს. სამი მათგანი გასულ ზაფხულს პარიზში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში იღებდა მონაწილეობას. სწორედ ამის გამო, მასბეკმა აშშ-ის მთავრობას მათ მიმართ უფრო მკაცრი ზომების გატარებისკენ მოუწოდა, ვისაც ქვეყანაში სტეროიდები შეაქვს. „პრობლემა, რომელსაც წავაწყდით, მხოლოდ სპორტს არ ეხება — ეს ამერიკული საზოგადოების საერთო პრობლემაა: შარშან აშშ-ის მოსწავლეთა ოთხი პროცენტი მოიხმარდა სტეროიდებს", — დასძინა ამერიკის მძლეოსნობის ფედერაციის თავკაცმა. ■

დეიდი სათეხმურთო გაკვეთილებს ჩაატარებს

მადრიდის „რეალის" ნახევარმცველი ბავშვებს სატელევიზიო-საფეხბურთო გაკვეთილებს ჩაუტარებს. ინგლისელი ვარსკვლავი თანახმაა, მონაწილეობა მიიღოს ბრიტანულ შოუში სახელწოდებით — „პოპკერპი". როგორც ჟურნალი Hello იუწყება, ბექსი უკვე გადაიღეს მომავალი შოუსთვის რამდენიმე სარეკლამო რგოლში. „სამეფო კლუბის" წარმომადგენელი ტელეეკრანიდან ბავშვებს თავისი ოსტატობის საიდუმლოს გაუმხელს და ბურთის ფლობის ტექნიკის დემონსტრირებას მოახდენს. დეიდის, როგორც სატელევიზიო-საფეხბურთო მასწავლებლის დებიუტი 2003 წლის მიწურულს, ბრიტანელი ბავშვების საყვარელ ტელეარხ CBBC-ზე შედგება. ■

როდმანი თავის ჩვეულ ტრიუკებს კვლავ არ ეშვება

დენის როდმანს მოტოციკლის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის გამო პრობლემები შეექმნა ლასვეგასის საგზაო პოლიციასთან. 42 წლის ვარსკვლავმა ქალაქის ერთ-ერთი სტრიპტიზ-კლუბის ახლოს ორთვალა ტრანსპორტით ავარია მოახდინა. მოტოციკლეტი მას კლუბის თანამშრომლისათვის გამოურთმევია, რათა იქ მყოფთათვის მართვის ოსტატობა ეჩვენებინა, თუმცა ტრიუკების შესრულებისას მარცხი განიცადა და განათების ბოძს შეეჯახა, რის გამოც უმნიშვნელოდ დაშავდა. აქვე გაცნობებთ, რომ სკანდალური კალათბურთელი სექტემბერში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე ალკოჰოლური სასმლის მიღებაში ამხილეს. ■

სერენა დააპატიმრეს

სერენა უილიამსი ციხეში ჩასვეს. ოღონდ, არა სინამდვილეში, არამედ ერთ-ერთი ამერიკული ტელესერიალის ეპიზოდში. 22 წლის ჩოგბურთელმა, რომელსაც ამჟამად მსოფლიო კლასიფიკაციაში მესამე ადგილი უკავია, პირველად სცადა ბედი კინოში. სერიალში იგი სპორტსმენის როლს ასრულებს, რომელიც ნარკოტიკების გამსაღებელთა ინტრიგის მსხვერპლი ხდება. მას ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთას უსჯიან. ციხიდან გამოსვლის შემდეგ კი, სერენას გმირი შურისძიებას იწყებს. ■

როდიკი და გონსალესი სპორტული ავტომობილის საჯეს მიუსხდნენ

ცნობილმა ჩოგბურთელებმა, ენდი როდიკმა და ფერნანდო გონსალესმა ძალები ავტოსპორტშიც მოსინჯეს, რაშიც მათ McLaren-ის ტესტპილოტი, ესპანელი პედრო დე ლა როსა დაეხმარა. „ეს ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ, — აღნიშნა როდიკმა, — იგი უფრო მომაჯადოებელი იყო, ვიდრე პარაშუტით გადმოხტომა". თავის მხრივ, გონსალესმა ავტომობილის მართვის ოსტატობით გააკვირვა დე ლა როსა. „მას თავი ისე ეჭირა, როგორც ნამდვილ მრბოლელს და სულაც არ შეშინებულა დიდი სისწრაფით სიარულის დროს. უფრო მეტიც, მანქანას ისე მართავდა, როგორც პროფესიონალი", — დასძინა McLaren-ის პილოტმა, რომელსაც როდიკმა და გონსალესმა „ვალი დაუბრუნეს" და ჩოგბურთის რამდენიმე გაკვეთილი ჩაუტარეს. ■

შეგიძლიათ თუ არა მამაკაცის მოხიბვლა?

1) როგორ მოიქცევით, თუ ზაფხულში, პლაჟზე ღამით, არცთუ ისე ახლობელი ადამიანების გარემოცვაში აღმოჩნდებით და მათ საცურაო კოსტიუმის გარეშე ბანაობის იდეა გაუჩნდებათ?

ა) დათანხმდებით, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩამორჩენილად არ ჩაგთვალონ – 6;

ბ) მაშინვე გაიხდით და ზღვაში გადახტებით, რადგან ასეთი გართობა საკმაოდ გიტაცებთ – 9;

გ) უარს იტყვით შემოთავაზებულ წინადადებაზე და შინისაკენ გაიქცევით – 3.

2) გაზეთში გამოქვეყნებულ რომელ განცხადებას გამოეხმაურებოდით?!

ა) „ვეძებ მონათესავე სულს, რომელსაც ჩემსავით ეყვარება ბუნება და პოეზია“ – 3;

ბ) „მაღალი, მიმზიდველი მამაკაცი თავს ნამდვილ ქალად გაგრძნობინებთ“, – 6;

გ) „თუ გსურთ მყარი ოჯახის შექმნა და გარეგნობას თქვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, მიპასუხეთ და შემხვდით“ – 9.

3) რამდენად გულახდილი ხართ, როცა ვინმეს საკუთარ პრობლემებსა და განცდებზე ესაუბრებით?

ა) პირად საკითხებზე სხვებთან არ საუბრობთ, რადგან გსურთ, ყველას იდეალურ, უნაკლო და სრულყოფილ ქალად მიაჩნდეთ – 3;

ბ) გარკვეულწილად, გულახდილი ხართ, მაგრამ ბოლომდე არ იხსნებით, გსურთ, გარშემომყოფთათვის რამდენადმე იდუმალ ადამიანად დარჩეთ – 9;

გ) პირად საკითხებზე საუბრისას, ძალიან გულახდილი ხართ – 6.

4) როგორ მოიქცევით, თუ დაახლოების შემდეგ, თქვენი რჩეული მამაკაცი ისეთი სექსუალური და ვაჟკაცური აღარ გეჩვენებათ, როგორიც ადრე გეგონათ?

ა) არ შეიმჩნევთ იმედგაცრუებას – 6;

ბ) მიუთითებთ, როგორ უნდა მოიქცეს ნამდვილი მამაკაცი – 3;

გ) იფიქრებთ, რომ ეს თქვენი ბრალია და შეეცდებით, უფრო ალერსიანი და თბილი გახდეთ – 9.

5) პირველ რიგში, რა გაინტერესებთ მამაკაცში, რომელიც თქვენი ცხოვრების თანამგზავრი უნდა გახდეს?

ა) პროფესია და სამსახურებრივი მდგომარეობა – 3;

ბ) გარეგნობა – 6;

გ) ქალები, რომლებიც თქვენამდე ჰყავდა – 9.

6) რატომ ცდილობთ, ჩაიცვათ ლამაზად და მოხდენილად?

ა) გსურთ, სხვებზე ელეგანტურად გამოიყურებოდეთ – 9;

ბ) მთელი დღის მანძილზე კომფორტულად რომ იგრძნოთ თავი – 3;

გ) გინდათ, ისე მომხიბვლელად გამოიყურებოდეთ, რომ ყველა მამაკაცი თქვენით მოიხიბლოს – 6.

7) ძირითადად, ვინ არიან თქვენი მეგობრები?

ა) ქალები – 3;

ბ) ქალები და რამდენიმე მამაკაცი – 9;

გ) მამაკაცები – 6.

8) როგორ მოიქცევით, თუ წვეულებაზე თქვენი თაყვანისმცემელი სხვა ქალს დაუწყებს არშიყს?

ა) გარეგნულად არაფერს შეიმჩნევთ, მაგრამ წამოსვლის შემდეგ, კარგად გალანძღავთ და გაებუტებით – 9;

ბ) თვითონაც აირჩევთ ვინმეს და მასთან ფლირტს გააბამთ – 6;

გ) წვეულებიდან მაშინვე წამოხვალთ – 3.

9) თუ შესაძლებლობა მოგეცემოდათ, სად გაატარებდით შვებულებას?

ა) კანარის კუნძულებზე – 6;

ბ) ევროპაში, მუზეუმებს დაათვალიერებდით – 3;

გ) რომელიმე ეგზოტიკურ ქვეყანაში – მაგალითად, ინდონეზიაში ან ეგვიპტეში – 9.

10) წარმოიდგინეთ, რომ კარნავალზე მიგიწვიეს. რომელ კოსტიუმს აირჩევდით?

ა) კლოუნის – 3;

ბ) ბარბის – 6;

გ) ცნობილი მსახიობის – 9.

დაანჯამეთ ქულები

30-48: მამაკაცები, რომლებიც ყურადღებას გაქცევენ, არ გაინტერესებთ; ფიქრობთ, რომ მეტის ღირსი ხართ. თქვენი პრობლემა ისაა, რომ საკუთარი თავის ღირსეულად წარმოჩენა არ შეგიძლიათ. ალბათ ჯობს, შეიცვალოთ ჩაცმულობის სტილი, მაკიაჟი და სიარულის მანერაც. გამოიჩინეთ მეტი გამბედაობა, ნუ მოერიდებით თავის წარმოჩენას და სულ მალე, თქვენ ირგვლივ თაყვანისმცემლების მთელი გუნდი გაჩნდება.

51-69: მამაკაცებს ყოველთვის იზიდავთ, მათგან ყურადღება არასოდეს მოგკლებიათ. თუმცა, ბევრი მათგანი დონ ჟუანის ტიპს მიეკუთვნება; ისინი თითქოს ერთობიან თქვენით და მალე გივიწყებენ. თქვენ კი გსურთ, მოხიბლოთ სექსუალური, სერიოზული მამაკაცი და სამუდამოდ შეაყვაროთ მას თავი. ეცადეთ, უფრო სერიოზული ქალის იმიჯი მოირგოთ; ჩაიცვათ უფრო სადად და ელეგანტურად, ამასთანავე, ქარაფშუტობასაც ნუ გამოიჩენთ — იყავით ოდნავ არტისტული და სასურველი თაყვანისმცემელიც მალე გამოჩნდება.

72-90: თქვენს ყველა მეგობარს აოცებს — როგორ ახერხებთ დახვეწილი მამაკაცების მოხიბვლას?! თქვენი თაყვანისმცემლების უმრავლესობა, სერიოზული, მიზანდასახული და ძლიერი მამაკაცია. სხვები ვერ ამჩნევენ, მაგრამ თქვენ კი იცით, რომ ამის საიდუმლო თქვენშია — ნამდვილი სიყვარულის უნარით გამოირჩევით, შეგიძლიათ, ერთდროულად, ვნებიანიც იყოთ და გულუბრყვილოც, მომხიბვლელიც და სადაც, ელეგანტურიც და სექსუალურიც. თქვენნაირი ქალი ბევრი როდია. თანაც, ყველაფერი ჯერ კიდევ წინ გაქვთ!..

სკოლის მოსწავლე 60 წლის მამაკაცს გაჰყვა ცოლად

კრასნოიარსკის მხარეში ადრეულ ასაკში თხოვდებიან და უკვე მეორე კლასიდან მოყოლებული, სამუშაოდ ქალაქში მიემგზავრებიან. როგორც სამხარეო განათლების სამმართველოს უფროსმა, ვლადიმირ შიშმარიოვმა განაცხადა, ცოტა ხნის წინ, 14 წლის სკოლის მოსწავლე 60 წლის მამაკაცს გაჰყვა ცოლად და, ბუნებრივია, სკოლაშიც აღარ დადის. ჩინოვნიკის თქმით, კრასნოიარსკის მხარის მრავალ რაიონში 14-15 წლის გოგონები სწორედ გათხოვების გამო ანებებენ თავს სწავლას. თუმცა, რეგიონში ისეთი შემთხვევებიც დაფიქსირებულა, როცა მოსწავლეები სკოლას დაგვიანებით ამთავრებდნენ. მაგალითად, ქალაქ ნაზაროვოს ერთ-ერთი სკოლიდან 2 ოცი წლის მეცხრეკლასელი გოგონა გარიცხეს, ერთ-ერთ სოფელში კი, საკმაოდ მოზრდილი ბიჭი მეორე კლასიდან გაირიცხა. ამ უკანასკნელმა სრულიად დააბნია განათლების განყოფილების თანამშრომლები, რომლებსაც ვერაფრით დაუდგენიათ, თუ რამდენი წლის იყო იგი, რადგან მოსწავლის დოკუმენტებში აღნიშნული იყო, რომ ის „სამუშაოდ“ გაემგზავრა კრასნოიარსკში... შექმნილი მდგომარეობის გამო, სამხარეო ადმინისტრაციას გადაწყვეტილი აქვს, შექმნას სკოლის მოსწავლეების მონაცემთა სპეციალური კომპიუტერული ბაზა, რათა გააკონტროლოს ყოველი მათგანის ერთი სკოლიდან მეორეში გადასვლის პროცესი. ■

თურქმენეთში 5 ათასი წლის წინანდელი სასახლე აღმოაჩინეს

თურქმენეთში მსოფლიოში პირველი ტაძარ-სასახლის ხუროთმოძღვრული ანსამბლი აღმოაჩინეს, რომელიც ძველი თურქმენების მიერ არის აგებული. ეს აღმოჩენა რუსეთიდან ჩასულ არქეოლოგს, ვიქტორ სარიანიდის ეკუთვნის. „სამეფო ქალაქ ჰონურის (ძველი ქვეყნის – მარგუშის დედაქალაქი) მრავალწლიანი ფართომასშტაბიანი გათხრების შედეგად, ჩვ.წ-აღ-მდე მე-3 ათასწლეულის დროინდელი, უნიკალური არქიტექტურის არსებობის ფაქტი დადგინდა. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს უძველესი ანსამბლია არა მარტო ცენტრალურ აზიაში, არამედ მთელ ახლო აღმოსავლეთში“, – აღნიშნავს არქეოლოგი თურქმენეთის პრეზიდენტის, საფარმურატ ნიაზოვის სახელზე გაგზავნილ წერილში. მისივე თქმით, სამეფო სასახლეს გარს ერტყა მონუმენტური კომპლექსი. ნაგებობანი განთავსებულია აგურით ნაშენი, კოშკურებიანი გალავნებისგან შემდგარი, უზარმაზარი კვადრატის ცენტრში. მსგავსი კომპლექსი, რომელიც მთლიანად 10 ჰექტარ ფართობს იკავებს, პირველადაა აღმოჩენილი არა მარტო ახლო აღმოსავლეთში, არამედ მთელ მსოფლიოში. ■

122 წლის ჯამპუჩიელის დღეგრძელობის საიდუმლო სიგარეტში ყოფილა

კამპუჩიის ერთ-ერთ სოფელში – ბამბუკის ქოხში ცხოვრობს, შესაძლოა მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმული მწეველი მამაკაცი – სეკ იი, რომელიც, მისი ნათესავების თქმით, ცოტა ხნის წინ, 122 წლის გახდა. სამწუხაროდ, ის გინესის რეკორდების წიგნში ვეღარ მოხვდება, ვინაიდან 1970-იან წლებში მისი დოკუმენტები დიქტატორ პოლ პოტის „წითელმა ქჰმერებმა“ გაანადგურეს. თუმცა, ეს სრულებით არ ანელებს მის მიმართ საყოველთაო ინტერესს. როგორც სეკ იი ამბობს, ამდენ ხანს იმიტომ იცოცხლა, რომ ყოველდღე, სპეციალურ სიგარეტს ეწევა.

დღეგრძელი კამპუჩიელი თავის მეუღლესთან – 108 წლის ლონგ ოუკთან ერთად ცხოვრობს. წყვილი ირწმუნება, რომ მათ ქვეყანაში დატრიალებულ ათასგვარ უბედურებას, რომელსაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, მხოლოდ ლოცვებისა და სიგარეტის წყალობით გადაურჩნენ. „როცა ახალგაზრდა ვიყავი, ბეტელს (საღეჭი პილპილი) ვღეჭავდი ხოლმე, მაგრამ ხალხი მასხრად მიგდებდა; მეუბნებოდნენ, ქალს ჰგავხარო. ამის შემდეგ, მოწევა დავიწყე“, – აღნიშნა სეკ იიმ. მისი მეუღლე კი მიიჩნევს, რომ მეორე კომპონენტი – ლოცვები – გაცილებით მნიშვნელოვანია: „ახალგაზრდები ტაძრებში უნდა დადიოდნენ და უბიწო ცხოვრების წესს მისდევდნენ, რათა დიდხანს იცოცხლონ. ლოცვის დროს, ბუდას ყოველთვის ვთხოვ ჩემს შვილებს შეეწიოს იმაში, რომ დღეგრძელნი იყვნენ“.

ამჟამად, მოხუც ცოლ-ქმარს მხოლოდ ერთი ნატვრა აქვს – მოინახულოს სახელგანთქმული ანგკორ-ვატის ტაძრები. „ისინი არაერთხელ აპირებდნენ ანგკორის ნახვას, მაგრამ ხან ომი უშლიდათ ხელს და ხან არეულობა“, – დასძინა მათმა უმცროსმა ქალიშვილმა სიეკ იიმ, რომელიც 62 წლისაა. ■

ფოტოკუჩიოზები

ბ 19/40

ყველაფერი!

ყოველთვიური სტიპენდია ეროვნული ენციკლოპედიისა და ეროვნული ენციკლოპედიისთვის...

ასეული ტიტანისა...

ასეული თასთანისათვის!..

ასეული ქასტასტროფიზე...

საუბესბასთანით..